საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და
ეთნოგრაფიის ინსტიტუტი
არქეოლოგიური კომისია

გიორგი ლომთათიძე

# საქართველოს მოსახლეობის კულტურა და ყოფა I—XIII სს.

## (არქეოლოგიური მასალების მიხედვით)

გამომცემლობა „მეცნიერება"
თბილისი
1977

902 6 (C41)
902.6(47.922)
ლ 314

ნაშრომში ქვეყნდება ქართველ არქეოლოგთა უფროსი თაობის წარმომადგენლის განსვენებული გიორგი ლომთათიძის ნარკვევები, რომლებშიც ავტორს თავმოყრილი, სისტემაში მოყვანილი და გაანალიზებული აქვს მისი კოლეგების, აგრეთვე წინამორბედ მკვლევართა მიერ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში მოპოვებული დიდძალი არქეოლოგიური მასალა. ეს ნარკვევები, ერთიმეორესთან შინაგანი ლოგიკური კავშირით მჭიდროდ გადაბმული, აშუქებენ რამდენიმე კულტურულ-ისტორიულ პერიოდს (გვიანანტიკურ ხანას, ადრინდელსა და მოწიფულ შუა საუკუნეებს), რამდენადაც ამის შესაძლებლობას მასალის გამოვლინებისა და შესწავლის დონე იძლეოდა ავტორის გარდაცვალებამდე. ნაშრომი ძალზე შემოკლებული ვარიანტია ავტორის ხელიდან გამოსულ თავდაპირველი ტექსტისა.

ლ $\frac{10602}{М\ 607(06)-77}$ 212—77

© გამომცემლობა „მეცნიერება", 1977

## პირველი თავი

# საქართველოს მოსახლეობის კულტურული და სოციალური ვითარება ახ. წ. I—III საუკუნეებში

ახალი წელთაღრიცხვის პირველი სამი საუკუნე („გვიანანტიკური ხანა“, „რომაული ხანა“, ნაწილობრივ „პართული ხანა“ და ა. შ.) ერთი იმ საფეხურთაგანია წინარეფეოდალური საქართველოს ისტორიისა, რომელიც სადღეისოდ უკვე საკმაოდ უხვად არის გაშუქებული წიაღისეული არქეოლოგიური ძეგლებითა თუ მასალებით. ეს გარემოება საგრძნობლივ ავსებს ხარვეზს, რომელიც წარმომდგარია სათანადო წერილობითი წყაროების უსრულობის, ცალმხრივობისა და ზოგჯერ ბუნდოვანებისგანაც.

ამ ძეგლების ერთგვარი ღირსებაა ისიც, რომ მათი უმეტესი და არსებითი ნაწილი დაკავშირებულია ანტიკური იბერია-ქართლის დედაქალაქთან, მცხეთა-არმაზთან და ამ უკანასკნელისა და მისი გარემიდამო სამოსახლოების („დიდი მცხეთის“) ყოფასა და კულტურას ასახავს. მეორე მხრივ, ყოველწლიურად სულ უფრო მეტი გვიგროვდება დღევანდელი საქართველოს სხვა კუთხეებიდან მომდინარე მასალაც. ეს უკანასკნელი ზოგჯერ იმგვარია, რომ არქეოლოგები მათ მიხედვით, საკმაოდ მართებულად, გულისხმობენ სათანადო ადგილებში მსხდარ, დიდი თანამდებობის მქონე არისტოკრატებს — მათი კუთვნილი ნივთიერი დოვლათის მიმსგავსებით დიდი მცხეთის, უკვე ცნობილი დიდკაცური ნამოსახლარებისა თუ განსასვენებლებისაგან მომდინარე დოვლათთან.

I—III საუკუნეთაგან შემორჩენილი არქეოლოგიური ძეგლების ამომზეურება და თანამედროვე მეცნიერების თვალთახედვით გააზრიანება იწყება 1860-იანი წლებიდან — მცხეთის მიდამოებში, საქართველოს სამხედრო გზის გადასაკეთებლად ჩატარებულ დიდ მუშაობასთან დაკავშირებით. სახელდობრ, 1867 წელს ზემო ავჭალის ვიწროებთან (დიდი მცხეთის სამაგრო სისტემის სამხრეთ-აღმოსავლეთ განაპირას) აღმოჩნდა დიდი ბერძნულწარწერიანი სტელა, რომელიც იქ აღუმართავთ ახ. წ. 75 წელს — იმის აღსანიშნავად, რომ მეგობარი იბერიის მეფის ფარსმანისა და იამასასპის ძის მითრიდატესათვის და მისი ერისათვის რომაელებს იქ ქალაქის ზღუდე განუმტკიცებიათ (1938 და 1948 წლებში მცხეთის ექსპედიციას საშუალება მიეცა ამ ნამაგრიდან შემორჩენილი დაკუთხული ქვების შესწავლისა, რომელთაგან ზოგზე ბერძნული მთავრული ასოები იყო ამოჭრილი). 1870 წელს აღმოჩნდა და მომდევნო წლებიდან ხანგრძლივ ითხრებოდა ძველი მცხეთის უხნიერესი და უვრცელესი სამაროვანი სამთავროს მინდორზე, სადაც იმჟამად გამოვლენილ იქნა რამდენიმე ასეული სამარხი, სხვადასხვა დროისა. ამ უკანასკნელთა მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ I—III საუკუნეებს მიეკუთვნება და მათი ინვენტარი მრავლად შეიცავდა გვიანანტი-

კური წარმოება-ხელოვნებისათვის დამახასიათებელ ნივთებს (ოქრო-ვერცხლისა და სხვ. სამკაულს, ლითონის, თიხისა და მინის ჭურჭლეულს, ჭრილა თვლებს) და აგრეთვე მონეტებს [1].

1900-იან წლებში ზედიზედ (1902—3, 1907—9 წწ.) აღმოჩნდა და „შინაურულად" გაითხარა იმავდროული სამარხები სოფ. ბორში — ანტიკური ხანიდანვე კარგად ცნობილი ციხე-ქალაქის შორაპნის მახლობლად [2,3—6, I—VI]. რევოლუციამდელ არქეოლოგიას იმ შემთხვევითმა მონაპოვარმა გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი და მდიდრული მასალა შესძინა, ვიდრე მანამდე წლობით ნათხარმა სამთავროს სამაროვანმა, სადაც, როგორც ჩვენს დროს გამოირკვა, დედაქალაქის მხოლოდ ერთ-ერთი (ჩანს, უდიდესი) უბნის სასაფლაო ყოფილა და შედარებით ცოტაა (ისიც მხოლოდ სამხრეთ განაპირას) მდიდრული შინაარსით გამორჩეული სამარხი. ასეთები კიდევ უფრო მეტია სამხრეთით, დღევანდელი დაბის ფარგლებში.

საქართველოში არქეოლოგიური კვლევა-ძიების დიდად გაცხოველებამდე (რაც 1937 წელს დაიწყო ახლად დაარსებული „ენიმკის" ხელით) შემთხვევითი მონაპოვრები კიდევ უნდა აღინიშნოს: ლეჩხუმის სოფ. უსახელოში (1911 წ.) [2, 18—19, ტაბ., I, 1, 2], აჭარის სოფ. ციხისძირში (1908 წ.) [3], ზემო სვანეთში ჭვიბერში [4], მცხეთის რამდენსამე ადგილას — არმაზისხევის შესართავთან (1919 და 1928 წწ.) [1], შიგ მცხეთაში (XIX ს-ის მიწურულს, სვეტიცხოველთან და 1920 წ. [5], ზაჰესის მშენებლობაზე (1923—1924 წწ.) [6], სამეგრელოს სოფ. ბანძაში (1923 წ.) [6], სოფ. დიღომში (1924 წ.) [6], აფხაზეთის სოფ. გერზეულში (1929 წ.) [7], სამურზაყანოს სოფ. თაგილონში (1930 წ.) [8], სამეგრელოს სოფ. სეფიეთში (1931 წ.) [9, 217—258], თბილისში [10, 159—174] და სხვ.

1937 წლიდან დღემდე (მეტ-ნაკლები ხარვეზებით) გეგმაზომიერად წარმოებული გათხრა-დაზვერვის შედეგად უამრავსა და კარგად დოკუმენტაციაქმნილ მასალას მოეყარა თავი რამდენიმე კუთხეში. უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია, ჯერ „ენიმკისა" და შემდეგ ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის მცხეთის ექსპედიციის დიდი გათხრითი ნამუშევარი, უმთავრესად სამთავროს მინდორზე, არმაზისხევის შესართავთან (ერისთავ-პიტიახშების ნამოსახლევი და ბრწყინვალე ძეგლების შემცველი განსასვენებელი) და ბაგინეთში (სამეფო რეზიდენციის ნაშთები) [1; 11; 12, 13]; შემდეგ — შიგ მცხეთაში [14], მცხეთის სადგურთან შესანიშნავი აკლდამა და სხვ. [15; 1], სარკინეთსა და წიწამურში [13]. დიდძალი ყურადსაღები ძეგლი აქვთ გამოვლენილი აგრეთვე: თრიალეთის (1936—1940 წწ.) [16], ზემო რაჭის (1936 წლიდან დროდადრო) [17; 18; 11], ბორის (1938 წ.) [19], ალაზნის ველის [20], კლდეეთის (1942 წ.) [21: 22], სამხრეთ ოსეთის (1945—1953 წწ. დროდადრო) [23: 24; 25; 26], ბიჭვინტის (1952—1966 წწ.) [27], ურბნისის (1953—1962 წწ.) [28; 29; 30], უფლისციხის (1957—1963 წწ.) [31] და წებელდის [32; 33] ექსპედიციებს. ურბნისისავე ექსპედიციამ 1964—1966 წლებში გათხარა უაღრესად შინაარსიანი, მდიდრული (არმაზისხევისა და ბორის შესადარი) სამარხები ქარელის რაიონის სოფ. ზღუდერში [34, 45—46], ხოლო ერწოს ექსპედიციამ, 1966—1967 წლებში არცთუ ბევრად ნაკლებ მნიშვნელოვანი სამარხები თიანეთის რაიონის სოფ. მაგრანეთთან [35]. ნა-

ყოფიერად იქნა წამოწყებული სამაროვანთა თხრა ზემო სვანეთში, სახელდობრ იმავე ჰვიბერში (1964—1965 წწ.) [36]. დასასრულ, უნდა გავიხსენოთ სათანადო ფენა ერთი ადრინდელი (1930 წ.) ექსპედიციის განათხარისა ნოქალაქევ-არქეოპოლისში [37, 188—201].

ამასთანავე, 1930-იანი წლების მეორე ნახევრიდან დღემდე კვლავ მრავალი ყურადსაღები სამარხი თუ სამარხეული ნივთია გამოვლენილი შემთხვევით. ასეთი აღმონაჩენი აღსანიშნავია: ზაჰესთან (1938 და 1949 წწ.) [1, 18, 41]: დუშეთის რაიონის სოფ. ანანურის მახლობლად, ციხისძირთან (1938 წ.) [1, 15, 41]; მცხეთის რაიონის სოფ. ნიჩბისში, დამპალოსა და ნაოზაში (1939 წ.) [1; 38]; ქ. ცხინვალში (1940 წ.) [39, 24—26], ქ. გორში [40]; მახარაძის რაიონის სოფ. ურეკში (1942 და 1948 წწ.) [41; 42]; გორის რაიონის სოფ. ახრისში (1947 წ.)[43], მესტიის რაიონის სოფ. ხაიშში (1948 წ.) [44]; ახმეტის რაიონის სოფ. ახალსოფელში (1949 წ.) [11]; თერჯოლის რაიონის სოფ. ძევრში (1951 წ.) [45]; დ. თიანეთში (1950 წ.) [46]; წებელდაში (1953 წ.) [47]; კასპის რაიონის სოფ. ხანდაკში (1966 წ.).

არ შეიძლება არ აღინიშნოს, თუმცაკი საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ, სოჭის ჩრდილოეთით, სოფ. ლოოში 1960 წელს აღმოჩენილი ინვენტარი ძალიან მდიდრული სამარხისა, რომლის ოქროს მრავალრიცხოვანი ნივთები ცხოვლად ეხმაურებიან კლდეეთურს.

როგორც ვხედავთ, ძირითადი და უმთავრესი მასალა „დიდი მცხეთიდან“ და მისი შორიახლო მიდამოებიდან მომდინარეობს, მაგრამ საერთოდ კი უკვე საქართველოს მრავალი მხარეა მეტ-ნაკლებ წარმოდგენილი: აღმოსავლეთიცა და დასავლეთიც, ჩრდილოეთიცა და სამხრეთიც, დღევანდელი ავტონომიური რესპუბლიკა-ოლქებიც: ისტორიული ქართლ-კახეთი, იმერეთი, სამეგრელო, გურია, აჭარა-ქობულეთი, რაჭა, ლეჩხუმი, ზემო სვანეთი, სამურზაყანო, აფხაზეთი; მთაცა და ბარიც; იმდროინდელი დედაქალაქებიცა და სხვა. ციხექალაქური თუ სოფლური სამოსახლოებიც. ჯერჯერობით თითქოს სავსებით უნდა მოვისაკლისოთ: მესხეთ-ჯავახეთი, ქვემო სვანეთი, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი (ანანურისა და ერწოს გარდა) და დღევანდელი კახეთის აღმოსავლეთი რაიონები ქიზიყიანად. საერთოდ კი მიწისქვეშა ძეგლთა წარმომავლობის „გეოგრაფია“ ნამდვილად ფართოა და ეს ერთი დადებითი მომენტია მათ მიხედვით კულტურული ვითარების წარმოსახვისთვისაც. მეტი საყრდენი გვექმნება მასალების ისტორიული გააზრიანებისათვის.

რაც შეეხება თვით არქეოლოგიური მასალის რაგვარობას, დიდ უმეტესობას დღესდღეობითაც შეადგენს სამარხეული ძეგლები, ე. ი. სამარხები (ხშირად ნაგებობანი) და მათში დაცული ინვენტარი, მაგრამ სულ უფრო და უფრო მეტი მზეურდება ნამოსახლარი ძეგლებიც — საცხოვრებელ, სამეურნეო, სამაგრო თუ სხვა ნაგებობათა ნაშთები მათში დაცული ნივთიერი ნაშთებითურთ. კერძოდ, ჯერჯერობით მხოლოდ ასეთ ძეგლებთან გვაქვს საქმე ნოქალაქევის და ბიჭვინტის განათხარებში.

მასალის დათარიღება საერთოდ საიმედო საფუძველს ემყარება: ხელთა გვაქვს მრავალრიცხოვან მონეტათა შემცველი სამარხები (დიდ მცხეთაში, ბორში, კლდეეთში, ურეკში, ძევრში, წებელდაში, ზღუდერში, ერწოში და სხვ.), რომლებიც, სამარხის რაგვარობისა თუ ინვენტარის მიხედვით, გვაძლევენ

უმონეტო სამარხებთან მათი პარალელიზაციის საშუალებას და ამრიგად, გვარკვევინებენ ამ უკანასკნელთა ხნოვანებასაც. ზოგჯერ კი ნამოსახლარი ძეგლების დათარიღებისათვისაც გამოგვადგება ხოლმე მონეტიანი სამარხები თუ თვით ნანგრევთა შორის აღმოჩენილი მონეტები.

ყოველივე ამის წყალობით, სადღეისოდ უკვე ვმსჯელობთ მკაფიოდ გამონაკვეთულ არქეოლოგიურ კომპლექსებზე, რომელთაც სამაროვნებში — თავისებური რაობის სამარხები და ნივთები ახასიათებთ, ხოლო ნამოსახლარ ძეგლებში — თავისებური ხუროთმოძღვრება, მშენებლობის წესები, ტექნიკა და საშენი მასალა, რომელთა ხნოვანება ზოგადად თავსდება წელთაღრიცხვათა მიჯნასა და ახ. წ. IV საუკუნეს შორის, თუმცა ზოგი რამ ნაწილობრივ გადადის ძვ. წ. I საუკუნეშიც, ხოლო სხვა რამ ახ. წ. IV საუკუნეში და უფრო აქეთაც კი გადმოდის.

შემთხვევითი არ არის ამ არქეოლოგიურ კომპლექსთა თანხვდენა ისტორიის გარკვეულ, ზემოთვე შემოფარგლულ მონაკვეთთან. ძველი წელთაღრიცხვის მიწურულამდე ჯერ კიდევ არ არის ქართული ქვეყნები, ქართლი მაინც, ისე აქტიურად გამოსული საერთაშორისო სარბიელზე და ჩაბმული დიდ პოლიტიკურ ჭიდილში, რომის იმპერიის ხელქვეით, როგორც შემდგომ. I—III საუკუნეები ჩვენშიც (უფრო კი ბარში) ხასიათდება გვიანდელი მონათმფლობელური წყობით (თუმცა ამ შეხედულებას ყველა მკვლევარი არ იზიარებს), ხოლო IV საუკუნიდან აქ თანდათან საცნაური ხდება და ღრმავდება სოციალური წყობის მტკივნეული ცვლა და, როგორც ამ ცვლის, ადრინდელი ფეოდალიზაციის თანამდევი მოვლენა, იცვლება სარწმუნოებაც, ბატონდება ქრისტიანობა. ქართლის სამეფოში IV ს-ის პირველსავე ნახევარში, ეგრისში — მოგვიანებით. ყველა ეს მოვლენა კი მრავალმხრივ მკვეთრი გარდატეხით აღინიშნება [48; 49; 131—135].

წინამდებარე ნაშრომში ავტორი მიზნად ისახავს თავი მოუყაროს ჩვენი არქეოლოგიის მიერ დღეისათვის გამომზეურებულ ძეგლებს, მასალებსა და ფაქტებს, რომლებიც ეკუთვნის განსახილველ ხანას, და, ზოგადი, უმთავრესად არქეოლოგიური სურათის მოხატვით, შეძლებისამებრ დაახასიათოს იმდროინდელი ქართული ქვეყნების — მერმინდელი ერთიანი საქართველოს მკვიდრი ნიადაგის — ნივთიერი და სულიერი კულტურა, თან — საზოგადოებრივი ვითარებაც. რა თქმა უნდა, ყველა საკითხი თანაბარი სისრულით ვერ გაშუქდება, მაგრამ ამგვარი განზრახვა მაინც მართებული გვგონია. მცხეთის ექსპედიციის ხელმძღვანელს 1938—1940 წლებში ივ. ჯავახიშვილს დარჩ მხოლოდ ორი საგაზეთო წერილი და მოხსენება მცხეთის ექსპედიციის პირველ კამპანიათა შესახებ, სადაც ძალიან მოკლედ არის შეფასებული სამთავროსა და არმაზისხევის I-III სს-თა სამარხების შინაარსი [50; 446—462]. ბევრით მეტი არ დასცალდა არც მის შემცვლელს (1940—1947 წწ.) ს. ჯანაშიას, რომელმაც დაგვიტოვა რამდენიმე საგაზეთო წერილი, ვრცელი წინასწარი, ჯერაც გამოუქვეყნებელი მოხსენება მცხეთის, როგორც დედაქალაქის შესახებ და სათანადო თავები საქართველოს ისტორიის ახალი, კოლექტიური სახელმძღვანელოსი, სადაც იმდროინდელი უახლესი საუკეთესო არქეოლოგიური აღმონაჩენი იყო ასახული [51; 62—86]. გ. ჩუბინაშვილის მიერ წამოწყებული მეტად საინტერესო კვლევა არმაზისხეველ ერისთავ-პიტიახშთა ნაქონი ძვირ-

ფასი ნივთებისა ჯერ წინასწარ მოხსენებისა და მისი მნიშვნელოვანი, მაგრამ მოკლე თეზისების გამოქვეყნებას არ გასცილებია [52]. შ. ამირანაშვილმა დაწვრილებით შეისწავლა არმაზისხევში (და აგრეთვე ადრე ბორში) აღმოჩენილი ვერცხლის ზოგიერთი პინაკი [53; 104—120; 54, 77—94], ხოლო თავის კურსში გააშუქა — ნაწილობრივ და უფრო, რა თქმა უნდა, ხელოვნებათმცოდნეობითი თვალთახედვით — საერთოდ მაშინდელი არქეოლოგიური ძეგლები. ა. შანიძის [55], გ. წერეთლის [56; 57; 58]; ს. ყაუხჩიშვილისა [59] და პ. ინგოროყვას [60, 61]: გამოკვლევებში საგანგებოდ განხილულია მხოლოდ მცხეთაში აღმოჩენილი სხვადასხვა წარწერები და, მათთან დაკავშირებით, იბერია-ქართლის პოლიტიკური და კულტურული ისტორიის საკითხებიც. გაცილებით უფრო ფართოდ არის განხილული იმდროინდელი ძეგლები — ოღონდ არსებითად არმაზისხევურ მონაპოვართა მიხედვით — გამთხრელთა კოლექტიურ ნაშრომში [12]. შეიძლება აგრეთვე დასახელება გ. გობეჯიშვილისა და ამ სტრიქონთა ავტორის მიმოხილვითი ნარკვევებისა, ოღონდ მათ უფრო საყოველთაო-საკითხავი განხრა აქვთ და სათანადო წიგნების თითო მცირე თავი უჭირავთ მხოლოდ [11: 62]. მცირე გლიპტიკური ძეგლებისადმია მიძღვნილი ჯერ მ. მაქსიმოვას [63; 64] და შემდეგ მ. ლორთქიფანიძისა [65] და ს. ბარნაველის [66] ნაშრომები. იბერიის ხელოსნური წარმოების დასახასიათებლად არის გამოყენებული I—III ს-ნეთა კუთვნილი არქეოლოგიური მონაპოვარი ო. ლორთქიფანიძის ნაშრომში [67]. მხატვრული ტორევტიკის ნაწარმის დაწვრილებით შესწავლას ისახავს მიზნად იმავე ავტორისა [68] და კ. მაჩაბელის [69, 70], გამოკვლევები, აგრეთვე მ. ივაშჩენკოს ერთი ადრინდელი წერილი [71]. ხუროთმოძღვრების განათხარ ძეგლებს საპატიო ადგილი ეთმობა ი. ციციშვილის სათანადო ნაშრომებში [72; 73].

ბოლო დროს გამოვიდა მ ც ხ ე თ ი ს, როგორც დედაქალაქისა და საერთოდ საქალაქო ცხოვრების ერთ-ერთი ცენტრის ისტორიულ-არქეოლოგიური კვლევის შედეგად დაწერილი წიგნები ა. აფაქიძისა, რომელიც, რა თქმა უნდა, დიდძალ განათხარ მასალას იყენებს საამისოდ. აღსანიშნავია აგრეთვე მისი ერთი ნარკვევი კოლექტიურ წიგნში [74; 13; 75]. გ. მელიქიშვილის ვრცელ ნაშრომში, რომელიც საქართველოს ძველი ისტორიის საკითხებს განიხილავს, ჯეროვან ინტერპრეტაციას და გამოყენებას პოვებს არქეოლოგიური ძეგლებიც — ისევე, როგორც ერთ მის ადრინდელ წიგნში [76, 77]. დასასრულ, უნდა დავასახელოთ ვ. დონდუას მიერ დაწერილი თავები საქართველოს ისტორიის ახალი სახელმძღვანელოსი, რომლებშიც არქეოლოგიური ძეგლები არსებით როლს ასრულებენ [78].

ჩვენს ხელთ მყოფი არქეოლოგიური ძეგლებისა თუ მასალების ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი და მეტყველი ნაწილი მაშინდელი ქვეყნების საზოგადოების ზედა ფენას უკავშირდება და, მაშასადამე, უპირველეს ყოვლისა ამ ფენის ნივთიერ დოვლათსა და კულტურულ იერზე გაგვიმახვილებს ყურადღებას. სხვა ფენებიდან მომდინარე ძეგლები გაცილებით უფრო მწირი, ერთფეროვანი და ნაკლებმეტყველია და ჯერჯერობით ნაკლებიც არის გამოვლენილ-შესწავლილი. სამაგიეროდ, ძეგლთა პირველ ჯგუფში ბევრად მეტია უცხოური წარმომავლობის ნივთები და საერთოდ იქ უფრო ნარევი კულტურის სურათი გვესახება თვალწინ, ვიდრე თავისთავადის, მკვიდრისა. სწორედ ეს მასალა

იყო, რომ რევოლუციამდელ არქეოლოგიაში ხელაღებით ითვლებოდა სავსებით ბერძნულ-რომანულად, შემოტანილად და მხოლოდ ე. თაყაიშვილი წარმოადგენდა მკაფიო გამონაკლისს, რაკი მუდამ თვალფხიზლად ეძიებდა მონაპოვრებში ჯერ ადგილობრივსა და შემდეგ შემოტანილ ელემენტებს და ამ მხრივ სრულიად საღად მსჯელობდა [79]. ახლა მით უფრო ხერხდება, დაკვირვებული ანალიზის წყალობით, გამორჩევა: საკუთრივ იმპორტული საგნებისა, უცხოურის გავლენა-მიბაძვით ჩვენში შექმნილისა და ნამდვილად ჩვენებურის, თავისთავადისა. ამასთანავე, საკმაოდ მკაფიოდ გაიკვლევა უწყვეტი მონაცვლეობა ძველი მკვიდრი კულტურის ადრინდელ საფეხურებსა და ამ პერიოდის შესაბამის საფეხურს შორის. ჩანს მამაპაპეული ტრადიციების შემონახვა და შემდგომში განვითარება-სრულყოფა, რასაც ვერ ჩრდილავს ახალი — მართლაც უცხოური, ანტიკური ხანისათვის ჩვეული ცხოველი საერთაშორისო პოლიტიკური და ეკონომიურ-კულტურული ურთიერთობის შედეგად შემოჭრილი ნაკადები.

ამ წინასწარი დებულების შემდეგ გადავდივართ კულტურული ვითარების ზოგად სურათზე და ამ უკანასკნელს დარგობლივ განვიხილავთ.

* * *

ხუროთმოძღვრება და სამშენებლო საქმე ის მხარეა ნივთიერი კულტურისა, რომელიც თვალსაჩინოდ ახასიათებს ქვეყნის სამეურნეო და კულტურულ ვითარებას, საინჟინრო და დეკორატიული ხელოვნების დონეს. ამ რიგის ძეგლები სადღეისოდ უკვე საკმაო რაოდენობითაა გამოვლენილი მცხეთის I—III სს. ნაშთებს შორის (ტაბ. I,1).

პირველი ასეთი მნიშვნელოვანი ძეგლი იყო ქვითკირით ნაშენი აბანო არმაზისხევის შესართავთან (ტაბ. I,2). იგი 1937—38 წლებში გაითხარა და — როგორც მერე და მერე გამოირკვა, — წარმოადგენდა დიდკაცური (პიტიახშ-ერისთავების) ქალაქგარეთა სამყოფელის არქიტექტურული ანსამბლის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს. მას მალე გამოუჩნდა მომცრო ორეული ბაგინეთში ანუ არმაზის ციხეში, სადაც იგულისხმება სამეფო რეზიდენცია და, მაშასადამე, სამეფო სასახლის არქიტექტურული ანსამბლიც.

ეს ორი აბანო უნდა ჩაითვალოს სამშენებლო და თან კომუნალური თუ სანიტარულ-ჰიგიენური კულტურის შესანიშნავ ძეგლებად. არმაზისხევის აბანო ინჟინრულად კარგად დაგეგმილ-მოფიქრებული და ყოველმხრივ მარჯვედ მოწყობილი ნაგებობაა.

ამ ძეგლის შემსწავლელის შეფასებით, მას ერთი პირველი ადგილთაგანი უჭირავს ქართული ხუროთმოძღვრების ადრინდელ, წინარექრისტიანულ ძეგლთა შორის. ეს აბანო დაგეგმარებით, აღნაგობით, ელემენტების რაგვარობითა და მათი გამართვა-მოწყობით ემსგავსება გვიანანტიკური დროისავე მცირე აბანოებს წინა აზიაში (დურა-ევროპოსი), ყირიმში (ხარაქსი-აიტოდორი) და სხვ. [80; 12].

ორთავე ეს ძეგლი ნიშანდობლივი და უტყუარი მოწმობაა ქართლის საზოგადოების ზედა ფენის საერთო დაწინაურებისა.

საკუთრივ სასახლის ნაგებობათა ნაშთებიც გამოვლინდა.

(1941 და 1945—46 წწ.) არმაზისხევთან, მაგრამ აბანოსთან შედარებით ისინი გაცილებით უფრო ცუდად შენახული და ნაკლებმეტყველია. ამჟამად იქ წარმოდგენილია ორსენაკიანი ნაგებობის თითქმის საძირკვლამდე დასული ნანგრევი (ტაბ. II,2). შემორჩენილია დიდი მასიური ქვებისაგან გამოთლილი, პროფილიანი ზღურბლი და ასეთივე ამყოლთა ნაშთები. სხვა რომ არაფერი ყოფილიყო, ეს ზღურბლიც კმაროდა იმისათვის, რომ მდიდრული, საზეიმოდ გაფორმებული ნაგებობა გვეგულისხმებინა. მით უმეტეს სარწმუნოა ეს ვარაუდი, რომ ამ ზღურბლის მახლობლად, შიგ შენობაში თუ მის გარეთ აღმოჩნდა: ქვის მოჩუქურთმებული სვეტისთავი და სადა სვეტისძირი, კარის რთულპროფილიანი (წვრილსაფეხურედი) თავანი და დაკბილული (ნიკბებიანი) ლავგარდნის დიდი ნატეხი. თავანი, ეტყობა, სწორედ იმ კარს ეკუთვნის, რომელსაც ქვის ზღურბლი ჰქონდა. რაც შეეხება სახურავს, იგი კრამიტისა და, მაშასადამე, ქანობიანი ანუ ცადაქნილი უნდა ყოფილიყო. კრამიტი მოყვანილობით, ზომითა და ხარისხით ზუსტად იმგვარივეა, როგორიც ამ შენობის გათხრამდე უკვე მრავლად იყო ცნობილი სამთავროსა და არმაზისხევის I—III სს. კრამიტსამარხების მიხედვით. ღარისებრ კრამიტებს შორის გამოერევა ბოლოაკეცილებიც, რომლებიც განაპირებზე უნდა დალაგებულიყო ხოლმე. არის აგრეთვე რამდენიმე ქვის ღარის ფრაგმენტი, რომელთა მიხედვით შეიძლება საწვიმარი ღარების სისტემაც წარმოვიდგინოთ სახურავის გარშემოსწვრივ.

ამრიგად, თითქოს საკმაოდ ხერხდება წარმოსახვა იმ ნაგებობის რაგვარობისა, რომელიც არმაზისხევის ანსამბლის მთავარ ნაგებობად უნდა ჩაითვალოს და რომელსაც თავდაპირველად განსაზღვრავდნენ, როგორც „ტაძარს ან სასახლეს“, მაგრამ საბოლოოდ კი სასახლის ნაგებობად მიიჩნევენ [12; 160—163].

კედლების ამოყვანის წესით, საშენად ნახმარი ქვა-დუღაბითა და აგრეთვე სახურავი კრამიტით ეს შენობა ზედმიწევნით ჰგავს აბანოს და ისინი ნამდვილად თანადროული არიან. პირველად სწორედ ამ ორი ნაგებობის თხრისას იქნა მრავლად გამოვლენილი მცხეთაში შენობის დასაბურავად (და არა სამარხის ასაგებად) გამოყენებული კრამიტი.

სასახლისა და აბანოს შენობები დამწვარი, დანგრეული და შემდეგ საფუძვლიანად შემოძარცული გამოდგა. სასახლე თავის დროზე დამშვენებული ყოფილა მარმარილოს დიდ-პატარა ფაქიზი ქანდაკებებით, რაც განსაკუთრებით უსვამს ხაზს მის მდიდრულობას და შიგ მცხოვრებთა ესთეტიკური მოთხოვნილების დახვეწილობას.

არმაზისხევის სასახლის ანსამბლის დასახასიათებლად ისიც უნდა ითქვას, რომ უკანა ეზოში გამართული კარის აბანოს გარდა მას გვერდით ჰქონია დიდი, ჩანს, გადაუხურავი მარანიც (გაითხარა 50-იოდე ქვევრი) და, რაც მეტადრე თავისებური და ყურადსაღებია, საოჯახო-საგვარეულო განსასვენებელი, ანუ სამარხავი, რომელიც II—III საუკუნეებს მიეკუთვნება. ეს უკანასკნელი შედგება ათიოდე, ფილაქვით ნაშენი თუ მთლიანი ქვისაგან გამოთლილი ორი სამარხისაგან. პირველი ორი მოქცეული ყოფილა ქვითკირის ორსენაკიან ნაგებობაში. ამ განსასვენებლის დაფუძნებასთან ჩანს დაკავშირებული რამდენიმე რიტუალური ნამარხი (ფრინველები, ქილებით დაფლული).

ასე გამოიყურება II—III საუკუნეთა იბერია-ქართლის მმართველი დიდ-

კაცობის ერთ-ერთი წრის სამყოფელ-განსასვენებლის შემადგენლობა, განლაგება, ნაგებობათა კომპლექსი.

ბაგინეთ-არმაზციხეში იმდროინდელი (უფრო სწორად, იმ დროს აშენებული) და ასე მკაფიოდ გამოხატული სასახლის ნაგებობა ჯერჯერობით არ არის მიკვლეული. როგორც ცნობილია, იქ გათხრილ იქნა ერთი ნამდვილად დიდებული, საზეიმო ნაგებობა — „სვეტებიანი დარბაზი" დიდრონი, ზუსტად თლილი კუთხედი ქვებით ნაგები, რომელიც ნამდვილად შეიძლება სწორედ სასახლისად ჩაითვალოს (ტაბ. II,1). მაგრამ იგი მიეკუთვნება „ბაგინეთი I"-ის ანუ „არმაზციხე I"-ის ფენას, რომელიც ძვ. წ. IV—III საუკუნეებით თარიღდება, და რომელშიც მშენებლობა, სხვათა შორის, ხასიათდება კირისა და დუღაბის სრული გამოუყენებლობით. მომდევნო, ე. ი. ჩვენს განსახილველ ხანაში მშენებლობის მეტი გაქანება, ნაგებობათა სიმრავლე, მოქმედებს მათ ღირსებაზე; კედლის წყობა უკვე სახელდახელოა, ფართოდ იყენებენ ძველ ნაგებობათა ნანგრევ მასალას და აღარ ზრუნავენ წყობის მთლიანობაზე. ყოველივე ეს უკავშირდება კირის გამოყენებას, რაც იმ ხანაში ჩანს შემოღებული (გავიხსენოთ ლ. მროველის ცნობა მცხეთის ქვითკირით პირველად შემოზღუდვის შესახებ არდამ ერისთავის მიერ). იმავე ხანაში იწყებენ საძირკვლის ამოყვანას: იგი უკვე შენობის აუცილებელი ნაწილია, ვინაიდან საჭირო ხდება სუსტი ნიადაგის (ნაყარი მიწის, ძველი ნანგრევების და სხვ.) გამაგრება. ეს კანონზომიერება კონკრეტულად ბაგინეთის მასალებზეა გაკვლეული [73; 74; 13; 21—84]. ბაგინეთში კარგადაა გამოვლენილი ახ. წ. პირველ საუკუნეთა ქვითკირის რამდენიმე შენობის ნაშთიც. მშენებლობის ამ პერიოდს „არმაზციხის" ხანისაგან მიჯნავს წერილობითი წყაროებით ცნობილი და არქეოლოგიური დაკვირვებითაც გაკვლეული მოვლენა — ძვ. წ. I საუკუნეში, პომპეუსის იბერიაში ლაშქრობისას არმაზციხის, სამეფო რეზიდენციისა და დედაციხის დანგრევა. ციხის დანგრეულ ზღუდეს ეტყობა შეკეთება-აღდგენის კვალი, ოღონდ ძველი მონუმენტური მშრალი წყობა შეცვლილია კირით შედუღაბებული წვრილი ნატეხი ქვის წყობით [11; 13; 74]. საერთოდ კი „არმაზციხე II"-ის ნაგებობათა ნაშთები უსახურია (როგორც „არმაზციხე I"-ის, ისე თანადროული, არმაზისხევის ნაგებობებთან შედარებით) და ძირითად ნიმუშად ისევ არმაზციხის შესართავთან განათხარი უნდა მივიჩნიოთ. ალბათ მხოლოდ ნაწილობრივ ეკუთვნის „ბაგინეთი II"-ის ხანას იქაური მაღალი ორსენაკიანი ნაგებობა (გაუთხრელადაც რომ ჩანდა), რომელსაც კედლები შიგნიდან შემოსილი აქვს თლილი ქვით (ერთგან რომბული „ბადის" ყაიდაზე ნაწყობით) და ორ ამათგანზე არმაზული დამწერლობით გამოყვანილია თითო სიტყვა. ამ ნაგებობას არქიტექტურული იერიცა და დეკორის რაგვარობაც ჭრელი, არაერთგვაროვანი აქვს და მისი დანიშნულების საკითხიც ბუნდოვანი ჩანს.

რაც შეეხება სამაგრო (საფორტიფიკაციო) მშენებლობას საკვლევ ხანაში, გარდა ზემოთქმულისა (ბაგინეთ-არმაზციხის დანგრეული გალავნის შეკეთებისა და აღდგენის, იმ დროისათვის საშენი მასალისა და შენების წესის მძაფრი ცვლილების შესახებ), უნდა აღინიშნოს, რომ, ბოლოდროინდელი ნამუშევრის მიხედვით, შეიძლება იმავდროულად ჩაითვალოს ის მცირე, მომრგვალებულ-სამკუთხოვანი მტკიცე ნაშენი და კარგად შენახული ციხე, რომელიც არმაზისხევის შემადგენელი ორი ნაკადის შესართავთან არის

ალმართული მაღალ კონცხზე და, ვ ა ხ უ შ ტ ი ს ცნობით, სწორედ იმ ხანაშია აგებული და არასოდეს შემუსრულა.

ორიოდე სიტყვით უნდა შევეხოთ სამეგრელოში, ტეხურის პირას მდებარე ნოქალაქევის (არქეოპოლისის, ციხე-გოჯის) თხრისას გამოცნობილი გვიანანტიკური ქალაქისა და ციხესიმაგრის ნაშთებსაც, რომლებმაც თავი იჩინა იმ მრავალფენიანი ძეგლის უძველესი ფენის სახით — შიგადაშიგ, მერმინდელ ზღუდეთა შორის. გამთხრელთა ცნობით, იმ ნაშთებს შორის მკაფიოდ გამოირჩევა ნაკვეთი ერთი კედლისა, რომელიც აგებულია დიდრონი, სწორედ მდგარი ფილაქვებით (ბაგინეთური წყობისაგან განსხვავებით — გ. ლ.), ხოლო ამ უკანასკნელთა ჰრილი და წყობა კარგ ანტიკურ ტექნიკას მოგვაგონებს. იმ კედელში ჩადგმულია ორი კოშკი და დუღაბით ამოვსებული ორი საომარი ბაქანი. თვით კედლის სისქე უდრის 2—4 მეტრს [37, 191—195]. მისი აგება IV საუკუნის შუა ხანებს მიეკუთვნება, ასე რომ, ეს სამაგრო შენობა თითქოს სცილდება საკვლევი ხანის ფარგლებს, მაგრამ ამასთანავე, მასში ჯერ კიდევ მძლავრად ჩანს ანტიკური ციხეთშენების ტრადიციები და იგი უნდა მივათვალოთ აღნიშნულ ხანას.

როგორც ცნობილია, ბევრი რამ მოსდგამს გვიანანტიკური სამშენებლო ტრადიციების უჯარმის ციხე-დარბაზსაც, თუმცა იგი არსებითად ადრეფეოდალურისაკენ გარდამავალ ხანას განეკუთვნება და, როგორც თხრამ დაამოწმა, მართებულად უკავშირდება ვახტანგ გორგასლის სახელს ჩვენს საისტორიო წყაროებში. კერძოდ. ანტიკურ არქიტექტურულ იერსა და ჯერ კიდევ მონური (დაუზოგავი) შრომის გამოყენებას მოასწავებს( როგორც ჯერ კიდევ ს. ჯანაშია აღნიშნავდა [51]) უამრავი წესიერად გამოჰრილ-გათლილი და მჭრივად დაწყობილი ქვებისაგან შემდგარი პერანგი ციხის ყ ვ ე ლ ა შენობისა. ამას უნდა დაემატოს: თვით ციხის მოზღუდვილობის სწორკუთხოვანება, კოშკების ასეთივე განივკვეთი და ანტიკური ტიპის კრამიტით დაბურვილობა, ფართოდ მოზომილი, ნალისებრთაღიანი კარ-სარკმელები, კირის დუღაბის ჯერ კიდევ თავშეკავებით გამოყენება და ა. შ. [81; 73].

ადრეფეოდალურ ხანაშივე დაარსებულად ითვლებოდა ის ციხე-ქალაქი ბათუმის მახლობლად, ზღვის პირას („პეტრა" ბიზანტიურ წყაროებში), რომლის ნანგრევი ახლა ციხისძირად იწოდება. მაგრამ ამ ბოლო დროს წამოყენებულ იქნა მოსაზრება, რომ იმ ადგილებში შემთხვევით გამოვლენილი, ახ. წ. II საუკუნის კუთვნილი მდიდრული სამარხის მიხედვით, იქ უკვე იმხანად უნდა ყოფილიყო მნიშვნელოვანი სამოსახლო, წარჩინებული პირის ადგილსამყოფელი და, მაშასადამე, ეგებ ციხის ნაგებობაც [3], მაგრამ ეს ჯერ ჰიპოთეზური მოსაზრებაა.

უნიკალურად გამოიყურება (და თითქოს წინააზიურ-მესოპოტამიურ ძეგლებსაც კი მოგვაგონებს) ძველი ქალაქის ურბნისის გალავანი, რომელშიც, არქეოლოგიური შესწავლილობის მიხედვით, შეგვიძლია ვიგულისხმოთ გვიანანტიკური დროის „ხერხემალი" თუ არა, ნაწილები მაინც, რასაც ყველა ავტორი არ იზიარებს. ზღუდეც და ადგილ-ადგილ დაყოლებული მომრგვალო-სწორკუთხოვანი კოშკებიც აგებულია დიდრონი ალიზით. კოშკებს აქვთ სამზირები და ერთიმეორესთან დაკავშირებული გამჭოლი სავალები. გამოირჩევა უფრო ძველი უბნები, სადაც ალიზის წყობის ძირს რიყის ქვები უგია.

ზღუდეს გარშემოუყვება საკმაოდ ღრმა და განიერი თხრილი, რომლის თავდაპირველობასაც ზოგი აგრეთვე არა სცნობს. შეიძლება კი ვარაუდი, რომ იგი იმთავითვე ყოფილა ჩართული ადვილმისაწვდომ ვაკე ადგილას გაშენებული ქალაქის დაცვის სისტემაში და საშიშროებისას აივსებოდა ლიახვის რუს წყლით, მიუვალობის გასაძლიერებლად. აღნიშნულ რუს ანტიკურ ხანაშივე უნდა წარმოექმნა ქალაქის სამიწათმოქმედო გარეუბანი — რუისი. განათხართა მიხედვით, ქალაქისა და მისი სასაფლაოების ურთიერთგანლაგება დროთა განმავლობაში ცვალებადი ყოფილა და ეს ცვალებადობა უნდა შეხებოდა ხოლმე ზღუდის მდებარეობასაც. ზღუდეს შიგნით გათხრილ ნაგებობათა შორისაც (სამაროვნებზე რომ აღარ ითქვას რა) გამოირჩევა გვიანანტიკური ფენისათვის მისაკუთვნებელი: ქვითკირის ნაგებობის თავდაპირველი სახე — აბანო(?), რიყისქვა-თიხის შენობათა (საცხოვრებელ-სამეურნეოთა) ქვედა ნაწილები, მარნების ნაწილი და ა. შ.

დასასრულ, ბიჭვინტის ნაქალაქარში 1952—1971 წწ. წარმოებულმა თხრამ გამოავლინა ახ. წ. II—VI სს. სასიმაგრო ნაგებობანი, გალავნის კედლები და კოშკები, სამეურნეო და საკულტო ნაგებობანი. ამ უკანასკნელთაგან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს დიდი ტაძრის სამნავიანი, წახნაგოვანაბსიდიანი ბაზილიკისა და მისი მინაშენის ნანგრევი. ტაძარი, ჩანს, მოხდენილი ყოფილა, შიგ მარმარილოს სვეტები მდგარა, ხოლო იატაკი მთლიანად დაფარული ყოფილა მაღალმხატვრული მოზაიკით. მოზაიკიანი ტაძარი უძველესი ყოფილა, მის ნანგრევებზე კიდევ ორჯერ აუგიათ ეკლესია. ერთი მათგანის შენებისას ძველი მოზაიკაც გამოუყენებიათ VI ს. შუა წლებში, იუსტინიანეს დროს. ძველი კი აშენებულა ადგილობრივი დიდკაცის — ორელის მიერ, მისი და მისი სახლის სალოცველად. რაკი ძველ ეგრისში, ისევე როგორც აღმოსავლეთ საქართველოში, ტაძრების მშენებლობა გაიშალა ქრისტიანობის გავრცელების კვალდაკვალ, ბიჭვინტაში უკვე უნდა მდგარიყო ტაძარი—სალოცავი საყდარი ბიჭვინტის ეპისკოპოსისა, რომელიც 325 წ. ნიკეის მსოფლიო საეკლესიო კრების მონაწილე იყო.

ნაქალაქარის უბნების გათხრებმა გამოავლინა ძველი ბიჭვინტის ცხოველი საქალაქო ცხოვრება; მეზობელ ქვეყნებთან ფართო ურთიერთობის მაჩვენებელია მრავალრიცხოვანი მონეტები, კერამიკისა და მინის ნაწარმი, რომელთა მსგავსიც თითქოს მოიძებნება აღმოსავლეთ საქართველოს იმავდროინდელ ნამოსახლარებში.

ბიჭვინტამ ძვ. წ. II ს-დან ახ. წ. V-მდე არაერთხელ განიცადა აღმავლობა და დაქვეითება. VI საუკუნის შემდეგ ქალაქი რამდენადმე შემცირებული ჩანს.

ამრიგად, ბიჭვინტა, გარკვეული თვალსაზრისით, უნდა გამოირიცხოს და სამაგრო ნაგებობათა მხრივ ვრჩებით არმაზციხის ძველი ზღუდის აღდგენაშეკეთების და შიდა, წარწერებიანი შენობის, არმაზისხევის ციხის, მცხეთის გორაზე შემორჩენილი მცირე ნაშთის, უჯარმის ციხე-დარბაზის თავდაპირველი ნაგებობის, ნოქალაქევის უძველესი ზღუდისა და ურბნისის გალავნის ამარა (და ამათი ხნოვანებაც ყოველთვის დანამდვილებით ვერ თავსდება საკვლევ ხანაში). მაგრამ ისინიც საკმაოდ მკაფიოდ გვისურათებენ საფორტიფიკაციო მშენებლობის მაღალ დონეს, კარგ ინჟინრულ გააზრებულობას და ამ საქმეში მნიშვნელოვან გამოცდილებას, ადრეანტიკური დროიდანვე. ეს უკანასკნელი სავსებით კანონ-

ზომიერია: რა ღირს თუნდაც არმაზციხე I-ის, წიწამურისა და სარკინეთის სამაგრო სისტემა, ან კედლის დიდრონი ალიზით ამოყვანა (შემდგომ მეორდება ურბნისში), რასაც ახალ დროში ერწყმის ახალი მნიშვნელოვანი ხერხების (უპირველეს ყოვლისა, კირით შედუღაბების) მარჯვედ გამოყენება და სხვ., რაც თავის მხრივ მკაფიო გავლენას ახდენს ნაგებობის რაგვარობასა და იერზე. დასასრულ, ხაზგასმულია, რომ საქართველოში, უკვე რამდენიმე ვარიანტი გვესახება გვიანანტიკური დროისა თუ იმხანად ჩასახული და შემდგომ განვითარებული ციხე-ქალაქებისა — ადგილობრივი ვითარების, ტრადიციების, მდებარეობის, საშენი მასალის რაგვარობისა თუ სხვა მომენტების შესაბამისად.

გვიანანტიკური ქართული ქვეყნების ხუროთმოძღვრებისა და სამშენებლო საქმის თავისებურ ძეგლებად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე ის მრავალრიცხოვანი *ნაგები სამარხები*, რომლებიც მცხეთაში სწორედ ძველი წელთაღრიცხვის მიწურულში ჩნდება. მანამდე ისინი ძალიან დიდ ხანს იყო გავრცელებული ქვემო ქართლში, ისე რომ, ჩვენი აზრით, მცხეთაშივე ეგებ იქიდან იყოს შემოსული — მით უმეტეს, რომ შიდა ქართლის სხვა მხარეებშიცა და კახეთშიც უმდიდრეს სამაროვნებზედაც კი, თითქმის რომ გაბატონებულია ორმოსამარხები. მხოლოდ დიდ მცხეთაში I—III საუკუნეთა მანძილზე სხვადასხვა მასალით (ორნაირი კრამიტით, დიდრონი კერამიკული ფილებით, გათლილი თუ გაუთლელი ფილაქვებით) ნაშენი სამარხები მასობრივად არის გავრცელებული და ორმოსამარხები ცოტალა გვხვდება. ასეთი სურათი გვაქვს შიგ დაბა მცხეთაშიც (სადაც საკუთრივ მცხეთის უმდიდრესი სამაროვანი ჩანს), სამთავროშიც (უფრო სამხრეთ უბანზე), არმაზისხევის შესართავთანაც, ზაჰესშიც, მცხეთის სადგურთანაც. შეიძლება კიდევ აღნიშვნა ერწოში, მაგრანეთთან გათხრილი ორი კრამიტსამარხისა, მაგრამ მათ ირგვლივ იქაც ორმოსამარხებია. დასავლეთ საქართველოში ხომ ქვისსამარხები მხოლოდ მცირე გამონაკლისს წარმოადგენენ (გვაქვს ღების ზოგ სამაროვანზე და თითქოს ციხისძირშიც) ორმოსამარხთა ფონზე. ეს უთუოდ ყურადსაღები გარემოებაა: მცხეთა, ამ თვალსაზრისით, ქვემო ქართლის გავლენის არეში ექცევა და მასთან ერთად უპირისპირდება თითქმის მთელ დანარჩენ საქართველოს.

ასეა თუ ისე, ყუთისებრ ან სახლაკისებრ შეკრული ასეთი სამარხები რამდენადმე მაინც იმეორებენ დიდი არქიტექტურის (საერო თუ საკულტო ნაგებობათა) საერთო ფორმებსა და მშენებლობის წესებს და, მაშასადამე, შეიძლება ჩაითვალონ ხუროთმოძღვრების ძეგლებად. მით უმეტეს, რომ მათში უკვე გამოერევა ორი დიდი, ნამდვილ შენობათა სახით აღმართული აკლდამები — არმაზციხეში (1947 წლის გათხრილი ნაშთი) და მცხეთის რკინიგზის სადგურთან (ტაბ. III,$_2$) (1951 წელს გათხრილი, თითქმის სულ მთელი). მცირე სამარხთა განსაკუთრებულ, უმდიდრეს ჯგუფს შეადგენენ — და მთლიანი დიდი ქვის გამოთლა-გამოკოდვის ოსტატობის ძეგლებს უფრო წარმოადგენენ, ვიდრე მშენებლობისა — სარკოფაგები: ორი არმაზისხევის შესართავთან (ტაბ. III$_1$), ერთი ბაგინეთში და ერთი (ყველაზე უფრო ფაქიზად გამოკოდილი) დაბა მცხეთაში. ამ უკანასკნელის, გაძარცულისა და სარქველდაკარგულის აღმოჩენამ (1958 წელს) ცხადყო, რომ ახლანდელი დაბის ფარგლებშიც უნდა ვიგულისხმოთ არა მარტო შეძლებულ, არამედ აგრეთვე წარჩინებულ, მმართველი წრის კუთვნილ

პირთა სამარხავი. ნაგებ სამარხავთაგან სხვებზე ადრე თითქოს ჩნდება (ზოგჯერ უწინდელი ტიპის, ქვევრ-სამარხთა მხარდამხარაც) კრამიტსამარხები. ახ. წ. I საუკუნის შემდგომ კი ვრცელდება ქვისსამარხები, რომლებიც თანდათან სდევნიან კრამიტსამარხებსაც და აგურსამარხებსაც.

იმდროინდელი მშენებლობის წესთა ანარეკლი შემდეგნაირად გამოიხატება: გამოყენებულია სახლების დაბურვის ხანგრძლივი გამოცდილება, დიდრონი ტრაპეციული გვერდებშეკეცილი და ღარისებრი კრამიტის მარჯვედ შერწყმის, ორკალთიანი („ცადაქნილი") და, მაშასადამე, თავის დროზე ხის ჩონჩხზე დაყრდნობილი სახურავების სახით (იშვიათად და რატომღაც წარჩინებულ შეძლებული ქალების სამარხებში ქვისსამარხებსაც უკეთდება ორქანობიანი სახურავი). სახურავისა და ზოგჯერ კედლების შემადგენელი კრამიტი თუ ფილები ხშირად არის კირით (ნაწიბურებში), ხოლო ფილაქვები ხანდახან რკინის გამირებით შემტკიცებული; არცთუ იშვიათად სამარხს უკეთდება იატაკი — ქვის ან კერამიკული ფილებისა ან აგურებისა და ამასთანავე მშენებლები ზოგჯერ არც სამარხი ნაგებობის დაწრეტის საშუალებას ივიწყებენ და დაჩვრეტილ კერამიკულ ფილებს იყენებენ (ეს ხვრელები ჩანს, გამოწვამდეა დატანებული, ისე რომ აქ საგანგებო სადრენაჟო ფილები გვაქვს). დასასრულ, ეტყობა, კერამიკული მასალა — კრამიტიც, აგურიცა და ფილებიც — „სამშენებლო ფონდიდან" არის ნასესხები და არა საგანგებოდ სამარხებისათვის დამზადებული მაინცადამაინც, შეიმჩნევა ამ მასალის სრული იგივეობა გათხრილ სამარხებსა და შენობათა ნაშთებში, ისე რომ არ ითქმის დასაკრძალავად სახელდახელოდ მდარე კერამიკას სწვავდნენო.

დიდრონი აკლდამები ჯერჯერობით მხოლოდ ორი ნიმუშით არის წარმოდგენილი მცხეთაში, მაგრამ სრულიად ბუნებრივი იქნება ვარაუდი, რომ ასეთები საკმაოდ ხშირად უშენებიათ განსაკუთრებული უფლებრივი და ქონებრივი მდგომარეობის პირებისათვის, ოღონდ სხვები ან ჯერ არ აღმოჩენილა, ან სამუდამოდაა დაღუპული თუ ახალ შენობებს ქვეშ მოქცეული. გათხრილთაგან ერთში სულაც მეფის სამარხი შეგვიძლია ვიგულისხმოთ. გავიხსენოთ თუნდაც წყაროებში შემონახული გადმოცემა, რომ ქართლოსის საფლავი სწორედ არმაზის ანუ ქართლის მთაზეა, რომ აღარა ითქვას რა გამთხრელის მართებულ დასკვნებზე, რომ ბაგინეთში სამეფო რეზიდენცია ჩანს; მეორეში კი, ჩვენი აზრით, ეგებ იმ „ეზოსმოძღვართა" („რაბ-თარბასთა", „ეპიტროპოსთა") წრის წარმომადგენელი ქალი, რომლის არსებობა, ისევე როგორც იმდროინდელი პიტიახშ-ერისთავებისა, არმაზისხევთან აღმოჩენილმა წარწერებმა გვამცნო. რაც შეეხება ამ უკანასკნელთა სამარხებს, უნდა გავიხსენოთ, რომ ორი მათგანი (ასპარუგ ერისთავისა და ბევრად უფრო მერმინდელი, უსახელო დიდკაცისა) ჩადგმული იყო ქვითკირის ორსენაკიან ნაგებობაში, რომელიც თავის დროზე შეიძლება აგრეთვე რაღაც აკლდამისებრი რამ ყოფილიყო.

დასასრულ, უნდა მოვიგონოთ ივრის სიონთან გათხრილი დიდი, თაღიანი, შირიმის თლილი კუთხა ქვებით ნაგები, კიბიანი და ქვისავე სარეცლის მქონე აკლდამა (ტაბ. III, 3). მართალია, გამთხრელი მას, სარეცელზე დასვენებულთათვის ჩატანებული ნივთების მიხედვით, შუაფეოდალურ ხანას აკუთვნებს, მაგრამ ჯერ ერთი, იგი თითონვე გულისხმობს, რომ ეს არ არის აკლდამის თავდაპირველი გამოყენების ნაშთი [82]. ჩვენი შთაბეჭდილებით, ამ შესანიშნავ

ძეგლში გამოსჭვივის სწორედ ანტიკური აკლდამათმშენებლობის ტრადიცია, თუნდაც იგი რამდენადმე მოგვიანებით იყოს აგებული. ამრიგად, მცხეთის ორ დიდ აკლდამას მხარში ამოუდგება ივრის ხეობის შუაწელზე აღმოჩენილი, კიდევ უფრო დიდი და რთული აღნაგობის აკლდამა.

არმაზციხის ზღუდის შიგნით მიკვლეული აკლდამა დაფუძნებული ყოფილა ქვედა ტერასის განაპირას, კლდის ქიმზე, გამოქვაბულის ზემოდან, ისე რომ თავის დროზე ალბათ შორიდანვე ჩანდა ხოლმე მავზოლეუმივით. აკლდამის ასაგებად კლდე მოსწორებულ-ამოჭრილია და სანახევროდ ამ ამოჭრილშია ჩაშენებული. იგი ძველადვე დაუნგრევიათ და პერანგი გარშემოუძარცვავთ. მაგრამ მაინც ჩანს, რომ იგი შედგებოდა საკუთრივ სამარხი სენაკისა და წინკარისაგან, რომელთა საერთო სიგრძე 6 მ უდრიდა, უდიდესი სიგანე კი 4 მ. კედლები ამოყვანილი იყო ქვიშაქვის დიდრონი, კარგად თლილი, მშრალად ნაწყობი და მორგებული კვადრებით, რომლებიც წესიერად კი ყოფილა დალაგებული, მაგრამ, სიგრძეთა სხვადასხვაობის გამო, არავითარ მკაცრ სისტემას არ ემორჩილებოდა. გადახურვა, შემორჩენილი დეტალების მიხედვით, ჰიპოთეზურად წარმოუდგენიათ ან „ცრუ კამარის“, ან საფეხურისებრ დალაგებული ფილაქვების სახით. შეიძლება ფასადის გაფორმების (კედლის ან კარიბჭის პერანგის) დანაშთი იყოს მომცრო, მკვრივად გამომწვარი აგურები და ქვის მინიატურული ლავგარდნისა და ფრიზის ფრაგმენტები. ლავგარდანზე ნიკბები ფერადითაა მოხატული და არა ამოკვეთილი. ეს საყურადღებო ხერხია. აკლდამას, აღნაგობითა თუ გაფორმების დეტალებით, მრავლად უჩანს მეტ-ნაკლები ანალოგიები ეგეოსის ძველ სამყაროში, მცირე აზიასა და ბოსფორის სამეფოში ცნობილ დიდკაცურ სამარხ-ნაგებობათა სახით, მაგრამ ყველაზე უფრო მაინც ბოსფორის სამეფოში, ახ. წ. I—III საუკუნეებში. მთავარი კი ისაა, რომ ბაგინეთის აკლდამის სახურავის სავარაუდო ტიპის სხვადასხვა ვარიანტები ფართოდაა გავრცელებული თვით ძველ საქართველოში (ხისა და ქვის დარბაზთა გვირგვინები, ლოდოვანები და სხვ.). ასე რომ ამ, უთუოდ საყურადღებო ტრადიციას ადგილობრივი ძირები უჩანს და ნასესხობაზე მსჯელობა არ უნდა იყოს საჭირო. ამასთან დაკავშირებით უნდა გავიხსენოთ, რომ თლილი ქვის წყობა სისტემას არ ემორჩილება და ესეც ქართული ხუროთმოძღვრებისათვის დამახასიათებელი მოვლენა ჩანს. საერთოდ კი ამ ძეგლის არქიტექტურა და შემკულობა კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ ახ. წ. II საუკუნეში (ასე თარიღდება აკლდამა) საქართველოში სამშენებლო ხელოვნებას მნიშვნელოვანი განვითარებისათვის მიუღწევია და იგი საერთოდ ანტიკურ ხელოვნებას ტოლს არ უდებს) [83; 13; 85—124, სურ. 76].

მეორე, არმაზციხის დასავლეთით, მისგან 1,5 კმ მანძილზე (მცხეთის სადგურის პირდაპირ) აღმოჩენილი აკლდამა [78] ჩადგმულია ფერდობზე ამოჭრილ სწორკუთხოვან ქვაბულში, რომელიც შემოზღუდულია ქვა-თიხით ამოყვანილი და შიგნით თიხით შელესილი, თიხატკეპნილი იატაკის მქონე გალავნით. თავდაპირველად ამ ძეგლს მავზოლეუმსაც ვუწოდებდით, მაგრამ შემდეგ ხელი ავიღეთ ასეთ სახელწოდებაზე, ვინაიდან უეჭველი შეიქნა, რომ აკლდამა დაკრძალვისთანავე მიწით დაუფარავთ (მავზოლეუმი კი გამოსარჩენი ნაგებობაა). აკლდამის წინა ეზო, ჩანს, დაკრძალვის ცერემონიალისათვის ყოფილა განკუთვნილი. თვით აკლდამა წარმოადგენს სწორკუთხოვან სამარხავ სენაკს, რომლის ზო-

მაა 2,3×1,8×1,9 მ, ე. ი. მოცულობა 10 კუბ. მეტრს უახლოვდება. კედლები აგებულია ნატეხი ქვითა და კირით, ხოლო შემოსილია მოთეთრო ქვიშაქვის დიდრონი ქვათლილებით, უდუღაბოდ და თითქოს უსამაგრებოდაც. ქვათლილები აქაც მჭიდროდ მორგებული და კარგად შერწყმულია. აკლდამა გადახურულია მოზრდილი ქვათლილებით გამოყვანილი ნახევარწრიული კამარით. იატაკად დაგებული აქვს სხვადასხვა ზომის სწორკუთხოვანი ფილები. კარიანი კედლები დგას დაბალ, ერთსაფეხურიან ცოკოლზე და დაგვირგვინებულია ფრონტონით, რომელსაც მარტივი, მაგრამ მოხდენილი ლავგარდანი ამშვენებს. კარს დაბალი ზღურბლი და მკაფიოპროფილიანი საპირე აქვს. კარში მჭიდროდ იყო გაჭედილი (ჩანს, გაღება აღარ ივარაუდებოდა) სქელი მთლიანი ფილაქვა. ფასადის კვადრები აქაც გულმოდგინედ და მჭიდროდ არის ერთიმეორეზე მორგებული. თლილ ქვებს ემჩნევა ხუთი სხვადასხვაგვარი ხელსაწყოს კვალი. ასე რომ მათი ზედაპირის დამუშავება კარგად დიფერენცირებული იარაღით შეუსრულებიათ. აქვე აღვნიშნავთ, რომ ასევე გულდაგულ დამუშავებული და ზუსტად გამოთლილია მცხეთის ბევრი მდიდრული ქვისსამარხის შემადგენელი ფილაქვები და განსაკუთრებით კი მცხეთის სარკოფაგი და არმაზისხევის მე-7 სარკოფაგი, რომელნიც უნდა ჩაითვალონ ქვის ზუსტად და ფაქიზად, სხვადასხვა იარაღით გამოჭრა-კოდვის საუკეთესო ნიმუშებად იმ დროისათვის (II საუკ.)

აკლდამის სახურავი შიგნიდან წარმოადგენს ნახევარწრიულ თაღს (არმაზისხევის აბანოს საცეცხლის თაღზე უფრო ადრინდელ ნიმუშს და საერთოდ უძველეს დათარიღებულ თაღს ჩვენში), ხოლო გარედან — წესიერ ორქანობს, ცადაქნილს. მის კალთებზე დაფარებული და სქლად მოსხმული კირით დამაგრებულია დიდრონი კრამიტები, გვერდებაკეცილიცა და ღარისებრიც, ისევე რიგრიგობით დაწყობილი, როგორც ამ ძეგლის აღმოჩენამდე ხშირად ყოფილა კრამიტსამარხებში. კრამიტი ძალიან კარგად გამომწვარია და წითლადაა შეღებილი. ზომით იგი თანხვდება მცხეთაში მრავლად ამონათხარ იმავე დროის კრამიტს. თითქმის ყველასა აქვს ხელოსნის ნიშანი (ბრტყელზე ყველა ერთნაირია, ღარისებრზე — შვიდნაირი). შიგნიდან აკლდამა სქლადაა შელესილი მოვარდისფრო, სინესტეგამძლე ხსნარით. ამრიგად, პირველადა გვაქვს საქმე კრამიტის ნამდვილსა და მთელ სახურავთან, რაც ერთ-ერთი ზედმიწევნითი დადასტურებაა სტრაბონის ცნობილი ნათქვამისა იბერიაში „ხუროთმოძღვრების წესისამებრ აგებული" შენობებისა და, კერძოდ, კრამიტით მათი დაბურულობის შესახებ. საერთოდ, ჩვენს წინაშეა პირველხარისხოვანი არქიტექტურული და არქეოლოგიური ძეგლი, რომელიც თარიღდება ახ. წ. I საუკუნის მიწურულით და რომელსაც თითქმის არა აკლია რა. რაც არ უნდა ვიწროდ განსაზღვრული იყოს მისი დანიშნულება (სამარხი), იგი არ შეიძლება არ იმეორებდეს ჩვეულებრივი, საერო თუ საკულტო — იმ დროისათვის არსებითად არცთუ დიდად განსხვავებული მშენებლობის ფორმებსა და წესებს.

ყოველივე ამის გამო მცხეთის სადგურის აკლდამა უნდა მივიჩნიოთ არქიტექტურის ცოცხალ, უნიკალურ ნიმუშად და მის მიხედვით გაცილებით უფრო სრული წარმოდგენა შეგვექმნება წინარექრისტიანული ქართლის ხუროთმოძღვრებაზე, რაც ჯერჯერობით კიდევ ხშირი ბურუსით არის მოსილი. საკმაოდ მრავალრიცხოვანი, ძეგლის სიმრთელის წყალობით უფრო დანამდვილებით გამოძებნილი ანალოგიები — ისევ და ისევ წინა აზიაში, შავი ზღვის ჩრდილო

სანაპიროებზე და ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში — ამ აკლდამასაც აქცევს საერთოდ ანტიკური ძეგლების წრეში. მის არქიტექტურულ ფორმებს თითქოს რამდენადმე გეზი უჭირავთ ე. წ. ელინისტურ ხუროთმოძღვრებისაკენ, რომელიც ესოდენ არის გავრცელებული ზემოთ დასახელებულ ქვეყნებში. მაგრამ შეუძლებელია არაღნიშვნა ჩვენი ძეგლის თავისთავადობის მომასწავებელი ზოგიერთი ნიშნის, ეს არის: ფასადის ფრიად თავისებური იერი, მიუხედავად „ანტიკური“ ფრონტონით დაგვირგვინებისა; ჰორიზონტული ლავგარდნის უქონლობა; ფრონტონის ორსავე განაპირას სამკუთხად გამოთლილი ქვების ჩადგმა; წყობის ფენათა ჰორიზონტულობისა და პარალელობის სრული უგულებელყოფა (ქვების ნაირ-ნაირი მოყვანილობა-ზომისამებრ). ეს ნიშნები — ისევე, როგორც საკმაოდ მსგავსი ძეგლის, არმაზციხის „სამეფო აკლდამის“ (ხოლო ზოგი ავტორის აზრით, აგრეთვე იქაური ზღუდის იმდროინდელი ნაწილის) შემთხვევაში — მეტად მჭიდრო ურთიერთობას ამყარებენ ამ ძეგლსა და მომდევნო ხანის, ფეოდალური საქართველოს ხუროთმოძღვრების ძეგლებს შორის [15: 1].

ანტიკური ქართლის არქიტექტურის უაღრესად თავისებურ ძეგლს წარმოადგენს აგრეთვე უფლისციხის ქვაბოვანი ციხე-ქალაქი, რომელიც ბოლო წლებში წარმატებით ითხრება. იქ მ შ ე ნ ე ბ ლ ო ბ ა ზ ე ვერ ვიმსჯელებთ, რადგან არსებითად საქმე გვაქვს სხვადასხვა დანიშნულების დარბაზებისა და სენაკების კლდეში გ ა მ ო კ ვ ე თ ა ს თ ა ნ, რასაც ჩვენში თუ ჩვენს სამხრეთით მდებარე, მონათესავე კულტურის ქვეყნებში (კერძოდ, ურარტუში) ძველი ტრადიცია და მაღალი ტექნიკური დონე უჩანს. უფლისციხის ქვაბოვანის გათხრამდე შ. ამირანაშვილი მის ძირითად, უძველეს ნაწილს გვიანანტიკურ ხანას მიაკუთვნებდა [53]. თხრის შედეგად კი შესაძლოდ მიიჩნევენ (ანალოგიებისა და მონაპოვრის მიხედვით) ადრეანტიკურ ხანაში გადასწიონ მისი ხნოვანება [84: 85]. გამოქვაბულთა ერთი ჯგუფის შუაგულში გამოკვეთილია დარბაზი, რომელსაც ნახევარწრიული თაღოვანი ჭერი აქვს, ხოლო ამ უკანასკნელზე გამოყვანილია კესონები-ჩაღრმავებული რვაკუთხედები. ეს დეკორი (ისევე, როგორც სომხეთში, გარნისის ანტიკურ ნაქალაქარში გათხრილი ტაძრის წყობა და დეკორი), შ. ამირანაშვილის დაკვირვებით, მოგვაგონებს II—III საუკუნეთა რომაული ხუროთმოძღვრების ზოგიერთ ძეგლს, მაგრამ განირჩევა მათგან კესონების შეეული განლაგებით. აგრეთვე ჩვენებური ხუროთმოძღვრების წესის გამოვლინებად არის მიჩნეული ის, რომ გარეთა ფასადზე ანტიკური ყაიდის ფრონტონი თაღისა და სიბრტყის მიჯნაზე ძევს. ამ ქვაბულს გარეთ კლდეში ორ წყებად გამოკვეთილია მერხივით საჯდომები. ყოველივე ამის გამო შესაძლებლად არის მიჩნეული, რომ საქმე გვქონდეს თეატრთან — მით უმეტეს, რომ ბერძნულ-რომაული წყაროების მიხედვით, ანტიკურ ხანაში თეატრი არსებულა კოლხეთში (ქ. აფსარში) და სომხეთშიც (ქ. არტაქსტაში). კესონებით დამშვენებული ჭერი აქვს უფლისციხის რამდენსამე სხვა დიდ ქვაბ-დარბაზსაც და ეს კესონები ზოგჯერ მოქცეულია ხის გადახურვის მიბაძვით გამოჭრილ „ძელებს“ შორის. ერთგან არქიტრავული გადახურვა და კუთხის პილასტრებიც ჩანს. შეიმჩნევა დეკორაციული მოხატულობის კვალიც, ქვაბოვანში მკაფიოდ იგრძნობა ძველი ადგილობრივი, ხის ნაგებობათა აღნაგობით ნაკარნახევი ფორმების კვეთა კლდეში („ძელები“, „გვირგვინები“). საერთოდ უფლისციხეში სწორედ ქართული ხალხური „დარბაზის“ ტიპის ქვაბები ჭარბობს და უცხოური ანტიკუ-

რი გავლენა უფრო ისეთი განსაკუთრებული დანიშნულების ნაგებობას ეტყობა, როგორადაც უნდა ჩაითვალოს „თეატრი“ — საფიქრებელია, თავისთავადაც ანტიკური გავლენით• აღმოცენებული. (ტაბ. IV).

მცხეთაში და ზოგ სხვა ადგილას ამონათხარ მშენებლობის ძეგლთა შორის საგანგებო ყურადღებას იპყრობს კრამიტი, რომელიც, როგორც უკვე ვიცით, მრავლად მოიპოვება სამარხთა შედგენილობაშიც, ნაგებობათა ნახანძრალ-ნანგრევთა შორისაც და ზოგჯერ ჩვეულებრივ კულტურულ ფენებშიც. მცხეთაში ამ მასალის შესწავლა არკვევს, რომ კრამიტის ყველაზე უფრო ცხოველი წარმოება-გამოყენების ხანა არის სწორედ I—III საუკუნეები, როდესაც იქ საერთოდ ფართოდ იშლება ყოველგვარი მშენებლობა. მაგრამ სტრაბონის ცნობილი თხზულების თარიღი და სამთავროში ქვევრსამარხებთან თანაარსებობის ფაქტი კრამიტის წარმოების საწყისს ძველი წელთაღრიცხვის ბოლო საუკუნეებშიც გვაგულისხმებინებენ და ცხადია, რომ არც აქ (ისევე როგორც კრამიტით დახურული აკლდამის შემთხვევაში) შეიძლება რომაული მშენებლობის წესის რაიმე გავლენის შესახებ საუბარი. რაც შეეხება კოლხეთს, იქ, სახელდობრ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაქალაქარის ვანის განათხარში ძალზე დიდი კრამიტი ადრეანტიკური ფენებიდანაც წარმოდგება.

ამონათხარი კრამიტი დიდრონი და მძიმეა; ორნაირია: ტრაპეციის მოყვანილობისა, მაღლა გვერდებაკეცილი („შემოღობილი“) და ღარისებრი, გარედან „ცერიანი“. კრამიტი ხშირად წითლადვეა შეღებილი წერნაქით. გამოწვამდე ზედ ამოჭრილია სხვადასხვა ნიშნები, რომლებიც ხელოსნებისა თუ სახელოსნოთა დამღებად ითვლება. ისინი არსებითად ხშირად მეორდება, რამდენიმე ათეულია და ეს რამდენსამე სხვადასხვა სახელოსნოს გვანიშნებს დიდ მცხეთაში. ორგან — არმაზისხევის შესართავთან და ბაგინეთის ძირობაზე — აღმოჩენილია წუნდებული კრამიტიცა და წარმოების სხვა ნიშნებიც [86; 12; 157—158; 14, 43—66, სურ. 35—71].

ხაზგასასმელია, რომ მცხეთაში ასეული ნიმუშებით დამოწმებული კრამიტი, მრავლად მაინც, დიდი მცხეთის გარეშე არც თუ ისე ხშირად გვხვდება თხრისას გვიანანტიკური დროის ფენებში, ნაგებ სამარხთა შედგენილობაში იქნება თუ ნამდვილ შენობათა ნანგრევებს შორის. აღმოსავლეთ საქართველოში შეგვიძლია დავასახელოთ გორი (უძველესი ციხის შემთხვევით თავჩენილი ნაშთი), ურბნისი (ზოგი შენობის ნაშთი და კრამიტსამარხები, რომელნიც შეიძლება რამდენადმე გვიანდელიც იყოს), ერწო (ორი მდიდრული კრამიტსამარხი) და უჯარმა (ციხე-დარბაზის კოშკები, უშუალოდ მომდევნო დროისა, ოღონდ ზედმიწევნით „მცხეთური“ კრამიტით დახურული), თბილისი (კრამიტსამარხი), ხოლო დასავლეთ საქართველოში — ბორი. ორი გამონაკლისის გარდა, ყველგან ქალაქებთან გვაქვს საქმე (კერძოდ, ჩვენი რწმენით, თბილისი უკვე იმხანად წარმოადგენს ქალაქური ყაიდის სამოსახლოს) [10] და თავისთავად ისახება დასკვნა, რომ კრამიტის წარმოება და გამოყენება მშენებლობაში უმთავრესად ქალაქ ადგილებში ყოფილა გავრცელებული. რაც შეეხება ბორსა და ერწოს, ისინი, მართალია, ვერ ჩაითვლებიან ასეთ ადგილებად, მაგრამ პირველი ახლოსაა ცნობილ ციხე-ქალაქ შორაპანთან და შიგ, მართებულად, იგულისხმება „მოერისთავო“ დიდკაცის საცხოვრისი, ხოლო ერწოში, მაგრანეთთან გათხრილი ძეგლები აგრეთვე დიდკაცის საცხოვრისს მიგვანიშნებენ

და თან იმას, რომ იქ ყველაფერში იგრნობა იბერია-ქართლის დედაქალაქის კულტურული დოვლათისადმი დამჴრობილობა, მისი მისაწვდომობა სათანადო დიდკაცობის წრისათვის (აურეუსები და ვერცხლის სურა-პინაკები, მინის სანელ-საცხებლეები სამარხებში) [82].

ასე გამოიყურება, ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით I—III საუკუნეთა ქართულ ქვეყნებში ხუროთმოძღვრებისა და სამშენებლო საქმის (მათ შორის ქვის დამუშავებისა თუ გამოქვაბვისა და საშენი კერამიკის წარმოების), როგორც საერთოდ მეურნეობის, ნივთიერი კულტურისა და, კერძოდ, საქალაქო-კომუნალური კულტურის ერთი ყველაზე უფრო არსებითი და ნიშანდობლივი დარგის ვითარება.

რა თქმა უნდა, ესოდენ თვალსაჩინო ვითარება ვერ შეიქმნებოდა მარტო უცხოური გავლენითა და ამა თუ იმ ქვეყნიდან „მონაბერი" კულტურით, რომ აქვე არ ყოფილიყო ძველი მძლავრი მკვიდრი ტრადიციები, რომელთა შესახებ ზემოთ გაკვრით უკვე გვქონდა საუბარი.

ამ ფონზე სავსებით ბუნებრივად უნდა ჩაითვალოს ის, ახლა უკვე საყოველთაოდ ცნობილი გარემოება, რომ მცხეთაში აღმოჩენილი ერთ-ერთი ეპიტაფია ცხადყოფს იბერია-ქართლის დედაქალაქში „ხუროთმოძღვრისა და მხატვართუხუცესის" წოდებით აღჭურვილი ოსტატის ცხოვრებასა და შემოქმედებას. მართალია, ეს წარწერა უკვე სულ ადრეულ ქრისტიანულ ხანას მიეკუთვნება [87; 88], მაგრამ უეჭველი გვგონია, რომ ზემოხსენებული წოდება-თანამდებობა უნდა ასახავდეს ჯერ კიდევ ცოცხალ ანტიკურ ტრადიციას მცხეთაში.

* * *

მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი სამარხეული ინვენტარის გაცნობა საშუალებას გვაძლევს სხვა მხრივაც მივუდგეთ კულტურის შესწავლა-დახასიათებას და შევიქმნათ გარკვეული, აგრეთვე ფრიად ხელსაყრელი და საპატიო წარმოდგენა იმდროინდელ ქართულ ქვეყნებში ხელოსნური წარმოებისა და, უპირველეს ყოვლისა, მხატვრული განხრით მომუშავე მისი დარგების — ოქრომჭედლობის, ტორევტიკის, მცირე ქანდაკების, მინისა და კერამიკის წარმოებისა და სხვ. განვითარების დონისა და რაგვარობის შესახებ. ძირითად მასალას აქაც მცხეთის (და აგრეთვე ურბნისის) სამაროვნები გვაძლევენ, მაგრამ ზოგი რამ სხვა სამაროვანთა წყალობითაც ხდება ჩვენთვის ცნობილი.

ოქრომჭედლობა და მასთან მჭიდროდ დაკავშირებული ხელობა პატიოსან თვალთა გათლა-დამუშავებისა ერთი იმ დარგთაგანია, რომელიც განსაკუთრებით უხვად, ყოველმხრივ და მეტყველად არის წარმოდგენილი სამარხეულ ინვენტარში — მიუხედავად იმისა, თუ რამდენად შეძლებული ყოფილან ჩვენ მიერ შესწავლილ სამარხებში დაკრძალულნი. ყოველმხრივია ეს მასალა, ასე ვთქვათ, „გეოგრაფიითაც": მცხეთის გარდა მას მეტ-ნაკლებ ვხედავთ თითქმის ყველა იმ ადგილას, რომლებიც ნაშრომის დასაწყისში გვაქვს ჩამოთვლილი. ოღონდ აქვე უნდა დავძინოთ, რომ დიდ მცხეთაში გამოვლენილ სამარხთა ინვენტარში ოქრომჭედლური ნაწარმი და კერძოდ სამკაული ვრცელდება შედარებით გვიან, ძველი წელთაღრიცხვის მო-

წურულში (პირველად ქვევრსამარხებში გვაქვს ცოტაოდენი, მცირე საგნები) და უფრო ადრინდელი ჩვენებური ოქრომჭედლობის შესახებ წარმოდგენას ვიქმნით სხვა კუთხეებში (თრიალეთი, ახალგორი, ვანი, ნოსირი, ჭუბურხინჯი და სხვ.) აღმოჩენილი მეტწილ ბრწყინვალე მასალების მიხედვით.

იშვიათი გამონაკლისის გარდა, საქმე გვაქვს სამკაულთან (ტაბ. V—VI), რომლის უმეტესობა სადიაცო ჩანს, თუმცა ნამდვილად მამაკაცთა სამარხებშიც გვხვდება ხოლმე ისინი (მაგ., სამაჯურები და მძივებიც კი — ასპარუგ ერისთავის სამარხში). შეძლებულთა სამარხებისათვის დამახასიათებელი ჩანს ოქროსა თუ პატიოსან თვალთა შემდეგი ნივთები: თვალედი ბეჭდები, საყურეები და სამაჯურები, ზოგჯერ აგრეთვე ყელსაბამები, გულსაკიდები, ნაირნაირი საკიდები და მძივები, აბზინდები და დიადემები (უზენაესი დიდკაცობის წარმომადგენლებისა): დასაკრძალავი თხელფურცლოვანი საშუბლე გვირგვინები ანუ ხოირები (ანტიკური სამყაროდან შემოჟონილი წესი მიცვალებულის „გაპატიოსნებისა"): საავგაროზე ბუდეები და საკიდი ფიგურები (მაგ., ავგაროზი — „ტახი"): სამოსელზე დასაკერებელი კილიტები, მოწკარუნე ფირფიტები, პირსაფარეშო ლამბაქები, თავსამკაულის ოქროსბუდიანი ქვის დიდი ფირფიტა. მოთვალულ-მოცვარული ბალთები და ა. შ. არმაზისხევის ერისთავ-პიტიახშთა სამარხებში აღმოჩენილია ინსიგნიად მისაჩნევი: საზეიმო საჭურველის ოქროს სამკაული (ერთი სატევრის ბუდის გარსაკრავი, მეორის მოთვალული ტარი), სარტყელზე დასაკრავი მოთვალული ბალთები. ნაკლებ შეძლებულთა სამკაული ბეჭდებითა და საყურეებით ამოიწურება, ხოლო უქონელთა სამარხებში, თუკი არის ხოლმე, ერთნიცა და მეორენიც ხშირად სპილენძისა თუ ბრინჯაოსაგან არის გაკეთებული (ზოგჯერ — ოქროს სათანადო სამკაულის ზუსტი ასლის სახით). თვალსაჩინოდ ხშირია რკინის, გემმიანი ბეჭდები და — არცთუ ყოველთვის უქონელთა სამარხებში (სამთავრო, ურბნისი, კლდეეთი, თრიალეთი), ისე რომ მათში ჩასმული გემმა ზოგჯერ ფაქიზი ნამუშევარიც კი არის. რკინისაგან ბეჭდების კეთება (ცხადია,ოქრომჭედელთა მიერვე), ჩვენი აზრით, ხელმოკლეობას კი არ მიეწერება, არამედ ამ ლითონის მაგიური, აპოტროპეული მნიშვნელობის ჯერ კიდევ სიძლიერეს, რაც თანამედროვე ეთნოგრაფიულ გადმონაშთებშიც კი იჩენს ხოლმე თავს.

ყურადსაღებია, რომ მცხეთისა და ურბნისის სამარხებში თითქმის სრულიად არა ჩანს (ისევე როგორც აღმოსავლეთ საქართველოს სხვა სამაროვნებში) ფიბულები ანუ მშვილდსაკინძები და ღეროვანი საკინძები, ხოლო დასავლეთ საქართველოში ისინი გავრცელებულად შეიძლება ჩაითვალოს: მშვილდსაკინძეები მრავლადაა, მაგ., კლდეეთში, სადაც ერთი ოქროსიც კია, მოთვალული: მეორე ოქროსი ნაპოვნია ურეკში. ეტყობა, აქ ტანსაცმელის სხვადასხვანაირობაშია საქმე და, სახელდობრ, დასავლეთში ბევრად უფრო ადრე შემოსულა წესად სამოსელის საკინძებითა და კერძოდ მშვილდსაკინძეებით შებნევა, რაც აღმოსავლეთში მხოლოდ IV საუკუნიდან თუ ჩაითვლება გავრცელებულად, სამარხეული მასალის მიხედვით. აქვე დავძენთ, რომ ამ მხრივ ერთგვარი შეუსაბამობა ჩანს იმდროინდელ პორტრეტულ გემმებზე (არმაზისხევში, ზღუდურში) გამოსახულ ქალ-ვაჟთა ტანსაცმლის შებნეულობის რაგვარობასა და თვით სამარხებში საკინძების აღმოუჩენლობას შორის.

რაც შეეხება ოქროს სხვა, არასამკაულ ნივთებს, მათ შორის თავისებუ-

რებით მკაფიოდ გამოირჩევა ზემო სვანეთში, ხაიშში აღმოჩენილი რთული — ჩანს, კულტთან და დაკრძალვის რიტუალთან დაკავშირებული — საგანი. იგი წარმოადგენს სახლის, უფრო სწორად, მისი ორკალთიანი, ცადაქნილი სახურავისა და სხვენის პაწია მოდელს, რომელზედაც დამაგრებულია სხვენზე მსხდარი ორი ადამიანისა (მათ შორის ერთი მოსაკრავის) და სახურავზე შემომსხდარი ფრინველების ქანდაკოვანი გამოსახულებანი; ამასთანავე სახლაკზე ძეწკვებით შეკიდულია მძივები და „წიწიბოები". ეს იდუმალი და უთუოდ შინაარსიანი საგანი საგანგებო კვლევის ღირსია.

ოქროულზე დაკვირვების შედეგად გამოტანილი ერთი უპირველეს დასკვნათაგანი ის არის, რომ იმდროინდელ ქართულ ქვეყნებში მართლაც საკმაოდ უხვად მოიპოვება და კიდევაც მუშავდება ოქრო; რომ იგი მისაწვდომია, ცოტა მაინც, არა მარტო დედაქალაქისა თუ ქალაქების, დაწინაურებულ-შეძლებული, არამედ სხვა ადგილთა მოსახლეობისთვისაც. ეტყობა, ამ ძვირფასი ლითონის ესოდენ ცხოველ მოპოვება-გამოდნობას შესაძლებელს ხდიდა ჩვენი ქვეყნის მართლაც სამდიდრე ოქროს ქვიშობებით, რამაც ჯერ კიდევ ადრეანტიკურ ხანაში გაუთქვა სახელი უცხოეთში, კოლხეთს მაინც, რაც მკაფიოდ ჩანს ოქროს საწმისის შესახებ ძველ ბერძნულ მითებსა თუ მწერალთა თხზულებებში. ამ ქვიშობების დამუშავების ხელსაყრელობა დღესაც კი იქიდან ჩანს, რომ ამ ოციოდე წლის წინ მათგან ოქროს გამორეცხვა გაჩაღებული იყო სვანეთში (ენგურის ხეობაში) და ქვემო ქართლშიც (მაშავრის ხეობაში). ამასთან დაკავშირებით უნდა დავძინოთ, რომ, ჩვენი დაკვირვებით, ხაიშში ნაპოვნი ოქროს ნივთები და მეტადრე „სახლაკი" საკმაო დარწმუნებით შეგვიძლია ძველი იქაურივე, შინაურ, რამდენადმე ტლანქ, არქაული იერის ნახელავად მივიჩნიოთ და თან გავიხსენოთ, რომ ჩვენი ეთნოგრაფების მიერ საქართველოს ამ კუთხეში დადგენილია ბოლო დრომდე შემონახული ხალხური სკოლა ოქრომჭედლობისა, რაშიც სვან ქალებს მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდათ [89]. ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, თუ რა ყურადსაღები ოქროული (მათ შორის ბერძნული მონეტები და ადგილობრივი მინაბაძები) არის ადრე აღმოჩენილი ხაიშის სულ მახლობლად, ჰვიბერში, და რა გადაჰრით აქვს გამოთქმული ამასთან დაკავშირებით ე. თაყაიშვილს აზრი, რომ ყოველივე ეს სვანეთშივე კეთდებოდა ადგილობრივ მოპოებული ოქროთი [4], ხოლო ახლახან ჰვიბერში ანტიკური დროის სამაროვანი მოისინჯა თხრით [90].

ამას უკავშირდება მეორე დასკვნაც: მიუხედავად ბევრ რამეში არსებითი ერთგვაროვნებისა (რაც სხვადასხვა მხარეებისა და, ზოგადად, დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ისედაც ცნობილ ეთნოკულტურულ ერთიანობას მოწმობს კიდევ ერთხელ), ოქროს სამკაული, ჩანს, ბევრგან კეთდებოდა და ეს როდი წარმოადგენდა ერთი-ორი რომელიმე ცენტრის უპირატეს პატივს. გარდა უკვე თქმულისა, ამას გვაფიქრებინებს ერთისა და იმავე სამკაულის გარკვეული ნიუანსები სხვადასხვა ვარიანტებში. ერთ-ერთი ძირითადი ბუდე და ეგებ ამ ოსტატობის დამნერგავ-გამავრცელებელიც უნდა ყოფილიყო ქართლ-იბერიის დედაქალაქი და ვაჭრობა-ხელოსნობის უდიდესი ცენტრი მცხეთა, ზოგჯერ ეგებ დასავლეთ საქართველოსათვისაც კი. გვაქვს ერთი წყება ნამდვილი „მცხეთური" და სხვაგან არგავრცელებული ფორმებიც. სხვა დიდ ცენტრად შეგვიძლია ურბნისიც ვიგულისხმოთ ქართლში.

ოქროს სამკაულს ჩვეულებრივ რთული აღნაგობა აქვს. მეტადრე ითქმის ეს პოლიქრომულ, სხვადასხვაფერი თვლებითა და ზოგჯერ აგრეთვე მინანქრით დამშვენებულ ნივთებზე, რომლებიც შეადგენენ ყველაზე უფრო დამახასიათებელსა და თვალში მოსახვედრ წყებას სამარხეული ოქროს ნივთებისა, უმეტესობა შედგენილია რამდენიმე სხვადასხვა მოყვანილობის ნაწილისაგან, სხვადასხვა სისქის ფურცლებისა თუ ფირფიტებისაგან და ა. შ. ოქრომჭედლები მიმართავენ სამკაულთა კეთებისნაირნაირ ხერხს: ჭედვას, ფაქიზად კვერვას, ტვიფრვას, რჩილვას, თავისუფალი ზედაპირის მოკაზმვას ცვარათი ანუ გავარსით, ცრუგავარსით, წნული და გრეხილური სახეებით, მჭვალვას და ყუნწებით გადაბმას, წელვას, თვლების ჩასასმელი ბუდეების ამოღებას, აღმართვასა და ნაპირების გადმოკეცვას და ა. შ. ამასთანავე, ხმარებული ხერხების კვალი მეტწილად ოსტატურად არის შენიღბული [12, VIII].

განსაკუთრებით რთული ნახელავია ოქრომჭედლური ტექნიკისა და მცირე ხელოვნების ისეთი გამოსარჩევი ნაწარმოებნი, როგორიცაა არმაზისხევის ერისთავთა განსასვენებელში აღმოჩენილი ქალთა ორი გულსაკიდი და წნული სამაჯური, ტახის პაწია საავგაროზე ქანდაკება, ასპარუგის სარტყლისა და დიადემის მოცვარულ-მოთვალული ბალთები, ქალის ასეთივე აბზინდა, ბორის სამაჯურები, ბორისა და ახმეტის ახალსოფლის მოცვარულ-მოთვალული ბალთები, ისევ ხაიშის „სახლაკი", ურეკის კოლოფისებური ბალთები, თაგილონის ირმისთავი; კლდეეთის ოქროს მოცვარულ-მოთვალული აგრაფი, რომელშიც გემმიანი თვალი ზის და ფრინველებიანი მოთვალულ-მოცვარული ბალთები და სხვ. (ტაბ. XXXI—XXXIII).

აქაც კვლავ ხაზგასასმელია პოლიქრომია, რომელიც ისე ჭარბად არის წარმოდგენილი, მეტადრე მცხეთის, ბორის, კლდეეთის, თაგილონის, ურეკის, ციხისძირის, ახმეტის ახალსოფლის სამკაულებში, რომ უეჭველი ხდება არსებობა ადგილობრივი, მოწიფული ოქრომჭედლური სკოლებისა, რომელნიც ქმნიან პოლიქრომული სტილის ნამდვილ მხატვრულ შედევრებს.

ეს, რა თქმა უნდა, სრულიადაც არ წარმოადგენს მხოლოდ ქართული ქვეყნების ნამოღვაწარს გვიანანტიკურ ხანაში: ფუფუნებითი ოქრომჭედლობის ასეთი ტიპიური მიმართულება მაშინდელი ანტიკური სამყაროს ჩრდილო და აღმოსავლეთ განაპირა ქვეყნებში საყოველთაოდ ჩანს გავრცელებული და გარკვეული თვალსაზრისით „ბარბაროსული" გემოვნება მოდის მოძალების ნაყოფად ითვლება. მაინცადამაინც, საქართველოს ჩრდილოეთით და ჩრდილოდასავლეთით მდებარე მხარეებში იგი ზოგჯერ „სარმატულ სტილადაც" კი არის მიჩნეული, ისევე როგორც ზოგი სხვა ნიშანი ნივთიერი და მხატვრული კულტურისა. ეს დიდი და ჩვენი არქეოლოგია-ხელოვნებათმცოდნეობისათვის მნიშვნელოვანი საკითხი — ქართულ-სარმატული ურთიერთობა — საგანგებო კვლევის საგნად არის ქცეული და ახლა ვერ პოვებს ჯეროვან გავრცობას. მაგრამ ის კი შეიძლება ითქვას, რომ ამგვარი პოლიქრომიის გავრცელების არეალში ქართულ ქვეყნებს თავიანთი, საკმაოდ დამოუკიდებელი და მაღალი დონის მომასწავებელი ადგილი უჭირავთ და თუ ზოგი რამ აქაური ზედმიწევნითს პარალელსა პოვებს ყირიმისა თუ ჩრდილო კავკასიის პოლიქრომულ ოქროულში, ზევრი რამ უბადლოა და უპარალელო, თანაც ჩვენებური ნაწარმი ფრიად მრავალრიცხოვანი, ადგილობრივი ვარიანტების შემცველი და გემოვნება-

სტილის მხრივაც ხშირად თავისთავადი. ამიტომ არის, რომ ამგვარი სარმატული ძეგლების რუსი მკვლევრებიც ბოლო დროს სრულიად უყოყმანოდ მსჯელობენ ოქროს პოლიქრომულ სამკაულთა წარმოების ცენტრებზე მაშინდელ ქართულ ქვეყნებში, როგორც კავკასიონის ჩრდილოეთით გავრცელებული ზოგი „სარმატული" ოქროს ნივთის წარმომავლობის წყაროებზე [91].

ოქროს პოლიქრომული, ფერადი თვლებით შემკული საფუფუნებო საგნების კეთება რომ სრულიადაც არ ყოფილა უცხო ხილი ქართველური სამყაროს ნივთიერი კულტურისათვის, ამას გვამცნობს თუნდაც ისეთი შორეული საწყისების მომასწავებელი ნიმუშები, როგორიც არის თრიალეთის შუა ბრინჯაოს ხანის ყორღანში მოპოვებული მოოჭვილი თასი, მძივები და გულსაკიდი, როგორც ჯერ კიდევ მათი გამომქვეყნებელი აცხადებდა [16] და კვლავაც არაერთგზის თქმულა [12; 193—196].

საკვლევი ხანისათვის შეგვიძლია ერთგვარი (მართალია, არცთუ შორეული) ექსპორტიც კი ვიგულისხმოთ, მაგ., კოლხეთის სახელოსნოებში დამზადებული პოლიქრომული ოქროს სამკაულისა ჩრდილო-დასავლეთით მდებარე ჯიქეთისაკენ. ასეთი ვარაუდის საფუძველს გვიქმნის ერთი ყოვლად ყურადსაღები შემთხვევითი აღმონაჩენი ქ. სოჭის ჩრდილოეთით სოფ. ლოოში (1960 წ.) [92]. ეს უნდა იყოს ძალიან მდიდრული, ქალის სამარხისა (თუ ქალთა სამარხების) ინვენტარი, რომელიც უმთავრესად ოქროს თუ ქვის ნაირნაირი მშვენიერი სამკაულით, „ნემსბუდითა" და სხვა ნივთებით არის წარმოდგენილი. განსაკუთრებით ხაზგასასმელია რამდენიმე „კლდეეთური" მოთვალული და ფრინველებიანი ბალთა (ერთს შუაში კამეა — ქალის ფაქიზი პროფილიც კი უზის), ფრინველთა გამომსახველი საკიდები, წნულები და ძეწკვები (არმაზისხევულთა მსგავსიც). თავისთავად ცხადია, რომ ეს დიდად მსგავსი ნივთები კლდეეთსა და ლოოში ერთისა და იმავე ხელოსნისა თუ არა, ერთისა და იმავე სახელოსნოს მიერ მაინც არის დამზადებული (შეიძლება ორსავე შემთხვევაში საგანგებოდ მდიდარ მიცვალებულთა დასაკრძალავად, რასაც ფრინველთა გამოსახულებანი გვაფიქრებინებენ, ისევე როგორც ხაიშის „სახლაკის" მიმართ). სრულიად ბუნებრივი იქნება, თუ ჯიქეთის დიდკაცობის იმ წარმომადგენლებს კოლხეთში მომუშავე ოსტატების „მუშტრებად" წარმოვიდგენთ და არა პირიქით, მით უმეტეს, რომ უფრო ჩრდილოეთით აღმოჩენილ დიდძალ სამარხეულ ოქროულში ეს ფრინველებიანი პოლიქრომული ბალთები ასე ჯგუფ-ჯგუფად მაინც არსადა ჩანს.

პატიოსან თვალთა მოპოვებისა და გათლა-გაპრიალების ხელობაც ღირსეულად უბამს მხარს ოქროს პოლიქრომული ნივთების დამზადების ხელობას, მით უმეტეს, რომ აუცილებელი თანამდევია მისი. აღსანიშნავია თვით თვლების მინერალური მასალის დიდი მრავალფეროვანება, რაც, ბუნებრივია, ხშირად აღმოსავლურ იმპორტს მოასწავებს(ზურმუხტი, საფირონი, ალმასი, ლალი, ნეფრიტი და სხვ.), ხოლო ქარვის შემთხვევაში — ჩრდილოურს. ამასთანავე სანახევროდ ძვირფასი მინერალების ადგილობრივი ბუდობებიდან უნდა მომდინარეობდეს ისეთი მასალები, როგორიცაა გიშერი [93, 43—53], ქალცედონი, აქატი, ამეთვისტო, მთის ბროლი, სარდიონი და სხვ. ხშირად ჩანს ადგილობრივი ნაწარმი პასტისა და მინის სამკაული. ამასთან დაკავშირებით ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ საკმაოდ ხშირად მიუმართავთ ხოლმე იმ-

დროინდელ ოქრომჭედელ-იუველირებს ფერადი გამჭვირვალე მინით პატიოსანი თვლების შეცვლის ხერხისათვის სწორედ პოლიქრომულ სამკაულში. ასეთები მრავლადაა კლდეეთის (და აგრეთვე ლოოს) მონაპოვარში და თითო-ოროლა გვხვდება არმაზისხეველ ერისთავთა სამკაულებშიც. ასეთი იმიტაცია, სხვათა შორის, იმითაც არის ყურადსაღები, თუ რა ოსტატურად მიუმსგავსებიათ მინა ბუნებრივი თვალისათვის, როგორ შეუზავებიათ საამისოდ მისი შეფერილობა.

ცალკე უნდა აღინიშნოს ბეჭდისა თუ ზოგიც სხვა სამკაულის (მაგ., ინსიგნია-სარტყლის ბალთების) თვლებზე ამოკვეთილ გამოსახულებათა დიდი სიმრავლე და ძალიან ხშირად პირველხარისხოვანი ნახელობა. ეს ე. წ. „ჭრილა ქვები" ჩვენში პირველად იჩენს თავს ძველი წელთაღრიცხვის მიწურულში (კერძოდ, სამთავროს ქვევრსამარხებში) და, მათი პირველი ნაკადი მაინც, შემოტანილი ჩანს. მაგრამ მათ ბევრად წინ უსწრებს ბრინჯაოს ბეჭდების ფარაკებზე ამოჭრილი ინტალიოები ძვ. წ. V—IV საუკუნეთა სამარხებიდან (ახალგორი, ყანჩაეთი, ალგეთის წინწყარო, აბელია, ეშერი) და ლურჯი მინის პარალელოპიპედური მძივები, რომლებზედაც ჩამოსხმით გადმოღებულია (ჩვენში!) ზემოაღნიშნული ტიპის ინტალიოთა ასლები (სამთავრო, წალკა, აბელია) [64, 75—92]. ახ. წ. I—III საუკუნეთა ფაქიზი გემმებიდან, დანამდვილებით დათარიღებულთა შორის, უძველესად უნდა ჩაითვალოს მცხეთის აკლდამის შემორჩენილ სამკაულთა შორის ერთადერთი (ბეჭდიდან ამოვარდნილი?), რომელიც დელფინს გამოხატავს.

საუკეთესო გემმების მაგალითებად შეგვიძლია დავასახელოთ: ასპარუგ ერისთავის პორტრეტი, ქალის („მენადის"?) პროფილი, ძაღლის გამოსახულება და აქტეონის დაღუპვის სცენა არმაზისხევიდან; დიდკაცის პორტრეტი კლდეეთიდან: მინიატურული პროფილი ქალღმერთისა(?) დ. მცხეთიდან; ლამაზი ქალის პროფილი (მოქცეული მერმინდელ სამკაულში) ს. წილკნიდან (შემთხვ. აღმოჩ. 1951 წ.): პროფილი სამთავროდან; თეთრ გამჭვირვალე ქვაზე ძირიდან ამოკვეთილი და ოქროფენილი პორტრეტი დიდკაცისა ციხისძირიდან და სხვ. ზოგი გამოსახულების შინაარსი, კვეთის ხერხი და ერთ შემთხვევაში ოსტატის ვინაობის წარწერაც („პლატონ") მოასწავებს, რომ ეს გემმები ან პირდაპირ შემოტანილია ბერძნულ-რომაული სამყაროდან (კერძოდ, იმდროინდელი წინააზიური ქვეყნებიდანაც), ან არადა იქაური ნიმუშების მიხედვით არის ამოჭრილი ადგილობრივ მომუშავე (მათ შორის ეგებ მკვიდრი) ოსტატების მიერ [65] (ტაბ. XXXIII,₂: VII).

ამ მხრივ უფრო ეჭვმიუტანელია არცთუ მცირერიცხოვანი პორტრეტული ინტალიოები, რომლებიც ქართლისა თუ კოლხეთის დიდკაცებს გამოხატავენ და ნამდვილად აქვე უნდა იყვნენ ნაკვეთი, მიუხედავად წარწერის ენისა. დავასახელებთ: იმავე „კლდეეთელ" უსახელო დიდკაცს, ასპარუგ ერისთავს (სახელობითი საბეჭდავის თვალზე), ზევახ ერისთავისა და მის მეუღლე კარპაკს, ჩაფხუტიან „ზ-ვ-ხ"-ს (ზევახს?), „ზღუდერელ" დიდკაცს და მის მეუღლე მატრონას. ისიც უნდა ითქვას, რომ პირველის გარდა ვერც ერთი ეს პორტრეტი ვერ ჩაითვლება უზადო ხელობით ნაკვეთად. ისინი არ არიან მაინცდამაინც პლასტიკური და გ. ჩუბინაშვილი (იხ. ქვემოთაც) მათ ამ მხრივ ადარებს იმ პართულ მონეტებზე გამოხატულ პროფილებს, რომლებიც ჩვენშიც ძლიერაა გავრცელებული იმ ხანაში.

პორტრეტული ინტალიოები ერთგვარ შუქსა ფენენ იმდროინდელ ქართული ქვეყნების დიდკაცობის გარეგნობასაც და ჩაცმულობასაც. კერძოდ, ჩანს, რომ მამაკაცებს თმა-წვერ-ულვაში საკმაოდ გრძლად გაშვებული უტარებიათ; დედაკაცებს თმა ზემოთ აზვეული და მრგვალფირფიტოვანი სამკაულის (არმაზისხევის ერთ-ერთ სამარხში აღმოჩენილის) ირგვლივ შეკონილი ჰქონიათ, ხოლო ამ სამკაულიდან ჩამოკიდებული ყოფილა რაღაც, ხვეულებივით. თავისუფალი ტანსაცმელი მხართან შებნეული უტარებიათ (და ამდენად გაუგებარი ჩანს იბერია-ქართლის სამარხთა ინვენტარში არარსებობა საამისო შესაბნევების, მშვილდსაკინძებისა, რომლებიც გვაქვს მხოლოდ კოლხეთის სამარხებში). კლდეეთში კოლხი დიდკაცის თავისებური თავსაბურავი იპყრობს ყურადღებას: საკმაოდ დანამდვილებით შეგვიძლია მასში დღემდე ჯერ კიდევ შემორჩენილი ყაბალახის მსგავსი რამ ვიგულისხმოთ. ტანსაცმლის ქვედა ნაწილისა და ფეხსაცმლის შესახებ პორტრეტული ინტალიოები ვერაფერს გვეუბნებიან. სამაგიეროდ, არმაზისხევის ერთი ქალის სამარხში ნაპოვნია საცობისებრი მასალისაგან გაკეთებული ლანჩები — ეტყობა, ქოშივით ფეხსაცმელისა. რამდენსამე იქაურსავე და აგრეთვე ბაგინეთის სარკოფაგში და მცხეთის სადგურის აკლდამაში მრავლად ნაპოვნი ოქროს კილიტები, მოწკარუნე ფირფიტები და ოქრომკედის ნაწყვეტები წარმოგვადგენინებენ ოქროქსოვილისა და აღნიშნული დეტალებით შემკულ საზეიმო წამოსასხამებსა თუ საგანგებო ცხედრის საფარებს; ოქროს წყვილი აბზინდა — ქალის სარტყლისა თუ ისევ წამოსასხამის შესაბნევს და ა. შ. საერთოდ ყველაზე უფრო თვალნათლივ გვესახება ერისთავ-პიტიახშებისა თუ მათი ცოლებისა და ასულების საზეიმო მორთულობა (ზემოხსენებულთა გარდა): მამაკაცებს აქვთ ოქროს მოთვალული ბალთებით შემკული და ოქროსაბზინდიანი სარტყელები, ოქროსბუდიანი თუ ოქროსტარიანი სატევრები, ოქროს დიადემები და ოქროს თუ სხვა მასალის მძივები, ზოგჯერ საყურეებიც (ერისთავობის ნიშანი?); დიაცებს — ოქროს დიადემები, სამაჯურ-სამკლაურები და ზოგჯერ საფერხულეებიც, თვალედი საყურეები, ბეჭდები, ოქროს ავგაროზები და სხვ.

ახლა, თუ მივუბრუნდებით ისევ მინერალური მასალისაგან ნაკეთებ სამკაულს, მისი დამუშავების მაღალი ხარისხი კარგად ჩანს აგრეთვე ქვის მძივებსა და მძივსაკიდებში, რომლებიც ფაქიზად დახვრეტილი და მოწახნაგებული, მომრგვალებული თუ სხვაგვარად გამოთლილია. დიდ როლს ასრულებს მინისა და პასტის მძივებიც, რომელთაგან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ნაირფერი მინის ფირფიტებისაგან ოსტატურად, „ხალიჩისებრ“ შეთხზული მოზაიკური მძივები (თუკი ისინი შემოზიდული არაა). ასეთები ყველაზე მეტი კლდეეთშია აღმოჩენილი. საერთოდ კი მძივებისა და მძივსაკიდების რიცხვი ძალზე დიდია და რაგვარობა — ფრიად მრავალფეროვანი. საგანგებო ყურადღების ღირსია გიშრის მძივები, რომლებიც, უკვე ითქვა, ყველა ნამდვილად ადგილობრივ უნდა იყოს ნაწარმოები.

ოქრომჭედური ნაწარმისა და ქვისა თუ პასტა-მინის სამკაულის ასეთი სიმრავლე და სირთულე გვაფიქრებინებს, რომ — მცხეთაში იქნებოდა თუ აგრეთვე რომელიმე სხვა ცენტრში — ისეთ სახელოსნოებს უნდა ემუშავნათ, რომლებშიც, გარდა დიდი ოსტატებისა, ჩაბმული უნდა ყოფილიყვნენ მრავალრიცხოვანი დამხმარე მუშაკებიც, რომლებიც მეორეხარისხოვანს, ტექნიკურს,

მაგრამ დიდად შრომატევად სამუშაოს შეასრულებდნენ, და საერთოდ შრომა რაციონალურად უნდა ყოფილიყო განაწილებული. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ეს მძლავრი სახელოსნოები სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სამეფო დაწესებულებანი იქნებოდა და არა კერძო, და მათში მონური შრომაც დიდად იქნებოდა გამოყენებული — მით უმეტეს, რომ, როგორც ანტიკურ მწერალთა მონათხრობით ვიცით, იბერიის მეფეებს უხდებოდათ დიდძალი და დიდრონი, ოქროსი თუ ოქროთი შემოსილი საგნების მიძღვნა დიპლომატიური საჩუქრების სახით, მაგ., II საუკუნის მეფის ფარსმანის მიერ, რომის იმპერატორისათვის მირთმეული ოქროს სავარძელი, ოქროთი მორთული მრავალი წამოსასხამი — ეგებ სწორედ ისეთი, როგორიც არმაზისხევის ზოგ სამარხშია საგულისხმებელი, და ა. შ. [12, VIII].

დასასრულ, უნდა მოვიხსენიოთ გ. ჩუბინაშვილის დიდად მნიშვნელოვანი მოსაზრებანი, არმაზისხევის სამარხეული ძვირფასი ნივთების ანალიზის შედეგად იგი დაასკვნის, რომ ეს ნივთები ავსებენ ქართული ხელოვნების განვითარების ერთ-ერთ ეპოქას. იმდროინდელი საქართველოს მხატვრულ კულტურაში პირველი ადგილი, მისი აზრით, ეკავა იმ ნაკადს, რომელსაც ახასიათებს ოქროს ნივთები, ვერცხლის ნივთებზე გაცილებით უფრო მრავალრიცხოვანი. მათში ასახულია სრულიად თავისებური ხელოვნება, რომელიც სინამდვილის სკულპტურულ გადმოცემას კი არ მისდევს, არამედ დეკორატიულ-ორნამენტულ სახეებში პოულობს შთაგონებას. ამ უკანასკნელთ მკაფიოდ გამოხატული კოლორიტულობა ახასიათებს: ოქროს ლაპლაპა ზედაპირთან შეხამებულია ფერადი თვლების კიაფი, პასტა და მინანქარი, ცვარა და სხვ. კომპოზიციურად არსებით როლს ასრულებს გეომეტრიული ორნამენტაციის თანაზომიერება. თითქოს აქაც შესაძლო ხდება ევოლუციის მთავარი ეტაპების გაკვლევა: პატიოსანი თვლების აპლიკაცია, ინკრუსტაცია, მინანქრის საწყისი ფორმები (ტიხროვანი და ამოღრუებული). არმაზისხევის კარგად დათარიღებული აღმონაჩენების მიხედვით აუცილებლად უნდა გადაისინჯოს არსებული თეორიები ინკრუსტაციის ამ ტიპის — მინანქრის განვითარების წყაროების IV—V—VI საუკუნეებში ძიების შესახებ, ვინაიდან ამ მონაპოვრის საერთო ხასიათი ნებას გვაძლევს დავუკავშიროთ იგი საქართველოში ხელოვნების შემდგომ განვითარებას, ხოლო ამასთანავე მას ძველი ფესვები აქვს მშობლიურ მხატვრულ ტრადიციაში. *ეს ძეგლები უნდა ჩავთვალოთ იმდროინდელი საქართველოს ხალხური ხელოვნების გამოვლინებად* (ხაზი ჩვენია — გ. ლ.), ოქროსაგან გაკეთებული პირადი სამკაული მკვიდრი მოსახლეობის ფართო წრეების მხატვრულ გემოვნებას გამოხატავს, ხოლო მმართველი წრის წარმომადგენელთა გემოვნებას ამჟღავნებს არა მარტო ანტიკური ხელოვნების ნივთები, არამედ პირადი სამკაულის ცალკეული ელემენტებიც.

მეორე მხრივ კი, იმავე მეცნიერის აზრით, არმაზისხევის ერისთავთა ვერცხლეულის უმეტესობა (სუფრის ჭურჭელი და სარეცლის ნაწილები) რომაულ-ელინისტური გემოვნებისა და ოქროს სამკაულთან განსხვავებულ მხატვრულ მიმართულებას ასახავს. მათი ხასიათი ძირითადად რომაულ მხატვრულ კულტურას ეხმაურება. მაგრამ, ნამდვილად შემოტანილ ნივთებთან ერთად აქ

არის ადგილობრივი ნივთებიც, რომლებიც ნაწილობრივ პართულ ნივთებს ემსგავსება [52].

უმთავრესად სწორედ ვერცხლის (და ნაწილობრივ აგრეთვე ბრინჯაოს) ჭურჭლეულით არის წარმოდგენილი ჩვენს სამარხეულ ინვენტარში ტორევტიკა (ტაბ. XXXIV), ლითონის მხატვრული დამუშავების ნაწარმი. უნდა აღინიშნოს, რომ საერთოდ ვერცხლისა თუ ბრინჯაოს ჭურჭლეული გვხვდება ოქროს სამკაულზე გაცილებით უფრო იშვიათად მხოლოდ გამორჩეულ მდიდრულ სამარხებში: არმაზისხევის ერისთავთა განსასვენებელის ყველა სამარხში, ბაგინეთის სარკოფაგში და მცხეთის ერთ სამარხში, მცხეთის სადგურის აკლდამაში (ნატეხებიღაა), სამთავროს ორიოდე უმდიდრეს სამარხში, ბორის, ზღუდერისა, ერწოს და კლდეეთის მდიდრულ სამარხებში, თაგილონის მდიდრულ სამარხში, ხაიშის მდიდრულ სამარხში (?), ცხინვალის სამარხში, კვაშხიეთის სამარხში (აღსანიშნავია, რომ ორ უკანასკნელში ვერცხლის სევადიანი ჯამებია ნაპოვნი). ერთი შეხედვით პარადოქსულიც კი ჩანს, მაგრამ სამარხთა განსაკუთრებული სიმდიდრის ნიშნად ვერცხლის ჭურჭლის (და ბრინჯაოსიც კი) ჩატანება უფრო გამოიყურება, ვიდრე ოქროულისა — თუკი ეს უკანასკნელი ბევრი არ არის. ამ მხრივ ნიშანდობლივია ვერცხლეულის დიდი სიმრავლე და მის მიერ ოქროულის დაჩრდილვა ბაგინეთის სარკოფაგში (რომელსაც ა. აფაქიძე მეფის ასულს მიაკუთვნებს); საკმაო სიმრავლე არმაზისხევისა და ზღუდერის დიდკაცთა სამარხებში, ვერცხლისა და ბრინჯაოს საკმაო სიმრავლე ბორის სამარხებში, ვერცხლის რამდენიმე კარგი ჭურჭელი ერწოს სამარხებში და ა. შ. თითქოს ის დასკვნაც კი ისახება, რომ, გარდა შეძლებულობისა, ვერცხლის და ბრინჯაოს ჭურჭლეულის ჩატანება დაკრძალულთა დიდ უფლებრივ მდგომარეობასაც უნდა მოასწავებდეს (და ამ მხრივ რამდენადმე გარკვეული ადგილი მიენიჭება ადრე ნიჩბისში და ახლახან ხანდაკში აღმოჩენილ, ბრინჯაოსა და ვერცხლის ჭურჭელთა შემცველ სამარხებს). შესაძლოა, ეს გარემოება იმით აიხსნებოდეს, რომ ლითონის მხატვრული ჭურჭელი ძირითადად იმპორტულია (მაგ., იტალიკური ნაწარმია) [68; 94; 95] და მისი შეძენა სოციალური ზედაფენისათვის არის უმთავრესად მისაწვდომი. ამასთანავე ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ საერთოდ ძალიან ცოტა გვხვდება სამარხებში ვერცხლის სამკაული. სამთავროს საშუალო შეძლების მიცვალებულთა ინვენტარში იგი გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ოქროსი.

შემდეგ აღსანიშნავია, რომ ცხინვალისა და კვაშხიეთის, ზემორაჭის სამარხებში აღმოჩენილი ვერცხლის პინაკები ორივე შემკულია ე. წ. სევადით, რაც მცხეთის, ბორისა თუ ზღუდერის დიდკაცურ სამარხთა ვერცხლეულზე და საერთოდ არც სხვაგან არა ჩანს, მაგრამ თან კვაშხიეთური პინაკის დეკორატიული გარე წრე ზედმიწევნით ჰგავს ბერსუმა ერისთავის სამარხში აღმოჩენილი, ორი „ცხენიანი“ პინაკისას. მოსევადებული ყვავილოვანი ორნამენტი თითქოს ცხენიანი სიუჟეტის მაგივრობას ეწევა. სევადის ხელობასაც საქართველოში ძველისძველი ტრადიცია უჩანს (ზემოაღნიშნული მინანქრის მსგავსად) და, მაგ., სვანეთის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ჩვენ დრომდე იყო იგი ხალხში შემორჩენილი [96].

ლითონის მდიდრულ მხატვრულ ჭურჭელში შეიძლება გამოირჩეს ერთი, თითქოს ადგილობრივ ნაკეთები წყება: ბერსუმა ერისთავის სამარხში აღმო-

ჩენილი ვერცხლის დიდი ლანგარი, მისთვის მეფე „ფილდადესის“ მიერ ნაბოძები: იქვე. ბორში და ზღუდერში აღმოჩენილი ექვსი პინაკი, რომელთაგან ხუთზე სამსხვერპლოს წინაშე მდგარი ცხენი, ხოლო მეექვსეზე — ტახი არის გამოხატული: კვაშხიეთური და ცხინვალური პინაკები: კლდეეთში აღმოჩენილი „აზარფეშა“ ან, უფრო სწორად, ტარიანი პატერა, რომელსაც ქვისაგან გამოთლილი ცხვრის თავი უბოლოვებს ტარს და ა. შ. განსაკუთრებით ითქმის ეს „მითრაისტული“ პინაკებისა და მათი დიდად მსგავსი კვაშხიეთური პინაკის შესახებ. ამავე წყებაშია შესატანი ზღუდერს აღმოჩენილი ბრინჯაოს მცირე სამსხვერპლო, რომლის მსგავსიც ყველა „მითრაისტულ“ პინაკზე არის გამოხატული (ტაბ. VIII).

კიდევ უფრო დანამდვილებით მივიჩნევთ ადგილობრივ დამზადებულად (მით უმეტეს, რომ ერთგან თითქოს ნახევარფაბრიკატიც კი არის აღმოჩენილი) სავარძელ-ტახტებისა თუ დასაკრძალავ სარეცელთა ფეხებს — ძვლისაგან მხატვრულად, ფიგურულად გამოჩარხულსა და ზედშემოწნეული ვერცხლის გარსაკრავებით დამშვენებულს [39]. მათ ვხედავთ მხოლოდ იქ, სადაც მეფის ან ერისთავ-პიტიახშებისა თუ მათ დონეზე მდგარი დიდკაცობის ნაბუდარი და განსასვენებელია საგულვებელი: ბაგინეთში, არმაზისხევთან, ბორსა და ზღუდერში. ამიტომ მათაც პირობით მივაკუთვნებთ ამ დიდკაცების ინსიგნიათა რიცხვს. მთავარი მაინც ის არის, რომ ამ ფეხების დეკორის სახეები (სტილიზებული ფასკუნჯები, კლანჭიანი თათები, თვალნისკარტები და სხვ.) თვალნათლივ უკავშირდებიან ძველ, ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანიდან მომდინარე ჩვენებური დეკორატიული საგნებისას და აგრეთვე ურარტული ტახტებისა და სავარძლების ბრინჯაოს ფეხებს [97; 167, სურ. 29]. ამასთანავე, კერძოდ მოეძებნებათ პირდაპირი ანალოგიები ანტიკურსა თუ „სარმატულ“ ხელოვნების ძეგლებს შორის.

ასე თუ ისე, გვიანანტიკური საქართველოს საზოგადოების მაღალ წრეში საკმაოდ გავრცელებული ჩანს ვერცხლისა თუ ბრინჯაოს ჭურჭლეული, რომლის უმეტესობა შემკულია (რელიეფური, დაწნევით მიღებული, ამოღარული, ამოტვიფრული და ამოკაწრული გამოსახულებანი, ორნამენტი და სხვ.), ყველგან უმთავრესად ჯამები და პინაკებია; არის ლანგრებიც (არმაზისხევში, ურეკში), თასები თუ მომაღლო სასმისებიც (ბაგინეთში, სამთავროში, ბორში), კოვზები და ჩამჩებიც (იქვე), აზარფეშათა მსგავსი ხელსაბანები თუ ტარიანი პატერებიც: სხვადასხვა საღვინე თუ სარწყული ხელადებიც „ენოხოეთა“ ტიპისა (ნიჩბისში, არმაზისხევში, სამთავროში, ბორში, ზღუდერში, კლდეეთში, ცხინვალში, ერწოში და სხვ., და ა. შ.). საკმაოდ ხშირად ვერცხლის ლანგარ-პინაკებზე ამოკაწრული ან ამოჩხვლეტილია წარწერები, რომლებიც გვამცნობს ჭურჭელთა კუთვნილებას ამა თუ იმ დიდკაცისადმი (მაგ., „ბუზმირ პიტიახშისადმი“ — ბორში, „ღვთაებრივი არდაშირის პიტიახშისადმი“ თუ, სხვა ამოკითხვით, ქართლის პიტიახშისადმი—არმაზისხევში, „მეფის ასულისადმი“—ბაგინეთში), ან არა და, ასე ვთქვათ, მოძრაობას ერთი დიდკაციდან მეორისაკენ (მეფის ფლდადეს მიერ პიტიახშ ბერსუმასათვის ნაჩუქარი ლანგარი — არმაზისხევში). ეს გარემოებაც მოწმობს, თუ რა ძვირფასად ყოფილა მიჩნეული სასუფრე და დეკორატიული ვერცხლეული არისტოკრატიაში. ზოგი ჭურჭელი შეიძლება მართლაც პირდაპირ შემოტანილი იყოს, გარდა ვაჭართაგან შეძენისა, როგორც ძვირფასი საჩუქარი, ან რომში თუ სხვა უცხო მხარეში ყოფნის სამახსოვროდ წამო-

ღებული თუ იქ ნაბოძები ნივთი. ამას გვაფიქრებინებს არმაზისხევში ნაპოვნი ორი პინაკი, რომელთაგან ერთში ანტინოეს მედალიონია ჩაკრული, მეორეში — მამაკაცის ბიუსტი, ვერცხლისგანვე ჩამოსხმული და აგრეთვე ბაგინეთის სარკოფაგში ნაპოვნია პინაკი, რომელშიც, თითქოს სეპტიმ სევერის მედალიონია ჩაკრული. ასე რომ ერთგვარი დიპლომატიური „ჟესტებიც" კი უნდა დავინახოთ იმდროინდელი საქართველოს არისტოკრატთა შორის ამგვარი ჭურჭლის გავრცელებაში. იგივე შეიძლება ითქვას რომაულ აურეუსებზედაც, მით უმეტეს, რომ ერთი მათგანი, რომელზედაც იმპერატორის ცოლ-შვილია გამოხატული, ყუნწმირჩილული და ჩამოკიდებული უტარებია ერისთავთა ოჯახის წევრ ქალს. საერთოდ, უშუალო რომაულ-ანტიკური იმპორტი თუ ძლიერი გავლენა ყველაზე უფრო ამგვარ ჭურჭელსა და მონეტებში იგრძნობა.

დასასრულ. ლითონის ჭურჭლეულთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნოთ აგრეთვე მცხეთაში აღმოჩენილი ორი — ბრინჯაოსა და ვერცხლის სამელნე, მრგვალი, მჭიდროდ მორგებული სარქელის მქონე. ერთ მათგანს (სამთავროში ნაპოვნს) ლათინურად აწერია, რომ იგი კალპურნიუმის სახელოსნოშია გაკეთებული (ესეც რომაული იმპორტია). მეორესთან ერთად დ. მცხეთის გათხრილ სამარხში აღმოჩენილია ძვლის სტილოსი — აწინდელი კალმის წინამორბედი, — ისე რომ საერთოდ საწერ კალამთან გვაქვს საქმე. ძნელი სათქმელია, ეს შეძლებული ოჯახის იმ წევრთა (ქალთა?) სამარხებია, ვინც მუდმივ მისდევდა წერითს საქმიანობას, თუ პროფესიონალი დამწერებისა, მაგრამ თავისთავად ყურადსაღები მინიშნებაა წერის დახვეწილი ტექნიკისა.

მცირე ქანდაკება წარმოდგენილია მეტწილად ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული სხვადასხვა გამოსახულებით (ტაბ. IX). მათ შორის ყველაზე უფრო ყურადსაღები და ალბათ ადრინდელიც არის „მომღერალ-დამკვრელი ჭაბუკის" ქანდაკება, აღმოჩენილი მცხეთის სადგურის აკლდამაში, რომელიც მთელი საუკუნით უსწრებს წინ არმაზისხევ-ბაგინეთისა და ეგებ აგრეთვე სამთავროს მდიდრულ სამარხთა ძირითად ჯგუფს. ეს ქანდაკება მხოლოდ წელამდეა გამოყვანილი და შიგნიდან ღრუა, ასე რომ, რაღაც საგანზე იქნებოდა თავის დროზე წამოცმული. ჭაბუკს ხუჭუჭა თმა და არაადამიანურად წაწყვეტილ-დაგრძელებული ყურები აქვს; ხელები ისე უჭირავს, თითქოს სალამურს უკრავსო, ხოლო პირი ისე გაუღია, თითქოს მღერისო. ეს ქანდაკება ჩამოსხმის ტექნიკის მხრივაც საინტერესო გამოდგა (აქა-იქ „საკერებლები" აქვს დადებული). იგი ჯერ კიდევ არაა ჯეროვნად შესწავლილი, მაგრამ მისი მიკუთვნება ანტიკური დიონისური კულტისადმი სავსებით დასაშვები ჩანს.

ბრინჯაოს სხმულ ქანდაკებათა ყურადსაღებ წყებას უნდა მიეკუთვნოს ის მცირე სამსხვერპლო, რომელიც ზღუდერშია აღმოჩენილი ცხენიან და ტახიან ვერცხლის პინაკებთან ერთად და ზოგადად იმგვარივეა, როგორიც ამ უკანასკნელებზე გამოხატული (ფიჭვის კოკოლით დაგვირგვინებული).

ბრინჯაოს მრავალრიცხოვანი და ხშირად ნამდვილად მხატვრული მცირე ქანდაკებანი — ცხოველთა გამოსახულებანი მოგვცა კლდეეთის მდიდრულმა სამარხებმა, რომლებიც არსებითად II საუკუნეს მიეკუთვნება (ტაბ. X). ხაზგასასმელია, რომ ამ თვალსაზრისით მცხეთის სამარხები თითქმის „ცარიელია", ხოლო არმაზისხევში ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენს ოქროს პაწია კოხტა ტახი (ავგაროზი); აქ ამგვარი გამოსახულებანი გაცილებით უფრო ძველ

სამარხებს ახასიათებს. ამ მხრივ კლდეეთის ინვენტარი დიდ თავისებურებას იჩენს და მას ისევ რაჭისა და სამხრეთ ოსეთის ზოგიერთი სამარხი თუ ეხმაურება. ჩვენ ეს მიგვაჩნია ერთ-ერთ ნიშნად იმისა, რომ კლდეეთში დაკრძალული დიდკაცების წრე არ ეკუთვნის მთლად უმაღლეს ფენას (მიუხედავად იმისა, რომ იქაურ ინვენტარს ბევრი რამ უჩანს საერთო არმაზისხევ-ბაგინეთ-ბორი-ზღუდერის მდიდრულ ინვენტართან) და თავისი გემოვნებითა და ნივთიერი ატრიბუტებით უფრო ახლო დგას ხალხურ წრეებთან,რომლებშიც ცოცხლობს და უცხოური ნაკადით არაა დახშული თუ წალეკილი ძველი, საკუთარი წარმართული კულტების — დაკრძალვის თუ სხვა რიტუალთა ნიადაგზე აღმოცენებული მცირე ხელოვნება. კლდეეთის აღნიშნული ქანდაკებანი თითქმის ყველანი საკიდებს წარმოადგენენ. მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩევა: სკუპისათვის გამზადებული არჩვი თუ შველი: ჯიხვისა თუ თხის თავ-რქები; ძაღლი, რომელსაც პირში თითქოს ლეკვი უპირავს; ცხვარი; ცხენოსანი (სარტყლის ბალთა). უნდა აღინიშნოს აგრეთვე გორში ნაპოვნი ბრინჯაოს პატარა ხარის გამოსახულება (მშვილდსაკინძი), წითელი და ლურჯი მინანქრით დამშვენებული, და სამხრეთ ოსეთის სოფ. სოხთაში ნაპოვნი მინანქრიანი მშვილდსაკინძი, რომელიც ცხენთევზას გამოხატავს, თუმცა ზოგი ამათგანის ადგილობრიობა საეჭვოც ჩანს.

ლითონის აღნიშნული ქანდაკებანი მცირე ხელოვნების ნაწარმოებთა ერთი იმ ჯგუფთაგანია, რომელნიც უშუალოდ ჩამომავლობენ არქაული ქართული ლითონის პლასტიკიდან, მრავალრიცხოვანი და საინტერესო ნიმუშებით რომაა წარმოდგენილი ჯერ კიდევ შუაბრინჯაოს ხანაში (თრიალეთის ყორღანში ნაპოვნი ოქროს ცხოველის ქანდაკება და სხვ.), შემდეგ — გვიანი ბრინჯაოს ხანაში (ლების, სამთავროს, იმავე თრიალეთის, სამხრეთ ოსეთის, და სხვ. ცხოველთა ქანდაკებანი, ბრინჯაოსი), შემდეგ — ადრეული რკინის, უფრო ზუსტად, უკვე ადრეანტიკურ ხანაში (ახალგორის ოქროს ცხენები, სამთავროს ჯიქი და ჯიხვი და სხვ.). აქ მხოლოდ მორიგი საფეხური უნდა დავინახოთ ამ ძველი და თავისთავადი ხელოვნების განვითარებისა და არა ანტიკური ქვეყნებიდან შემოჭრილი თუ ნასესხები რამ.

ბრინჯაოსაგან ჩამოსხმულ ცხოველების გამოსახულებათა შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ ე. წ. „ბრინჯაოს ქართულ უძველეს ბალთებს", რომლებიც მრავლად მოიძია ლების ექსპედიციამ ბრილის სამაროვნის ზედა, ძვ. III — ახ. წ. III საუკუნეთა კუთვნილი ფენის სამარხებში. ეს ბალთები კარგა ხანს ითვლებოდა უცხოურ ნაწარმად, მაგრამ ახლა უკვე ძირითადად ანტიკური საქართველოს კუთვნილებად უნდა ჩაითვალოს და აქ მათი წარმოება ნახევარზე მეტი ათასწლეულის მანძილზე უნდა ვიგულისხმოთ. ბალთები წარმოადგენს მტკიცედ ჩამოყალიბებულ ერთ ტიპს, რომელშიც გამოირჩევა განვითარების 4 საფეხური, თანმხლები არქეოლოგიური მასალით სათანადოდ დათარიღებული და თვით გამოსახულებათა რაგვარობის მიხედვით განსხვავებული. ბალთები ჩამოსხმულია ცვილის მოდელებით და ამიტომ ორი ზედმიწევნით ერთგვარი არ მოიპოვება. ისინი მეტ-ნაკლებ კვადრატულია, ჭვირული ლამაზი წნული არშიით დამშვენებული. შუაში სხვადასხვა ცხოველებია, ცალმხრივი, ძლიერ ამობურცული რელიეფით გამოსახული. ცხოველთა გამოცნობა ყოველთვის ვერც ხერხდება. მთავარი ადგილი უკავია ირემს, ცხენს ან ხარს, მათ ზურგზე ძაღლი, ხარი ან ფრინველი აზის, ხოლო ფეხებს შორის თი-

თქოს ძუძუს მწოველი კვიცი, ნუკრი, ძაღლი ან სხვა რამ ცხოველია, არის სხვაგვარი კომპოზიციებიც. ამ გამოსახულებათა აზრი და შინაარსი ჯერ არაა საბოლოოდ ახსნილი, მაგრამ აშკარაა, რომ ისინი მათი შემქმნელების სულიერი კულტურის დიდად საინტერესო მომენტებს ფენენ სინათლეს [11, 106—107; 18]. მთა რაჭა ამ ბალთების ჩვენში გავრცელების ძირითადი ბუდე ჩანს, მაგრამ ისინი გვხვდება აგრეთვე რაჭის სხვა ადგილებში, იმერეთში (ერთი კლდეეთშიცაა შემთხვევით ნაპოვნი), ჯავახეთში, თრიალეთში. კლდეეთის ზემოაღნიშნულ სამარხში აღმოჩენილი, ცხენოსანის გამოსახულება, მართალია, სწორკუთხოვან ჩარჩოში არა ზის, მაგრამ ბევრი რამით მოგვაგონებს ამ ბალთებს და ეს მით უფრო ყურადსაღებია, რომ ბალთების უახლესი ჯგუფი სწორედ ცხენის გამოსახულებით ხასიათდება [22]. არანაკლებ საყურადღებოა ურბნისის ექსპედიციის მიერ 1954 წელს მოპოვებული ერთი ანტეფიქსური კრამიტი, რომელიც გვიანანტიკურ ხანას უნდა ეკუთვნოდეს და რომელზედაც რელიეფურად გამოხატულია ბრინჯაოს ბალთების დიდად მსგავსი (ოღონდ სულ სხვახერხით გამოყვანილი) კომპოზიცია: ირემი, რომელსაც ერთი ნუკრი ზურგზე აზის, ხოლო მეორე ფეხებქვეშ შესდგომია და თითქოს ძუძუსა სწოვს. ეს გარემოება კიდევ უფრო ადასტურებს მოსაზრებას აღნიშნულ გამოსახულებათა ჩვენებურობისა და იმ დროის საქართველოში ფართოდ გავრცელებულობის შესახებ [28, 107—108].

ამგვარი ხელოვნების, ძვირფასი ლითონის პლასტიკის პირველხარისხოვანი ნაწარმოებია — ისევე როგორც არმაზისხევური „ტახი“ — ოქროს ირმისთავი, რომელიც თაგილონში აღმოჩნდა [8]. დიდი თავისებურებითა და ნამუშევრის სირთულით გამოირჩევა ხაიშის „სახლი“, რომელიც ზემოთ დავახასიათეთ.

მცირერიცხოვანი, მაგრამ საინტერესო ნიმუშებით არის წარმოდგენილი ქ ვ ი ს  ქ ა ნ დ ა კ ე ბ ა ც. ამ ჯგუფს მივაკუთვნებთ, უპირველეს ყოვლისა, არმაზისხევის II ს. ქალის სამარხში აღმოჩენილ, ცნობილი ოქროსძეწკვებიანი ყელსაბამის კოლოფის სარქველში ჩასმულს, მუქი ლურჯი ამეთვისტოსაგან ზედმიწევნით ფაქიზად გამოთლილ ვერძისთავს და ქვიშაქვისაგან არანაკლებ ფაქიზად გამოთლილ ვერძისთავს, რომელიც კლდეეთში აღმოჩენილ ბრინჯაოს „აზარფეშის“ ტარის ბოლოშია ჩასმული. ერთიცა და მეორეც მცირე ქანდაკების შესანიშნავ ნაწარმოებად უნდა ჩაითვალოს. სხვათა შორის დავძენთ, რომ სკულპტურულმა სიზუსტემ ბიძგი მისცა ძველი ქართული მეცხვარეობის ერთ-ერთ მკვლევარს, ორივე გამოსახულებაში ადგილობრივი ჯიში გამოეცნო და ამით აღნიშნულ გამოსახულებათა და მათ შემცველ საგანთა ადგილობრიობა კიდევ უფრო მიენიშნებინა [99, 63—70].

არმაზისხევმა მოგვცა აგრეთვე სამი ნატეხი საუკეთესო ხარისხის თეთრი მარმარილოს ქანდაკებებისა, რომლებიც აღმოჩენილია ზემოგანხილული სასახლის ნაგებობის ნანგრევთა თხრისას. ისინი ეკუთვნიან სხვადასხვა საშუალო ზომისა თუ მომცრო სტატუებს, რომლებიც თითქოს ქალის ან ბავშვის ფიგურებს გამოხატავდა. პოზისა თუ სიუჟეტის, ან გამოსახულთა ვინაობის შესახებ ვერას ვიტყვით, ვინაიდან ამ თვალსაზრისით ფრიად უსახური ნატურებია. მით უფრო არაფერი ითქმის ქანდაკებათა სადაურობის შესახებ. ზოგი რამ კი მაინც ცხადია: ჩვენ ხელთაა პირველხარისხოვანი ოსტატის თუ ოსტატების ნამუშევართა ნაშთები. ეს არის ქვის ფაქიზად ნაკეთები, ადამიანის (თუ ღვთაე-

ბის) გამომხატველი, მრგვალი ქანდაკების ჯერჯერობით უძველესი ნიმუშები საქართველოში: სტატუეტები ამშვენებდნენ ერისთავთა სასახლეს და, მაშასადამე, კიდევ ერთხელ აჩვენებენ სასახლის პატრონთა ფაქიზ კულტურულ-მხატვრულ გემოვნებას [100].

მინის ჭურჭელი (ტაბ. XI) სწორედ I საუკუნიდან იქცევა ჩვენში სამარხეული ინვენტარის ერთ-ერთ არსებით და თითქმის აუცილებელ ნაწილად. დიდი ნაწილი საგანგებოდ დაკრძალვის რიტუალისათვის განკუთვნილი თუ არა, მასთან მჭიდროდ დაკავშირებული მაინცა ჩანს. ეს არის სხვადასხვა ზომის სანელსაცხებლეები ანუ „ბალზამაირები" თუ „ლაკრიმარიები", რომლებშიც სურნელოვან სითხეს ასხამდნენ და ისე ატანდნენ მათ სამარხში. ამ ჭურჭლებს, მეტწილად, მაღალი ყელისა და დაბალი მსხლისებრი ტანის მქონე „ბოთლების" მოყვანილობა აქვთ. დამახასიათებელია აგრეთვე სხვადასხვა მოყვანილობის ფიგურული სანელსაცხებლები, რომლებიც ყალიბით არიან ჩამოსხმული. არის დიდრონი (1 ლიტრი და მეტი), პრიზმული ტანის მქონე, ყელდაბალი და ყურიანი ჭურჭლებიც (გამოთქმულია მოსაზრება, რომ ისინი საწყაოებს წარმოადგენენ): „გრაფინისებრიც" (მუცელმრგვალი და ორყურაც); ძალზე დაბრტყელებული ტანისა და მაღალი ყელის მქონე ჭურჭლებიც და სხვ. აღსანიშნავია სხვადასხვაგვარი სასმისები, რომლებიც იმ ხანაში მინის ჭურჭლის ერთ-ერთ საყურადღებო და მრავალრიცხოვან ჯგუფს შეადგენენ. თითო-ოროლა განსაკუთრებით მოხდენილი და ფაქიზი, თავისებური მოყვანილობის ჭურჭელიც (მაგ., სურისა თუ ხელადის მსგავსი) გამოერევა — სახელდობრ, სამთავროს სამარხებში. ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ საერთოდ მინის ჭურჭლის საუკეთესო ნიმუშებს საქართველოში ჯერჯერობით სამთავროს სამაროვანი იძლევა და, ყოველ შემთხვევაში, არც არმაზისხევში და არც ბაგინეთში, არ აღმოჩენილა მათთვის გასატოლებელი ნიმუშები. საკითხია, რა არის ამის მიზეზი: ის, რომ სამთავროში გაცილებით მეტი სამარხია გათხრილი და, მაშასადამე, „არჩევანიც" მეტი გვაქვს, თუ ის, რომ უმდიდრეს სამარხთა ინვენტარში უმთავრესია ვერცხლის ჭურჭელი და მინას ისეთი მნიშვნელობა აღარ ენიჭება?

საკმაოდ ნაირ-ნაირია მინის ფერიც (მომწვანო-თეთრი, მოცისფრო, იისფერი, ვარდისფერი, ყვითელი, მოწითალო-წაბლისფერი და სხვ.). ცალკე აღსანიშნავია მაღალხარისხოვანი მუქი ლურჯი მინის რამდენიმე თეფში და ლამბაქი (მცხეთის სადგურის აკლდამაში) და თეთრი მინის, გარედან ნახეხი, ფოსოებით შემკული სასმისები (იქვე, კლდეეთსა და ურბნისში), ორივე საქართველოსათვის ფრიად იშვიათი.

მცხეთისა და მისი მიდამოების გარდა, I—III სს. სამარხები მინის ჭურჭელს შეიცავს აგრეთვე: ბორში, კლდეეთში, ურეკში, ურბნისში, გორში, ერწოში, ზღუდერსა და სხვ.

ამ მინის ჭურჭლის მნიშვნელოვანი ნაწილი იმპორტული ჩანს — თუ ნივთიერად და სითითაოდ არა, ეგებ მათი პირვანდელი ნიმუშები მაინც. მაგრამ საერთოდ კი ეს ჭურჭლეული იმდენი და ისე მრავალფეროვანია, რომ სავსებით მართებულად ისმის საკითხი: ვთქვათ, I საუკუნეში ჯერ კიდევ უცხოეთიდან ეზიდებოდნენ; მრავლად მოეპოვება მას პარალელები შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროზედაც და რომის აღმოსავლეთსა თუ დასავლეთ პროვინციებში,

ბოსფორის სამეფოდან ჰოლანდიამდე და ეგვიპტემდე. მაგრამ მერე და მერე აქვე ხომ არ უნდა დაეწყოთ მინის ჭურჭლის გამობერვა, მეტწილად უცხოური ფორმების მიბაძვით, ხოლო, ხანდახან უკვე საკუთარი ფორმებისაც (მაგ., ზოგიერთი დიდად თავისებური ჭურჭელი არმაზისხევის სამარხებში)? მით უმეტეს, რომ მინის ჭურჭლის შორს ზიდვა არ იქნებოდა ადვილი და ხელსაყრელი საქმე. ამ ვარაუდს მხარს უჭერს სამთავროს 84-ე ორმოსამარხში წუნდებული სანელსაცხებლის აღმოჩენის ფაქტი: ცხადია, რომ დაბრეცილ ჭურჭელს უცხოეთიდან არ შემოიტანდნენ. საგრძნობლად აძლიერებს აღნიშნულ ვარაუდს ურბნისის ექსპედიციის მიერ 1954 წელს ნაქალაქარის გვიანანტიკურ ფენაში (რომელიც იმ დროისათვის ტიპიური მინის ჭურჭლის ნამტვრევებსაც შეიცავს) მინის ორი უფორმო ზოდის აღმოჩენა რაც თითქოს მინის ღღობასა და, მაშასადამე, წარმოებას უნდა მიგვითითებდეს, მით უმეტეს, რომ მას შემდგომ იქაურმა გვიანანტიკურმა სამაროვანმაც მინის მრავალრიცხოვანი, ნაირ-ნაირი და თავისებური ჭურჭლეული მოგვცა [28: 101]. რაც შეეხება მცხეთას, აქ, როგორც ცნობილია, IV საუკუნიდან თანდათან ჩნდება მინის ჭურჭლის სულ სხვა, ადგილობრივი ფორმები და მაშინ კიდევ უფრო სანდო ხდება მოსაზრება საკუთარი წარმოების არსებობის შესახებ.

მ ჭ ე დ ლ ო ბ ა-ზ ე ი ნ კ ლ ო ბ ი ს (ტაბ. XII) ნაწარმი სამარხებში და მათ ინვენტარში საკმაოდ მრავლადაა წარმოდგენილი. სახელდობრ, ხელთა გვაქვს: სამარხის შემადგენელ ფილაქვათა ერთიმეორეზე გადამბმელი, რკინის კუთხოვანი სამაგრები, რომელთაც ბოლოები ჩვეულებრივ ტყვიითა აქვთ ჩადუღებული სათანადო ფოსოებში (არმაზისხევი, სამთავრო, ბაგინეთი); რკინის სასანთლეები, რომლებიც ზოგჯერ ჯაჭვითა და კაუჭით იკიდებოდა ქვისსამარხში (სამთავრო), ზოგჯერ კი პირდაპირ იდებოდა შიგ, ან გვერდით (დ. მცხეთა, არმაზისხევი); რკინის ცული (არმაზისხევში); თითო-ოროლა საზეიმო სატევრისპირი (არმაზისხევი) და საკმაოდ მრავალრიცხოვანი დანისპირები რკინისა (იქვე, სამთავრო და სხვ.); რკინის მახვილები, სატევრები, შუბისპირები და ისრისპირები (ავჭალა, კლდეეთი, ძევრი, წებელდა); რკინის სასხლავები და სხვა სამეურნეო დანები, ცელისებრი (კლდეეთი); რკინისა და ბრინჯაოს ჯაჭვის პერანგები (თაგილონი, კლდეეთი); ბრინჯაოს რაზაკები, კლიტე-გასაღებები (ტიპიური ანტიკური) და თავფართო ლურსმნები (მცხეთის სადგურის აკლდამა, კლდეეთი); რკინის სალტეები, ფიცრის სარკოფაგის თუ სარეცლის გარშემოსაკრავი (მცხეთის სადგურის აკლდამა) და სხვ. ცალკე უნდა აღინიშნოს ბრინჯაოსგან ჩამოსხმული დიდრონი, რთული ლახტისთავები (ერთი ბორში და ერთიც კლდეეთში). ლახტს აქაც სიმბოლური მნიშვნელობა უჩანს და მხედართმთავრის ემბლემა უნდა იყოს — ისევე, როგორც, მაგ., ბრინჯაოს ხანის სამარხებში (სამთავრო, ტყვიავი, თრიალეთი). ასე რომ, კიდევ ერთ ძველისძველ ტრადიციასთან გვაქვს საქმე, რომელიც მრავალ ქვეყანაში ფეოდალიზმის ხანაშიც გადმოვიდა.

იარაღ-საჭურველის ნიმუშთა დიდი უმეტესობა დასავლეთ საქართველოს სამაროვნებიდან მომდინარეობს (კლდეეთი, წებელდა), ხოლო აღმოსავლეთში და კერძოდ მცხეთაში მას უფრო იშვიათად ატანენ (არმაზისხევი, ავჭალა, ანანურის ციხისძირი). მაგრამ რაცა გვაქვს, საუკეთესო ნახელავია და ტიპოლოგიურადაც საკმაოდ მრავალფეროვანი. ამ მხრივ ყურადსაღებ მასალას გვაწვ-

დის, მაგ., კლდეეთში აღმოჩენილი ხელსაწყო-იარაღების (შუბისპირების, სატევრისპირის, ნაირ-ნაირი დანების, ცულისა და ლაგმის) მეტალოგრაფიული კვლევა: უმეტესობა გამოჭედილი ყოფილა რბილი, მცირენახშირბადიან ფოლადისაგან, ხოლო ზოგიერთი მაგარისაგან; ყველა ცხლად ყოფილა ნაკეთი, ხოლო ზოგი — ასევე ნაწრთობიც, ცემენტაციაქმნილიცა და გახვრეტილიც. გამოყენებულია საგანგებო სამარჯვები და საერთოდ ყველა საგანი ისტატურად არის ნაკეთები. ქიმიური შედგენილობით ისინი იმდენად მსგავსია, რომ ყველა დამზადებული უნდა იყოს ერთისა და იმავე თუ არა, ერთგვარი მადნისაგან მაინც.

შემდეგ, დიდებულ შენობათა შემმოსავი და მხატვრულად დამუშავებული სამკაულის ქვებისა და აკლდამა-სარკოფაგების ქვების მიხედვით შეგვიძლია წარმოვიდგინოთ უხვად დიფერენცირებული და მარჯვედ მოსახმარისი რკინის ხელსაწყოები: ქვის გასახვრეტი, ამოსაღრუებელი, გამოსაკოდავი და სხვ. იგივე ითქმის საოქრომჭედლო ხელსაწყოების, ჩარხებისა და დაზგების შესახებ.

ლითონდამუშავების განსაკუთრებით რთული და თან ფაქიზი დარგის ნაყოფია ვერცხლისა თუ ბრინჯაოს მხატვრული ჭურჭლეული, რომელიც შეიძლება ჩვენებურ ნაწარმად ჩაითვალოს, და მით უმეტეს — ვერცხლით შემოსილი ფეხები ტახტებისა, სავარძლებისა თუ დასაკრძალავი სარეცლებისა, რომელთა შესახებ უკვე გვქონდა საუბარი.

საერთოდ, როგორც ძვირფასი ლითონების, ისე სპილენძ-ბრინჯაოსა და რკინის მეტალურგიასა თუ მჭედლობას ისეთი მრავალსაუკუნოვანი და ათასწლოვანი ტრადიციები აქვთ განვლილი ჩვენში იმ დროისათვის, რომ არც უნდა იყოს მოულოდნელი, თუ ყოველივე ზემორე ჩამოთვლილი საუკეთესოდ დაახასიათებს მათ შემქმნელ ოსტატ ხელოსნებს. ამ მხრივ სრულიად არ წამოიჭრება შემოტანა-იმპორტის საკითხი. უპირველეს ყოვლისა, კანონზომიერია მესაჭურვლეობის დაწინაურება. კერძოდ, მცხეთაში, როგორც ბოლოდროინდელმა თხრამ გამოარკვია, ადრევეც და ამ ხანაშიც გაცხოველებით უმუშავნიათ ლითონის გამომდნობელ-გამომჭედელ საწარმოებს.

ეს წარმოება უნდა ყოფილიყო მცხეთისა და მისი სამეფოს ეკონომიური თუ სამხედრო სიმძლავრის ერთი მკვიდრი საფუძველი. მცხეთის საწარმოო გარეუბანი — სარკინეთად წოდებული, დროთა ვითარებაში ცალკე საწარმოო ქალაქად ქცეულა („ქალაქი სარკინე“).

საკუთრივ მეტალურგიული წარმოების ნაშთები და აგრეთვე სამთო გამონამუშევრები ბოლო დროს მრავლად გამოავლინა და შეისწავლა ჩვენმა არქეოლოგიამ (უმთავრესად რკინისა) [102], აგრეთვე სპილენძისა და ზოგიერთი სხვა მისადნობელი ლითონისაც [103], ოღონდ საკვლევი ხანისა ჯერ არც ერთი არა გვაქვს ამ ძეგლებს შორის; არის ბევრად უფრო ძველიცა და მერმინდელიც, მაგრამ მათი შესწავლა და ამით ევოლუციის გეზის გარკვევა სრულ უფლებას გვაძლევს, იმ დროსაც სავსებით მაღალი დონე და ზოგიერთი ადგილობრივი პროგრესული თავისებურება ვიგულისხმოთ [102].

კ ე რ ა მ ი კ უ ლ ი  ნ ა წ ა რ მ ი (ტაბ. XIII). თიხისაგან გამომწვარი ჭურჭლეული თითქმის მუდმივი შემადგენელი ნაწილია სამარხეული ინვენტარისა და ამ მხრივ გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ: სამთავროსა და თვით მცხეთის თითო-ოროლა უმდიდრესი სამარხი; არმაზისხევის ერისთავთა განსასვენებლის

სამარხები (გარდა ბავშვის სამარხისა, რომელშიც აღმოჩნდა უსწორმასწოროდ მოჭიქული თიხის ორყურა ყელვიწრო ქილა); ბაგინეთის სარკოფაგი; ზღუდერის სამარხები; ერწოს მდიდრული სამარხები. ამ სამარხებში თიხისას ენაცვლება ვერცხლის, ბრინჯაოსა და მინის ჭურჭლეული. სამაგიეროდ, მდიდრულ სამარხთა შორის გამონაკლისს წარმოადგენს მცხეთის სადგურის აკლდამა, რომელშიც მინის ნაირ-ნაირ ჭურჭელთან ერთად ბლომადაა თიხის ჯამები (მსგავსი თრიალეთის ზოგიერთ, „რომაული ეპოქის" ქვისსამარხში აღმოჩენილი ჯამებისა) და ორიც ლამბაქური ჭრაქია. ოღონდ ეს, ისევე როგორც იმ აკლდამის ზოგი სხვა თავისებურება, შეიძლება მისი შედარებითი სიძველითაც აიხსნას. ეტყობა, ვერცხლეული უფრო II საუკუნიდან ვრცელდება ფართოდ იბერია-ქართლის დიდკაცობაში. ვერცხლის, ბრინჯაოს, მინისა და თიხის ჭურჭლის თანაარსებობა შეგვიძლია აღვნიშნოთ, მდიდრულ ინვენტართან ერთად, კლდეეთის სამარხებში, სადაც კერამიკა მეტ წილ შავად არის გამომწვარი; ბორში მრავლად აღმოჩენილი, მარტივი და იმ დროისათვის ტიპიური კერამიკა წითელიცა და შავიც საკმაოდ ტლანქია.

მცხეთისა და საერთოდ აღმოსავლეთ საქართველოს იმდროინდელ სამარხებში კერამიკა თითქმის ყოველთვის წითლად გამომწვარი და ზოგჯერ წითლადვე შეღებილი გვაქვს, დასავლეთში კი უფრო შავია ხოლმე. ჩვეულებრივ, სამარხებში გვხვდება (1—3 ან მეტი, უფრო კი 2) მომცრო, ჩანს, რიტუალური დანიშნულების ჭურჭელი: ყელწიბოიანი ხელადა, ყურიანი კოჭობი,ქუსლიანი ან უქუსლო ჯამუკა, ფეხიანი ფიალა და სხვ. ჭურჭელი საერთოდ მარტივია და შემკულობა მხოლოდ იმაში გამოიხატება, რომ მუცელს ირგვლივ შემოუყვება შიგნიდან გამობურცული კოპების, ან ალმაცერი ჭდეების წრე, რაც ახასიათებს იმდროინდელ აღმოსავლურ-ქართულ კერამიკას მხოლოდ. დასავლეთში მეორდება ზოგიერთი ზემოთ ჩამოთვლილი სახეობა სამარხეული ჭურჭლისა, ოღონდ აღნიშნული (ჩანს, რაღაც საკულტო სემანტიკის მქონე) სამკაულის გარეშე, ჭარბობს შავად გამომწვარი თიხა. იქ აღსანიშნავია კლდეეთის თავისებური, ორმაგმუცლიანი და ერთყელიანი ხელადა და წებელდის სამაროვანთა კერამიკაში გამორეული თავისებური, ადგილობრივი ფორმები, რომ აღარა ითქვას რა კრემაციის ნაშთების დასაფლავად გამოყენებულ, აგრეთვე თავისებური მოყვანილობის დერგებსა და მათ სარქველებად გამოყენებული ჯამების შესახებ.

სამარხეული კერამიკა აქ ვერ შეგვიქმნის ისე სრულ წარმოდგენას ყოველდღიურ ყოფაში მოსახმარი თიხის ჯამ-ჭურჭელზე, როგორსაც გვიქმნიდა ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანის მრავალრიცხოვანი შავლეგა კერამიკა, რომელშიც ყველანაირი სახეობა შედის, საწველელ-სადღვებელთა ჩათვლით. ანტიკური ხანის კვალობაზე დახვეწილ დაკრძალვის წესს ეს ყოვლისმომცველობა აღუკვეთია. აქედან გამომდინარე დანაკლისი ნაწილობრივ მაინც უნდა შეგვევსოს იმდროინდელ ნამოსახლართა (არმაზისხევთან, ბაგინეთში, ურბნისში, ბიჭვინტაში და სხვ.) კულტურულ ფენებში მოკრებილმა ნამტვრევებმა, რომელთა შესწავლა მხოლოდ დაიწყო [104]. კერძოდ, დიდი ყურადღების ღირსია ურბნისის ნაქალაქარში თავმოყრილი, კარგი ხარისხის, მაგარი და ლაპლაპა შავი თუ წითელი ჯამები.

მიუხედავად ამისა, ჩვენს ხელთ მყოფი მასალის დიდი უმეტესობა მაინც

გვანიშნებს ჩვეულებრივი თიხის ჭურჭლის მხატვრული და ზოგჯერ აგრეთვე ტექნოლოგიური ღირსებისათვის ზრუნვის ერთგვარ მოდუნებას: ძვ. წ. II—I ათასწლეულთა შავლეგა, პრიალა კერამიკასთან შედარებით, გვიანანტიკური დროის კერამიკა — სამარხეულიცა და ნამოსახლარევიც — გაცილებით უფრო ნაკლებ მიმზიდველი, ერთფეროვანი ჩანს. ის ძველი, მხატვრულად მოხდენილი და მრავალფეროვანი ფორმები, თვალისათვის საამური ზედაპირი და ხშირი გეომეტრიული ორნამენტი (ამოღარული ან დანაძერწი) სადღაც გამქრალა. გაზვიადებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ნივთიერი კულტურის თითქმის ყველა დარგში თვალნათლივი წინსვლისა და დახვეწის მხარდამხარ, კერამიკული წარმოება ჩვენში ანტიკური ხანის განმავლობაში რეგრესს თუ არა, მხატვრულ გაღარიბებას მაინც განიცდის. ამის ერთ-ერთი მიზეზი ეგებ ისიც იყოს, რომ, როგორც დავინახეთ, იმ დროს ყოფითს სარბიელზე მრავლად გამოდის ვერცხლის, ბრინჯაოსა და მინის ჭურჭელი და თიხისას კი ეკარგება უწინდელი მნიშვნელობა საზოგადოების ზედა, ხელგაშლით შემძენი ფენებისათვის, ე. ი. შემდგომი განვითარებისა და დახვეწის სტიმული. ეტყობა, ეს ფენები მხოლოდ მოჭიქულ კერამიკას ექცევიან „პატივისცემით" და იგი მათთვის თითქოს ახალი ხილია, ისე რომ სამარხში ნამდვილად წუნდებული ჭურჭლის ჩატანებასაც კი არ უკადრისობენ (არმაზისხევი). ნამდვილად კი, ჩვენ, ყველა დროის არქეოლოგიური მასალების მქონეთ, სრული უფლება გვაქვს განვაცხადოთ, რომ აქ იბერია-ქართლში ჯერ კიდევ წინარეანტიკური ხანის მიწურულში ძალიან მაღალ დონეზე ყოფილა მოჭიქული კერამიკის წარმოება (ცხრა შესანიშნავი ჭურჭელი სამთავროსა და ერთიც თრიალეთის სამარხებში). შემდეგ ეტყობა, მიმკვდარა და გვიანანტიკურ ხანაში განახლებულა, თუმცა ნამდვილი აღორძინება და თვისობრივ ახალი გაფურჩქვნა მხოლოდ ფეოდალურ ხანაში ჰრგებია. ამ შუალედში, საკმაოდ დაბალ დონეზე მდგარი რგოლის კუთვნილი ნიმუშები, გარდა არმაზისხევის ბავშვის მდიდრული სამარხისა, გვაქვს, როგორც ვიცით, სამთავროში და დ. მცხეთაში (ორი), მეხუთეც თრიალეთის სამარხშია ნაპოვნი: სხვანაირი, მსხლისებრ მოყვანილი, ცალყურა და ცისფრად მოჭიქული ხელადა, რომელშიც მძივები და ავგუსტეს დენარი ეყარა.

საკვლევ ხანაში ლითონისა და მინის ჭურჭლის მოზღვავებას, გარდა ზემორე უკვე აღნიშნული კერამიკის გამდარებისა, უნდა მივაწეროთ ის გარემოება, რომ გვხვდება ნამდვილად მათი მიბაძვით ნაკეთები თიხის ჭურჭელიც. ამის მკაფიო მაგალითებია: ყელ-ყურმაღალი ხელადა (რომელზედაც გველის აპოტროპეული გამოსახულებაა დაძერწილი), ნაპოვნი არმაზისხევის ერისთავთა განსასვენებლის ახლოს აღმოჩენილ ღარიბულ („ერისთავთა მოახლის") სამარხში (ბერსუმასა და ბავშვის სამარხებში აღმოჩენილ, ო ქ რ ო ს საყურეთა ზედმიწევნით მსგავსი ბ რ ი ნ ჯ ა ო ს საყურეთა თანხლებით) და საკმაო ზედმიწევნილობით მსგავსი ვერცხლის საღვინე-ენოხოებისა; მცხეთაში 1951 წელს შემთხვევით აღმოჩენილ სამარხში ნაპოვნი წითელპრიალა ჭურჭელი, მსგავსი მინის მცირე ბოთლისებრი სანელსაცხებლებისა.

ამრიგად შეიძლება დახასიათდეს ჩვენს ზოგად მიმოხილვაში, სადღეისოდ ცნობილი მასალების მიხედვით, გვიანანტიკური დროის ქართული ქვეყნების ხელოსნური წარმოება და მისი ნაწარმი, როგორც ნივთიერი და მხატვრული კულტურის ძეგლები.

* * *

ლითონის ფული — ოქროსა და ვერცხლის მ ო ნ ე ტ ე ბ ი ყველაზე უფრო მრავლად ჩვენში სწორედ იმდროინდელ სამარხთა ინვენტარშია წარმოდგენილი და ორიოდე სიტყვა მათ შესახებაც უნდა ითქვას.

ვერცხლის ფულის დიდი უმეტესობა რომაული დენარები (უმთავრესად ავგუსტესი, ძვ. წ. I — ახ. წ. I სს.) და პართული დრაქმებია (უმთავრესად გოტარზესი, ახ. წ. I ს.). შეიძლება ითქვას, რომ ისინი მასობრივაა გავრცელებული სამარხებში, თუნდაც ამ უკანასკნელებში II და III საუკუნეთა მონეტები თუ სხვა ნივთები ახლდეს თან მათ. ამ მხრივ განსაკუთრებით ნიშანდობლივია ცხინვალში 1940 წ. შემთხვევით აღმოჩენილი ქვისსამარხი, სადაც ერთიცა და მეორეც თან ახლდა ოქროს ფულს, რომელიც ადგილობრივ, ე. ი. ეგებ სულაც კარგა ხნის დაგვიანებით არის მოჭრილი, ჩანს, III საუკუნეში, ნუმერიანუსის (283—284 წწ.) აურეუსის მიბაძვით — მით უმეტეს, რომ მისი ზედმიწევნით მსგავსი და თითქოს იმავე სისქით მოჭრილი მინაბაძი კონსტანტინეს სოლიდთან ერთად აღმოჩნდა აღაიანის თიხის სარკოფაგში, რომელიც ამის გამო IV ს-ით თარიღდება [105,86—90].

დ. კაპანაძის მიერ გამოთქმულია სავსებით გასაზიარებელი მოსაზრება, რომ თუ თავდაპირველად ავგუსტეს დენართა და გოტარზეს დრაქმათა ორიგინალები ტრიალებდა ჩვენში, მერე და მერე აქ მათი მინაბაძების მოჭრა დაუწყიათ (ეს მინაბაძები კიდევაც გამოირჩევა ხშირად ლითონისა და გამოსახულება-ლეგენდის უფრო მდარე ხარისხით) და ამიტომაა, რომ ასე მრავლად მოიპოვება ჩვენი მიწის წიაღში ავგუსტეს დენარები მთელი I—III საუკუნეების მანძილზე. ჩვენი მხრივ დავძენდით, რომ ამ „დამსჭვალულობის" კიდევ ერთი მჭევრმეტყველი საბუთია 1950 წელს ივრის ხეობის ისტორიულ-არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ თიანეთის რაიონის სოფ. დულუზაურებში, ხატისათვის შეწირულ ვერცხლის ფულს შორის პოვნა ავგუსტეს დენარისა, რომელსაც თავის დროზე ჩამოსაკიდად ყუნწიც ჰქონია დარჩილული [46].

ავგუსტეს დენარებსა და გოტარზეს დრაქმებს გარდა სამარხებში გვხვდება, თუმცა კი გაცილებით უფრო იშვიათად, რომის სხვა კეისართა დენარებიცა და პროვინციული ფულიც (მაგ., კესარიული დიდრაქმები) და პართიის სხვა მეფეთა დიდრაქმებიც (განსაკუთრებით მრავლადაა ეს უკანასკნელები მცხეთის სადგურის აკლდამაში). ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა, სამარხეულ მონეტებს გარდა, ორი განსაკუთრებით მდიდარი განძის შედგენილობაც. ერთია აფხაზეთის, გულრიფშის რაიონის სოფ. გერზეულში აღმოჩენილი განძი (647 ც.), რომელშიც ჭარბობს ნერვასა და ტრაიანეს კესარიული დიდრაქმები, მაგრამ არის ადრიანესიც, ანტონინე პიუსისაც, მარკ ავრელიუსისაც და სხვა იმპერატორებისაც, და, ბოლოს, არის ავგუსტეს დენარიც. მეორეა აბაშის რაიონის სოფ. სეფიეთში აღმოჩენილი განძი (373 ც.), რომელშიც ყველაზე მეტია ალექსანდრე სევერის მონეტები, შემდეგ — კომოდისა და სხვებისა, სულ 14, ერთიმეორის მომდევნო იმპერატორისა, ტრაიანედან (98—117 წწ.) ალექსანდრე სევერამდე (222—235 წწ.), ადრიანესა და იულიან დიდიუსის გამოკლებით. მეტი წილი მეტროპოლიისათვისაა მოჭრილი, ცოტაოდენი — კე-

სარიულია. გერზეულის განძი II ს-ის მეორე ნახევარში უნდა იყოს დაფლული, სეფიეთისა — III ს-ის პირველ მეოთხედში [7; 9].

სადღეისოდ უკვე საკმაოდ მრავლადაა აღმოჩენილი რომაული აურეუსებიც, მეტწილად ორიგინალები, ხოლო ზოგჯერ — ადგილობრივი მინაბაძებიც. მათი დიდი უმეტესობა მცხეთაშია ნაპოვნი (სამთავროში — 1, არმაზისხევში — 30, ბაგინეთში — 5, სადგურის აკლდამაში — 4) [106], მაგრამ თითო-ოროლა ან მეტი სხვაგანაცაა (მაგ., ურეკში, ცხინვალში, ერწოში, ზღუდერში). აღსანიშნავია ალექსანდრე მაკედონელის სტატერის ორიგინალის შემონახვა მცხეთაში 1951 წელს აღმოჩენილ ქვისსამარხში, I—III ს-თათვის დამახასიათებელი ინვენტარის თანხლებით. მცხეთაში აღმოჩენილი აურეუსები ეკუთვნის I, II და III საუკუნეთა იმპერატორებს, ტიბერიუსიდან ვიდრე ვალერიანემდე (ოღონდ არა უწყვეტლივ). შეიძლება ითქვას, რომ განსაკუთრებით გავრცელებულია ადრიანეს ფული — აურეუსებიც (მცხეთაში) და კესარიული დიდრაქმებიც (მაგ., კლდეეთში, გერზეულში, ძევრში), ოღონდ, სულ არაა იგი სეფიეთის განძში.

ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ერთისა და იმავე იმპერატორის მონეტები მცხეთის დიდკაცურ სამაროვნებში აურეუსებითაა წარმოდგენილი (და საერთოდ ნამდვილი აურეუსები უმთავრესად ამ სამარხებში გვაქვს შემონახული), ხოლო დასავლეთ საქართველოს მდიდრულ სამარხებში და განძებში — ვერცხლის, ხშირად პროვინციული მონეტებით. გარდა მეტი შეძლებულობისა და რომთან უშუალო მიმოსლვითი კავშირის შესაძლებლობისა, მიზეზად აქაც შეგვიძლია ვიგულოთ დიპლომატიური მოსაჩვენრობა მცხეთის მმართველი არისტოკრატიის მხრივ, (მით უმეტეს, რომ ერთი მონეტა, რომელზედაც იმპერატორის ცოლ-შვილია გამოხატული, სამკაულადაც კი ჰქონია ჩამოკიდებული ერისთავის ოჯახის წევრ ქალს).

თუ შეიძლება იმდროინდელი ქართული ოქროს ფულის შესახებ საუბარი, ეს ისევ და ისევ მინაბაძებია, ოღონდ იმდენად მასობრივ გავრცელებული (განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში, სადაც აღსანიშნავია მათი აღმოჩენა ღებისა და კლდეეთის სამარხებში), ისე თავისებურად სახეცვლილი, გატლანქებული და სქემატიზაციაქმნილი, რომ ხშირად გაძნელდება კიდევაც ძველი დედნების, ალექსანდრე მაკედონელისა და ლიზიმაქეს სტატერთა გამოსახულება-ლეგენდების გამოცნობა. გამოითქვა, მაგრამ შემდგომ აღარ განვითარებულა მოსაზრება, რომ აქ წერტილებითა და ხაზებით გამოყვანილი, დაქარაგმებული არმაზული დამწერლობა გვაქვს [107]. ამ მონეტების დამახასიათებელია ისიც, რომ ისინი მეტწილ ელექტრუმისგანაა მოჭრილი და იშვიათად — სუფთა ოქროსაგან, და, გარდა ამისა, მათ ორივე მხარეზე ძალიან შემაღლებული, გამოკვერილი ნაპირები აქვთ. მიუხედავად ძლიერი სიტლანქისა, ამ მონეტების შესწავლამ მათი დამზადების ტექნიკის საყურადღებო და მრავალფეროვან ვარიაციები გამოავლინა და ამრიგად, ისინიც ექცევიან იმდროინდელი ხელოსნური წარმოების შემსწავლელთა ყურადღების არეში [108].

როგორც ირკვევა, ეს „ოქროს კოლხური ფული“ ვრცელდება მას შემდეგ, რაც ქრება „კოლხური თეთრი“ (ძვ. წ. II ს.) და განაგრძობს ტრიალს, საგრძნობლად აკმაყოფილებს შინაურ ბაზარს, ახ. წ. II საუკუნემდე. მისი თანაარსებობა ახ. წ. I და II სს. მონეტებთან ცხადჰყო კლდეეთის სამარხებმა

და მცხეთის სადგურის აკლდამამ. ამ უკანასკნელში ხუთი „ოქროს კოლხური" აღმოჩნდა და ერთიც ოქროს ამოდენავე ფირფიტა, რომელიც შეიძლება მონეტის ნამზადად ჩაითვალოს, ე. ი. კიდევ უფრო განმტკიცდეს მოსაზრება ამ მონეტების ადგილობრივ მოჭრის შესახებ (იბერიაში კი ამ ბოლო დრომდე იგი კოლხეთიდან სპორადულად შემოღწეულ ფულად ითვლებოდა მხოლოდ) [22; 15]. აქვე უნდა დავძინოთ, რომ სადღეისოდ ეს „კოლხური" ფული ცნობილია ქართლი-იბერიის უკვე სამი სამაროვნიდანაც: მცხეთის სადგურისა, ახრისისა და ერწოსი.

დამახასიათებელია, რომ ღების სამარხებში მონეტები მარტოოდენ „ოქროს კოლხურით" არის წარმოდგენილი და მათ იქ არც ერთი უცხოური მონეტა არ ახლავს [11]. ეს გარემოება რამდენადმე ართულებს მათ დათარიღებას (რაც დანარჩენი ინვენტარის მიხედვით ხდება), მაგრამ სამაგიეროდ მოასწავებს მთიანი კოლხეთის იმ განაპირა კუთხის გარკვეულ ეკონომიურ დამოუკიდებლობას თუ თავისთავადობას. იქაური მოსახლეობა კოლხური ოქროს ფულით მიდის იოლად.

ამ მონეტებს მართებულად უწოდებენ საქართველოს უძველეს ოქროს ფულს [109] და „კოლხურ სტატერებს" [110].

საინტერესოა ს. მაკალათიას საკუთარი მოსაზრება ამ მონეტების შესახებ: მისი აზრით, ისინი საგანგებოდ იჭრებოდა სამარხებში ჩასატანებლად" [43].

* * *

მცირე რამ, მაგრამ მაინც უკვე შეიძლება ითქვას იმდროინდელი სოფლის მეურნეობის ზოგიერთი დარგის შესახებ. ამ თვალსაზრისით მეტ-ნაკლებ, სხვებზე უფრო მეტად გააზრებულია არმაზისხევის, ბორისა და ურბნისის არქეოლოგიური მასალები.

**არმაზისხევთან** ერისთავ-პიტიახშთა ადგილსამყოფელის ნაშთების თხრისას, სასახლეს, აბანოსა და განსასვენებელს შორის გამოვლენილ იქნა 50-ოდე ქვევრი. სხვადასხვა ზომისა და ორგვარი: ა) გარედან გლუვი, უფრო მოგრძო-წერწეტა და ბ) გარედან ხშირი ირგვლივი წიბოებით შემკული. ტიპოლოგიურად ისინი — განსაკუთრებით გლუვი ქვევრები — ემსგავსებიან სამთავროს, სამარხად გამოყენებულ ქვევრებს, რომლებიც წინარე ხანას ეკუთვნიან. ჯერ კიდევ განლაგების მიხედვით ჩანდა, რომ ეს ქვევრები არმაზისხევის კომპლექსის ძირითად ფენას, ერისთავთა ნაგებობებს უკავშირდება, ხოლო ერთ-ერთი ქვევრის ნაშთის თავზე ავგუსტეს დენარის შემცველი კრამიტსამარხის აღმოჩენამ ეს ვარაუდი დაადასტურა. ამან მოგვცა საფუძველი, ერისთავთა სასახლის კომპლექსი „შეგვევსო" მარნით, რომელიც ან საერთოდ სულ „ცისქვეშა" თუ „ხეებქვეშა" ტიპისა იქნებოდა, ან არა და მსუბუქი ხის სახურავს ქვეშ მოქცეული. ამ ვარაუდს ძლიერ უჭერს მხარს ის დაკვირვებაც, რომ ქვევრები ნახეხია, ე. ი. სწორედ საღვინედ ყოფილა გამოყენებული: ამასთან დაკავშირებით უნდა წარმოვიდგინოთ, რომ გვიანანტიკური ქართლის ერისთავთა რეზიდენციას თან ახლდა ვენახები (ან ეგებ მოშორებითაც ჰქონდა, ერისთავთა კუთვნილ მიწებზე), რომლებიც მცხეთის რაიონში საერთოდ დღესაც კარგია და მრავლადაა, თუნდაც მტკვრის იმ ტერასებზე, ერთ-ერთზე რომ ერისთავთა რეზიდენცია ყოფილა გაშენებული, მუხრანის უბანზე რომ აღარა

ითქვას რა [12]. თუ აქ დიდკაცის კუთვნილი ზვარი გვაქვს სავარაუდებელი, უფრო ადრე, სამთავროსა და ზემოავჭალის, ბორის თუ სხვ. ქვევრსამარხთა მიხედვით ხომ საზოგადოების დაბალი ფენების განკარგულებაში არსებულსა და სამარხად გამოყენებულ საღვინე ქვევრებთან გვაქვს საქმე და, მაშასადამე, მევენახეობა-მეღვინეობის ფართოდ გავრცელებაზე და ღვინის საყოველთაოდ მისაწვდომობაზე შეგვიძლია მსჯელობა — მით უმეტეს, რომ იმ ხანის მიწურულში მოგვეპოვება ალაზნის ველზე, სოფ. არხილოსკალოსთან ამონათხარი, მაჭარ-ღვინოსთან დასაკავშირებელი, თავისებური თიხის ჭურჭლები [20].

მევენახეობასთან დაკავშირებული ჩანს რკინის დანების ის ერთი განსაკუთრებული წყება, რომელიც სასხლავებს მოგვაგონებს და კლდეეთისა და აგრეთვე ბორის სამარხთა ინვენტარში გვხვდება.

მცხეთის არქეოლოგიურ მასალებს შორის მოიპოვება ერთი წყება ნივთებისა (ჭურჭელი, სამკაული და სხვ.), რომლებიც ასე თუ ისე, ნართაულად მაინც გვანიშნებს მევენახეობა-მეღვინეობის ხანგრძლივ, მოწიფულ კულტურას, მკვიდრად რომ შესულა მოსახლეობის ყოფაშიც, აზროვნებაშიც და მხატვრულ შემოქმედებაშიც. მათგან დავასახელებთ: ვერცხლის საღვინე სურებსა და ფინჯნისებრ სასმისებს არმაზისხევის, სამთავროსა და ბაგინეთის მდიდრულ სამარხებში (ერთ მათგანს, უფრო სწორად, ერთ წყვილს, არმაზისხევის II ს-ის სარკოფაგში რომაა ნაპოვნი, ყურზე ამოჭრილი აქვს მტევნებიანი ვაზის გამოსახულება); ვერცხლის „აზარფეშას“ და პინაკს არმაზისხევის, II ს-ის სამარხებში (მათზე ამოღარულია ვაზის რტო-ფოთლებისა და მტევნების გამოსახულება); არმაზისხევის ვერცხლის პინაკს, რომელზეც გამოხატულ ქალს ხელში სიუხვის ყანწი უჭირავს და ამ უკანასკნელში, სხვათა შორის, სამი ყურძნის მტევანი ჩანს; სამთავროს, ბორის, კლდეეთისა, და სხვ. ოქროს საყურეებს, რომლებიც ისე არიან მკვრივი თუ ფუყე მარცვალ-ბურთულებისაგან ასხმული, რომ ყურძნის მტევნებს მოგვაგონებენ, სხვადასხვა მოყვანილობისას (საყურეთა ეს ტიპი ძალიან გავრცელებული ჩანს საქართველოში იმ დროს) და სხვ.

ასევე ნართაული, მაგრამ უთუოდ ანგარიშგასაწევი, მითითება ჩანს მეცხოველეობის შესახებ, იმ რამდენიმე ქანდაკოვან გამოსახულებაში — ცხვრისთავებისა (არმაზისხევში, სამთავროში, ბორში, კლდეეთში) და ერთიც მთელი ცხვრისა (კლდეეთში) — რომელთა შესახებ ზემოთ, მცირე ქანდაკების ნაწარმოებთა განხილვისას გვქონდა საუბარი. ძალიან საინტერესოა, რომ ყველა შემთხვევაში ერთი და იგივე მკაფიოდ ჩამოყალიბებული ჯიშის ცხვარია გამოქანდაკებული. თავ-რქის მოყვანილობის მიხედვით გამოირკვა, რომ ეს არის ძველი იმერული ცხვარი [99, 63—70] და, მაშასადამე, ანტიკური საქართველოს მეცხვარეობაში ეს ჯიში მკვიდრად ფეხმოკიდებული, გაბატონებული ყოფილა, არა მარტო დასავლეთში (მერმინდელ იმერეთში), არამედ აღმოსავლეთშიც.

ამ თვალსაზრისით ბორის მასალების საგანგებოდ შესწავლამ შესაძლო ჰყო სოფლის მეურნეობის სამი დარგის დადგენა: მევენახეობისა, ხვნა-თესვითი მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობისა.

მევენახეობას აქაც მიგვითითებს ქვევრები (სამარხად გამოყენებული, ოღონდ ძვ. წ. I — ახ. წ. I სს.). მათ აშკარად ეტყობათ, რომ თავის დროზე დიდხანს ღვინის შესანახად ყოფილან გამოყენებული, რადგან შიდაპირი ძალზე ნახეხი და ნარეცხი აქვთ, ისე, რომ თიხა „შეჭმულიც“ კი არის. ამ დაკვირ–

ვების საფუძველზე გამოთქმულია მოსაზრება, რომ აქ ქვევრებში ეგებ სწორედ მევენახეობა-მეღვინეობაში დახელოვნებული მეურნე მიწათმოქმედნი იმარხებოდნენ. ყოველ შემთხვევაში, ეს ფაქტები მოწმობს ბორიმელის ხეობაში ანუ ლომსიანთხევში (ვარაუდით, იბერიის ერთ-ერთ განაპირა საპიტიახშოში) იმ დროს მევენახეობა-მეღვინეობისა და, კერძოდ, ღვინის დაყენების წესის განვითარების მაღალ დონეს. ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს ამ ხეობაში ამჟამადაც არსებობა ერთ-ერთი უძველესი ქართული ჯიშის, ძელშავისა, და აგრეთვე მოსაზრება, რომ ცნობილი ჯიში ცოლიკაური სწორედ ბორიმელის ხეობიდანაა გავრცელებული დასავლეთ საქართველოში.

ხვნა-თესვას ნართაულად გვაშიშნებს ბორში აღმოჩენილი სამარხი და ხარის გამოსახულებით დამშვენებული მშვილდსაკინძი, როგორც ხარის (კუროს, უსხის) კულტის მაჩვენებელი ფაქტები. ასეთი კულტის არსებობა კი განვითარებული ხვნა-თესვითი მიწათმოქმედების თანამდევია. იმასაც აღნიშნავენ, რომ ლომსიანთხევში ბლომადაა კარგი სახნავ-სათესი მიწები. აქვე დავძენთ, რომ ხარის კულტის ზოგიერთ სიმბოლიკურ ნიშანს ხედავენ არმაზისხევის ერისთავთა ნივთებზე, ამა თუ იმ გამოხატულებაში — მაგ., ასპარუგის სატევრის ოქროს ქარქაშის წვერზე, მინანქრის მედალიონში.

რაც შეეხება მესაქონლეობას, რომლისთვისაც აგრეთვე ხელსაყრელი გეობოტანიკური პირობებია ლომსიანთხევში, მას მიგვითითებს: ბორში თხრისას მოპოვებული, მსხვილფეხა და წვრილფეხა რქოსანთა ძვლები; ხარის სამარხი (ასეთი რამ თითქოს საგულისხმოა კლდეეთშიც); ბრინჯაოს საკიდები, მშვილდსაკინძეები და აზარფეშათა ტარები, რომლებსაც ხარისა თუ ცხვრის თავის გამოსახულება ამშვენებს, ცხვრის საკრეჭი მაკრატელი და სხვ. [111].

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ შეიძლება გარკვეული და საგულისხმო წარმოდგენა შევიქმნათ მეცხოველეობის ისეთ დარგზე, როგორიცაა მ ე ც ხ ე ნ ე ო ბ ა. ხართა სამარხებზე გაცილებით მეტია ცხენთა სამარხები (მეტწილად შეკაზმული ცხენებია — ბორში, კლდეეთში; უბელო ცხენი ახლავს თან მცხეთის სადგურის აკლდამაში დაკრძალულ ქალს და სხვ.). ხშირია ცხენის კულტის მანიშნებელი გამოსახულებანი (მაგ., ღებურ ბრინჯაოს ბალთებზე, პიტიახშთა სამარხებში აღმოჩენილ სამ პინაკზე, „ცხენთევზა" სამხრეთ ოსეთში აღმოჩენილ მშვილდსაკინძზე), ან არადა უბრალოდ ცხენისა და მხედრის გამომხატველი ქანდაკებანი და რელიეფები (მაგ., კლდეეთში, ღებურ ბალთებზე და სხვ.). ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, ცხენის ინტენსიურ მოშენებას მოწმობს. სამარხეული ძვლების შესწავლა ამ ცხენთა ჯიშებსაც გაარკვევდა.

საკმაოდ საინტერესო მასალებითაა წარმოდგენილი ძაღლიც (სამარხები სამთავროსა და კლდეეთში, ბრინჯაოს ქანდაკება კლდეეთში, ძაღლისა თუ მგლის თავები ბორის აზარფეშებზე). ცოტა რამ ეგებ თხის მოშენების შესახებაც თქმულიყო (ბრინჯაოს ფიგურები — თავ-რქები).

საერთოდ კი, იმგვარი დასკვნების მიღება, როგორიც ბორის მასალების მიხედვითაა გამოტანილი, თამამად შეიძლება სამარხეული ინვენტარიდან თუ ნამოსახლარებიდან, კულტურული ფენებიდან მომდინარე ძვლებისა და ცალკეული საგნების (მათ შორის გამოსახულებათა) შესწავლის გზით — სამთავროშიც, კლდეეთშიც და ბევრ სხვა ობიექტზედაც. ჩვენში ეს საქმე მხოლოდ ახლა დაიწყო (მ. რჩეულიშვილი, ნ. ბურჩაკ-აბრამოვიჩი, ა. ციციშვილი).

* * *

ს უ ლ ი ე რ ი  კ უ ლ ტ უ რ ი ს  ის მხარე, რომელიც ს ა რ წ მ უ ნ ო ე ბ ა ს, საიქიოს შესახებ წარმოდგენას და კულტს განეკუთვნება, არასრულად, ნაწყვეტ-ნაწყვეტაა ასახული ჩვენს არქეოლოგიურ მასალებში, მაგრამ ზოგი რამ აქაც შეიძლება ითქვას.

უპირველეს ყოვლისა, ერთგვარი დანანებით უნდა აღინიშნოს, რომ ამ მასალებში ჯერ თითქოს არსადა ჩანს ნიშანკვალი ანტიკური საქართველოს იმ წარმართული პანთეონისა, რომელიც, წერილობითი წყაროების ცნობით, წინ უძღოდა ქრისტიანობის შემოღებას IV საუკუნეში და რომლის მთავარ ღვთაებას არმაზი შეადგენდა. ერთადერთი, რაც ასე თუ ისე შეიძლება ამგვარ კვალად ჩაითვალოს, არის ბაგინეთის ანუ არმაზციხის მაღლობის წვერზე, ზღუდეთა შეყრის ადგილას, ჯერ კიდევ დაზვერვისას გამოვლენილი, ფართოდ დაფენილი ფილაქვები, რომლებიც პირობით არმაზის კერპის სადგარის ნიშნად იქნა მაშინ მიჩნეული, თუ ამგვარი კვალი ჩანს, ეს ისევ უფრო ბერძნულ-რომაული პანთეონის ღვთაებათა (მაგ., ათენა-პალადას, პლუტონის? ასკლეპიოსის) და მითოლოგიურ ისტორიულ გმირთა (მაგ., ალექსანდრე მაკედონელის, აქტეონის) გამოსახულებანია ვემმებზე. მაგრამ ეს, როგორც უკვე ვიცით, არის შემოტანილი და არა ორგანულად, მკვიდრ ნიადაგზე აღმოცენებული ელემენტი იდეოლოგიისა, რომელიც ანტიკურ განათლებულობას და სათანადო სიუჟეტებისა და მხატვრული ნაწარმისადმი გემოგახსნილობას უფრო ასახავს, ვიდრე საკუთრივ სარწმუნოებას.

ამ მხრივ, უფრო დამაფიქრებელი და ჩვენში რეალურად არსებულ მითრას კულტთან [112] მჭიდროდ დაკავშირებული ჩანს არმაზისხევის, ბორისა და ზღუდერის ვერცხლის პინაკებზე ამოღარული, საერთოდ ერთგვარი, მაგრამ სხვადასხვა ხელით და ეგებ სხვადასხვა დროსაც შესრულებული გამოსახულება სამსხვერპლოს წინაშე მდგარი ცხენისა, ხოლო ერთგან (ზღუდერში) — ტახისაც. აკად. ს. ჯანაშიამ ადრევე აღნიშნა მითრაისტულ რწმენებთან ცხენიანი გამოსახულების მჭიდრო კავშირი და მაშინვე დასძინა, რომ ამ კულტს ჩვენში პოხიერი ნიადაგი ჰქონდა შემზადებული ადგილობრივი მზის კულტის სახით [51]. მითრასავე კულტთან უნდა იყოს დაკავშირებული ბორში აღმოჩენილი, ზემოთ არაერთგზის აღნიშნული მშვილდსაკინძი — ბრინჯაოს მცირე ქანდაკება ხარისა, რომელსაც რქებს შორის თითქოს მზის დისკო აქვს, და, ს. მაკალათიას აზრით, აგრეთვე იმ ვერცხლის ჰურჰლის ყურებზე გამოსახული სიუჟეტი, რომელიც მცხეთაში, სვეტიცხოვლის ეზოში სამარხში მინის ჰურჰელთან ერთად ყოფილა აღმოჩენილი. მეტად ნიშანდობლივია, რომ ექსივე „მითრაისტული“ პინაკი გვიანანტიკური საქართველოს (გ. ცქიტიშვილის აზრით, მხოლოდ ქართლი-იბერიის )უმაღლესი, მმართველი არისტოკრატიის წარმომადგენელთა სამარხებშია აღმოჩენილი: ორი არმაზისხევში, ბერსუმა პიტიახშის სამარხში (III ს.), მესამე — ბორში, ბუზმირ პიტიახშის სამარხში (II ს.?), ხოლო დანარჩენები — ზღუდერელ დიდკაცთა სამარხებში. მითრასაც (ზოგ სხვა ღვთაებას გარდა) უკავშირდება ღორის, ტახის გამოსახულებანი, რომლებიც გარდა ზღუდერის ერთი პინაკისა, წარმოდგენილია არმაზისხევის ერისთავთა ინვენტარში პატარა ოქროს საკიდი ავგაროზით (სხვათა შორის, შემჩნეულია რომ

ესეცა და სხვა ავგაროზებიც, ჩვეულებრივ, ქალთა სამარხებში გვხვდება). ზღუდერული მონაპოვრის განსაკუთრებით საინტერესო კომპონენტია, ამ მხრივ, სწორედ იმ სამსხვერპლოს მცირე ბრინჯაოს მოდელი(?), რომელიც „მითრაისტულ" პინაკებზე ნახატით ვიცოდით მხოლოდ მანამდე.

საიქიოს შესახებ წარმოდგენას საკმაოდ გვისურათებს ჩვენ მიერ განხილულ სამარხთა აღნაგობა-მოწყობილობა და დაკრძალვის წესები. აშკარაა, რომ ადამიანს მტკიცედ სწამს მიცვალებულის მიერ სიცოცხლის განგრძობა „იმ ქვეყნად". იბერია-ქართლის მრავალ ადგილას და უფრო კი „დიდ მცხეთაში" მეტ-ნაკლებ სახლისებრ აშენებენ სამარხებს — ქვისსამარხებს, კრამიტსამარხებს, აგურსამარხებს, აკლდამებს (ამ მხრივ „მაქსიმუმი" მიღწეულია ბაგინეთისა და მცხეთის სადგურის აკლდამების სახით); შიგ ასვენებენ შემოსილსა და მორთულ-მოკაზმულ მიცვალებულს, ირგვლივ უწყობენ საოჯახო თუ სარიტუალო ჭურჭელს (ლითონისას, მინისას თუ თიხისას); ზოგჯერ სასანთლესაც უკიდებენ ან უდებენ; მიმოუბნევენ ოქრო-ვერცხლის ფულს ან ვერცხლის ერთ მონეტას), ზოგჯერ „ზედმეტ" სამკაულს ან სამკაულის დეტალებად განკუთვნილ თვლებსაც კი; ხანდახან თავს უმკობენ ოქროს თხელი ფურცლებისაგან შემდგარი გვირგვინით ანუ ხოირით; ლითონის სასუფრე ჭურჭლით ზოგჯერ ეგებ საჭმელს ან სასმელსაც უდგამენ, მინის ჭურჭლით კი, ჩვეულებრივ, სურნელოვან სითხეს, ნელსაცხებელს. დაკრძალვის ამგვარად დახვეწილ წესში დისონანსად გაისმის, მაგრამ აქა-იქ (კერძოდ, რაც განსაკუთრებით საყურადღებოა, მცხეთის სადგურის აკლდამაშიც) გვხვდება არქაული წესის გადმონაშთი, რომელიც უკვე ქვევრ-სამარხებშიც კი აღარ ჩანდა თითქოს: ხორცეულის ჩატანება სამარხში. რაც შეეხება იარაღ-საჭურველს, ზოგან (უპირველეს ყოვლისა, მცხეთაში) მას აღარ ატანენ, ან მხოლოდ საზეიმო ინსიგნიებად მისაჩნევ იარაღს ატანენ, ხოლო ბევრგან (მეტადრე დასავლეთ საქართველოში) იგი ჯერ კიდევ უხვად გვხვდება სამარხებში. როგორც ჩანს, ეს ძველისძველი საყოველთაო-ქართული წესი დასავლეთში გაცილებით უფრო დიდხანს შემოინახა.

გარდა „სახლისებრ ნაგები სამარხებისა", ამ ხანაში არანაკლებაა გავრცელებული (მეტადრე დასავლეთ საქართველოში და დასავლეთ ქართლშიც, კერძოდ, ურბნისში და ზღუდერში) ძველი ტიპი — ორმოსამარხები (ზოგჯერ რიყისქვის ნაყარით, ხის „ჩარჩოებით" და ა. შ. გართულებული) და, ჩანს, აგრეთვე იწყებს გავრცელებას ახალი, უფრო მომდევნო საუკუნეებისათვის დამახასიათებელი, ტიპი — თიხის აბაზანისებრი სარკოფაგები. I—III სს. შეიძლება მიეკუთვნოს ჩვენში ცნობილი ასეთი სარკოფაგების მხოლოდ მცირე ნაწილი (სვეტიცხოვლის გალავანში, ნაოხაში, დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ პუნქტში). ზღვისპირეთში ორმოსამარხებთან ერთად კრემაციული სამარხები გვხვდება.

საერთოდ, დამარხვის წესის მხრივ იმდროინდელი სამარხები ძალიან გავს წინამორბედი ხანის ქვევრსამარხებს, ოღონდ იმით განსხვავდება მათგან, რომ აქ მიცვალებულებს მეტწილად გულაღმა გაშოტილს ასვენებენ და გვერდზე დაწვენაცა და მოხრა-მოკუნტვაც უკვე გადმონაშთ მოვლენად ჩაითვლება. კერამიკის ჩატანება მინიმუმამდეა დაყვანილი.

სათანადო ძეგლები აქა-იქ შემთხვევით შემორჩენილა (სავსებით გასაგები მიზეზის გამო), მაგრამ მაინც, ჩანს, რომ წესად ჰქონიათ საფლავის თავ-

ზე წარწერიანი სტელის აღმართვა (ალბათ უფლებისამებრ და შეძლებისამებრ).

ყოველი, ჩვენთვის დანამდვილებით ცნობილი, სამარხი ინჰუმაციური ჩანს, გარდა ურეკისა, სადაც კრემაცია უნდა ვიგულისხმოთ (მით უმეტეს, რომ ზღვისპირია) და წებელდისა, სადაც კრემაცია თანაარსებობს ორმოებში ინჰუმაციასთან, მაგრამ აქ არავითარ უცხო ეთნოსზე არ შეიძლება მსჯელობა. ესეც ერთი მაჩვენებელია იმისა, რომ რელიგიური სისტემა ამ საკითხშიც ძველი ადგილობრივი ტრადიციით საზრდოობს და მას არც ბერძნულ-რომაული გავლენა დასტყობია და არც მოგვიანებით ზოროასტრული. ერთ შემთხვევაში მეორადი დამარხვა ჩანს (ბერსუმა პიტიახშის ძვლები ლანგარზეა დალაგებული), მაგრამ აქ ალბათ, უცხოეთში, ეგებ ომში დაღუპული და სამშობლოში დაგვიანებით ჩამოსვენებული დიდკაცი მეომრის სამარხი უნდა ვივარაუდოთ.

რამდენიმე შემთხვევაში მიცვალებულები მდიდრული სარეცლით არიან ჩასვენებული სამარხში, ან არა და ეს სარეცელი თუ სავარძელი დაშლილ-დანაწევრებული აქვთ თან ჩატანებული (არმაზისხევი, ბაგინეთი, ბორი, ზღუდერი). ზოგჯერ ფიცრის სარკოფაგია აკლდამაში ჩადგმული (მცხეთის სადგური). რამდენიმე შემთხვევაში მიცვალებულებს ჩატანებული აქვთ ოქროს კილიტებითა და ოქრომკედით მოქარგული ქსოვილი, საზეიმო წამოსასხამი თუ ცხედარსაფარი. ყოველივე ეს დიდკაცურ განსასვენებლებს ახასიათებს.

დაკრძალვა თითქმის ყოველთვის ინდივიდუალურია, და სამარხები ისე მჭიდროდაა შეკრული, რომ მათი კვლავ გახსნა არ უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული. რამდენიმე გამონაკლისს შეადგენს სრულწლოვანთა, ან სრულწლოვანისა და ჩვილი ბავშვის ნეშტთა ერთად აღმოჩენის შემთხვევები, სადაც ერთდროულად დაღუპულთა თანადამარხვა უნდა ვიგულისხმოთ.

დასასრულ, დაკრძალვის წესის კიდევ ერთი თავისებურებაა მიცვალებულთან ერთად ან შორიახლოს, მისთვის „გატანებული" ცხენისა და ზოგჯერ ძაღლის დამარხვა (მცხეთის სადგურის აკლდამა, კლდეეთი, ბორი, ურბნისი), ხოლო ზოგ შემთხვევაში, როგორც ამ წესის „გადაგვარებული" ვარიანტი — ცხენის მოკაზმულობის ნაწილების ჩატანება სამარხში (დეზები და ლაგამი არმაზისხევის ერთ-ერთ, ქალის სარკოფაგში; მოსართავის ვერცხლის სამკაული დაბა მცხეთის მდიდრულ ქვისსამარხში).

ყურადღებას იქცევს ერთი თავისებური წესი, რომელიც ამ დროისათვის არმაზისხევთანაა მკაფიოდ დამოწმებული, ხოლო მომდევნო, უკვე ადრეფეოდალური ხანისათვის — ზოგ სხვა ნამოსახლარ ძეგლებზე (ურბნისში, კუხეთის რუსთავში, უჯარმაში). აქ გვაქვს ღრმად დაფლვა თიხის პირმოკრული და ქვისსარქველიანი, პირქვე დამხობილი ქილებისა, რომლებშიც ფრინველთა ძვლებია ხოლმე. როგორც ჩანს, უნდა ვიგულისხმოთ მსხვერპლად შეწირული ფრინველის ნაშთები (ეთნოგრაფიულ პარალელთა მიხედვით მამალია საგულისხმებელი), ხოლო თვით შეწირვა — შენობის დაფუძნებასთან ან სასაფლაოსთან დაკავშირებული აქტი უნდა იყოს [12].

დ ა მ წ ე რ ლ ო ბ ა (ტაბ. XIV). მცხეთის სამივე ძირითად უბანზე თხრისას აღმოჩნდა წარწერები: სამთავროში 2 ძველებრაული და 1 ბერძნული ეპიტაფია; არმაზისხევში — ბერძნულ-არამეული ეპიტაფია („არმაზის ბილინგვა"), „გამარჯვებათა სტელის" არამეული წარწერა; არამეული წარწერა ავგაროზის

ოქროს ფურცლებზე, ბერძნული წარწერა ვერცხლის ლანგარზე, 5 ბერძნული წარწერა ბეჭდის თვლებზე და ბალთის თვალზე, ფალაური წარწერა ვერცხლის პინაკზე; ბაგინეთში — 2 თითოსიტყვიანი არამეული წარწერა კედელში ჩაშენებულ ქვათლილებზე და რამდენიმე არამეული წარწერა სარკოფაგში აღმოჩენილ ვერცხლის ჰურჰლებზე. ერთი არამეული წარწერაც ბორში აღმოჩენილ ცხენიან პინაკზეა. ბოლო დროს ბერძნულს შეემატა ზღუდერში აღმოჩენილი ერთი წარწერა ოქროს ბეჭდის თვალზე, წყვილადი პორტრეტი რომ არის ზედ ამოკვეთილი, ხოლო არამეულს — ურბნისში აღმოჩენილი ერთი, ქვევრის პირზე დატანილი.

აქვე უნდა დავძინოთ, რომ „არამეული" ყველგან პირობითაა ნათქვამი, ვინაიდან, როგორც გამოირკვა, ნამდვილად აქ გვაქვს არამეულის ფრიად სახეცვლილი ვარიანტი, რომელსაც მართებულად ეწოდა კიდევაც „არმაზული" (რაკი პირველად არმაზისხევთან აღმოჩნდა). ეს დამწერლობა აშკარად გაბატონებული ჩანს ჩვენში იმ დროს.

საკუთრივ ქართული დამწერლობა გვიანანტიკური ხანის არქეოლოგიურ ძეგლთა შორის ჯერაც არსადა ჩანს, მიუხედავად ესოდენ მრავალრიცხოვანი აღმოჩენებისა, ასე რომ, ბოლნისის 492/3 წწ. სამშენებლო წარწერა კვლავ რჩება უძველეს დათარიღებულ ქართულ წარწერად საქართველოში განათხართა შორის, მაგრამ მასზე ათეული წლობით უხნესი გამოდგა პალესტინაში, ბეირ-ელ-კუთიში ბოლო დროს გათხრილი ქართული მონასტრის იატაკის მოზაიკური წარწერები [113]. ცალკეული, ასომთავრულის მსგავსი ნიშნები ამა თუ იმ კერამიკულ ნაწარმზე ან ერთენოვან სტელასა და ბერსუმა პიტიახშის ლანგარზე (პ. ინგოროყვა) ჯერ კიდევ პრობლემატურია: მათ ქართულობას და, მით უმეტეს, უკანასკნელი ორის შინაარსის იმგვარად გახსნას, როგორც ხსენებული ავტორი ლამობს, ყველა მკვლევარი ვერ იზიარებს.

მაგრამ მცხეთისა და ბორის „არმაზული" წარწერების შესწავლის შედეგად გ. წერეთლის მიერ წამოყენებულია უდავოდ საფუძვლიანი ჰიპოთეზა, რომ შესაძლოა ქართული ანბანის საწყისები სწორედ არამეული დამწერლობის წიაღში იყოს საძებარი, ოღონდ „არმაზული", როგორც კულტურულ-ისტორიული სიტუაციის მიხედვითაც იყო სავარაუდებელი, არამეული წარმოშობის დამწერლობათაგან ყველაზე უფრო ახლოს ფალაურთან და ფარსულთან დგას. ისიც აღსანიშნავია, რომ ცალკეული ქართული ასოები უფრო არქაულიც კი ჩანან, ვიდრე სათანადო არმაზული ასოები. ამრიგად, ქართული არმაზულის გაგრძელებად კი არა, მხოლოდ მის მონათესავედ და მასთან საზიარო წყაროდან, არამეულიდან მომდინარედ უნდა მივიჩნიოთ [57; 58].

ეს დიდი კულტურულ-ისტორიული პრობლემა კვლავაც გულმოდგინე კვლევა-ძიებას მოითხოვს. ერთი რამ კი ცხადია: გვიანანტიკურ ხანაში იბერიის მმართველი წრე (თუ ვიგულისხმებთ, რომ ბორელი ბუზმირიც იბერიის პიტიახშია) [114] თავის ოფიციალურ დოკუმენტებს სწორედ „არმაზულად" და ზოგჯერ აგრეთვე ბერძნულად წერს (დამახასიათებელია, რომ ყველაზე უფრო საყურადღებო ეპიგრაფიკული ძეგლი, „გამარჯვებათა სტელის" წარწერა მხოლოდ არმაზულადაა ნაწერი და ბერძნული იქ არაფერია, სერაფიტის ორენოვან ეპიტაფიაში კი ძირითად ტექსტად არმაზული გვევლინება, ხოლო ბერძნული თითქოს შემოკლებულია მასთან შედარებით). სხვა ოფიციალური თუ საზეიმო დამწერლობა ამ წრეს არ უჩანს. არმაზული დამწერლობა არსებობს და ქართ-

ლის არისტოკრატიის მომსახურებას განაგრძობს IV საუკუნეშიც. არმაზისხევის ერთ იმდროინდელ სამარხში ნაპოვნია ოქროს ბეჭედი, რომელზედაც ამ დამწერლობით ერთი სიტყვაა ამოკაწრული, ხოლო მეორეში — ოქროს სახსროვანი სამაჯურები, რომლებზედაც 13—13 სიტყვაა ამოკაწრული. ასე რომ, I—IV საუკუნეთა მანძილზე არმაზული დამწერლობა, გარკვეული თვალსაზრისით, ჩვეულებრივი სასაუბრო ქართულის მაგივრობას ეწევა იბერიის მმართველი წრის დოკუმენტებში. მაგრამ ეს დამწერლობა ზოგჯერ იმდენად უხვევს განზე კლასიკურ არამეულთან შედარებით, რომ გამოთქმულია მოსაზრება, მაგ., ბილინგვის დამწერი ქართველი უნდა ყოფილიყო და მისი დედაენის, ქართული ენობრივი ფსიქოლოგიის გავლენითაა წარწერებში ბევრი რამ გადასხვაფერებული და „გამრუდებულიც" კი [115]. კიდევ მეტიც: გამორიცხულად არ მიაჩნიათ, რომ არმაზული დამწერლობის ენა სწორედ ქართული ენა იყოს, თუმცა ჯერ ამის მტკიცება ძნელია [58]. ყოველ შემთხვევაში, ქართულს გარდა ამ ორი იმდროინდელი საერთაშორისო ენა-დამწერლობის გავრცელებულობა ჩვენში ნამდვილად ფაქტია და იგი კარგად შეესაბამება ქართულივე წყაროების (ლ. მროველის) ცნობას იმის შესახებ, რომ ძველად ქართლში ექვსი ენის ცოდნა ყოფილა გავრცელებული. ზემოთ ჩამოთვლილ სამს მეოთხეც, სპარსულიც უნდა დაემატოს, მით უმეტეს, რომ არმაზისხევის ერთ-ერთ, ყველაზე უფრო გვიანდელ (III ს-ის მეორე ნახ.) ვერცხლის პინაკზე არის ფალაური წარწერა, რომელიც იხსენიებს პირველ სასანიან მეფეს არდაშირს. ფიქრობენ, რომ ეს ნივთი უკვე სასანური სპარსეთის პიტიახშს ეკუთვნის და არა იბერიის პიტიახშს.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ დამწერლობის ასეთი მოთხოვნილება და არამეულის არმაზულად გარდაქმნა ერთ-ერთი მოწმობაა ქართლში განვითარებული სახელმწიფოებრივი ცხოვრებისა და სავაჭრო ურთიერთობისა (მონეტებთან ერთად) [12].

რაც შეეხება ზემოთ ჩამოთვლილ წარწერათა შინაარსის ისტორიულ ინტერპრეტაციას და, აქედან გამომდინარე, უაღრესად მნიშვნელოვანსა და ხშირად სრულიად ახალ დასკვნებს გვიანანტიკური საქართველოს პოლიტიკური ისტორიის შესახებ, ეს საკითხები სცილდება წინამდებარე ნარკვევის ფარგლებს.

სამაგიეროდ, არ შეიძლება მოკლედ მაინც არ შევეხოთ ზემოთ განხილული მთელი არქეოლოგიური მასალის მნიშვნელობას საქართველოს კულტურული ისტორიის ერთ-ერთი ძირითადი საკითხის გაშუქებისათვის.

მცხეთა-კლდეეთის, მცხეთა-ბორის, მცხეთა-ურეკის და სხვა ანალოგიური ძეგლების ერთიმეორესთან შედარება-შეპირისპირება (ს. ჯანაშიას, ა. აფაქიძის, გ. გობეჯიშვილის, გ. ლომთათიძის, გ. ცქიტიშვილის მიერ) იმდენსა და ისეთ სერიოზულ მსგავსებას, თანხვდენას თუ საზიარო ელემენტებს ავლენს მათ შორის, რომ დიდად განმტკიცებული ჩანს ს. ჯანაშიას მიერ ადრევე წამოყენებული დებულება: აღმოსავლეთსა და დასავლეთ საქართველოში მოსახლე ქართველი ტომების კულტურას ჩვენი წელთაღრიცხვის დამდეგს უკვე საკმაოდ მჭიდრო კავშირები ახასიათებს, მიუხედავად იმისა, რომ მათ ჯერ კიდევ არა აქვთ საერთო სახელმწიფოებრიობა [51].

მეორე მხრივ კი, თითქმის ყოველი ჩვენ მიერ განხილული მონაპოვარი, ბუ-

ნებრივია, შეიცავს ისეთ თავისებურ ძეგლებსა თუ ნიშნებსაც, რომლებიც არსებითად ავსებენ მეცნიერულ წარმოდგენას საერთოდ იმდროინდელი ქართული ნივთიერი და მხატვრული კულტურის შესახებ [116]. კერძოდ, ბევრ რამეში იგრძნობა ძლიერი კოლხური სპეციფიკა ლების, ურეკის, კლდეეთისა და თაგილონის ძეგლების შესწავლისას.

* * *

ახ. წ. I—III სს. საქართველოს კულტურისა და განსაკუთრებით კი ნივთიერი კულტურის დასახასიათებლად, როგორც უკვე დავინახეთ, საკმაოდ მდიდარი და ხელშესახები მასალა მოგვეპოვება. მაგრამ როდესაც ვცდილობთ იმდროინდელი საქართველოს მოსახლეობის სოციალური რაობისა და განფენების შესახებ შევიქმნათ წარმოდგენა, იძულებული ვხდებით ვაღიაროთ, რომ საამისოდ არქეოლოგიური მასალა შედარებით უკმარისი და ნაწყვეტ-ნაწყვეტია და, რომ იგი უფრო ნართაულად თუ მიგვითითებს რასმე, ვიდრე პირდაპირ. ამ მხრივ ყველაზე უფრო ღირებული ისევ ზემოთ ხსენებული, კარგად ცნობილი და შესწავლილ-გამოქვეყნებული ძეგლებია, მაგრამ მაინც საკმაოდ ბევრი რამ შეიძლება გამოგვივლინოს „მუნჯმა" არქეოლოგიურმა მასალამაც. ძირითადად აქაც, როგორც ბევრ სხვა შემთხვევაში, რასაკვირველია, მცხეთის განათხარი ძეგლების საფუძველზე გვიხდება მსჯელობა და მათ ვეყრდნობით. ამ გარემოებას თავისი საკმაოდ დიდი ნაკლიც ახლავს: დიდი ცენტრისა და ქალაქის მიხედვით გამოტანილი დასკვნები ზოგჯერ ძალაუნებურად უნდა გავავრცელოთ დანარჩენ ქვეყანაზედაც და ეს კი არ იქნება მართებული. არა და, სხვა ადგილებში მოპოვებული მასალა იშვიათად თუ გვაძლევს რეალურ საფუძველს ჩვენთვის ამჟამად საინტერესო საკითხის შესახებ მსჯელობისათვის.

უპირველეს ყოვლისა, დავუბრუნდეთ მცხეთის სამარხეულ ძეგლებს, რომლებიც ზემოთ მრავალგზის დავახასიათეთ სხვადასხვა თვალთახედვით. ისინი წარმოდგენილია კრამიტსამარხებით, აგურსამარხებით, ქვისსამარხებით. სადღეისოდ მრავალი ათეული იმდროინდელი სამარხია გათხრილი და სრულიად გადაჭრით ითქმის, რომ ისინი, აღნაგობით იქნება თუ ინვენტარით, საერთოდ ჭრელ სურათს ქმნიან, — მათში დაკრძალული ძველი მცხეთელების დიდ ქონებრივ სხვადასხვაობას ამჟღავნებენ. ორი დიდი ნაშენი აკლდამისა (ბაგინეთში და სადგურთან), სამი სარკოფაგისა (არმაზისხევთან და ბაგინეთში) და ორიოდე ათეული მდიდრული ქვისსამარხის (არმაზისხევთან, სამთავროს სამაროვანზე და შიგ დაბაში) შესახებ რომ აღარა ვთქვათ რა, დანარჩენი, მასობრივ სასაფლაოთა შემადგენელი სამარხებიც, სრულიადაც არაა ერთგვაროვანი, ამასთანავე, სამთავროს სამაროვანზე ყველაზე უფრო დიდი, მდიდრულად ნაგები და მდიდრულინვენტარიანი ქვისსამარხები სამხრეთი უბნის სამხრეთ განაპირას და აგრეთვე თვით დაბის ტერიტორიაზეა თავმოყრილი, ხოლო ნაკლებმდიდრული — თანდათან უფრო ჩრდილოეთისაკენ. ისიც იქცევს ყურადღებას, რომ აქაური უმდიდრესი სამარხები გაცილებით უფრო მეჩხერადაა განლაგებული და თითქოს ამაშიც გამოსჭვივის, რომ შიგ დაკრძალულია, ასე ვთქვათ, „ზვიადობა".

მცხეთის სადგურთან აღმოჩენილ სამაროვანზე ასეთ სურათს ვხედავთ: დიდი, სახლისებრი აკლდამა კლდის ძირასაა ჩადგმული, ხოლო ღარიბული სამარხები — ქვემოთ, ტერასებზე. არმაზისხევის სამაროვანზე თვით ერისთავთა განსასვენებელი თითქმის ზედ აკრავს სასახლის ნაგებობათა კომპლექსს, ხოლო იმავდროული ღარიბული სამარხები მოშორებითაა, მტკვრის და ხევის ფლატეთა პირას.

სამარხ ნაგებობათა გარეგნულ მდიდრულობას ინვენტარის მდიდრულობაც შეესაბამება. ყველა ამ სამაროვანზე არის ბევრი ისეთი სამარხი, რომელშიც ოქრო-ვერცხლეული სრულიად არაა და ინვენტარი ძირითადად იაფფასიანი მძივებითა და წითელი თიხის თითო-ოროლა სადა ჭურჭლით ამოიწურება. სამთავროს სამაროვანზე კი, სადაც სამარხები ნამდვილად მრავალრიცხოვანია, დაკრძალულთა შორის შეიძლება, პირობით, გამოიყოს ოთხი ძირითადი ჯგუფი: 1) მდიდრები; 2) საშუალო შეძლებისანი; 3) მცირე შეძლებისანი და 4) ღარიბები, რომელთა სამარხებში ინვენტარი ან სულ არაა, ან განსაკუთრებით მწირია. რაც შეეხება ძველი მცხეთის დანარჩენ სამაროვნებს, იქ ასეთი ვითარებაა: სადგურთან ჯერჯერობით მხოლოდ 1-ელი და მე-3 ჯგუფი ჩანს: არმაზისხევთან — ასევე: ბაგინეთში, გასაგები მიზეზის გამო (ითხრებოდა შიდაციხის, ე. ი. სამეფო რეზიდენციის ტერიტორია) მხოლოდ 1-ელი, დაბა მცხეთის ტერიტორიაზე —მე-2, მე-3 და აქა-იქ თითქოს 1-ელიც; ზაჰეს ავჭალის უბანში — მე-2 და მე-3.

განსაკუთრებით მდიდრულ სამარხებთან გვაქვს საქმე: ბაგინეთში (სადაც საერთოდაც იყო მოსალოდნელი მეფეთა სამარხავი და განსაკუთრებით კი მას შემდეგ, რაც სარკოფაგში „მეფის ასულის“ ნივთები აღმოჩნდა), მცხეთის სადგურთან (სადაც დიდი, ჩანს, არმაზისხეველ ერისთავებზე მეტი რანგის სახელმწიფო მოხელე დიდკაცობის სამარხავი იგულისხმება) და არმაზისხევის ერისთავთა განსასვენებელში. სამთავროსა და დაბა მცხეთის სამაროვნები (რომლებიც ეგებ სულაც ერთსა და იმავეს შეადგენდნენ) იმ დროს მაღლობებზე შეფენილი მცხეთის სამოსახლოს ყველაზე უფრო მასობრივი სასაფლაოები ჩანს და მათზე დაკრძალული დიდკაცობა ჯერჯერობით თითქოს ვერ გაუტოლდება ზემოთ ხსენებულთ.

ასეთია მცხეთის სამაროვანთა სოციალური ტოპოგრაფია. მისი შემდგომი დაზუსტება და შევსება უთუოდ კიდევ უფრო საინტერესო და დამაჯერებელ სურათს გამოავლენს, მაგრამ ამთავითვე შეიძლება ითქვას, რომ ეს არის ერთ-ერთი უტყუარი მოწმობა I—III სს. მცხეთის მოსახლეობის აშკარა და მკვეთრი ქონებრივი დიფერენციაციისა, რასაც განუყრელად უნდა ახლდეს თან უფლებრივიც — მით უმეტეს, რომ არმაზისხევისა და ბაგინეთის წარწერები პირდაპირ და მჭევრად გვიხატავენ განვითარებული იერარქიის სურათს.

ამრიგად მოსინჯული სოციალური ჯგუფები განსაკუთრებით მრავალმხრივ, როგორც დავრწმუნდით, ყველაზე უფრო მასობრივ სამაროვანზეა წარმოდგენილი. ეს უკანასკნელი გარემოება იმიტომაც იქცევს ყურადღებას, რომ სამთავროს სასაფლაო „მრავალფეროვანიც“ ჩანს: ანტიკური მცხეთის ჭრელი მოსახლეობის ყველა თუ არა, რამდენიმე ეროვნული ჯგუფი მაინცაა იქ თითქმის მხარდამხარ წარმოდგენილი. ყოველ შემთხვევაში, ეპიტაფიათა მიხედვით, მკვიდრებთან ერთად ებრაელები და თითქოს აგრეთვე ბერძნებიც ჩა-

ნან (ეს მომენტიც ითვლება განვითარებული სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთ მოწმობად) [12]. არ იქნებოდა გაზვიადებული თქმა, რომ აქ სოციალური გამიჯნულობა უფრო საცნაურია, ვიდრე ეროვნული.

მაგრამ სოციალური კონტრასტები უფრო მკაფიოდ იჩენს თავს სხვა ნაკლებ მასობრივ სამაროვნებზე: მცხეთის სადგურთან და არმაზისხევთან. შეიძლება ეს იმითაც აიხსნებოდეს, რომ იქ უკვე აღარაა წარმოდგენილი ქალაქის ჭრელი და მრავალფეროვანი, ე. ი. გარდამავალ ფენათა შემცველი მოსახლეობა და იკრძალება მხოლოდ ქალაქისაგან განზე გამდგარი, მთისძირა ვიწრო ტერასებზე დასახლებული დიდკაცობა და მათდამი უშუალოდ დაქვემდებარებული, მათი კუთვნილი თუ მომსახურე ადამიანები. ასე მაგალითად, სადგურის აკლდამა, როგორც დავრწმუნდით, ყოველმხრივ დიდი ფუფუნებითა და ხარჯის დაუზოგავად მოფიქრებული, დაგეგმილი, აგებული და შემკული შენობაა (ისევე, როგორც ბაგინეთის დიდი აკლდამა ყოფილა). შიგ ჩამარხული ინვენტარი კი, მძარცველებს გადარჩენილი ნივთების მიხედვით, განსაკუთრებით მდიდრულ-მრავალფეროვანი და ეგებ სწორუპოვარიც კი უნდა ყოფილიყო — ისევე, როგორც ბაგინეთის აკლდამაში. სხვა რომ არა იყოს რა, იქ აღმოჩნდა ოქროს 10 და ვერცხლის 54 მონეტა (მაშინ, როცა მანამდე უმდიდრესად მიჩნეულ სამარხში, არმაზისხევის მე-6 სარკოფაგში, რომელიც ამასთანავე გაუძარცვავი გამოდგა, ოქროს მონეტა 6 იყო, ხოლო ვერცხლისა 16). მისგან ასიოდე მეტრზე გათხრილ კრამიტსამარხებში კი თიხის თითო-ოროლა უფერული ჭურჭლისა, ბრინჯაოს ერთი-ორი სამკაულისა და ცოტაოდენი მძივების გარდა არაფერი ყოფილა. შთაბეჭდილება ისეთი იქმნება, რომ, თუ არ დაკრძალვის წესის მიდევნის აუცილებლობა, საერთოდაც არაფერს ჩაატანდნენ ამ კრამიტსამარხებში დამარხულთ, იმდენად ცოტა რამ ჰქონდათ. სამთავროში კი, როგორც ვიცით, ნამდვილად არის უინვენტარო სამარხებიც.

კიდევ უფრო საინტერესოდ უპირისპირდება ერთიმეორეს არმაზისხევის ერისთავთა სამარხები და მათგან აგრეთვე ასიოდე მეტრ მანძილზე გათხრილი კრამიტსამარხები და ქვისსამარხები, რომელთა ინვენტარი საერთოდ თითქმის მხოლოდ რიტუალურად სავალდებულო, თიხის ხელადა-კოჭობებითა და მცირერიცხოვანი მძივებით ამოიწურება, მაგრამ ერთ შემთხვევაში კი შედარებით უფრო უხვადაა წარმოდგენილი. სწორედ ამ უკანასკნელში ჩანს, ერთი მხრივ, აშკარა ხელმოკლეობა და მეორე მხრივ კი ნიშანდობლივი მიდრეკილება იმისადმი, რომ რამენაირად „არ ჩამორჩეს“ ადამიანი აქაურსავე ერისთავებს. და თუ იგი — ან, უფრო სწორედ, მისი ჭირისუფლები — როგორღაც მაინც ახერხებენ ამას (ჩაუტანებიათ ავგუსტეს დენარი, გიშერ-პასტის მძივები, რკინის ცული, ბრინჯაოს საყურეები და თიხის ორი ჭურჭელი), ეს ეგებ უნდა მიეწეროს მათს შედარებით დაწინაურებულ მდგომარეობას ერისთავთა კარზე: შესაძლოა, დაკრძალული ქალი დიდკაცის ოჯახთან ასე თუ ისე დაახლოებული მოახლე, ძიძა თუ სხვა ვინმე იყო, მაგრამ სწორედ მისი ინვენტარია საინტერესო: ერთ-ერთი თიხის ჭურჭელი ნამდვილად გაკეთებულია ვერცხლის ყურმაღალი სურების მიბაძვით, ხოლო ბრინჯაოს საყურეები პირწავარდნილი ასლია იმ ოქროს საყურეებისა, რომლებიც ერისთავთა განსასვენებლის ორ სამარხში და სამთავროს ერთ-ერთ სამარხში არის წარმოდგენილი. სრულიად არ უნდა გაგვიკვირდეს ამის შემდეგ, რომ ამ „მოახლის“ სამარხის ასაგებად გამოყენე-

ბული კრამიტიც ერისთავთა შენობებისაგან მორჩენილი მასალიდან იყოს აღებული.

რაც შეეხება „დიდი მცხეთის" გარეშე აღმოჩენილ იმდროინდელ სამარხთა ინვენტარს, იგი — ბორის, კლდეეთის, თაგილონისა და სხვა, აშკარად წარჩინებულთა სამარხებზე რომ აღარ ვთქვათ რა, საერთოდაც თითქმის ვერც ერთ შემთხვევაში ვერ ჩაითვლება ღარიბულად. მაგრამ აქედან რისამე დასკვნა საფრთხილოა, ვინაიდან როდესაც არამეცნიერულად გათხრილ სამარხებთანა გვაქვს საქმე, შეიძლება სულაც ისე ხდებოდეს, რომ ჩვენ მუზეუმებში მხოლოდ მეტ-ნაკლებ ყურადსაღები და ძვირფასი მასალა იყრიდეს თავს. ერთი რამ კი უნდა ითქვას: მცხეთის გარეშე კრამიტსამარხები ძალიან ცოტა ჩანს და სადაც არის (ურბნისში, ერწოში) ქალაქურ სამოსახლოთა მცხოვრებლების ან ცალკეულ დიდკაცთა დამარხვაა მათში საგულისხმებელი. ურბნისში შეგვიძლია ვილაპარაკოთ ინვენტარის (მაგ., ოქროს თვალედი ბეჭდების და სხვა სამკაულის, მინის ჭურჭელთა) შემცველი და სრულიად უინვენტარო სამარხების შესახებ, ისევე როგორც სამთავროში. მაგრამ ჯერ კიდევ მთლად ნათელი არაა საკითხი: ეს სამარხები იქ ერთდროულია და აღნიშნული სხვაობა სოციალურ განფენებას მოასწავებს, თუ ისინი სხვადასხვა ხანას ეკუთვნის (შესაძლოა, კრამიტითა და აგურით სამარხების აგების წესი იქ ადრე შუა საუკუნეებშიც გადმოდიოდეს, რასაც მცხეთაში ვერ ვხედავთ) და, მაშასადამე, ეგებ დაკრძალვის წესის ამგვარ ცვლილებებთან გვქონდეს საქმე [28].

მაგრამ სანამ მცხეთის გარეშე მოპოვებულ მასალებზე გადავიდოდეთ, შევჩერდეთ მცხეთის იმ არქეოლოგიურ ძეგლებზე, რომლებიც გაცილებით უფრო პირდაპირ მიგვითითებენ იმდროინდელი იბერია-ქართლის საზოგადოების სოციალურ სტრუქტურაზე, ვიდრე თვით სამარხები თუ მათი ინვენტარი. ეს არის წარწერები და, უპირველეს ყოვლისა, სახელგანთქმული „არმაზის ბილინგვა". ისინი ამ თვალსაზრისით უკვე იმდენჯერ და ისე წარმატებით არიან ინტერპრეტაციაქმნილი, რომ ეგებ აღარც ღირდეს კიდევ ერთხელ სიტყვის გაგრძელება. ჩვენი საკითხისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება, უპირველეს ყოვლისა, წარწერებში მოხსენებულ პირთა წოდებულებისა და თანამდებობის აღნიშვნას, რაც კარგად ასახავს ქართლის სოციალური ცხოვრებისა და სახელმწიფო წყობილების სურათს იმ ხანაში. ირკვევა, რომ სახელმწიფოს სათავეში უდგას „იბერთა დიდი მეფე", რომელსაც ჰყავს და ეხელქვეითებიან ისეთი თანამდებობის პირები, როგორიცაა ეზოსმოძღვარი (რაბ-თარბასი, ეპიტროპი) და ერისთავი (პიტიახში). ფიქრობენ, რომ ყოფილან უფროსი, უმცროსი და ჩვეულებრივი პიტიახშები, მაგრამ ეს გაზვიადებულად გვეჩვენება, მით უმეტეს, რომ გამოთქმულია უთუოდ საინტერესო მოსაზრება, რომლის თანახმადაც ზედსართავი „მცირე", რის მიხედვითაც პირობითად აიგო პიტიახშთა სამსაფეხურიანი იერარქია, უნდა ეკუთვნოდეს პიტიახშის სახელს („ზევახ მცირე") და არა მის თანამდებობას („მცირე პიტიახში") [117]. ყოველ შემთხვევაში, ამ ერისთავ-პიტიახშების ერთ-ერთი ფუნქცია ქვეყნის ამა თუ იმ მხარის გამგებლობა, იქ მეფის ნაცვლობა ჩანს, მაგრამ ისინი თან, რა თქმა უნდა, აქტიურად მონაწილეობენ საომარ მოქმედებაშიც. ამ მხრივ დიდად ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ სწორედ ძალიან რთულ, დაძაბულ, მაგრამ ძლევამოსილ საომარ მოქმედებათა შემაჯამებელ წარწერაში (არმაზისხევის ერთ-

ენოვანი სტელა) მეფის გამარჯვებათა ამბავს მოგვითხრობს მისი ერისთავი — პიტიახში შარაგასი, თითქოს მისი სახელითაც კი და, რაც არა ნაკლებ საინტერესოა, ეს სტელა ერისთავთა ადგილსამყოფელშია აღმართული (თუმცა, შესაძლოა, სხვაგანაც იდგა ისეთივე სტელა და აქ მხოლოდ ასლი გვქონდეს იმ წარწერისა?).

სარდლობა, ჩანს, ეზომოძღვრის ფუნქციასაც შეადგენდა, მით უმეტეს, რომ იგი მეფის პირადად მცველი რაზმის („ძველი ქართულით, „ტაძრეულთა" ანუ „ლეიბ-გვარდიის") მეთაურადაც გვევლინება და საერთოდ დიდად გავლენიანი მოხელე უნდა ყოფილიყო მეფის კარზე.

პიტიახშს, სხვა წყაროთა მიხედვით, „უფალი" ეწოდება. მას თავისი მონები, მსახურები და სხვა დაქვემდებარებული ადამიანები ჰყოლია.

ამ უმაღლესი ხელისუფლების პირთ თავიანთი ძალაუფლების ნიშნები აქვთ და ეს კიდევ უფრო აძლიერებს მათი თანამდებობის სიმტკიცეს.

მეფეთა მსგავსად, ეზოსმოძღვრებიცა და ერისთავებიც მემკვიდრეობით, მამაშვილობით იღებენ თავიანთ თანამდებობასა და წოდებას. არმაზისხევის წარწერების მიხედვით ირკვევა ამ სამივე რანგის წარმომადგენელთა ორ-ორი თაობა მაინც, მეტი თუ არა: მეფეები ფარსმანი და ქსეფარნუგი (ადრე ჩანს მითრიდატეც); ეზოსმოძღვრები პუბლიკიოს აგრიფა და იოდმანგანი; ერისთავები ზევახი და ასპარუგი (ადრე, მითრიდატეს დროს, ჩანს შარაგასი).

მეფეები, სამადლობლად თუ მოსამადლიერებლად, ძვირფას საჩუქრებს უბოძებენ ხოლმე თავიანთ ერთგულ მოხელეებს (მაგ., ფლ. დადესი ვერცხლის შესანიშნავ ლანგარს სჩუქნის ბერსუმა ერისთავს). ბორის ვერცხლის პინაკი „კეთილ პიტიახშს ბუზმირს" ეკუთვნის, მაგრამ იქ მისი წრის შესახებ მეტი არა ვიცით რა ნიშანდობლივ, მხოლოდ ინვენტარით თუ მივხვდებით რასმე.

მეფის მოხელეთა ორივე უმაღლესი წრე ერთიმეორეს უმოყვრდება (ზევახ ერისთავის ასული სერაფიტი იოდმანგან ეზოსმოძღვრის მეუღლეა); შვილები მშობელთა სურათებს (გემებს) სარტყელში, ბეჭდებში თუ სხვა სამკაულებში ჩასმულს ატარებენ (მაგ., ზევახისა და მისი მეუღლის სურათი — ასპარუგის სარტყლის ბალთაში და სხვ.) და დაახლოებით ასეთსავე სურათს ვხედავთ ზღუდერშიც.

ამრიგად ვხედავთ, თუ რა მჭიდროდაა შეკრული იმდროინდელი ქართლის ანუ იბერიის სამეფოს (როგორც ცნობილია, მონათმფლობელური სახელმწიფოს) გამგებელთა, უზენაეს არისტოკრატთა წრე, რომელიც ურთიერთთანხმობითა და მხარდაჭერით მართავს ამ სახელმწიფოს, აწარმოებს საერთაშორისო, „დიდ პოლიტიკას", ომიანობა-ლაშქრობას. ამავე დროს ეს წრე წარმოადგენს, რა თქმა უნდა, ყველაზე უფრო დიდ ექსპლოატატორთა და მესაკუთრეთა (კერძოდ, მონებისა და სახნავ-სათესი თუ სავენახე მიწების მფლობელთა) ჯგუფს ამ სახელმწიფოში. ამიტომ სავსებით ბუნებრივია, თუ ზოგი მათგანის ნასადგურევი ნაშთები (მცხეთაში, ბორსა და ზღუდერში) და სამარხები ჩვენს წინაშე შლიან ფუფუნებით, ლაღად და ხელგაშლით ცხოვრების, დიდი შეძლებულობის, იმდროინდელი მსოფლიო ცივილიზაციის ყველა მიღწევით სარგებლობისა და დახვეწილი გემოვნების, უცხოური კულტურისადმი ძლიერი ლტოლვის მკაფიო სურათს, რომელიც ზემოთ საკმაოდ დაწვრილებით მოვხაზეთ. აქვე უნდა დავძინოთ, რომ ჯერჯერობით უმთავრესად ერისთავთა მიერ დატოვებული

ძეგლების ამარა ვართ: თვით მეფეების კუთვნილი ნაშთები ძალზე ნაკლებ, ხოლო ეზოსმოძღვრებისა თითქმის სულაც არაა გამომჟღავნებული.

მეორე მხრივ, უნდა ვიგულისხმოთ ჩვენ მიერ საკმაოდ კარგად შესწავლილი, სხვადასხვაგვარი ნაწარმის შემქმნელი თავისუფალი ხელოსნებიცა და აგრეთვე მათ მხარდამხარ, თუ განსაკუთრებით მძიმე სამუშაოებზე (მაღაროებში, ქვისსამტეხლოებში, დიდ მშენებლობაზე და სხვ.) დაყენებული მრავალრიცხოვანი მონები, რომელთა ექსპლოატაცია აძლევს საშუალებას გაბატონებულ ფენებს ისე ფუფუნებით იცხოვრონ [12].

როგორც ითქვა, ყოველივე ეს თითქმის სავსებით შეიძლება გავრცელდეს ბორში აღმოჩენილ მდიდრულ ძეგლებზე, რომლებიც, როგორც ირკვევა, აგრეთვე იბერიის იმ ერისთავ-პიტიახშებს (მათ შორის ბუზმირს) უნდა მიეკუთვნოს, სახელმწიფოს ერთ-ერთ განაპირა მხარეში კოლხეთის მიჯნაზე რომ მსხდარან. ჩანს, იმავე და ეგებ უფრო მაღალ დონეზე მდგარი დიდკაცობა უნდა ვიგულისხმოთ ზღუდერის სამაროვნის მიხედვით. ყველაზე უფრო არსებითი განსხვავება შეიძლება ის იყოს, რომ ბორში (ისევე, როგორც ერწოში, ზღუდერსა და კლდეეთში) ორმოსამარხები ჩანს და, მაშასადამე, „სამარხეული არქიტექტურა“ სულ არაა წარმოდგენილი და არც სხვაგვარ ნაგებობათა ნაშთებია ჯერ ცნობილი (თუ არ ჩავთვლით კრამიტის აღმოჩენას ბორში და ერწოში). რაც შეეხება იქაურ სამარხეულ ინვენტარს, მისი შემადგენლობა გვაფიქრებინებს, რომ ბორში მსხდარი ერისთავ-პიტიახშები საერთოდ მაინცდამაინც არაფერში უგდებდნენ ტოლს არმაზისხევში მსხდართ, გარდა იმისა, რომ ისინი ალბათ არ ყოფილან მეფესთან ისე დაახლოებულნი და ეზოსმოძღვრებთან დამოყვრებულნი, როგორც არმაზისხეველები. ყურადსაღები ისიც არის, რომ ისინიც ისე განზე გამდგარი ჩანან იქაური ცენტრისა და ციტადელისაგან — შორაპნისაგან, როგორც არმაზისხეველები არმაზციხისაგან.

ბორის სხვა, დაახლოებით იმავდროული (რამდენადმე უფრო ადრინდელი) მასალა საშუალებას გვაძლევს, იქაც დავუპირისპიროთ ამ უმაღლეს არისტოკრატიას ნივთიერი დოვლათის უშუალო მწარმოებელთა ერთი ჯგუფი, რომელიც ალბათ სწორედ მათდამი დაქვემდებარებული იქნებოდა, თუმცა ჯერ არც მათი სოციალური რაობის ზუსტად განსაზღვრა შეგვიძლია. ესაა ქვევრსამარხებში დაკრძალული ადამიანები, რომლებიც ამ ბოლო დროს გამოთქმული ყურადსაღები მოსაზრების თანახმად, ეგებ იმიტომაც იმარხებოდნენ ქვევრებში, რომ თითონ წარმოადგენდნენ მევენახეობა-მეღვინეობაზე დასპეციალებულ მიწის მუშებს და თან მეტ-ნაკლები საკუთარი ღვინოც მოეპოვებოდათ ხოლმე, თუმცა სხვას კი ეკუთვნოდა მიწაცა და მათი შრომის უდიდესი ნაწილიც [118].

რამდენადმე განსხვავებულად დგას ეს, ჩვენთვის ამჟამად საინტერესო საკითხი კლდეეთის მიმართ, რომელმაც, მცხეთის, ბორის, ზღუდერის, ერწოსა და ურეკის სამარხების შემდეგ ყველაზე უფრო მდიდრული და მრავალფეროვანი მასალა მოგვცა. როდესაც კლდეეთის სამარხებში დაკრძალულთა სოციალური ვინაობის გარკვევას ვცდილობთ, არ შეიძლება ყურადღება არ მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ მათი ინვენტარი საერთოდ შემადგენლობითა და აგრეთვე ბევრი ცალკეული კომპონენტით თანხვდება ზემოგანხილულ უმდიდრეს სამარხთა ინვენტარს, მაგრამ თან ისიც აშკარაა, რომ ბრწყინვალებით, ძვირფასი ლითონის საგანთა სიუხვითა და მრავალფეროვნებით იგი ვერ შეედ-

რება არმაზისხევის, ბაგინეთის, მცხეთის სადგურის, ზღუდერისა და ბორის სამარხებისას. კლდეეთს ამ მხრივ თითქოს საშუალო ადგილი უჭირავს მათსა და სამთავროს (მდიდრულ სამარხთა) შორის. თუ რამით უტოლდება და აქა-იქ ეგებ კიდევაც აღემატება კლდეეთური ინვენტარი არმაზისხევურსა თუ ბაგინეთურს, ეს ისევე ფრინველებიანი ბალთები, პორტრეტულ-გემმიანი აგრაფი და ბრინჯაოს ზოგი მინიატურული ქანდაკებაა. მეორე მხრივ, კლდეეთში იმ დროისათვის არცთუ ჩვეული და უფრო წინა ხანებისათვის დამახასიათებელი სიუხვით არის წარმოდგენილი ბრინჯაოს საკიდი ქანდაკებანი, ნაირ-ნაირი ეჟვან-ზარაკები და სხვ., რაც თითქმის სრულიად არ ახასიათებს მცხეთის I—III სს. მდიდრულ სამარხებს და ისევ პროვინციულ ადგილებში (მაგ., სამხრეთ ოსეთში) თუ გვხვდება ხოლმე. ამ საგნებს საკულტო-მაგიური დანიშნულება უნდა ჰქონოდათ და ისინი სხეულის სამკაულთან, ტანისამოსთან თუ ცხენის მოსართავთან უნდა ყოფილიყვნენ დაკავშირებული. ბრინჯაოს ასეთი საკულტო ინვენტარი ძველი, ტრადიციული (მაგ., სამთავროსა და ბულაჩაურში ჯერ კიდევ ძვ. წ. II—I ათასწლეულთა მიჯნაზე დამოწმებული) და განსახილველი ხანისათვის უკვე კონსერვატიულიც კი ჩანს საქართველოში — ყოველ შემთხვევაში, ბარში მაინც. ეს გასაგებიცაა, თუკი წარმოვიდგენთ მის განუყრელსა და მუდმივ კავშირს ძველ ქართულ ხალხურ სარწმუნოებასთან. იმავე დროს მათი თითქმის ჰაჰანებაც კი არაა მცხეთის დიდკაცურ სამაროვნებში. ეს უნდა მიეწეროს ამ უკანასკნელებში დაკრძალულთა ურბნიზაციას( მცხეთის მთელ მოსახლეობასთან ერთად, პირველ რიგში), ერთგვარ დენაციონალიზაციას, უცხოურისადმი მეტ სწრაფვას (რაც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ) და ხალხურ მკვიდრ იდეოლოგიურ ფორმებთან კავშირის შესუსტებას, ამ უკანასკნელთა ნივთიერი ატრიბუტების უგულებელყოფას. ეს გარემოება კარგად შეესიტყვისება ზემოთ აღნიშნულ გარემოებას — შედარებით ნაკლებ მდიდრულობას კლდეეთის ინვენტარისა. ყოველივე ამის მიხედვით უნდა დავასკვნათ, რომ მართალია, აქაც წარჩინებულ და შეძლებულ პირებთანა გვაქვს საქმე, მაგრამ ისინი გაცილებით უფრო მოკრძალებულნი ჩანან, ვიდრე მცხეთისა თუ ბორის დიდკაცობა. სულაც შესაძლოა, რომ არცთუ მთლად უმაღლესი მხედართმთავრები იყვნენ (იარაღის სიმრავლე და მრავალფეროვნება, ზოგიერთ სამხედრო ატრიბუტთან ერთად; შეკაზმული ცხენები), დიდ სახელმწიფო მოხელეთადმი დაქვემდებარებულნი. მაგრამ აქვე უნდა გავიხსენოთ ბრინჯაოს ლახტისთავი (ერთი ბორშიცაა ნაპოვნი), რომელიც ალბათ ძალაუფლების ემბლემად უნდა მივიჩნიოთ.

ა. ამირანაშვილი თაგილონში აღმოჩენილი, კლდეეთელთა მეტ-ნაკლებ ტოლი შეძლება-უფლების მქონე წარჩინებული პირის კუთვნილი ინვენტარის ანალიზისას, მისი სოციალური ვინაობის განსასაზღვრავად ხმარობს რამდენიმე ტერმინს: „ადგილობრივი დინასტიო", „ტომის მთავარიო", „მეფუკაო", „მომავალ ფეოდალთა არაშორეული წინაპარიო". ტერმინოლოგიის ასეთი უზუსტობა შემთხვევითი არაა. ავტორს ფრიად ზოგადადა აქვს წარმოდგენილი სათანადო ხანა, რომელიც, მისი აზრით, ასახავს საქართველოში გვაროვნული წყობილების დაშლა-რღვევის სტადიას და პირველ სახელმწიფოებრივ წარმონაქმნთა საწყის საფეხურებს, მისი აზრით, ამ პროცესში ფრიად მნიშვნელოვანი როლი უთამაშია რომის ეკონომიურ ექსპანსიას, რომელსაც გაურთულე-

ბია ქვეყნის სავაჭრო-ეკონომიური ცხოვრება და ამას კი თავის მხრივ დაუჩქარებია ნივთიერი წარმოების ტექნიკური პროგრესი [8].

ჩვენი აზრით, იმ დროისათვის (ავტორი I—II სს. ათარიღებს მონაპოვარს) ანაქრონიზმია მსჯელობა „გვაროვნული წყობილების რღვევაზე და სახელმწიფოებრიობის ჩასახვაზე", და ისიც „რომის ეკონომიური ექსპანსიის ხელშეწყობით". როგორც ვიცით, იმჟამად ერთიცა და მეორეც კარგა ხნის მომხდარი ფაქტია (სხვა თუ არაფერი, არქეოლოგიური და კერძოდ ნუმიზმატიკური მასალა მაინც გვამცნობს ამას — განსაკუთრებით სწორედ დასავლეთ საქართველოში). მაგრამ ყოველივე ეს ავტორის საერთო, საკმაოდ ცნობილი კონცეფციიდან გამომდინარეობს... ამჟამად იმასღა შევნიშნავდით, რომ თაგილონის სამარხის ინვენტარი, ჩვენი აზრით, ეკუთვნის ისეთსავე მოზრდილ მხედართმთავარსა და წარჩინებულ-შეძლებულ პირს, როგორსაც კლდეეთის ინვენტარი (ნიშანდობლივია, რომ მხოლოდ ამ ორ მონაპოვარში შედის ჯაჭვის პერანგის ნაწყვეტები), მაგრამ ესენი არ უნდა იყვნენ „ტომთა ბელადები"; ეს მხედართმთავრები უკვე ჩამოყალიბებულ სახელმწიფოში მონახავენ თავიანთ ჯეროვან ადგილს და არა „დაშლის გზაზე დამდგარ გვაროვნულ საზოგადოებაში".

კიდევ ერთ სოციალურ ჯგუფს — ეგებ ვაჭრებს — უნდა მიგვითითებდეს ზემოაღნიშნული ორი, ნამდვილად დიდი განძი: სეფიეთისა და გერზეულისა. იბერია-ქართლის ტერიტორიაზე ჯერჯერობით ამგვარი განძები არ აღმოჩენილა.

დასასრულ, ცალკე გამოსაყოფია საკითხი, რომლის პასუხიც სადღეისოდ ალბათ გაჭირდება: რა ვითარება გვაქვს იმჟამად ნამდვილ მთაში? „ნამდვილს" იმიტომ ვუსვამთ ხაზს, რომ ასეთად ვერ ჩაითვლება, მაგალითად, ბარისა და მთის მიჯნაზე, ენგურის შუა წელზე მდებარე სოფ. ხაიში, სადაც აღმოჩენილია უთუოდ საყურადღებო, ოქრო-ვერცხლის შემცველი ინვენტარი, რომელიც ალბათ ეკუთვნოდა აგრეთვე სოციალურად დაწინაურებულსა და შეძლებულ პირს. ამ მხრივ ყველაზე უფრო საინტერესო მასალას მოგვცემს ზემო რაჭის მრავალწლიანი ექსპედიციის მონაპოვარი, რომლის მიხედვითაც მთის ერთგვარი დამოკიდებულება თუ უცხოურისადმი მეტი შეუვალობა, როგორც უკვე ითქვა, ამთავითვე შეიძლება დავინახოთ შორეული სავაჭრო ურთიერთობის, საკმაოდ ძლიერი იმპორტის მომასწავებელ მრავალ ფაქტთან ერთად. სახელდობრ, მონეტები იქ მხოლოდ კოლხური ოქროთია წარმოდგენილი და საერთოდაც ძველი კოლხური კულტურის ტრადიციული ფორმები გაცილებით მეტი ჩანს შემონახული, ვიდრე კოლხეთის ბარში. მეორე მხრივ აგრეთვე ფაქტია ავგუსტეს დენარის „შეღწევა" ზემო ივრის ხეობაში, თიანეთის ჩრდილოეთით [46].

რაც შეეხება არასამარხეულ ძეგლებს — საცხოვრებელ ნაგებობათა ნაშთებს, ისინი, როგორც ვიცით, უმთავრესად მცხეთაშია ჯერჯერობით გამოვლენილი და მათ შორის ყველაზე უფრო მჭევრმეტყველი კი არმაზისხევის ერისთავთა რეზიდენციის კომპლექსის ნანგრევებია. ამ ნანგრევთა მდგომარეობის დაკვირვებული ანალიზი საშუალებას გვაძლევს ვთქვათ, რომ სასახლის კომპლექსი ძალით განადგურებული უნდა იყოს და ეს განადგურება თითქოს ხანძრით დაწყებული ჩანს: ხის ნაწილები (მათ შორის ალბათ ნივნივებიც) და კრამიტის საბურავი შიგაა ჩამოსხმული და ჩალეწი-

ლი. ისიც ნიშანდობლივია, რომ მარმარილოს ქანდაკებანი ძალით დამტვრეული და ნატეხებად მიმობნეული ჩანს. დაწვა-დანგრევის შემდგომ კი შენობის ქვიერი დეკორატიული სამოსელი შემოძარცული და მეტ-ნაკლებად შორს წაღებულია. ეს ბედი ნაწილობრივ გაუზიარებია აბანოსაც, ოღონდ იქ ხანძრის კვალი ნაკლებ ჩანს. ბაგინეთის ძველი სასახლისა თუ რაღაც სხვა დიდი საზეიმო ნაგებობის („სვეტებიანი დარბაზის") გადაწვის ნიშნებიც თვალსაჩინოა.

შევვიძლია წარმოვიდგინოთ, რომ არმაზისხევის სასახლის ნაგებობის მიმართ ასეთი ძალადობა მასში ნაცხოვრები დიდკაცობისადმი გაბოროტებული ამხედრების შედეგია და მაშინ მით უფრო გასაგები გახდება „წარმართულ-ეშმაკეულ" მარმარილოს ქანდაკებათა მიმომსხვრევა (ერთგვარი სიმბოლური აქტია).

სასახლის დარბევა და გადაწვა III ს-ის ბოლოზე ადრე არ უნდა მომხდარიყო, რადგან მასთან არსებული და მის ბინადართა განსასვენებლად განკუთვნილი საგვარეულო სასაფლაო ამ დრომდე განაგრძობს შეუფერხებლად არსებობას. ბუნებრივი იქნება, თუ ამ აქტს IV საუკუნეში ვიგულისხმებთ, მით უმეტეს, რომ IV საუკუნის მდიდრული სამარხები უკვე სხვა ადგილას, ადრინდელი სამარხებისაგან საკმაოდ მოშორებითაა განლაგებული. IV საუკუნეში გარედან არავითარი მნიშვნელოვანი შემოსევა არაა საგულისხმებელი, ხოლო შინაგანი მძაფრი სოციალური ჭიდილი, თუნდაც რელიგიურ სამოსელში გახვეული — კი. ისტორიული ვითარების შესაბამისად, სწორედ ამ საუკუნეშია სავარაუდებელი, ს. ჯანაშიას გამოკვლევათა მიხედვით, ფეოდალური რევოლუციის პირველი ტალღა, ახალი წყობის პირველი მძაფრი შეტაკება დრომოჭმულ სოციალურ წყობასთან. ეს შეტაკება ჩვენს წერილობით წყაროებში ქრისტიანობის დამნერგავთა მიერ წარმართობასთან გაჩაღებული სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლით, ნგრევა-განადგურებით არის აღნიშნული (მაგ., არმაზის კერპის დამსხვრევა, „ღვთის შეწევნით" წმ. ნინოს მიერ. „მთეულთა" გაქრისტიანებისას მახვილის დატრიალება მათი „კბილთა ღრჭენის" გამო და სხვ.). შესაძლოა ძველი წყობისა და მისი სახელმწიფო აპარატის ღვიძლი შვილები და მესაჭეთაგანი — არმაზისხეველი პიტიახშებიც ემსხვერპლა ასეთ მოძრაობას და .თუ თვით ისინი არა, მათი სასახლე მაინც.

## მეორე თავი

# საქართველოს კულტურა IV–V საუკუნეებში

თუ IV—V საუკუნეების კულტურისა და ყოფის შესახებ მხოლოდ და მხოლოდ მწირი წერილობითი წყაროები მოგვეპოვებოდა, ახლა საშუალება გვეძლევა არქეოლოგიური ძეგლებისა და მასალების მიხედვითაც ვიმსჯელოთ. ეს უკანასკნელები მოპოვებულია როგორც სამაროვნების, ისე ნამოსახლართა (ციხე-გოდოლთა, საყდართა, სასახლეთა თუ ჩვეულებრივ სახლთა, სახელოსნოთა და სამეურნეო შენობათა ნაშთების) თხრის შედეგად. მათი დიდი ღირებულება ისიცაა, რომ უკვე შეგვიძლია თავი ავარიდოთ იმ ცალმხრივობას და შინაარსობრივ შეზღუდულობას, რომელიც თან ახლავს სამარხეულ ინვენტარს: ამ უკანასკნელში ხომ მხოლოდ ისაა წარმოდგენილი, რაც ადამიანის დაკრძალვასთან არის დაკავშირებული.

სანამ არქეოლოგიური მასალის საფუძველზე მაშინდელი ქართული საზოგადოების კულტურისა და ყოფის ზოგად მონახაზს წარმოვადგენდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია საგანგებოდ შევჩერდეთ იმ წყაროებზე, რომლებიც ასეთი მონახაზისათვის საყრდენს გვიქმნიან.

## I. წყარო-ძეგლების მიმოხილვა

### 1. სამარხეული ძეგლები

უმნიშვნელოვანესი და ყველაზე უფრო მრავალრიცხოვანი მასალა მოგვცა იმ დროს ჯერ კიდევ ქართლის დედაქალაქის მცხეთისა და მისი მიდამოს („დიდი მცხეთის") სამაროვნების შესწავლამ. ასეთი სამაროვნები გაითხარა სამთავროს ველზე, არმაზისხევის შესართავთან, მარტაზისხევის შესართავთან („ნავთსადენი"), კარსნისხევის შესართავთან, წიწამურთან, კოდმანთან და სხვ. [1; 119; 120; 121; 12; 122; 123; 124; 125; 126, 63; 127; 87; 128; 88; 129; 14; 80; 130; 109; 131; 65; 56; 57; 58; 132, 133; 134; 135; 136;].

ამათგან ყველაზე ვრცელია სამთავროს სამაროვანი, სადაც გათხრილია IV—VIII საუკუნეების 1600 სამარხი. ისინი ფილაქვით არის ნაშენი და გადახურული, ხოლო იშვიათად (ისიც დასაწყისში) მხოლოდ გადახურულია. სამარხთა უმეტესობა წარმოადგენს საოჯახო განსასვენებლებს. ეს ახალი წესი ქრისტიანობის დამკვიდრებას მოჰყოლია და ალბათ ამის გამოც მომხდარა, რომ ხელი აუღიათ ადრე გავრცელებულ, კრამიტითა და აგურით ნაშენ სამარხებზე, რადგან ისინი ნაკლებ მოსახერხებელი იქნებოდნენ განმეორებითი დაკრძალვისათვის.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ IV საუკუნიდან მოკიდებული, სამარხები სამთავროში უფრო დაუდევრად შენდება; ხშირად ვხვდებით ერთხელ, სხვაგან

უკვე ნახმარი და დამუშავებული ქვების (მაგალითად, წარწერიანი სტელების) გამოყენებას. ზოგიერთ ასეთ სამარხს გრძივი კედლები ნატეხი ქვითა და თიხით აქვს ამოყვანილი (მთლიანი ფილაქვების ნაცვლად); ეტყობა, ამგვარი სამარხების აგება მაინც საძნელო და ძვირი ყოფილა და ამიტომ გავრცელებულა მათი მითვისებაც კი, გაძარცვაზე რომ აღარაფერი ითქვას, ზოგჯერ ქვის სამარხებში ჩადგმულია თიხის კუბოები, ანუ სარკოფაგები, რომელთაც სხვაგან, მცხეთის გარეშე, ცალკე სამარხებად ვხედავთ. იმის მიხედვით, რომ ასეთ ქვისსამარხებში ზოგჯერ აღმოჩენილია ლურსმნებისა და ფიცრის ნაშთები, უნდა ვიფიქროთ, რომ მათში საკმაოდ ხშირად ხის კუბოებსაც დგამდნენ. დაკრძალვის წესი ყველგან ქრისტიანული ჩანს: მიცვალებულს თავი დასავლეთით უძევს, იგი დასვენებულია გულაღმა, გაშოტვით; ხელები გულზე, მუცელზე ან საზარდულზე აქვს დაკრებილი. მიუხედავად ძალიან ხშირი ნაძარცვობისა, სამთავროში ხერხდება გამორჩევა: ა) იმთავითვე უინვენტარო სამარხებისა (დაახლ. 25%); ბ) ღარიბული სამარხებისა; გ) შედარებით მდიდრული სამარხებისა (ოქროულის შემცველი და მეტწილ გაქურდული).

ინვენტარის უმეტესობას შეადგენს ნაირ-ნაირი სამკაული და ტანსაცმელ-ფეხსაცმლის ლითონის ნაწილები. მეორე ადგილი უკავია მინის ჭურჭელს, წინარე ხანასთან შედარებით საკმაოდ ერთფეროვანს. ხელსაწყო-იარაღი უწინდელი სამარხებივით თითო-ოროლა დანის პირით არის წარმოდგენილი. ასევე ძალზე ცოტაა თიხის ჭურჭელი. სრულიად აღარ გვხვდება ლითონის (ვერცხლის, ბრინჯაოს) ჭურჭელი. აღმოჩენილი ინვენტარი მკაფიოდ გამოირჩევა I—III სს. სამარხთა სათანადო ჯგუფების ინვენტარისაგან. ამასთანავე გაჩენილია ზოგი სრულიად ახალი სახეობა (კერძოდ, სხვადასხვაგვარი საკინძები).

ყოველივე ეს ვერ მიეწერება ნივთიერი კულტურის ჩვეულებრივ განვითარებას. ჩვენს წინაშეა ტეხილი, რომელიც III—IV საუკუნეთა მიჯნიდან იჩენს თავს და შემდეგ ღრმავდება. მას ვხედავთ თვით დაკრძალვის წესსა და ჩატანებული საგნების შედგენილობაში; შემორჩენილი ნივთების მიხედვით წარმოდგენილ ჩაცმულობა-შემკულობაში; მხატვრულ გემოვნებაში (მცირე ხელოვნების იმ ძეგლების მიხედვით, ინვენტარში რომ გამოერევა) და ა. შ. ოქროული არცთუ იშვიათია, მაგრამ მისი ნაკეთობა უწინდელზე (ანტიკურზე) უფრო მდარე და, ასე ვთქვათ, ხალხურ-მასობრივია, მაგრამ, სამაგიეროდ, ფორმები უფრო თავისთავადი გვაქვს.

მცხეთა-სამთავროში არქეოლოგებს ჯერ არ გაუთხრიათ (გამონაკლისს წარმოადგენს ერთი, IV საუკუნისა) IV—V საუკუნეების წარჩინებულ-მდიდართა სამარხები და ამიტომ ბევრს ვერ ვიტყვით მათი რაგვარობა-ინვენტარის თაობაზე, მაგრამ ის კი ვიცით, რომ ქართლის მცხეთელი მეფეები უკვე ქრისტიანულ ტაძრებში იკრძალებოდნენ (მირიანი და ნანა — სამთავროში, ვახტანგ გორგასალი — სვეტიცხოველში...).

სამკაულში გვაქვს: ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს სათითე ბეჭდები (გვხვდება სახელობითაც), შიგ ჩასმული ქვის ან პასტის გემმები (მათზე გამოსახულია ცხოველები, ზღაპრულ-მითოლოგიური არსებანი, ზოგჯერ ბერძნული ან ფალაური წარწერებიც); გულსაკიდები (მეტადრე აღსანიშნავია ოქროსაგან დამზადებული და მარგალიტებით მოჭედილი მედალიონი, რომლის

ალმანდინის თვალზე ამოკვეთილია თავდაბურული მამაკაცის — ჩანს, მცხეთის მოსახლეობის მაღალი წრის წარმომადგენლის — სახე, ერთადერთი ასეთი პორტრეტი სამთავროში); ბრინჯაოსა და რკინის საკინძეები, რომელთა ბრინჯაოსივე ან ამა თუ იმ ქვის თავები აქვთ; ბრინჯაოსა და რკინის მშვილდსაკინძები; ქვის, პასტისა თუ მინის მძივები; ბრინჯაოს სარკე (ანტიკური დაკრძალვის წესის გადმონაშთი); თიხის ხელადა და ჯამი.

მინის ჭურჭელი მრავალრიცხოვანია და გამოირჩევა ანტიკურისაგან მინის რაგვარობითაც და ფორმებითაც. ერთი-ორი თუა ძველებური შემორჩენილი. მინის ჭურჭლის უმეტესობა პატარა სანელსაცხებლებია, არის ორიოდე სასმისიც (მათ შორის „ყანწი") და ერთი საინტერესო თასი (ზედ ამოხეხილია უკვდავების სიმბოლოები — სიცოცხლის ხე, ფარშავანგი და ბერძნული სადღეგრძელო წარწერა). თითქმის ყველა ადგილობრივი ნივთები უნდა იყოს და, ჩანს, უკვე ადვილად მისაწვდომი ყოფილა ხელმოკლე მცხეთელებისათვისაც კი. მონეტები სულ სამია: ა) მეორე საუკუნიდან შემორჩენილი (ადრიანე კეისრისა), ბ) მესამე საუკუნიდან შემორჩენილი (შაბურ სასიანისა) და გ) ბიზანტიის კეისრის ლეონ პირველისა (V ს.). აქვე ცალკე აღსანიშნავია ერთი მცირე დაკუთხული ბრტყელი ქვა, რომელზედაც, რა თქმა უნდა, ჩვენებური მხატვრის ხელით, კარგად არის ამოკაწრული მონადირის, მიმინოს, ოთხფეხისა და ფარშავანგის გამოსახულება. იგი ძველი ქართული ხელოვნების უნიკალურ ნაწარმოებს წარმოადგენს.

სამთავროული ინვენტარის გულდასმით შესწავლის შედეგად მკვლევარნი ასკვნიან, რომ IV საუკუნეში თანდათან ქრება უცხოური თუ მისი მიბაძვით შექმნილი მინის ჭურჭელიცა და ზოგი სხვა საგანიც და ძლიერდება, ფართოვდება მიდრეკილება საკუთარი, ახალი ტიპების შექმნისადმი. IV—V საუკუნეებში თვალნათლივ ჩანს ეს დაუდგრომელი ძიება, რომელიც მხოლოდ VI საუკუნისათვის „ცხრება". ხერხდება დადგენა საკუთრივ „სამთავროული" ფორმებისა, რომელთაც მცხეთის სხვა მიდამოებშიც არ მოეპოვებათ ანალოგიები. ყოველივე ეს იმასაც მოასწავებს, რომ მცხეთაში მინის ცხოველი წარმოებაც ყოფილა და ლითონის სამკაულისაც.

სამთავროს სასაფლაო IX საუკუნემდე მოქმედებს. ამასთანავე, VI—VIII საუკუნეთა სამარხებში საგრძნობლად განსხვავებული ვითარება გვაქვს.

არმაზისხევის სამაროვანი აღმოცენებულია გვიანანტიკური დროის ერისთავ-პიტიახშების საგვარეულო განსასვენებლის ირგვლივ. ამ სასაფლაოსაც IX საუკუნემდე უმოქმედია. მასში განსაკუთრებით გამოირჩევა ფილაქვებით გულდაგულ (ოღონდ, გვიანანტიკურ ხანასთან შედარებით, მაინც ტლანქად) ნაშენი რიმდენიმე მდიდრული სამარხი, რომლებშიც, ერთი წყვილადის გარდა, თითო მიცვალებულია დაკრძალული. სამარხების ეს ჯგუფი IV საუკუნეს მიეკუთვნება და აქ ადრინდელი ბრწყინვალე ერისთავების მეტნაკლებ დაკნინებული შთამომავლები უნდა იყვნენ დაკრძალული. არმაზისხევის სამაროვანმა მოგვცა მაშინდელი მცხეთისათვის საუკეთესო ოქროული (ვერცხლის ჭურჭელი აღარც იქ იყო); და პატიოსანი თვლები: ბეჭდები, საყურეები, ყელსაბამები, სამაჯურები, ერთი საავგაროზე ბუდე, კონსტანციუსის (IV ს.) აღმოსავლურ-რომაული ოქროს ფული, აგრეთვე რკინის მშვილდსაკინძები, ვერცხლის აბზინდა და მინის სანელსაცხებლე.

სამკაული ტიპოლოგიურად მკაფიოდ გამოირჩევა ერისთავთა კუთვნილი სამკაულისაგან, მაგრამ მხატვრულ-სტილისტურად თუ პოლიქრომული მოხდენილობით სულაც არ ჩამოუვარდება და ზოგჯერ სჯობნის კიდევაც მას. რაღაც ახალი, ადგილობრივი ოქრომჭედლური შემოქმედების ნაკადები იგრძნობა, მით უმეტეს, რომ ზოგიერთს სამთავროშიც ეძებნება პარალელი. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ სწორედ არმაზისხევში გვაქვს ადრეული ნიმუშები (ჯერ კიდევ მეორე საუკუნიდან მოკიდებული) ტიხროვანი მინანქრის გამოყენებისა ოქროს სამკაულში. ინტალიოთა შორის ყურადღებას იპყრობს: ასკლეპიოსი (ანტიკური ღვთაება მკურნალობისა), რამდენიმე სხვა მითოლოგიური თუ „ჟანრული“ გამოსახულება და — უმნიშვნელოვანესი — პორტრეტი წვერულვაშიანი, წნულკულულებიანი და საყურიანი მამაკაცისა, რომელიც მმართველ ფენას უნდა მივაკუთვნოთ. შესაძლოა, იგი ძველი ერისთავების შთამომავალი ან თავადაც ერისთავი იყოს. დასასრულ, მხოლოდ ამ სამაროვანმა შემოგვინახა ნიმუშები (დღესდღეობით ყველაზე გვიანდელი) არმაზული დამწერლობისა, რომელიც ესოდენ „შინაური“ იყო გვიანანტიკურ მცხეთაში და თითოოროლა ნიმუშით არის წარმოდგენილი ურბნისის და უფლისციხის ნაქალაქარებშიც. ისინი ამოკაწრულია ბეჭედზე („ადად“ — პატრონის სახელი?) და ბრტყელ-დასახსრულ სამაჯურზე (მიძღვნა? მაგიური წარწერა?). შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ აქ არმაზისხეველ ერისთავთა საგვარეულოს კონსერვატიულ ტრადიციასთან გვაქვს საქმე.

V საუკუნიდან არმაზისხევის შესართავთან სამარხები უფრო დაუდევრად, ნატეხი ქვითა და თიხით შენდება, ზოგჯერ — ანტიკურ შენობათა თლილი დეტალებისა და წარწერიანი სტელების გამოყენებითაც კი. დაკრძალვის ახალი წესიც საყოველთაოდ იკიდებს ფეხს სამთავროს მსგავსად.

კოლექტიური, საოჯახო სამარხები მრავლდება. ინვენტარიც — შედგენილობით, ნახელოვნებითა თუ ღირებულებით — თითქმის მთლად ისეთივეა, როგორიც სამთავროში და, მიუხედავად ოქროულის აქა-იქ შემორჩენილობისა, მიგვანიშნებს საშუალო ან ნაკლები შეძლების მქონე მოსახლეობას.

ზოგადად, დაახლოებით იგივე უნდა ითქვას (ოქროულისა და გემმათა გამოკლებით) იმ სამარხებზე, რომლებიც გათხრილია: არმაზისხევის მეზობლად მარტაზისხევის, ანუ სანგრისხევის შესართავთან, კარსნისხევის შესართავთან, (აგრეთვე ხევალმა, რამდენადმე ზემოთ, და წიწამურის ველზე) აქ ორგან დამარხვის წესი თავისებურია, „მეორადი“.

ქართლის სხვა, „დიდი მცხეთის“ მახლობელსა თუ შორეულ კუთხეებში განსახილველი დროის არქეოლოგიური ძეგლების შემთხვევითი აღმოჩენის ადგილებია: წილკანი [137; 138]; წეროვნის მინდორი, დუშეთის მიდამო [139]; ალაიანი ქსნის ქვემო სადინელში [105]; ახალგორი (დღევანდ. ლენინგორი) ქსნის შუა სადინელში [12]; გლდანი [142]; დიღმის მისასვლელი [43]; ვაშლაჯვარი [144]; ნაქულბაქევი [145]; კოდისწყარო რეხულას ხეობაში [146].

კახეთში გვაქვს სამარხები: სართიჭალასთან და იქვე ახლოს, მუღანლოში [138]); სამარხები საცხენისის მინდორზე [148]; სამარხები ჭერემის ნაქალაქარში [5]; სამარხი თიანეთის მახლობელ სოფელ ჯიჯეთში [149]. როგორც

ვხედავთ, ყველა ეს ადგილი ქართლის უშუალო მეზობლად, ივრის აუზში იმ-ყოფება.

კ უ ხ ე თ ი ს რ უ ს თ ა ვ ი მცხეთის შემდგომ მეორე ნაქალაქარია აღმოსავლეთ საქართველოში, სადაც სამაროვნებიც ითხრებოდა ხანგრძლივ, რამდენიმეგზის. აღსანიშნავია ერთი ჯგუფი ინვენტარიანი ქვის სამარხებისა მტკვრის მარცხენა ნაპირზე [150] და თავისებური ორმოსამაროვანი მარჯვენა ნაპირზე, რომლის 1949 წელს გათხრილი ნაწილი, მეტყველი ინვენტარის შემცველ სამარხთა მიხედვით, სწორედ IV—V საუკუნეებს მიეკუთვნება [151].

ბოლო დროს დიდად მნიშვნელოვანი სამარხეული ძეგლები გამომჟღავნდა არქეოლოგიური კვლევის შედეგად ი ვ რ ი ს შ უ ა ს ა დ ი ნ ე ლ შ ი და მის გასწვრივ გაჭიმულ ერწოს ველზე. მათ შორის გამოირჩევა სოფ. სიონთან გათხრილი სამარხები, რომელთაგან ერთი დიდი, შესანიშნავად ნაგები „სამეფო" თუ „საერისთავო" აკლდამა უნიკალურად უნდა ჩაითვალოს ანტიკურის მომდევნო ხანის საქართველოს სამაროვნებში. სამარხთა ერთი წყება შეიცავს მცხეთის, სახელდობრ სამთავროს IV—V საუკუნეთა სამარხების მსგავს ინვენტარს — ქვისთავიან საკინძებსა და სხვ. [152]. ერწოს ველზედაც რამდენსამე ადგილას გაითხარა „სამთავრული", IV—V საუკუნეთა საკინძების და სხვა თანმხლები ნივთების შემცველი ღარიბული სამარხები, ხოლო სოფ. თრანსა და სოფ. მაგრანეთს შორის — დიდკაცური, ოქრო-ვერცხლის შემცველი ორმოსამარხები III—IV სს. [153].

ისტორიული ქ ვ ე მ ო ქ ა რ თ ლ ი ს (წალკის, თეთრიწყაროსა და სხვ. რაიონების) რამდენიმე ადგილას არის გათხრილი განსახილველი ხანის სამარხეული ძეგლები — ფილაქვით ნაშენი აკლდამები, რომელთა ინვენტარი მცხეთურს ეხმაურება: მაგალითად, ზემო წინწყაროს [154; 1—6], საფარ-ხარაბას, გერიაქსა და სხვ. [155; 110—112]. ასევე სანთაში, ბარმაქსიზში (ძველ ეძანში) და მის მახლობლად, „სასანიანთა ეპოქის თანამედროვე" სამაროვნებზე; სანომერში [16].

სრული უფლება გვაქვს ქვემო ქართლსა და, ამასთანავე, სწორედ სამარხეულ ინვენტარს დავუკავშიროთ პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში მოხვედრილი ქვის (ონიქსის, ანუ ფრცხილის) საბეჭდავი, რომელიც IV—V საუკუნეებს მიეკუთვნება. მასზე ამოკვეთილია დიდკაცის პროფილი და ბერძნული წარწერა — „უსას პიტიაქსეს იბერონ-კარქედონ". ჩანს, რომ ეს უნდა იყოს ქვემო ქართლის პიტიახში, ვინმე უშა თუ უჩა, რომლის სახელობითი ბეჭედი აქვე გაკეთებული იქნებოდა და პატრონთან ერთად დაფლული — ისევე, როგორც არმაზისხეველ პიტიახშ-ერისთავთა საბეჭდავი და სხვა პორტრეტული ინტალიოები: „პარიზული" საბეჭდავის ირგვლივ საკმაოდ ვრცელი ლიტერატურა არის წარმოქმნილი [156; 157; 158; 88]. იგი ჩვენს ყურადღებას იპყრობს როგორც კულტურულ-ისტორიული ძეგლი და ამ მხრივაც ცოტა მასალას როდი გვაწვდის.

დასასრულ უნდა შევჩერდეთ უ რ ბ ნ ი ს ი ს ნ ა ქ ა ლ ა ქ ა რ ზ ე, რომელიც თითქმის მცხეთასავით შინაარსიანია არქეოლოგიურად და ნაყოფიერად ითხრებოდა 1953—1963 წლებში. კერძოდ, იქაურ IV—V საუკუნეთა სამაროვნებზე თავი იჩინა თიხის სარკოფაგებმა, ორმოსამარხებმა, „ძელურმა სა-

მარხებმა“ და აგრეთვე თითო-ოროლა კრამიტსამარხმა და ალიზსამარხმა. საკმაოდ ბევრი მათგანი შეიცავდა ინვენტარს [28; 29].

დასავლეთ საქართველოს სამარხეული ძეგლები აღმოსავლეთის ძეგლებთან შედარებით ნაკლებადაა შესწავლილი. მათ დიდ ნაწილს შეადგენს შემთხვევით ამომხეურებული სამარხები — უფრო სწორად, მათგან შემორჩენილი ინვენტარი.

ასეთი მონაპოვრები საკმაოდ მრავლად მომდინარეობს ახლანდელი აფხაზეთის შემდეგი ადგილებიდან: ლესელიძე (ყოფ. ვესიოლოე) [159] ახალი ათონი (ანაკოფია) [154]; ბზიფის ხეობის სოფლები მიწარი და კალდახვარა [160, 94—95]. წებელდის სოფ. იურიევსკოე და სხვა ადგილები [161; 160]. ცალკე აღსანიშნავია სოხუმის გარეუბანში, მდ. კელასურთან აღმოჩენილი მდიდრული სამარხი, რომელიც, ერთი პორტრეტიანი სამკაულის მიხედვით III—IV საუკუნეთა წარჩინებულს მიეკუთვნება (სახელები: „ნინას“, „უეს“, „ანეს“, „ულრივის“).

დღევანდელი აფხაზეთის მიწა-წყალზე ჯერჯერობით მეცნიერულად გაითხარა მხოლოდ წებელდის სამაროვნები, რომლებიც ინვენტარის სიუხვე-შინაარსიანობით, მრავალფეროვნებით და დაკრძალვის წესის სხვადასხვაობით თითქმის იმგვარივეა, როგორიც მცხეთისა, ხოლო ინვენტარის ზოგი სახეობით კიდევაც აჭარბებს მას. დასავლეთ საქართველოში ისინი ამ მხრივ პირველ ადგილზე დგანან. 1945 წელს ამ IV—V საუკუნეების სამაროვანზე მცირე გათხრა ჩატარდა, 1960 წლიდან კი სისტემატური მუშაობა წარმოებდა.

გურიაშიც გვაქვს ზოგი რამ მოპოვებული: ომის დროს ურეკში, ზღვისპირა ქვიშაში აღმოჩენილია კრემაციული სამარხის მდიდრული ინვენტარი [162]; ვაშნარის ციხე-დარბაზის თხრისას „ადრექრისტიანული ხანის ეკლესიის“ ნანგრევში მიკვლეულია ქვის სამარხები [163; 164].

მთა რაჭაში — ღებში, შოშეთის სამაროვანზე გათხრილია სამარხები, რომლებიც IV—V საუკუნეებს მიეკუთვნება [41]. იმავე დროს სამარხეული კომპლექსი ლეჩხუმში სოფელ უსახელოშიც არის ნაპოვნი. ორსავე შემთხვევაში ანალოგიები ქართლის მრავალრიცხოვან სამარხეულ ძეგლებში იძებნება [11].

ისტორიულ იმერეთში სათანადო სამარხეული ძეგლები მეტია აღრიცხული. ქუთაისის მახლობლად, სოფ. მაღლაკში აღმოჩენილა IV საუკუნის ვერცხლის პინაკი, რომელიც „სასანურ“ ყაიდაზე, რელიეფურად კვერვით არის მოხატული. აქვე უნდა გავიხსენოთ აფხაზეთის საზღვრის ახლოს, კრასნაია პოლიანაში ნაპოვნი სასანური პინაკი, III საუკუნის მეორე ნახევრისა, რომელზედაც ნადირობაა გამოხატული [166]. ქუთაისის მახლობლადვე, სოფ. აჯამეთთან თავი იჩინა სამმა ორმოსამარხმა, რომელთა ინვენტარიდან შემორჩა რკინის ადგილობრივი ხელსაწყო-საჭურველი. ზოგი IV—V საუკუნეებს მიეკუთვნა [167].

ზემო იმერეთი ორი ძეგლით იპყრობს ცხოველ ყურადღებას. ხარაგოულის რაიონის სოფ. სარგვეშში აღმოჩენილი მდიდრული ინჰუმაციური სამარხის ინვენტარი, რომლის უმთავრეს ღირებულებას ვერცხლის „სასანური“ ჰედური ბარძიმი შეადგენს და თარიღად კი III—IV საუკუნეა მიჩნეული, უფრო IV საუკუნით უნდა განისაზღვროს [168]; თერჯოლის რაიონის სოფ. ძევრის მიდამოებში, საგვარჯილეს მღვიმის წინ, „დაჩიხულ“ ხეობაში 1951—52 წწ. გათხრი-

ლია სამაროვანი, რომლის საკმაოდ მრავალრიცხოვანი ინვენტარი საშუალებას იძლევა ორმოცზე მეტი სამარხი III—IV საუკუნეებს მიეკუთვნოს [169]. საგვარჯილეს სამაროვანი ადრექრისტიანული დასავლეთ საქართველოს კულტურული ვითარებისა და ყოფის შესასწავლად ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საყრდენია, ისევე როგორც წებელდის სამაროვნები.

## 2. ნამოსახლარი ძეგლები

აღმოსავლეთ საქართველოში გამოვლენილი ძეგლების მიმოხილვა ისევ „დიდი მცხეთით" უნდა დავიწყოთ. ჯერ კიდევ ფ. ბაიერნმა სამთავროს სამაროვნის თხრისას აღმოაჩინა შენობის ნაშთები, რომლებიც დასაკრძალავ „სანელსაცხებელთა სახელოსნოს" უნდა ეკუთვნოდესო [170; 124]; თუ ამ ვარაუდს გავიზიარებთ, ეს ნაგებობა IV საუკუნიდან უნდა მდგარიყო იქ (სამარხებში ადგილობრივი სანელსაცხებლების გაჩენის დროის მიხედვით). თვით შენობის რაგვარობის შესახებ არა ვიცით რა. ბაიერნი ახლოს გულისხმობდა სამთავროს სამაროვნის შესაბამის სამოსახლოს. ბოლოდროინდელმა არქეოლოგიურმა და ისტორიულ-ტოპოგრაფიულმა კვლევამ კი დაადგინა, რომ სამოსახლო მცხეთის გორის თხემსა და კალთებზე ყოფილა, დაბლობში კი ბაღ-ვენახები, მარნები და სასაფლაოები უშენებიათ [171].

არმაზისხევის შესართავთან მრავლად გამოვლენილ ნასახლართა შორის ყურადსაღებია მოზრდილი, ორსენაკიანი ნაგებობა, ანტიკური ნაგებობის ქვებით ამოყვანილი [12]. მარტაზისხევის შესართავთან დამოწმებულია ქვითკირის მოზრდილი ნაგებობა და მარანი, შესაძლოა, IV—V საუკუნეთა სამეურნეო-სავაჭრო შენობათა ნაშთები [132]. ახლახან იქვე იჩინა თავი მცირე ნაშთმა ძველი ნაგებობისა, რომელშიც მერმინდელი სამარხიც კი დგას [172]. ბაგინეთ-არმაზციხეზე ივარაუდება სამოსახლო — იმ სამარხთა შესაბამისი, რომლებიც ითხრებოდა კარსნისხევის შესართავთან (იხ. ზემოთ) და სოფ. კარსნის ბოლოზე (გათხრილია 1961 წ. ნ. უგრელიძის მიერ). ცალკე აღსანიშნავია დანგრეული ანტიკური სასახლის მახლობლად გათხრილი ნაშთი მცირე, გარეაბსიდიანი საყდრისა, რომელიც საკვლევ ხანას უნდა ეკუთვნოდეს. სხვაგან გამოვლენილია ნაშთი ქვითკირისავე დიდი (200 კვ. მ.) ნაგებობისა, რომელიც უგვიანესი ჩანს. „მთა ქართლის" (კარსან-ნინოწმინდის) უბანში გათხრის შედეგად გამოვლინდა სწორედ IV და მომდევნო საუკუნეთათვის მისაკუთვნებელი ზღუდე-კოშკები, რომლებშიც წმ. ნინოს მცირე საყდარი და მის გვერდით აგებული მარნებიანი სამოსახლო ექცევა [173]. თვით მცხეთაში 1957 წლის შემდეგ დროდადრო ვლინდება საკვლევი ხანის შენობათა ნაშთები, ნამოსახლარი და სხვაგვარი. სვეტიცხოვლის შიგნითაც კი, ვახტანგის აკლდამის გვერდით [174; 175] იჩინა თავი V საუკუნის „გორგასლისეული" ტაძრის ჩუქურთმიანმა ქვებმა. ტაძარს გარეთ, სამხრეთით გათხრილი მრავალფენიანი ჭრილის უძველესი ფენაც იმავდროულად იქნა მიჩნეული, თუმცა კი არქეოლოგიურად თითქმის უსახური იყო. გალავნის ჩრდილოეთითაც გამოვლინდა IV—V საუკუნეთათვის დამახასიათებელი, ანტიკურისაგან საკმაოდ განსხვავებული კერამიკის შემცველი ნამოსახლარის ფენა. ყველა ეს შენობა, ტაძრის ჩათვლით, ძველ, გვიანანტიკური ხანის სამაროვანზე აღმოცენებული ჩანს და

ეს გარემოება შეესაბამება საყოველთაოდ ცნობილ ქართულ საეკლესიო ლეგენდას სიდონიას დამარხვის (ახ. წ. I ს?), „უფლის კვართისა“ და „ცხოველი სვეტის“ შესახებ, რომელსაც ჭეშმარიტი მარცვალი უჩანს. უმნიშვნელოვანესი ნამოსახლარი მაინც მცხეთის „გორას“ თხემსა და კალთებზე იჩენს თავს: ნატეხი ქვით ნაშენი მოზრდილი სახლების ნაშთები; ზღუდის ქვათლილებით მოსილი ნაწილები (ბურჯი და სხვ.), „არაგვის კარი“ ალიზის ნახევრად მრგვალ ბურჯებს შორის და ა. შ. [176; 177; 171; 178; 179]; საერთოდ, ამ ბოლო დროს დიდად გაფართოვდა წარმოდგენა ადრეფეოდალური ხანისა და, კერძოდ, ანტიკურიდან გადმომავალი, IV—V საუკუნეთა მცხეთის ნაშენობის შესახებ, თუმცა უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი აღმოსაჩენი მაინც წინ გველის.

ქ უ ხ ე თ ი ს რ უ ს თ ა ვ ი ს მრავალფენოვან არქეოლოგიურ კომპლექსში საკვლევი დროის ნაშენობა ნაქალაქარის თხრისას ერთხანს მხოლოდ ალაგ-ალაგ თავჩენილი ქვეფენის სახით იგულისხმებოდა [151]. მაგრამ ნაციხარზე თხრის წამოწყების შემდეგ გამოინაკვთა ციხის თავდაპირველი ზღუდეცა და მის შიგნით მდგარი ზოგიერთი ნაგებობის ნაშთიც. ერთიცა და მეორეც სწორედ IV—V საუკუნეებს მიეკუთვნება, მით უმეტეს, რომ წერილობითი წყაროებიც გვიქმნიან ამის ვარაუდის საფუძველს და ზღუდის პირვანდელი პერანგიც ნამდვილად ეხმაურება ანტიკური ხანის ნაშენობას [180; 181]. საერთოდ კი, შუა საუკუნეთა ქალაქ რუსთავის უძველესი ფენა ჯერ მერმინდელებზე ნაკლებ არის გამოვლენილი და მომავალი კვლევა-ძიების ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად რჩება. იქ ჯერჯერობით დიდი თხრის 8 კამპანიაა ჩატარებული (1949—51, 1959—62. 1965).

თ ბ ი ლ ი ს შ ი ამგვარი ძეგლები საფუძვლიანად გამოვლინდა მხოლოდ 1956—57 წლებში, ანჩისხატსა და სიონს შორის (ერეკლე მეორის მოედანზე, როსტომის ნასასახლარის პირდაპირ), სულ ქვედა ფენის სახით. ამ უკანასკნელში გამთხრელები გულისხმობენ III—IV და IV—V საუკუნეთათვის კუთვნილ საგნებს (ნაგებობის მკაფიოდ გამოხატული ნაშთები არ აღმოჩნდა, თითქმის მხოლოდ კულტურული ფენები იყო) [182; 183]. ეტყობა ამ ტერასზე უნდა ვივარაუდოთ ქალაქური სამოსახლოს ღონიერი უბანიც — ზედაციხისაგან საკმაოდ დაშორებული, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანი და ეგებ დიდკაცობის ციხისგარე სადგომის მომცველი. ამ მოსაზრებას მხარს უჭერს სულ ქვედა ფენაში ნაპოვნი ქვის საბეჭდავი, რომელზედაც დიდკაცის სახე და რტო-ფოთლებია ამოკვეთილი [10; 194]. რაც შეეხება თბილისის უძველესს და უმთავრეს სიმაგრეს — დედაციხეს („ნარიყალას“ და სხვ.), იქ განათხარს ჯერჯერობით უძველეს ფენებამდე არ ჩაუღწევია, მაგრამ უკვე გვეგულება ზოგიერთი ნიშანი (მაგალითად, ფრიად არქაული ორნამენტის ერთი დეტალი) [185; 186], რომელიც შეესატყვისება ჩვენი წერილობითი წყაროების ცნობას, იმ ციხეს თუ უფრო ძველს არა, IV საუკუნეს რომ მაინც მიაკუთვნებს (მით უმეტეს, რომ გვიანანტიკურ ხანაშივე თბილისის ადგილას ქალაქური სამოსახლოს არსებობის არქეოლოგიური მოწმობა საკმაოდ დამაჯერებლად გამოიყურება).

უ ჯ ა რ მ ა (ტაბ. XV) საკვლევი ხანის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი არქეოლოგიური (და არქიტექტურული) ძეგლია საქართველოში. ეს ქალაქი ერთი მთავართაგანი ყოფილა ანტიკურსა და ადრეულ შუა საუკუნეთა ქართლში, რომელიც წყაროების ცნობით „უზომო ნაშენებით“ გაუძლიერებია ვახტანგ

გორგასალს. თხრით შესწავლილი ივრისპირა ციხე-დარბაზი — უფრო სწორად, მისი თავდაპირველი ნაშენობა — უნიკალურია, იგი მკაფიოდ გამოირჩევა შერმინდელთაგან და ანტიკურიდან ფეოდალურზე გადმომავალი დროისათვის არის დამახასიათებელი. ამ თავისებურებას ქმნის დიდრონი, ნალისებრთაღიანი კარ-სარკმლები; მრავალი თხელი ქვაჭრილისაგან შედგენილი ერთნაირი პერანგი: სწორკუთხოვანი, ქონგურებიანი და ანტიკური ყაიდის კრამიტით ბურვილი სართულოვანი გოდოლები; ზღუდის საერთო სწორკუთხოვანი მოხაზულობა და ა. შ. [81; 73; 130; 187]. აღსანიშნავია „გოდოლური" სასახლე (დილეგითა და მარნითურთ), სამეურნეო შენობები და კარის მცირე საყდარი ზედაციხეში. ეს საყდარი, „ჯვარი პატიოსანი" მიეწერება გორგასლის მეფობის დამდეგს, ე. ი. საქართველოს უძველეს ეკლესიათა ჯგუფს [188, 29]. პირვანდელი ციხე-დარბაზის შესაბამისი კულტურული ფენა ნაწყვეტ-ნაწყვეტაა წარმოდგენილი, მაგრამ მას „აგვირგვინებს" V საუკუნის სასანური ვერცხლის ფული, ფეროზ მეფისა.

ი ვ რ ი ს ს ი ო ნ თ ა ნ, რომლის სამაროვანზეც უკვე გვქონდა საუბარი, გამოვლინდა და გაითხარა მოზრდილი ტაძრის (ჩანს, „სიონის") ნაშთიც. სასაფლაოც მის ირგვლივ აღმოცენებულა თავის დროზე. აღნაგობისა და თავისებური „ბოლნური" ჩუქურთმის მიხედვით ეს ტაძარი V—VI საუკუნეებს მიეკუთვნება. მის ესოდენ სიძველეს ყველა (მაგალითად, აკად. გ. ჩუბინაშვილი) არ იზიარებს, მაგრამ ნიშანდობლივია, რომ სამაროვნის უძველესი ფენა IV—V საუკუნეებისათვის დამახასიათებელ ნიშნებს ამჟღავნებს და სასაფლაოს დაარსება უკვე არსებულ ტაძართან სავსებით ბუნებრივი უნდა იყოს. დამაფიქრებელია, რომ ივრის შუა წელში შენდება საყდარი, რომელშიც თავს იჩენს ქვემო ქართლის ერთ-ერთ ცენტრში, ბოლნისში აგებული (V საუკუნის ბოლოს!) ტაძრის აღნაგობა-შემკულობის ის მკაფიო გამოძახილი (ტაბ. XVI), რაც ამ ორი, პოლიტიკურად თითქოს დაშორიშორებული ქართული ქვეყნის მჭიდრო ურთიერთობას უნდა მიგვანიშნებდეს.

საკუთრივ ბ ო ლ ნ ი ს ი არქეოლოგიური შესწავლის საგნად 1936 წელს აქეთ სამგზის იქცა. ამჟამად ნაქალაქარი და მთავარი ტაძარი — დიდი სამნავიანი ბაზილიკა და სიონიც საკმაოდ არის შესწავლილი [189; 190]. სიონის სამშენებლო წარწერა ცნობილია თავისი ისტორიული შინაარსით (ტაძრის შენება დაწყებულა ფეროზ სასანიანის აღზევებიდან მე-20 წელს და მოთავებულა 15 წლის შემდეგ, 493 წელს) და უძველესია ზუსტად დათარიღებულ ქართულ წარწერათა შორის დღევანდელ საქართველოში. იმ გარემოებას, რომ წარწერაში იხსენიება სპარსეთისა და არა ქართლის მეფე (ვახტანგ გორგასალი), ს. ჯანაშია მართებულად მიაწერს პოლიტიკურ ვითარებას: მტკვრის სამხრეთით მდებარე ქართლის ნაწილი ირანის საპიტიახშოს შეადგენდაო. სასანური ხელოვნებისათვის ჩვეული სახეები ტაძრის დეკორშიც გამოიცნობა. მეტ-ნაკლებ იმავდროული, უმთავრესად V საუკუნისავე ძეგლებისაგან (უჯარმის ციხე-დარბაზი, ივრის სიონი და სხვ.) ბოლნისის ტაძარი განსხვავდება შინაარსიანი წარწერებით, ხოლო ურბნისის სამნავიანი ბაზილიკისაგან — ჩუქურთმებით. ბოლნისის ტაძრის სხვა იმავდროულ ხანმეტურ წარწერათაგან გამოირჩევა ერთი, რომელშიც იხსენიება რამდენიმე დიდკაცი თუ მათი მეუღლე, სადაც, სხვათა შორის, ყველას სახელი სპარსული ჩანს [191, 192, 146—147] გარდა „დავით

ეპისკოპოსისა“. წარწერა ვედრებაში იხსენიებს აგრეთვე „ეკლესიისა შინა მშრომელებს“, რაც დიდად ყურადსაღებია. ამ წარწერებს ხნოვანებით რამდენიმე ათეული წლით უნდა უსწრებდეს პალესტინაში ახლახან გათხრილი ქართული მონასტრის იატაკზე შემორჩენილი, მშვენივრად ჩამოყალიბებული და მოხდენილი ერთი წყება მოზაიკური წარწერებისა [113].

ბოლნისის ნაქალაქარის თხრის შედეგებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „ლამაზგორაზე“ 1959 წელს ი. გძელიშვილის ხელმძღვანელობით აღმოჩენილი ადრეული საეკლესიო და სხვ. შენობათა ნაშთები, მეტადრე ქვაჯვარებისა და სტელებისა [193; 194]; ერთ ამათგანზე ბარელიეფურად ამოკვეთილია პროფილი საზეიმოდ შემოსილ-თავდაბურული დიდკაცისა, რომელიც შეიძლება ამ ქვეყნის მმართველადაც კი (პიტიახშად?) მივიჩნიოთ. ეს ძეგლი ზოგადად ბოლნისის სიონისას უნდა „გავუტოლოთ“. ამის უფლებას გვაძლევს გამოსახულების მსგავსება ქართლის მიწაში აღმოჩენილ რამდენიმე პორტრეტთან, რომელთა ხნოვანება IV—V საუკუნეებში ექცევა და რომლებზედაც გამოხატულია ერისთავ-პიტიახშები თუ სხვა დიდებულები. ასეთებია არმაზისხევის მე-40 სამარხში ოქროს ბეჭედში ჩასმულ თვალსა და მე-2 სამარხში ნაპოვნ ვერცხლის პინაკზე, აგრეთვე სამთავროს ერთ-ერთ სამარხში ოქროს მედალიონში ჩასმულ თვალსა და თბილისში აღმოჩენილ ქვის საბეჭდავზე ამოკვეთილი პორტრეტები და „უშა პიტიახშის“ ასეთივე პორტრეტი. ქვის დიდ ძეგლზე ამოკვეთილობით კი ეს ბოლნური მონაპოვარი მცხეთის ჯვრის მერმინდელ რელიეფებს გვაგონებს, რომლებზედაც ერისმთავრებია გამოხატული.

უ რ ბ ნ ი ს ი ს ნ ა ქ ა ლ ა ქ ა რ ი სადღეისოდ ისევე ფართოდ და ღრმად გათხრილ-შესწავლილი ძეგლია ჩვენში (და არა მარტო ქართლსა თუ აღმოსავლეთ საქართველოში), როგორც მცხეთა [28; 29; 30]. წერილობითი ცნობების შესაბამისად ისიც უმთავრესად ანტიკური და ადრეფეოდალური დროის ქალაქი ყოფილა და VIII საუკუნეში განადგურებულა. კერძოდ, ნაქალაქარში გამოინაკვთა IV—V საუკუნეთათვის მისაკუთვნებელი ფენაც, რომელიც ნინოს იქ დროებით ყოფნის ხანასაც მოიცავს. განათხარი ურბნისში (ზოგი რამეთი მცხეთაზე მეტადაც კი) გვანიშნებს ცხოველ კულტურულ თუ სავაჭრო ურთიერთობას წინა აზიისა და ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებთან. ცალკეულ გამორჩეულ ნასახლართაგან აღსანიშნავია ქვითკირის (რაც იშვიათია) ერთი ნასახლარი, რომელიც თავდაპირველად აბანო ყოფილა, შემდეგ კი მარან-საწყობად უქცევიათ (V—VI საუკუნეებში). მასში — პირველად აღმოსავლეთ საქართველოში — აღნიშნულია ქვითკირის წყობაში გარეული აგურის ფენები. სხვა ნაგებობათა ნაშთების აღმოჩენამ საშუალება მოგვცა შემდეგი დასკვნა გამოგვეტანა: V საუკუნის ბოლოს ან VI საუკუნის მიჯნაზე ქალაქი მტერს გაუნადგურებია (მეორედ, ელინისტური ხანის შემდგომ). ერთ დამწვარ მრავალსენაკოვან შენობაში აღმოჩნდა საოჯახო ხელსაწყოები, ჯაჭვის პერანგის ნაშთი, მახვილის ნაშთები, ჯიშიანი ყურძნის წიპწების შემცველი თიხის დერგი და სხვ.; სხვაგან — დამალულ-დაფლული სპილენძის საოჯახო ჭურჭელი. IV—VI საუკუნეთა კერამიკაში აქაც ჯერ კიდევ იგრძნობა ანტიკურიდან შემორჩენილი ნიშნები. თიხისა და მინის ჭურჭლის წარმოება VI საუკუნიდან თანდათან ქრობას იწყებს. ურბნისის ნაქალაქარს შემორჩენია ალიზის ზღუდე, რომელშიც გამთხრელები სხვადასხვა დროის ნაწილებს გამოჰყოფენ. ზღუდეს საკმაოდ ხშირად

აქვს დატანებული მომრგვალებულ-სწორკუთხოვანი გოდოლები, რომელთაგან ერთი შეიცავს 6 სენაკს, მათ შორის — დარბაზსაც (უჯარმის გოდოლ-სახლის მსგავსად!). გამთხრელთა ერთი ჯგუფი ალიზის ზღუდის უმეტეს ნაწილს VI საუკუნეს მიაკუთვნებს, თუმცა იმულებულია ანტიკური ხანის ნაკლები ფართობის შემომზღუდველი კედლის ნაშთიც იგულისხმოს. ჩვენი აზრით, ზღუდე ემსახურებოდა ქალაქის დაცვას IV—V საუკუნეებშიც, ხოლო VI საუკუნეში მხოლოდ ხელახალი, ეგებ უფრო დიდი მნიშვნელობაა საგულისხმებელი და არა „ცარიელ ადგილას“ მისი აღმართვა. ეს მით უფრო ბუნებრივი ჩანს, რომ ზღუდის საკვანძო ადგილას, „ხიზანაანთ გორაზე“, VI საუკუნის ფენის ქვეშ გამოვლინდა უწინდელი, ქვითკირის მძლავრი კედლის ნაშთი, სადაც მისი შესატყვისი ზღუდეც არის საგულისხმებელი.

ქალაქის შუაგულში V—VI საუკუნეთა მიჯნის მახლობელ დროს აღუმართავთ დიდი, სამნავიანი ბაზილიკა. მის უძველეს ასომთავრულ წარწერებს ახლა V საუკუნით ათარიღებენ, რაც ძეგლის არქაულ მხატვრულ-სტილისტურ იერს შეესატყვისება. წარწერებში იხსენიებიან „სიონის მაშენებელი კონსტანტი“ (ეგებ ადგილობრივი, ქალაქის მფლობელი დიდკაცი) და „მამა მიქელი“ (ჩანს, მღვდელმთავარი) [195]. „ბოლნური“ ჯვრები და გათხრის დროს ნაპოვნი დაკბილული ლავგარდნის ნატეხები ძაფს აბამენ ამ სიონსა და ბოლნისის სიონს შორის, ხოლო თვით ტაძარი უფრო დიდია, ვიდრე რამდენადმე მოგვიანებით თბილისში აგებული „ანჩისხატი“. ეს გარემოებაც გვანიშნებს, რომ V საუკუნეში, და VI-შიც კი, ბოლნისი და ურბნისი, ისევე როგორც მცხეთა (სადაც დიდი ბაზილიკური „სვეტიცხოველი“ არის აღმართული), ქვემო და შიდა ქართლის ქალაქური ცენტრები და ქართლის ძველი დედაქალაქი, თავისი მნიშვნელობით ჯერ კიდევ აღემატებიან თბილისს.

დასავლეთ საქართველოს ნამოსახლარი ძეგლები (რომელთა ოდენობა დიდია) შედარებით ნაკლებ არის არქეოლოგიურად შესწავლილი. აქ ეს საქმე მეტწილად დაზვერვასა თუ მცირე გათხრას არ გასცილებია. ეგრისის ანუ ლაზიკის ციხე-ქალაქები და ზოგი სხვა სამოსახლო ხშირად იხსენიება ბიზანტიურ წყაროებში, მაგრამ მათ არსებითად V—VI საუკუნეებში გადმოვყავართ, მეტადრე ბიზანტია-სპარსეთის ხანგრძლივი ომიანობის ამბების თხრობისას. ამ გარემოებამ მისცა სტიმული პროფ. ს. ყაუხჩიშვილს ჯერ აღეწერა იმდროინდელი ციხე-სამოსახლოები, ხოლო შემდგომ ზოგი ძეგლის არქეოლოგიური მოსინჯვა ჩაეტარებინა [196; 301—320; 197]. წინასწარ იყო მოსალოდნელი და ამ ძეგლებშივე თვალნათლივ ჩანს გავლენა ბიზანტიური საფორტიფიკაციო მშენებლობისათვის დამახასიათებელი წყობისა, მაგალითად, შეიძლება დასახელდეს „opus mixtum“ (ქვითკირის წყობაში სწორ ფენებად გამორეული აგური).

შორაპნის ციხის ნაგებობაში რამდენიმე სხვადასხვა ფენა გამოირჩევა. საკვლევ ხანას მიეკუთვნება აგრეთვე ზემოთ დახასიათებული ე. წ. აგურ-კვადრული წყობა. იგი მოსდგამს „რომაულ ხუროთმოძღვრებას“ — ჯერ იმპერიისას, შემდეგ კი ადრეულ ბიზანტიურს (IV—VI სს). კვადრატული აგური იხმარებოდა უმთავრესად საბერძნეთში. ზედმიწევნით ასეთივე წყობა არის დადასტურებული ეგრის-ლაზიკის სხვა ციხეებშიც — სკანდეში, ვარდციხეში (ტაბ. XVII), ტოლებსა და ნოქალაქევში. V—VI საუკუნეთა „ბიზანტიურ ყაი-

დაზე“ აგებული აგრეთვე შორაპნის ციხის ერთ-ერთი ორმაგი კედელი (1—2 სმ ცარიელი სივრცეა შუაში, უკაროდ). იმავე ხანას უნდა მივაკუთვნოთ კედლის აგება და ეს უფრო ადგილობრივ ტექნიკას გვაგონებს, თუმცა ერთი შენობის კედელში იქაცაა შუაში დაყოლებული კვადრული აგურები.

ტ ო ლ ე ბ შ ი ყურადღებას იქცევს ორმაგი თხრილი ციხის ირგვლივ და უბანი „დერგა“, რომელშიც უნდა აირეკლებოდეს ბიზანტიელ მწერალთა ცნობაში ნახსენები „ქოთნების სავაჭრო“ („ოლარია“, „ქიტროპოლია“) „ტელეფისის“ მახლობლად. ცხადია, რომ ასეთი სავაჭროს არსებობა იმხანად ადგილობრივი ხელოსნური წარმოების ერთ-ერთ გამოვლინებად უნდა მივიჩნიოთ. საფიქრებელია, რომ იქვე იწვებოდა ის აგური, რომელიც წყობაში აქა-იქ, უწესრიგოდ არის დალაგებული და ზოგან მთელ პერანგსაც კი შეადგენს. საერთოდ, სავარაუდოა, რომ ამ ციხეთა შ ე ნ ე ბ ი ს წ ე ს ი ბიზანტიური, საოკუპაციო ანუ „დამხმარე“ ჯარების მეთაურთა მიერ შერჩეულ-ნაკარნახევი უნდა იყოს, მაგრამ უფრო ბუნებრივია თუ ვიფიქრებთ, რომ მშენებლები ადგილობრივი ხუროთმოძღვრები, ქვითხუროები ანდა კალატოზები იქნებოდნენ.

ნ ო ქ ა ლ ა ქ ე ვ-ა რ ქ ე ო პ ო ლ ი ს ი (ტაბ. XVII, 1) არის კოლხეთის, ანუ ლაზიკის პირველი და უდიდესი ქალაქი, მაშასადამე დედაქალაქი, „ძველ ქალაქად“ წოდებული; „ნაქალაქევი, ციხე-გოჯად წოდებული“, ქუჯის აშენებულია და მურვან ყრუს მიერ დანგრეული [50; 198]. შედარებით საფუძვლიანი არქეოლოგიური თხრის საგნად იგი 1930—31 წლებში იქცა [199; 200]. მდინარისპირა ზეგანსა და ფერდობზე მდებარე ქალაქი რამდენჯერმე შემოუზღუდავთ კედლებით, რომლებიც სხვადასხვა ტექნიკით არის ამოყვანილი. ქალაქის გარე ზღუდესა და გოდოლებში ჯერ კიდევ კარგი ანტიკური (ორთოსტატებით — დიდრონი ფილაქვებით ამოყვანილი) წყობა და კარნი შეინიშნევა. ქალაქში ყოფილა აგორა, სასახლისებრი ერთი შენობა და ერთიც — სხვა. ესენი კედლის პერანგივით კარგად ნაგები ჩანან. დანარჩენი სახლები ხისა ყოფილა, რომელთაგან მრავალრიცხოვანი კრამიტიღა შემორჩენილა. საკვლევ ხანას (IV საუკუნის შუა წლებს) მიეკუთვნება პირველი, უძველესი კედელი, ვინაიდან მომდევნოს აგება, მონეტათა განძისა და კერამიკის მიხედვით, VI საუკუნეს მიეწერება, ხოლო კერამიკის უძველესი ჯგუფი IV საუკუნისა უნდა იყოს. პირველი კედლის აგებამდე კი ქალაქი არ ჩანს და თითო-ოროლა კერამიკული ნატეხის მიხედვით, რომელიც ახ. წ. პირველ საუკუნეებს უნდა მივაკუთვნოთ, უფრო ციხე-დარბაზი და მცირე სამოსახლოა საგულისხმებელი. ბერძნული სახელწოდება „არქეოპოლისი“ გვანიშნებს, რომ ამის დამრქმევთ იქ ძველი სამოსახლო დახვედრიათ და დაუფასებიათ კიდეც მისი, როგორც ქ. ფაზისის (ფოთის) ზურგის დამცველის, მნიშვნელობა.

ვ ა შ ნ ა რ ი ს ნაქალაქარიც ითხრებოდა [11]. ამ ცენტრის არსებობას VI—VIII საუკუნეებში ვარაუდობენ. ციხე-ქალაქი გაშენებულია ზეგან-კონცხზე ორ მდინარეს შორის. მას აქვს გარე და შიდა ზღუდე, ხოლო ამ უკანასკნელთა ყოველ 40 მეტრზე — მცირე გოდოლები და სხვა შენობები, მათ შორის საყდარი და კიდევ ერთი სამლოცველო. პირველი წარმოადგენს დიდ სამნავიან ნაგებობას, რომელსაც ჰქონია ხუთწახნაგოვანი აბსიდა, საფეხურედი საკურთხეველი და მარმარილოს ფილების იატაკი, ასევე მდიდრულად ნაგებ-დამშვენებული ყოფილა „სამლოცველო“. შემორჩენილია აგრეთვე მცე-

ნარეულ-გეომეტრიული ორნამენტით დამშვენებული სვეტისთავები (ტაბ. XVI, 2).

თუ გავიხსენებთ, რომ თითქმის არც ერთ იმდროინდელ ნაქალაქარში არ გვხვდება ესოდენ დახვეწილი ოსტატობით ნაშენი და შემკული საკულტო ნაგებობა (მას ვერ შეედრება ვერც უჯარმისა და ვერც ნოქალაქევის საყდრები, ბოლნისის სიონზე რომ აღარა ითქვას რა. ამ მხრივ ბიჭვინტის მოზაიკიანი ტაძარი ან ციხისძირში ახლახან გამოვლენილი ტაძარი თუ ამოუდგებიან მას მხარში), უფლება გვექნება წარმოვიდგინოთ, რომ ის, რასაც ახლა ვაშნარის სახელით ვიცნობთ, მართლაც ერთი უმნიშვნელოვანესი ცენტრთაგანი ყოფილა ადრეულ ეგრისისა. მეტადრე თვალსაჩინოა მშენებლობის მაღალი დონე; ძლიერ მტკიცე კირის დუღაბი, საუცხოოდ გამომწვარი აგური და კრამიტი, ასევე თლილი და ნაჩუქურთმევი ქვა, აგურნარევი ქვიშის გამოყენება იატაკებისათვის, კედლების ძირში ჩაფლული კერამიკული წყალსადენი და სხვ. ბუნებრივია, რომ აქაც ვხედავთ აგურ-კვადროვან წყობას, სხვაფრივ კი (კვადრების ზომამოყვანილობით, მკაცრად ჰორიზონტული წყობით) ვაშნარის ნაშენობა საკმაოდ მოგვაგონებს უჯარმისას, რომელსაც კიდევაც უტოლდება ვაშნარი, რაღაც შუალედებში მაინც.

ბიზანტიური წყაროების ციხე-ქალაქი პეტრა ხანგრძლივი დაკვა-მსჯელობის შემდეგ გაიგივებულ იქნა აჭარის ციხისძირთან (ტაბ. XVII 2), რომლის გათხრა-შესწავლის საქმე ამ ბოლო დროს მკვიდრ ნიადაგზე დაეფუძნა. ჩვენს თვალწინ წარმოდგება საკმაოდ ვრცელი ციხე, რომლის მტკიცე გალავანს გარეთ სამოსახლოს ნაშთებია, ხოლო შიგნით ნელ-ნელა ვლინდება ისეთი მნიშვნელოვანი ნაგებობანი, როგორიც არის ნამდვილად ძველებური იერის (V—VI სს.) მოზრდილი ბაზილიკური ტაძარი, აბანო და სხვ. [201].

ფ ო თ ი ს (ძველი ფაზისის) შესწავლა უკვე საკმაოდ დაწინაურდა, მაგრამ საკვლევი ხანის ნაშთები მხოლოდ მოსინჯულია ქალაქის გარეუბან ყულევში, რომელიც სანაოსნო გზით ყოფილა და ახლაც არის ზღვასთან დაკავშირებული. განათხარის უახლეს ფენას აკუთვნებენ „გვიან-რომაულს ან ადრებიზანტიურ" ხანას და გამოყოფენ მასში გაურკვეველი დანიშნულების (არასაცხოვრებელი) ორი შენობის ნაშთს: საძირკველს ქვითკირისას, კედლებს — აგურისას, სახურავს — ორნაირი კრამიტისას, დეკორს — კერამიკულს, თლილი მარმარილოსას და სხვ. აღნიშნულია აგრეთვე: სარკმლის მინა და მინის ჭურჭელი, აგურებზე ხელით და ტვიფრით გამოყვანილი ნიშნები (თითქოს ქართული ასოებიც), თიხის საბეჭდავი, რომელზედაც ქართული ასოა ამოჭრილი [202]. ყოველივე ეს, ცხადია, დიდად ყურადსაღები და სხვა განათხრებში არარსებული ნიშნებია, მაგრამ ჯერჯერობით — მხოლოდ ნიშნები.

დიდი გათხრითი მუშაობაა ჩატარებული დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა ციხე-ქალაქის, ბიჭვინტის („პიტიუსის", ანუ „პიტიუნტის") ვრცელ ტერიტორიაზე, უმთავრესად გალავნის შიგნით და აგრეთვე მის გარეთ [203]. გამოვლენილია სიმაგრის დიდი კედლები და გოდოლები, სამეურნეო და საკულტო შენობები. ამ უკანასკნელთაგან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს დიდი ტაძრის — სამნავიანი, წახნაგოვან-აბსიდიანი (ისევე, როგორც ვაშნარსა და ციხისძირში) ბაზილიკისა და მისი მრავალი მინაშენის ნაშთები. ტაძარს მოხდენილი არქიტექტურა უნდა ჰქონოდა. მასში მარმარილოს ათი სვეტი

მდგარა, იატაკი მთლად დაფარული ყოფილა მოზაიკით, რომელიც თავისებურია და მხატვრულად კარგი ჩანს (მრავალფეროვანი მოტივები, მშვენიერი ნახატი — ქრისტიანობის ისეთი სიმბოლოები, როგორიცაა თასს დაწაფებული ფრინველები, კრავი, ნუკრი, და სხვ., — მოკენჭვის დიდი ოსტატობა). მოზაიკისათვის გამოყენებულია ნაირფერქანთაგან მონატეხი კენჭები. იგი განირჩევა ადრექრისტიანულ, ბიზანტიურ და ქართულ მოზაიკათაგან და ემსგავსება V—VI საუკუნეების ქერსონესისას. ეს გარემოება მოწმობს (ისევე როგორც ზოგიერთი, ზემორეგანხილული სამარხეული ძეგლების მსგავსება) ეგრისის ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროს კულტურულ სიახლოვეს ყირიმთან, რაც სავსებით ბუნებრივია (ტაბ XVIII).

მოზაიკიანი ტაძარი შემორჩენილთაგან უძველესი ყოფილა, ხოლო მის გარდა იქვე კიდევ ორი სხვა ტაძრის ნანგრევები გაითხარა და გაირკვა, რომ ერთი მათგანის შენებისას, უკვე VI-საუკუნის შუა წლებში (იუსტინიანე კეისრის დროს), ძველი მოზაიკაც გამოუყენებიათ. როგორც ამ უკანასკნელის ბერძნული წარწერა გვამცნობს, ტაძარი აუშენებია ვინმე ორელს, ჩანს, ადგილობრივ დიდკაცს — „თავისი და თავისი სახლის სალოცველად". აქ ერთგვარი წინააღმდეგობა იჩენს თავს: წარწერას პალეოგრაფიულად და სტილისტურად VI—VII საუკუნეებით ათარიღებენ, თუმცა არის აზრი, რომ მოზაიკა V საუკუნისაა, ტაძარი კი ნამდვილად უწინდელია, უფრო V საუკუნისა (ეგებ მოზაიკაა უფრო ახალი და მხოლოდ მას ეხება წარწერაც? — გ. ლ.). გამთხრელის ვარაუდით არც ის ტაძარია ნამდვილად უძველესი და იქ IV საუკუნეშივე უნდა მდგარიყო ეკლესია, რაკი ნიკეის 325 წლის საეკლესიო კრების მონაწილეთა შორის იხსენიება ბიჭვინტის ეპისკოპოსიც. ეს მით უფრო სარწმუნოა, რომ, ჯერ ერთი, ძველ კოლხეთში, ქართლის მსგავსად, ქრისტიანობის გავრცელებასთან დაკავშირებით უნდა გაშლილიყო ტაძართა მშენებლობა და, მეორეც, ბიჭვინტა IV საუკუნის უწინარესაც წარმოადგენდა ვრცელსა და ჩვენს სანაპიროზე ერთ უმნიშვნელოვანეს ქალაქს (რასაც განათხარში მკაფიოდ მოწმობს I—III საუკუნეთა ფენები და ნაშთები).

ბაზილიკისა და ნაქალაქარის სხვა უბნების გათხრამ გამოავლინა ძველი ბიჭვინტის მჩქეფარე ქალაქური ცხოვრება და მეზობელ ქვეყნებთან, გვიანრომაულ (თუ ადრებიზანტიურ) სამყაროსთან ურთიერთობის გარდა, ადგილობრივი, საკუთარი კულტურული მეობაც. განსაკუთრებით მრავლად არის წარმოდგენილი კულტურულ ფენებში კერამიკა (კერძოდ, წითელლაკიანი) და მინა; ერთიც, ახლახან აღმოჩენილი ოქროს სამკაულთა განძია. აქაც თვალნათლივ ჩანს ურთიერთობა დასავლურ წრესთან, მაგრამ გამოიცნობა ადგილობრივი სახეებიცა და ქართლის განათხრებთან დამაკავშირებელი მასალებიც.

განათხარის მიხედვით ზოგან (უფრო ქალაქგარეთ) აღინიშნება კატასტროფა IV საუკუნეში და ცხოვრების განახლება V თუ VI საუკუნეში. შესაძლო ხდება დასკვნა, რომ ჰუნების გამანადგურებელი ლაშქრობა ბიჭვინტასაც მოსწვდომია და იგი ძირფესვიანად აუოხრებიათ: V საუკუნის კულტურული ფენა იქ თითქმის არ მოიპოვება და გამონაკლისს შეადგენს 11 მონეტა, რომლებიც მიეკუთვნება აღნიშნული საუკუნის პირველ ნახევარს. ქალაქის აღორძინება იწყება მომდევნო საუკუნის პირველ მესამედში, ოღონდ ახლა იგი უკვე ციხესიმაგრე უფროა, ვიდრე ნამდვილი ქალაქი.

ს ო ხ უ მ ს ა („სებასტოპოლისში") და ა ნ ა კ ო ფ ი ა შ ი (ამჟამად ახალ ათონში) წარმოებული თხრის დროს აღმოჩენილი განსახილველი ხანის ძეგლები მაინცდამაინც საგანგებო ყურადღების ღირსი არ უნდა იყოს, თუმცა ა. აფაქიძე, ო. ლორთქიფანიძე, მ. ტრაპში აღნიშნავენ კულტურულ ფენათა არსებობას (სოხუმში უახლესი ეკუთვნის V საუკუნის ბოლოს, ანაკოფიაში კი სათანადო ფენები ვერ არის დამაჯერებლად ნაჩვენები).

* * *

ყველა ჩვენ მიერ განხილული ნამოსახლარი ძეგლი ხშირად გვაძლევს მეტყველ ნივთიერ მონაპოვარს, მაგრამ საკუთრივ ნაგებობანი მათში ძლიერ ნაკლულად არის წარმოდგენილი. მართალია, ასეთი ნაშთებიც საკმაო შთაბეჭდილებას გვიქმნიან ნაგებობათა არქიტექტურული ტიპებისა თუ მხატვრული იერის და მშენებლობის რაგვარობის შესახებ, მაგრამ მათი მიხედვით ჩვენი ხუროთმოძღვრების განვითარების სათანადო — აქაც ანტიკურიდან ფეოდალურზე გადმომავალი — საფეხურის შესახებ სრული მსჯელობა გაჭირდებოდა და ისინი უკეთეს შემთხვევაში დამატებით მასალას თუ გვაწვდიან ხოლმე, მეტადრე დასავლეთ საქართველოსათვის.

„ცოცხლად" შემორჩენილი ძეგლების მიხედვით ჩვენი მაშინდელი ხუროთმოძღვრების ვითარებას საგანგებო ნარკვევი ეძღვნება წინამდებარე წიგნში და ჩვენ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. იმასღა დავსძენთ, რომ რამდენადაც საკითხი საეკლესიო არქიტექტურას ეხება, საქმე გვაქვს უძველეს, ჯერ კიდევ IV საუკუნის მარტივ ბაზილიკებთან; ბოლნისის სიონთან, ურბნისის სამნავიან ბაზილიკასთან, სვეტიცხოვლის ძველ ნაგებობასთან, ნოქალაქევის ძველბაზილიკასთან და სხვ. მათ რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ ბიჭვინტის, ვაშნარისა და სხვა ტაძართა ნაშთები, რომელთა შესახებ მეცნიერებამ ამ რამდენიმე ათეული წლის წინ არაფერი იცოდა.

## II. ყოფა-კულტურის ზოგადი მონახაზი

არქეოლოგიურ ძეგლთა მიხედვით საბოლოოდ როგორ გვეხატება ქართული ქვეყნების მოსახლეობის ყოფა, ნივთიერი და სულიერი კულტურა IV—V საუკუნეებში, ანტიკურიდან ფეოდალურზე გადმომავალ ხანაში?

ვიდრე ამ კითხვას ვუპასუხებდეთ, გავიხსენოთ, თუ რაოდენი წვლილი შეიტანა ამ საქმეში ოცდაათი წლის წინ, თითქმის მარტოოდენ წერილობით წყაროებზე დაყრდნობით, აკადემიკოსმა ი ვ ა ნ ე ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ მ ა თავისი ერთ-ერთი ძირითადი ნაშრომის სათანადო თავებში, რომლებიც მიძღვნილია I—VII საუკუნეთა ლაზიკისა და იბერიის სახელმწიფო წესწყობილებისა და კულტურული მდგომარეობისადმი [50].

არქეოლოგიურ მასალას ავტორი ძალიან ცოტას იყენებს, ხოლო რაც უკვე მოპოვებულ-გამოქვეყნებულია, იმასაც უსრულოდ და ხნოვანებრივ დაუნაწილებლადაც კი (მაგ., I თავში ადრეულ შუა საუკუნეთა ძეგლები არცაა გამოყოფილი ბრინჯაოს ხანის ძეგლებისაგან) [50].

IV—VI საუკუნეთა ლაზიკაში მწერლობის არსებობის და სახელმწიფოსათვის მნიშვნელოვანი საბუთების შენახვის წესს ავტორი მართებულად მიიჩნევს სახელმწიფო მართვა-გამგეობის დიდად დაწინაურების მომასწავებლად.

იგი აღნიშნავს, რომ IV საუკუნეში კოლხეთი თითქოს ელინური კულტურისა და „მუზათა სადგურად“ ქცეულა და კოლხებს ხშირად უსახელებიათ თავი ბერძნულ რიტორიკ-მჭერმეტყველებაში. ამ გარემოებას ივ. ჯავახიშვილი დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის კულტურის დაწინაურების მოწმობადაც მიიჩნევს და ამბობს, რომ ეს ვერ მოხდებოდა, კოლხეთის მკვიდრნი თავისთავადაც და წინათაც რომ კულტურულად მაღლა არ მდგარიყვნენო. ლაზიკაში, მეტადრე ჩრდილოში, მრავალი ციხე-ქალაქი ყოფილა [204].

ივ. ჯავახიშვილის სიტყვით, აღმოსავლეთ საქართველოში ვაჭრები და ხელოსნები, ცხადია, იყვნენ, მაგრამ მათ შესახებ ცნობები ძალზე ცოტა მოგვეპოვება; ისღა ვიცით, რომ მცხეთაში არსებობდა სპარსელი და ასურელი ხელოსნების, მეხამლეებისა და მეჯადაგეების ახალშენებიო: „შუშანიკის წამებიდან“ ჩანს, რომ აღმოსავლეთ საქართველოში ტანისამოსისათვის ძვირფასი ქსოვილი „პალეკარტი“ ანტიოქიიდან შემოჰქონდათ ხოლმეო.

იმავე წყაროდან ავტორის მიერ გამოკრებილ ცნობათაგან ყურადსაღებია შემდეგი: მაშინდელი (V საუკუნის — გ. ლ.) სახლობა შედგებოდა ცოლქმრისა და შვილებისაგან, „სახლეულთაგან“: გაძიძავება-ძუძუმტეობა მაშინაც სცოდნიათ; ცოლი ქმრის დაუკითხავად ვერსად წავიდოდა; ქალს თავი დაბურული უნდა ჰქონოდა; მაღალი წოდების ქალს „თმაგატევებულს“ არ უნდა ევლო, თმა დაწნული უნდა ეტარებინა და ამით უნდა გამორჩეულიყო მდაბიო, „შეურაცხი“ ქალებისაგან; დიდებული მოხელის ცოლს თავზე „კუბასტი“ ჰხურებია, ტანთ აღნიშნული პალეკარტის კაბა სცმია, ფეხთ-ხამლი (შეძლებულთა „უხამურობა“ დიდი დარდის ნიშანი იყო) და სხვადასხვაგვარი სამკაული ჰკიდებია; საწოლად უხმარიათ „სასთუნალი“, „ქუესაგებელი“ და „სასთაული“; „უზმაზე ჭამის“ გარდა სცოდნიათ „პურის ჭამაც“ (ახლანდელი „სადილი“) და „ჟამი პურისაც“ (საღამოს); შეექცეოდნენ სხვადასხვა „ჭამადს“ და „ღვინოს ჭიქითა“; სტუმრებთან (ნათესავებთანაც კი) და წვეულების დროს დედაკაცები და მამაკაცები ცალ-ცალკე სჭამდნენ პურს; დიდ-დიდ აზნაურთა სახლობას ჰქონდა „ეზო და პალატი“, ხოლო დიდებული აზნაური (მაგ., პიტიახში) ცხოვრობდა სასახლეში — „ტაძარში“, ანუ „სახლში სამეუფოში“, რომელშიც იყო „გალაკები“ და „სენაკები“, დიდი და მცირე; უბრალო მკვიდრი „სახლებში“, „სახლაკებში“ და „ვანში“ იდგა.

ავტორს აღარ დაუმოწმებია იაკობ ხუცესის ნაწარმოებიდან (თუმცა ზედმეტი არ იყო, სახელდობრ, არქეოლოგიურ მასალებთან შეპირისპირების თვალსაზრისითვე) კიდევ ერთი ადგილი, სადაც მოთხრობილია, თუ როგორ კრძალავენ შუშანიკის ნეშტს; ეპისკოპოსს მოაქვს „შესაგრაგნელად სუდარი წმიდაჲ“, განბანენ ცხედარს და მოსავენ მას „მჩვრითა მით“, ანთებული „კეროვნითა“ და „სუნელი საკმევლით“, იღებენ გვამს და ათავსებენ მას „განმზადებულსა მას ადგილს“. სხვა ვარიანტში, განბანის შესახებ საუბრისას ნათქვამია, რომ ეს უქნიათ „სულნელი ზეთითა და საკუმეველით“. მაშასადამე, V საუკუნის ქართლში ქრისტიანი დიდკაცობის მიცვალებულთა გაპატიოსნებადამარხვის წესის შესახებ ლიტერატურული წყაროდან ისეთი წარმოდგენა გვექმნება, როგორსაც განათხართა მიხედვით (რაც არ უნდა უხვი ინვენტარი გვეპოვა სამარხში) ვერ შევიქმნიდით.

ივ. ჯავახიშვილმა გაარჩია ჩვენში ორი სარწმუნოების — ქრისტიანობისა

და მაზდეანობის ,ანუ ცეცხლთაყვანისმცემლობის ბრძოლის საკითხი. სხვათა შორის, დახასიათებული აქვს აგრეთვე მათთვის დამახასიათებელი დაკრძალვის წესები; მაზდეანობის ეთნოგრაფიული გადმონაშთები; ცეცხლთაყვანისმცემლობის მომძლავრება სპარსეთის ხელისუფალთა წაქეზებით, მცხეთასა და საერთოდ იბერიაში. გასაგებია, რომ ეს მომენტები ყურადსაღებია არქეოლოგიური (მეტადრე სამარხეული) მასალების ინტერპრეტაციის დროს.

საერთოდ კი, როგორც ვხედავთ, სურათი ფრიად ნაკლული და ნაწყვეტნაწყვეტი გამოდის. ცხადია, რომ ჩვენ მიერ ზემოთ მიმოხილული არქეოლოგიური ძეგლები დიდად ავსებენ მას და ეს შევსება კი აისახა კიდევაც თვით ივ. ჯავახიშვილის მიერ დაწერილ წინასწარ ანგარიშებში მცხეთის სამაროვანთა გათხრისას (1938—1940 წწ.). მაგრამ წერილობითი მასალები მაინც ყოველთვის უთუოდ ყურადსაღები და გასათვალისწინებელია, ვინაიდან ნაწილობრივ ისინიც გვივსებენ ნივთიერი ძეგლების თანამდევ ხარვეზებს.

* * *

ახლა მოკლედ შევაჯამოთ ყოველივე უმნიშვნელოვანესი და დასკვნის სახით ჩამოვაყალიბოთ ჩვენი ცოდნა ნივთიერ-კულტურული მასალების, არქეოლოგიური ძეგლების და სხვ. შესახებ.

უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ის მომენტი, რომელიც განსაკუთრებით მკაფიოდ ინაკვთება არქეოლოგიური კვლევა-ძიების ერთი ყველაზედ უფრო სპეციფიკური საგნის — სამაროვანთა შესწავლის შედეგად.

უეჭველია, რომ კერძოდ ქართლში სწორედ IV საუკუნის პირველსავე ნახევარში ხდება თვალსაჩინო გარდატეხა მიცვალებულთა დაკრძალვის, საუკუნეობით მიღებულ წესში (რაც, ცხადია, არსებითად უფრო განეკუთვნება მოსახლეობის სულიერი კულტურის, რელიგიური აზროვნების სფეროს). სახელდობრ, თანდათან იკიდებს ფეხს კოლექტიური დაკრძალვა — უფრო სწორად, ჩნდება საოჯახო თუ საგვარეულო სამარხები, რომლებიც რამდენჯერმე უნდა ახდილ-დახურულიყო ხოლმე, ოჯახის წევრთა სხვადასხვა დროს გარდაცვალების შესაბამისად. ისინი ამის გათვალისწინებითაც შენდებოდა. ეს ტენდენცია გრძელდება IV—V საუკუნეთა შემდგომაც, თითქმის ჩვენ დრომდეც. თუმცა ჯერ კიდევ კარგა ხანს შემოგვრჩა სათითაოდ დაკრძალვა.

რაც შეეხება თვით სამარხების რაგვარობას, მათ შორის საბოლოოდ ბატონდება დიდრონი, ბანურსახურავიანი, მეტწილ ტლანქად გამოყვანილი ფილაქვის სამარხები, რომლებშიც ზოგჯერ (მაგ., არმაზისხევში) ხის დალურსმული კუბოებით ასვენებენ მიცვალებულებს. მაგრამ მათ მხარდამხარ, ხოლო ზოგჯერ მათთან შერწყმითაც, ჩნდება და სწორედ IV—V საუკუნეების მანძილზე მთელ საქართველოში ვრცელდება თიხის სარკოფაგები. ამ უკანასკნელთ „აბაზანისებრი“, „ქალამნისებრი“, „სიგარისებრი“ ან სხვაგვარი მოყვანილობა აქვთ და ცალკე გამომწვარი, კარგად მორგებული სარქველი ახურავთ ხოლმე. მიცვალებულები შიგ მეტწილ სათითაოდ არიან დაკრძალულნი, თუმცა ხანდახან მეტიც გვხვდება.

ფილაქვის სამარხები არსებითად ძველისძველ, ტრადიციულ ტიპს წარმოადგენენ (მეტადრე ქვემო ქართლში, ხოლო მცხეთასა და შიდა ქართლში

გვიანანტიკურ ხანას მოჰყვებიან მხოლოდ). თიხის სარკოფაგები — ფრიად თავისებური და ჩვენში მოულოდნელი ტიპი სამარხებისა — ნამდვილად პირველქრისტიანობის თანამდევი ჩანან, ოღონდ გარდამავალი ხანის შემდეგ რატომღაც დიდხანს ვეღარ ბოგინობენ (სამთავროს სამაროვანზე ერთხანს დიდრონ ქვის სამარხებში ჩადგმული გვხვდებიან) და სარბიელს უთმობენ ფილაქვით ნაშენ სამარხებს. ამასთანავე, დღესდღეობით შეგვიძლია დავასახელოთ მხოლოდ ერთი ასეთი სარკოფაგი (აღაიანთან, ქსანზე), რომელიც ოქროს ფულსა და სამკაულებს შეიცავდა, სხვებში კი თითქმის არა არის რა. საბოლოოდ ისევ ბატონდება ორმოსამარხებში ხის კუბოებით დაფლვის წესი, რაც დღეს საყოველთაოდ გავრცელებული გვევლინება, მაშინ კი ზოგან (მაგ., რუსთავში, ურბნისში) უკვე ყოფილა, ოღონდ (იმავ ურბნისში) ძელური ნაშენობით „გართულებული“. ერთ შემთხვევაში (იქვე) ალიზით ნაგები სამარხიც კი არის. დასასრულ, აღსანიშნავია ზოგიერთი „ანტიკური გადმონაშთი“ — სამარხთა აგება სახურავი კრამიტით (ურბნისში, ბავშვთა დასაკრძალავად) და კერამიკული, რელიეფურსახოვანი ფილებითა და კრამიტით (აღაიანში, თიხის სარკოფაგთა შორიახლოს).

სულ სხვა ვითარებაა დასავლეთ საქართველოში, სადაც გაბატონებულად უნდა ჩაითვალოს ძველისძველი ტიპი — ორმოსამარხები (თვით უმდიდრეს, საზოგადოებრივ დაწინაურებულ პირთა დასასაფლავებლადაც კი). ასეთი ორმოსამარხები აღმოსავლეთში იმხანად თითო-ოროლა თუ გვხვდება და ისიც უფრო ფილაქვებით გადახურული (სამთავროში). ამასთანავე, იქ საკმაოდ ხშირი ჩანს თიხის სარკოფაგები, ხოლო სადაც მიცვალებულის დაწვას მიმართავენ — კრემაციის ნაშთების თიხის დერგებით ან სხვა მოზრდილი ჰურჭლებით დაფლვა. იშვიათ გამონაკლისად გამოიყურება ფილაქვით ნაგები სამარხები ვაშნარში და ღების ერთ-ერთ სამაროვანზე. აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ წინამორბედ, ანტიკურ ხანაშიც უაღრესად იშვიათია ფილაქვის სამარხები დასავლეთ საქართველოში.

როგორც ვხედავთ, საერთოდ, საკმაო სიჭრელეა სამარხთა ტიპოლოგიაში, ხოლო, რაც შეეხება დაკრძალვის წესის სიახლეს — საერთო სამარხავებს, ეს თითქმის მხოლოდ ფილაქვით ნაშენ სამარხებში ხორციელდება. აღნიშნულ სიჭრელეში მნიშვნელოვანი წილი მიუძღვის ახალი სარწმუნოების — ქრისტიანობის დანერგვა-გაბატონებასაც. ეს მოვლენა სხვადასხვა კუთხეში ადრე თუ მოგვიანებით მაინც ხდებოდა და ზოგან დიდი ხნით რჩებოდა (ნარევი სურათი ყველაფერში ჩანს და კერძოდ, სამარხთა რაგვარობაშიც).

სიჭრელე შეიმჩნევა დაკრძალვის წესის ერთ-ერთი ნიშნის — მიცვალებულის მდებარეობის მხრივაც: გულაღმა გაშოტვით დასვენება მხოლოდ თანდათანობით ბატონდება (ისიც ჯერ მცხეთაში და შემდეგ სხვა კუთხეებში), ისევე როგორც ხელების ტანის გასწვრივ ჩამოშვება ან მკერდზე თუ საზარდულზე დაკრება; კარგა ხანს ვხედავთ კიდევ წარმართულ წესს — მოკუნტვით გვერდზე დაწვენას და ა. შ. (ურბნისში, კუხეთის რუსთავში — მარჯვენა ნაპირზე...).

საერთოდ, ტრადიციისა და ქრისტიანული წესისამებრ გაბატონებულია მიცვალებულთა ი ნ ჰ უ მ ა ც ი ა (მიწაში დაფლვა). ორიოდე შემთხვევაში გვაქვს მ ე ო რ ა დ ი დ ა მ ა რ ხ ვ ა (ისიც ალბათ უცხოელებისა — მცხეთა-

ში, წიწამურის ველზე და ურბნისში), ხოლო საგრძნობლად ხშირია კ რ ე მ ა ც ი ა, სრული თუ ნაწილობრივი დაწვა. კრემაციას ხშირად სდევს თან ფერფლისა თუ სანახევროდ დამწვარი ძვლების ჩასვენება თიხის ამა თუ იმ ჭურჭელში და ა. შ. წებელდაში ახლახან გათხრილი სამაროვნების მაგალითი ცხადყოფს, რომ შესაძლო ყოფილა ინჰუმაციისა და კრემაციის სრულიად უმტკივნეულოდ თანაარსებობა-მეზობლობა, ისე რომ აღარ ხდება აუცილებელი სათანადო ნაირ-ნაირი სამარხების მიკუთვნება ძ ლ ი ე რ გ ა ნ ს ხ ვ ა ვ ე ბ უ ლ ი მოდგმისა თუ რჯულის ადამიანთათვის [205]. სხვადასხვაობა ადგილობრივ ტომთა ძველი წესების თავისებურებიდან უნდა მომდინარეობდეს. არა ჩანს მართალი ბ. კუფტინი, რომელიც კრემაციას ახლანდელი აფხაზეთის მაშინდელი მოსახლეობის „ელინიზაციის" ერთ-ერთ გამოხატულებად მიიჩნევდა [160].

მერე და მერე, დასავლეთ საქართველოში ქრისტიანობის მტკიცედ დამკვიდრების შედეგად, როგორც ჩანს, დაკრძალვის წესის ამგვარი სიჭრელეც აღიკვეთება.

საბოლოოდ, ბუნებრივი იქნება, თუ დამარხვის წესსა და სამარხთა რაგვარობაში მოვლენილ ზემოაღნიშნულ რამდენსამე სიახლეს სწორედ ქრისტიანობას მივაწერთ.

ამ სიახლის კულტურულ-ისტორიულ ანალოგიად შეგვიძლია დავასახელოთ სამლოცველოთა ახალი ტიპის გაჩენა ჩვენს იმავდროულ საკულტო ხუროთმოძღვრებაში, სადაც ტრადიციულ ფორმასა და ჩვევებს ახალი, ქრისტიანული და კანონიკურად სავალდებულო მოთხოვნილებისამებრ შენება შეერწყა.

კერძოდ, კოლექტიურად მარხვისა და მის შესაბამისად დიდრონი ქვის სამარხების გამართვის წესის საკმაოდ სწრაფად გაბატონება, ჩვენი აზრით, თითქმის ძალდაუტანებლივ პოვებს ახსნას ახალი სარწმუნოებრივი მოძღვრების მიერ (მეტადრე სწორედ საწყის საფეხურზე!) დანერგილ მიდრეკილებაში ძმობა-თანასწორობისა და მორწმუნეთა ჯგუფების ერთგვარ „კომუნებად" ცხოვრებისადმი. ეს უკანასკნელი ხომ ერთ-ერთ აუცილებელ პირობად ითვლებოდა თავდაპირველ ქრისტიანთა ყოფაში, ჯერ კიდევ მანამდე, სანამ ეს რჯული ჩვენშიც გავრცელდებოდა და ჩანს, ადვილად გადანერგილა „საიმქვეყნიო ყოფაშიც" [206] (გავიხსენოთ თუნდაც ვედრების ფორმულა „...ორთავ ცხოვრებასა შინა"). ამ მიდრეკილებამ საბოლოოდ თავის უკიდურეს გამოხატულებას მიაღწია სამონასტრო ტაძრების იატაკთა ქვეშ ბერების ნამდვილი საძმო საძვალეების მოწყობის სახით, რაც ჩვენშიც ძალიან იყო გავრცელებული.

რაც შეეხება საკვლევ ხანაში თიხის სარკოფაგების ფართო გავრცელების მკაფიო ფაქტს, აქ, იმავე ქრისტიანობის პირველი ნაბიჯების ზოგად ფონზე, შეგვიძლია ვიგულისხმოთ ერთ-ერთი ანარეკლი იმ ცნობილი ვითარებისა, რომ საქართველოში (აღმოსავლეთში უფრო) ახალი სარწმუნოების დამკვიდრებისას დაისახა ძლიერი გეზი აღმოსავლურრომაული იმპერიის შემადგენლობაში შემავალი ძველი კულტურული ქვეყნების, სირია-პალესტინისადმი და, კერძოდ, მათში წარმოქმნილი მჩქეფარე ქრისტიანული სარწმუნოებრივი კერებისადმი, რომელთა შორის მოთავეობდა ერთ-ერთი სახელოვანი ანტი-

კური ქალაქი ანტიოქია. თიხის სარკოფაგებში მარხვის წესიც სწორედ ამ ქვეყნებში აღმოცენებულად უნდა მივიჩნიოთ, მით უმეტეს, რომ ამგვარ სამარხებს (სახელდობრ, „ქალამნისებრი" მოყვანილობისას, ეგრისში რომ გვხვდება) ჯერ კიდევ ახალხეთური სამეფოს ერთ-ერთ სამაროვანზე, ე. ი. „წარმართული" ეპოქის წიაღში, ადრეული რკინის ხანაში ვხედავთ [207].

აღნიშნულ რელიგიურ-კულტურულ კერებთან ქართლის მრავალმხრივი, მჭიდრო (თითქოს ბიზანტიის ცენტრის ავლითაც კი!) ურთიერთობის მომასწავებელი ფაქტებიდან ახლა მოვიგონებდით ზოგიერთს მაინც: მცხეთის ერთ-ერთ უძველეს (VII ს.), არაგვის კბოდეზე დადგმულ ტაძარს დღემდე ეწოდება „ანტიოქი"; ამ ქალაქში „არსებობდა სპარსელი და ასურელი ხელოსნების, მეხამლეებისა და მეჯადაგეების ახალშენი"; დიდკაცობის სამოსელში ანტიოქიურ ქსოვილებს მნიშვნელოვანი ადგილი სჭერიათ და, მაშასადამე, სათანადო იმპორტი ფეხმოკიდებული ყოფილა; მცხეთაში ამონათხარი მინის ჭურჭლეულის ერთი წყება სირიული, კარგად ცნობილი ნაწარმის ყაიდისაა [124]; უძველესი, ქართული საზღვარგარეთული მონასტრები (კერძოდ, ვახტანგ გორგასლის ნაშენიც) პალესტინა-სირიაში ჩნდება; VI საუკუნეში ქართლ-კახეთს ქრისტიანობის კვლავ გაძლიერების მიზნით მისიონერები — „ათცამეტი ასურელი მამა" სწორედ სირიიდან მოევლინებიან. დასასრულ, ეგებ არც იმ გარემოების გახსნება იყოს ზედმეტი, რომ წინარექრისტიანულ, ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში თავჩენილი მიდრეკილება მეტ-ნაკლებ საკუთარი დამწერლობის შექმნისა, ქართლში დაგვირგვინებული ჩანს სწორედ სირიიდან მომდინარე, არამეული დამწერლობის გადასხვაფერებით. შესაძლოა, ამაში გარკვეული როლი შეასრულეს ჩვენში მრავლად მოტრიალე სირიელმა ვაჭრებმაც. ცნობილია, რომ სწორედ ვაჭართა პრაქტიკული მოთხოვნილება ითვლება ამ მარჯვე, სწრაფად მოსახმარისი დამწერლობის წარმოქმნის სტიმულად. იგი მთელი მახლობელი აღმოსავლეთის Lingua franca-დ ქცეულა [208, გვ. 309].

რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს კულტურულ-სარწმუნოებრივ ვეზს, იგი უფრო აღმოსავლურრომაული თუ ადრეულბიზანტიური იმპერიის შუაგულისაკენ ჩანს დამხრობილი. მაგრამ თიხის სარკოფაგები, რომელთა ირგვლივაც გაიშალა მთელი ჩვენი ზემორე მსჯელობა, იქაც ფართოდ არის გავრცელებული, და თან ყველაზე უფრო არქაულწინააზიური სახეობა — „ქალამნისებრი". აღმოსავლეთ საქართველოში „აბაზანისებრი" სჭარბობს, თუმცა არის „სიგარისებრიც".

დაკრძალვის წესებს, არსებითად კულტურის იდეოლოგიურსავე სფეროს განეკუთვნება ის, თუ როგორია ე. წ. დ ა ს ა კ რ ძ ა ლ ა ვ ი ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი, ე. ი. რა და რა ნივთებს ატანდნენ სამარხში მიცვალებულთ. თუ ვიმსჯელებთ ისევ და ისევ მცხეთის — ქართლის დედაქალაქისა და გაქრისტიანების, ე. ი. დაკრძალვის ახალი კანონიკური წესის დანერგვის ცენტრის — ყველაზე უკეთ შესწავლილი სამაროვნების მიხედვით, ინვენტარის შედგენილობა უწინდელთან შედარებით გაერთფეროვნებულია; უმთავრესად ვხედავთ სამკაულს, ტანსაცმელ-თავსაბურავ-ფეხსამოსის ლითონის ნაწილებს, საგანგებო (თითქმის მხოლოდ დასაკრძალავი) დანიშნულების მქონე მინის ჭურჭელს და იშვიათად მონეტებს. არსებითად გამქრალი ჩანს იარაღ-საჭურველი და ხელსაწყოები, თიხისა და ლითონის ჭურჭელი.

ეს არის. ასე ვთქვათ, სანიმუშო ახლებური ასორტიმენტი „საიქიოს გატანებული“ საგნებისა, რომელთაც ზოგჯერ თითო-ოროლა გამონაკლისი არღვევს და რომლის მიხედვითაც უნდა წარმოვისახოთ არქეოლოგიურად მცხეთის მაშინდელი მოსახლეობის კულტურის სურათი.

მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საქართველოს სხვა მხარეებში — მცხეთისათვის ყოველმხრივ შორეულ ზღვისპირებზე რომ აღარა ითქვას რა — მაგ., შიდა ქართლში (ურბნისში), ზემო იმერეთში (სარგვეშში) და ა. შ., კიხისა თუ ლითონის ჭურჭლის, ხელსაწყო-იარაღის და სხვ. ჩატანება ჯერ კიდევ რჩება წარმართულ წესად. შუაგულ ეგრისსა და მერმინდელ აფხაზეთში ხომ, როგორც ვიცით, დაკრძალვის წესი საერთოდაც განსხვავებული გზით ვითარდება, რაც ინვენტარის შედგენილობაზედაც ითქმის.

სწორი არ იქნებოდა განცხადება, თითქოს IV საუკუნიდანვე ქრება, ან მცირდება, თუნდაც იმავე მცხეთის სამარხთა ინვენტარში — დაკრძალვის წესებში ქრისტიანული ასკეტიზმის გაბატონების შესაბამისად — მდიდრული ნივთები და ალიკვეთება „იმქვეყნიურ ცხოვრებაშიც“ ფუფუნების ხაზგასმით წარმოჩენისადმი მიდრეკილება; გააჩნია, საზოგადოების რა ფენასთან გვაქვს საქმე და რამდენად არიან სათანადო პირები სულისკვეთებითაც ქრისტიანულად „მიდრეკილნი“, ან, პირიქით, ძველებურის ჯიუტად მიმდევარნი.

ამ მხრივ ზედმიწევნით ნიშანდობლივია არმაზისხევის, გვიანანტიკური დროის ერისთავ-პიტიახშთა საგვარეულო განსასვენებლის გვერდით გათხრილი მდიდრული სამარხები, რომლებშიც იგულისხმება იმ ერისთავთა არცთუ შორეული, მაგრამ სოციალურად და პოლიტიკურად უკვე საკმაოდ დაქვეითებული და მაინც მოდიდკაცო, შეძლებული შთამომავლები [119, გვ. 374]. უნდა დავასახელოთ აგრეთვე ურეკსა და სარგვეშში (დასავლეთ საქართველო) შემთხვევით აღმოჩენილი მდიდრული სამარხები, რომელთა ხნოვანებაც თუმცა IV საუკუნეშიც აღწევს, მაგრამ მათში ვხედავთ უფრო მრავალფეროვან, ჯერ კიდევ ანტიკური ხანის წესისამებრ შერჩეულ ნივთებს (კერძოდ, ოქროულს გარდა ვერცხლის ჭურჭელსა და სამკაულსაც, აგრეთვე იარაღს), ვიდრე არმაზისხევის ზემოაღნიშნულ სამარხებში.

ამ უკანასკნელთა ინვენტარი უფრო დამახასიათებელია ახალი დროისათვის: ოქროს სადა თუ მოთვალული სამკაულის გარდა, მასში შედის ოქროსავე ერთი მონეტა, მინის ერთი სანელსაცხებლე და რკინის მშვილდსაკინძები (თვალნათლივი სიახლე ჩაცმულობაში!). აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ოქროს ერთი ბეჭდის თვალზე ამოკვეთილია პორტრეტული ინტალიო და ამ მხრივ ბეჭედი მოგვაგონებს ადრინდელ ინსიგნიებს( თუმცა უწარწეროა). იგი სავსებით სარწმუნო ძაფს აბამს წინარე დროის ერისთავებსა და IV საუკუნის უსახელო მემკვიდრეებს შორის. იგივე ითქმის სამ სხვა სამკაულზე ამოკაწრულ არმაზულ წარწერებზე, ამ დამწერლობის უახლეს ძეგლებზე ჩვენში. ისახება მეორე „ძაფიც“: გარკვეული პორტრეტული მსგავსება იმ „უშა პიტიახშთან“, რომელსაც მკვლევართა ერთი წყება მიიჩნევს სასანიანთა ქვეშევრდომ ქართველ დიდებულად და ქვემო ქართლის გამგებლად.

ასეა თუ ისე, არმაზისხევის III და IV საუკუნეების სამარხთა შესანიშნავი ოქროს სამკაული გვიქმნის საყრდენს იმაზე მსჯელობისათვის, თუ რარიგ შეცვლილა (ხაზგასმით აღსანიშნავია, III საუკუნის მეორე ნახევ-

რიდანვე!) მოსახლეობის ზედაფენის გემოვნება საიუველირო ნაწარმის მიმართ. ამის შესაბამისად კი სახე უცვლია სამკაულის რაგვარობას, კეთების ტექნიკას, მოთვალვა-დამშვენების წესსა და სტილს. ხაზგასასმელია ტიხროვანი მინანქრის და ოქროს სამკაულთა მოცვარვის გაქრობა და მეორე მხრივ, ჩვენში პირველი და საერთოდაც ერთ-ერთი უძველესი ნიმუშის გამოჩენას. სამაგიეროდ, ბევრს ვეღარას ვამბობთ ვერცხლეულზე, რომელიც თითო-ოროლა გადმონაშთის სახითღა გვხვდება.

ოქრომჭედლობაში კიდევ უფრო მეტი მხატვრულ-სტილისტური დამოუკიდებლობა ჩანს, ვიდრე წინარე საუკუნეთა სამკაულში, რაც ერთ-ერთი მომასწავებელია იმისა, რომ მხატვრული ხელოსნობის ამ ძველისძველ, ტრადიციულსა და „შინაურ" დარგშიც კი გარდატეხა ხდება. ანტიკურობის მილევისა და მისი მძლავრი, მსოფლიო გავლენის წყაროთა თანდათანობით დაშრეტის შემდეგ, ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობისა და იდეოლოგიის გზაზე დამდგარი ქართული ქვეყნები (მეტადრე ქართლი) საკმაოდ მალე მძლავრობენ კულტურის უფაქიზეს ფორმებშიც კი და მიდრეკილებას ამჟღავნებენ საკუთარი, ეროვნული, ხალხურთან კიდევ უფრო მიახლოებული ნაკადისადმი.

ასეთივე სურათი ჩანს სამთავროს სასაფლაოზე დიდი სიმრავლით (ხოლო სხვაგან — მაგ., ურბნისსა და რუსთავში — მხოლოდ საკმაოდ) წარმოდგენილ მინის ჭურჭლეულში. კერძოდ, სამთავროულის მონოგრაფიულად შესწავლის შედეგად [124] შესაძლო ხდება განცხადება, რომ IV საუკუნის მცხეთაში უკვე არსებობს მინის საკუთარი წარმოება, და არ უნდა ცდებოდეს ფ. ბაიერნი, როცა თავის განათხარში (სამთავროს ველზე) მინის საწარმოს ნაშთსაც გულისხმობს; რომ მანამდეც კეთდებოდა მცხეთაში მინის ჭურჭელი, მაგრამ არსებითად — უცხოურ ფორმათა განმეორებით; რომ IV—V საუკუნეთა მანძილზე მიმდინარეობს ახალი, თავისებური ფორმების დაჟინებითი ნოვატორული ძიება, რასაც VI საუკუნეში უკვე მოსდევს ნაპოვნისა და მიგნებულის სტაბილიზაცია.

ასეთი დასკვნა მით უფრო სარწმუნოა, რომ იგივე მიდრეკილება ჩანს მინის ჭურჭლეულისა და ოქროულის თანმხლებსა და მათთან მჭიდროდ დაკავშირებულ განსახილველ სხვა ინვენტარში, სახელდობრ, სამკაულში. გარდა ყოვლად „საერთაშორისო", დასავლური სამყაროდან მომდინარე და უფრო სამოსელის შესაბნევად განკუთვნილი მშვილდსაკინძეებისა, ანუ „ფიბულებისა", თითქმის ყველა სამკაული, მდიდრულიც (ოქროს შესახებ უკვე გვქონდა საუბარი) და ღარიბულიც (ვერცხლის, ბრინჯაოსი თუ რკინისა), სწორედ ფორმათა შემოქმედებითი ძიების შედეგად ნამდვილად ადგილობრივ არის ნაწარმოები. ისიც შეგვიძლია ახლა უკვე დავსძინოთ, რომ ეს, ასე ვთქვათ, „მცხეთური" (არსებითად საერთო-ქართლური და ეგებ სხვა საწარმოო კერებში წარმოებული) [209] ფორმები ზოგჯერ „ჟონავენ" ისეთ საკმაოდ დაშორებულ კავკასიურ ქვეყანაში, როგორიც არის დაღესტანი [210].

თუ ისევ მინის ჭურჭელს მივუბრუნდებით, დარწმუნებით უნდა განვაცხადოთ, რომ მას აწარმოებდნენ ურბნისშიაც და კუხეთის რუსთავშიც, იმდენად თავისებურად გამოიყურება ამ უკანასკნელთა სამაროვნებში მოპოვებული სათანადო საგნები — მოყვანილობითაც და მინის რაგვარობითაც.

დასავლეთ საქართველოს სამაროვნებიდან მომდინარე მასალებში ნაკლებ

შეიმჩნევა ესოდენ თავისთავადი ფორმები მცირე ნივთიერი კულტურისა. გადაჭრით ითქმის ეს უშუალო ზღვისპირეთის მიმართ (ურეკისაც კი), სადაც რომაულ-ბიზანტიური გავლენა თვალნათლივ ძლიერია, თორემ, მაგ. წებელდისა და მეტადრე საგვარჯილეს სამაროვნებში უთუოდ სჭარბობს სწორედ ადგილობრივი, თავისთავადობის მომასწავებელი ფორმები, რომლებიც (წებელდაში) ყოველთვის არც აღმოსავლურქართულთ თანხვდებიან.

ამრიგად, არქეოლოგიური მასალების ერთი, ყველაზე უფრო გავრცელებული და არსებითად დამახასიათებელი ჯგუფი — სამარხეული ინვენტარი ნათელყოფს, რომ ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარების ამ ადრეულ, პირველსავე საფეხურზე, ახალი სარწმუნოების „საფარველ ქვეშ" იწყება გარკვეული აღმავლობა ნივთიერი კულტურის საკუთარი, ეროვნული ფორმებისა (როგორც ვიცით, იგივე ვითარებაა სულიერი კულტურის მხრივ). ეს კულტურა თანდათანობით აღწევს თავს ანტიკურობის საუკუნოებრივ, ყოვლის გამაერთიანებელ ზეგავლენას და უფრო მტკიცედ დგება საკუთარ ნიადაგზე, რომელიც მანამდე-ქალაქებში მაინც საგრძნობლად იყო თვალს მოფარებული კულტურის ნატიფი, მაგრამ კოსმოპოლიტური ფორმების მოზღვავების გამო. ამასთანავე, ზოგ რამეში აღარ იგრძნობა უწინდელი სინატიფე თუ სიფაქიზე და ესეც ხომ საყოველთაო მოვლენაა იმ ხანებში?!

მაგრამ, რა თქმა უნდა, აქ საუბარი შეგვიძლია მხოლოდ ძირითად მიდრეკილებაზე და საეჭვო ის კი არ არის, რომ ჯერაც ძლიერია ბერძნულ-რომაული, წინააზიურ-მესოპოტამიური და — ეგებ ყველაზე უფრო — ახალი, სასანური ირანის გავლენა.

პირველის მკაფიო და მეტყველ საბუთებად დავასახელებთ „ხუროთმოძღვრისა და მხატვართუხუცესის ავრელიუს აქოლისისა" და მისი მეუღლის ბევრაზურიას ბერძნულ ეპიტაფიას, რომელიც სწორედ IV—V საუკუნეებს მიეკუთვნება (თანაც ავრელიუს აქოლისს სახელი მაინც რომაულ-ბერძნული აქვს, თუმცა თვითონ შეიძლება ჩვენებური იყოს [211; 12, 60—61; 53], ცოლი კი ნამდვილად ასეთი ჩანს); ბერძნულ წარწერას („შესვი, იცოცხლე") სამთავროში ნაპოვნ მინის ფარშავანგიან თასზე; იქვე აღმოჩენილ ოთხი ბეჭდის წარწერებს [88; 212]; „უშა პიტიახშის" საბეჭდავის ბერძნულ წარწერას (რაც აგრძელებს გვიანანტიკური დროის არმაზისხეველ ერისთავ-პიტიახშების სამკაულთა და საბეჭდავთა ტრადიციას); სოხუმთან ნაპოვნი სამპორტრეტიანი ინტალიოს (აგრეთვე საბეჭდავის?) ბერძნულ წარწერას; წილკანში აღმოჩენილ ნატიფ ანტიკურ ინტალიოზე IV—V სს. ახალ ბუდეში ჩასმისას ამოჭრილ ბერძნულსავე მაგიურ წარწერას; ინტალიოთა ერთ წყებას (სამთავრო არმაზისხევი, ურეკი და სხვ.), რომელთა შინაარსი ჯერ ისევ ანტიკური, ბერძნულ-რომაული მითოლოგიიდან მომდინარეობს. ცალკე არის გასახსენებელი ადრებიზანტიურად მიჩნეული მშენებლობის წესების მკაფიო გამოვლინება ეგრისის ციხე-ქალაქთა და სხვა მონუმენტურ ნაგებობათა მშენებლობაში. დასასრულ, არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ საერთოდ ძლიერ შემცირებულ სამარხეულ თუ სხვაგვარ ნუმიზმატიკურ მონაპოვარში აღმოსავლურ-რომაული და ადრებიზანტიური მონეტები კვლავ გარკვეულ წილს იდებენ.

სირია-პალესტინის ადრეულ ქრისტიანულ კერათა გავლენის მომასწავე-

ბელი ფაქტების თაობაზე უკვე გვქონდა საუბარი. რაც შეეხება, სასანური ირანის გავლენას (რომელიც ენაცვლება ანტიკური პართიისას და უფრო მკაფიოც კი ჩანს), იგი თავდაპირველად მჟღავნდება მცირე არქეოლოგიურ ძეგლთა წყებაში. ამ უკანასკნელთა შორის ყველაზე ადრინდელია არმაზისხევის ერისთავთა განსასვენებლის ერთ-ერთ სამარხში აღმოჩენილი, ფალაურწარწერიანი (ჩვენში პირველი!) ვერცხლის პინაკი, რომელიც ეკუთვნის ირანში ახალი დინასტიის დამფუძნებლის არდაშირ სასანიანის ზეობის დროს და დიპლომატიური საჩუქრის სახით უნდა იყოს მოხვედრილი ქართლის დედაქალაქში, ერისთავ-პიტიახშთა წრეში (ზედ ან ირანის მეფე, ან მისი პიტიახში ხატია) [12, გვ. 45—46, 213]. ამასთან დაკავშირებით უნდა დავსძინოთ, რომ საერთოდ ამ პინაკის შემცველი და რომაული მონეტების მიხედვით III საუკუნის მეორე ნახევრის კუთვნილი სამარხი ერთი იმ არქეოლოგიურ ფაქტთაგანია, რომელიც გარდამავალი, შერეული ძეგლებით აღნიშნული ხანის დასაწყისს III საუკუნის წიაღში გადაგვატანინებს, მიუხედავად იმისა, რომ იქ ჯერ ქრისტიანული არაფერია. იმ დროს ჩნდება, მაგ., მთელი წყება ოქრო-მარგალიტის სამკაულისა, რომელიც შემდგომ ფართოდ ვრცელდება IV საუკუნიდან და მაშინ უკვე მკაფიოდ გამოირჩევა გვიანანტიკურ ოქროს სამკაულთა სერიისაგან.

სასანური ირანიდანვე მომდინარეობს, ოღონდ რამდენადმე ახალია, ორად ორი, არქეოლოგიურად დამოწმებული (დასავლეთ საქართველოში!) ვერცხლის ჭურჭელი: სარგვეშული ბარძიმი (მეფისა და დედოფლის პორტრეტული რელიეფებით დამშვენებული) და მაღლაკური თასი (მონადირე შაბურ მეფე). უნდა გავიხსენოთ ადლერის რაიონის მთიან ზოლში აღმოჩენილი თასიც (ზედ აგრეთვე მონადირე მეფე ახატია). იგივე უნდა ითქვას, ეტყობა, სართიჭალასთან ნაპოვნი ვერცხლის ბეჭდის თაობაზე, რომელზედაც სასანიანი მეფის ამოჭრილი პორტრეტი უნდა ვიგულისხმოთ.

V საუკუნიდან ხშირდება სასანური ვერცხლის ფულის განძებად თუ სათითაოდ, კულტურულ ფენებში — მცხეთას, ურბნისს, უჯარმასა და სხვ. — შემონახვა (სამარხებში იშვიათია!). მოგვიანებით კი (VII ს.) ქართლში ხომ უკვე იჭრება ე. წ. „ქართულ-სასანური დრახმებიც", რომელთა იკონოგრაფია თვალნათლივ ასახავს ამ ორი ქვეყნის რთულ პოლიტიკურ ურთიერთობას: ჯვარი დგას ცეცხლის „საგზებელზე".

IV—V საუკუნეთა მცირე გლიპტიკური (უმთავრესად მცხეთის სამარხეული ინვენტარიდან მომდინარე) ძეგლების — უწინდელებზე უფრო მდარე მასალისა და ნაკეთობის ინტალიოების — დიდი ნაწილი უკვე მიეკუთვნება სასანური მითოლოგია-ხელოვნების წრეს, ნივთიერად თუ არა, სიუჟეტურად მაინც (ცხოველები, ზღაპრული არსებანი), ხოლო რამდენიმე მათგანზე გამოყვანილია თითო-ოროლა ფალაური ასო, ან სულაც რელიგიურ-მაგიური შინაარსის სიტყვა. ამ მხრივ ანტიკურ იმპორტსა თუ პირველწყაროებს უკვე საფუძვლიანად ენაცვლება სასანურ-სპარსული.

ყოველივე ამის ფონზე პარადოქსულად გამოიყურება ის გარემოება, რომ ქრისტიანული სიუჟეტები და სიმბოლოები ინტალიოებზე თითქმის არა ჩანს, თუ სათვალავში არ ჩავაგდებთ ერთს, ტოტებმოკაულსა და ძლიერ სახეცვლილ

„ჯვარს“ [214]. ღვთის ხსენება და დალოცვა აღნიშნული გვაქვს ორიოდე ბეჭედზე.

მინის ჭურჭლეულში გამოერევა ზოგი რამ, რაც ქრისტიანულ სიმბოლიკას განეკუთვნება (ფარშავანგი, სიცოცხლის ხე და დასალოცავი ბერძნული წარწერა ერთ თასზე). საერთოდ, საბეჭდავები, როგორც ცნობილია, მჭიდროდ უკავშირდებოდა საკუთრების ინსტიტუტს და, გარდა საბუთებისა თუ წერილებისა, იხმარებოდა ქონების, საწყობების და ა. შ. დასაბეჭდავადაც. ამ მხრივ განსაკუთრებით ყურადსაღებია ურბნისში აღმოჩენილი „ბულა“ — თიხის ფირფიტა, რომელზედაც ორი სხვადასხვა ინტალიოს ანაბეჭდი იყო: ჩანს, შეამხანაგებულ ვაჭრებს დაუდვიათ ის ბულა საზიარო საქონელზე.

დასასრულ, მოგვეპოვება რამდენიმე, ზემოთ არაერთგზის ნახსენები პორტრეტული ინტალიოც, რომლებიც ნამდვილად ჩვენშივეა ნაკვეთი (ალმანდინზე, სარდიონზე, ონიქსსა და ლითონზე). ზოგჯერ მხოლოდ ხატვის მანერით თუა მეტ-ნაკლებ მისამსგავსებელი სასანური გლიპტიკისადმი: „ვახტანგ გორგასალისა“ [216]; „უშა პიტიახშისა“; არმაზისხეველი უსახელო დიდკაცისა: მცხეთელი თავდაბურული წარჩინებული მამაკაცისა; თბილისელი უსახელო თავდაბურული დიდკაცისა, რომელსაც თავს აქეთ-იქით მცენარის რტოები ახლავს; სართიჭალასთან აღმოჩენილი ბეჭდის თავზე გამოხატული დიდკაცისა (სასანიანი მეფისა?), რომელსაც ნიშანდობლივი თავსაბურავი ახურავს და ყელსაბამი უკეთია და სხვ.

რაც შეეხება დიდი ხელოვნების ძეგლებს, სასანურ გავლენას ხომ სავსებით მართებულად აღნიშნავენ, მათ შორის ისეთ უმნიშვნელოვანესშიც კი, როგორიც არის ბოლნისის სიონის დეკორი — ცხოველთა რელიეფები და ა. შ. (V საუკ. ბოლო), რომლის სამშენებლო წარწერაში სწორედ სასანიანი მეფე ფეროზი იხსენიება. უნდა დავასახელოთ იმავ ბოლნისში, ნაქალაქარში აღმოჩენილი და სიონის თანადროულ ერთ-ერთ სტელაზე გამოხატული დიდკაცის რელიეფური პორტრეტი, რომელშიც ჩაცმულობა და ვარცხნილობა, ისევე როგორც სახვის საერთო მანერა, აგრეთვე სასანურ იერს ატარებს. იგივე ითქმის პორტრეტზე „უშა პიტიახშისა“, რომელიც სწორედ იმ მხარის გამგებელ პირად არის მიჩნეული. ეს პორტრეტი ძალიან ჰგავს ზემოაღნიშნულ რელიეფსაც და არმაზისხევის უსახელო პორტრეტულ ინტალიოსაც, მაგრამ ყოველივე ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ჩამოთვლილი პორტრეტები ადგილობრივ ხელოსანთა ნაკეთები არ იყოს.

ირანის ხანგრძლივსა და დიდ გავლენას მოასწავებს აგრეთვე ჯერ კიდევ აქემენიანთა თუ პართიის ხანაში დაწყებული მოძალეობა სპარსული სახელებისა საგანთა ქართულ ლექსიკასა და ქართლის მმართველ წრეთა ონომასტიკონში, რაც კანონზომიერად გრძელდება სასანიანთა დროსაც (თუნდაც „მირიანი“, „ვახტანგ გორგასალი“, „დედამისი „საჰაკდუხტი“, ბოლნისის წარწერაში ხსენებული „ფარნევანი“ და სხვ.). დიდი ხანი სჭირდება ქრისტიანული ეკლესიის გავლენას, რომ სურათი რამდენადმე შეცვალოს. ეგრისში, პირიქით, ამ მხრივაც ჯერ ბერძნულ-რომაული და მერე ადრებიზანტიური გავლენა სჭარბობს (ბოლოს უკვე ქრისტიანული ეკლესიის მეშვეობით), მაგრამ იქ უფრო ხშირად იჩენს ხოლმე თავს „წარმართული“ ონომასტიკონიდან შემორჩენილი სახელები. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ამ მხრივ კელასურის

ინტალიო, რომლის ოთხი სახელიდან მხოლოდ ერთი („ნინას“) გვეცნაურება, სხვები მანამდე არ გვსმენია.

მაგრამ რა ძლიერიც არ უნდა იყოს გარეშე გავლენა, იგი ახლა წინა ხანაზე უფრო ნაკლებ ჩრდილავს საკუთარ კულტურულ ხერხემალს. აქ კვლავ უნდა გავიხსენოთ, რომ სულიერი კულტურის ისეთ ძირეულსა და „საპასუხისმგებლო“ მომენტში, როგორიც არის წარმოდგენა საიქიოს შესახებ და დაკრძალვის წესი, სასანურ-ირანულ მაზდეანობას ვერ შეურყევია მამაპაპური ტრადიცია: ინჰუმაციის წესის დარღვევას სრულიად შემთხვევითი ხასიათი უჩანს ქართლში (ეგრისში არც იყო მოსალოდნელი მაზდეანობის მიძალება, თვით წესიცნაირ-ნაირი ჰქონდათ) და თითო-ოროლა თუ გვეგულება მეორადი დამარხვის ფაქტი (წიწამურში, ურბნისში). აქ არქეოლოგია სავსებით ეხმაურება წერილობითი წყაროს ცნობას (ჯერ კიდევ ივ. ჯავახიშვილის მიერ მოშველიებულს) იმის თაობაზე, თუ რა მწვავე და ერთსულოვანი წინააღმდეგობა აღუძრავს მცხეთის მოსახლეობაში დაკრძალვის მაზდეანური წესის დანერგვის ცდას ირანელთა მხრივ.

თუ გავიხსენებთ ქართული კულტურის შემდგომ განვითარებაში სწორედ იმ თავისთავად, ეროვნულ გეზს, რომელსაც უთუოდ ხელსაყრელი ვითარება შეუქმნა ახალი საზოგადოებრივი წყობილებისა და ქრისტიანული ეკლესიის თანდათან დამკვიდრებამ, უწინარეს ყოვლისა საყურადღებო იქნება ერთი ნიშანდობლივი გარემოება, რომელსაც ესოდენი გამჭრიახობით უსვამენ ხაზს ხუროთმოძღვრების ისტორიკოსები: IV—V საუკუნეთა მანძილზე ჩვენში ქრისტიანული საყდრები დიდხანს შენდება სარწმუნოებასთან ერთად „შემოტანილი“ არქიტექტურული ნორმების საწინააღმდეგოდ, ეროვნულ ფორმათა შესაბამისად; V—VI საუკუნეებში დ ა ძ ა ლ ე ბ ი თ იმარჯვებს უცხოური, ბაზილიკური ტიპი; VI საუკუნის მიწურულიდან კი ისევ იმარჯვებს ეროვნული (გვირგვინიან დარბაზული მშენებლობის) ტრადიციიდან მომდინარე ცენტრულ-გუმბათოვანი საკულტო არქიტექტურა; ეს უკანასკნელი სდევნის ბაზილიკურს და კიდევაც მოუპოვებს საერთაშორისო დიდებას ქართულ ხუროთმოძღვრებას. ამრიგად, ცოცხლდება და უფრო მაღალ საფეხურზე ადის ის ძლიერი და თავისთავადი ხალხური ფესვებით მოსაზრდოვე გეზი, რომელიც IV—V საუკუნეებშივე ეურჩებოდა „კანონიკურად სავალდებულო“ ფორმას. ეს უთუოდ უმნიშვნელოვანესი მოვლენაა, არსებითად დამახასიათებელი ქართული კულტურის განვითარებისა იმ დიდი გარდატეხის ხანაში.

ზოგი რამ შეგვიძლია ვთქვათ სხვაგვარი, არასაკულტო არქიტექტურისა და მშენებლობის შესახებაც, თუმცა სათანადო არქეოლოგიური ძეგლები მეტწილად ძალზე ნაკლული ან გადაკეთებული, ე. ი. სახედაკარგული გვაქვს.

ჩვეულებრივ სამარხ ნაგებობათა შესახებ ზემოთაც გვქონდა საუბარი და მათში ნამდვილი არქიტექტურის ძებნა, რა თქმა უნდა, თითქმის არ იქნებოდა მართებული. მაგრამ გვაქვს ერთი უჩვეულო ამგვარი ნაგებობა, რომლის აშენება და პირველად გამოყენება, ჩვენი აზრითაც იმ ხანას უნდა განეკუთვნოს. ეს არის ივრის სიონის აკლდამა [152], რომლის გეგმასა და აღნაგობაში ძალიან ცოცხლად იგრძნობა ჯერ კიდევ ანტიკური ხანისათვის დამახასიათებელი ნიშნები. თავისი უშუალო, ჩვენებურივე წინაპრებისაგან, ბაგინეთისა და მცხეთის სადგურის აკლდამებისაგან (I—II სს.) ივრის სიონის აკლდამა მეტი

სირთულითა და ქვისავე სარეცლებით განირჩევა. საერთოდ, აქ გვაქვს საყოველთაო ანტიკური „თემის" — მიწისქვეშა, ქვით შემოსილი და თაღოვანი, დიდი სამარხი ნაგებობის ფრიად თავისებური გადამუშავება, რომელიც მცხეთურ ანალოგიებზე მეტად ამჟღავნებს ჩვენებური ხალხური არქიტექტურის თავისებურებას. ისიც აღსანიშნავია, რომ იგი, კვლავ მცხეთურთაგან განსხვავებით, იმთავითვე საოჯახო თუ საგვარეულო სამარხავად განკუთვნილი ჩანს და ეს ალბათ ახალი დროის მოთხოვნილებას შეესაბამება. ამრიგად, საკვლევ ხანაში მონუმენტური სამარხი ნაგებობანიც უნდა გვეგულებოდეს ჩვენში (ტაბ. III).

ასევე ძველი არქიტექტურული ტრადიციები გამოსჭვივის უჯარმის ციხე-დარბაზის თავდაპირველ ნაგებობაში, რომელიც უეჭველად ჩვენებური საფორტიფიკაციო მშენებლობის ერთ-ერთი ტიპიური და უძველესი ნიმუშია: სწორკუთხოვანი საერთო გეგმა და გოდოლების (კოშკების) განივკვეთი, ნალისებრთაღიანი კარ-სარკმლები, ლამაზად ნაწყობი კვადრებით შემოსილი კედლები, დიდრონი „ანტიკური" კრამიტი და ა. შ. სხვა მეტ-ნაკლებ შესწავლილ ძეგლებშიც შეიმჩნევა ეს ნიშნები, ან ზოგიერთი მათგანი მაინც. ყურადსაღებია, რომ, სწორედ საერთოდ მართკუთხოვანება და თხელი კვადრული წყობა ჩანს ეგრისის ამ რიგის ნაგებობებშიც (მაგ., ვაშნარში), მაგრამ იქ არის ისეთი რამეც (opus mixtum), რასაც ქართლში თითქმის ვერსად ვხედავთ, ურბნისის ერთი არასაფორტიფიკაციო შენობის გარდა.

ძველი ქართლის სამშენებლო ტრადიციების შემორჩენა-განვითარების ერთ მაგალითად უნდა მივიჩნიოთ აგრეთვე დიდრონი ალიზით ამოყვანილი ზღუდე-გოდოლები თუ ჰიშკრები, რომლებიც ქვის სხვადასხვანაირ საფუძველზეა დაწყობილი. თუ ანტიკურ ხანაში ასეთ ნაშენობას (რა თქმა უნდა, ქვის საძირის კვალობაზე ფრიად მომჭირნეს) ვხედავთ მცხეთაში (ბაგინეთი, სარკინეთი), გორსა (ციხე) და სხვ. ჩვენთვის ამჟამად საინტერესო ხანაში იგი მცხეთის სხვა უბნებშიც გვხვდება. ურბნისი კი მთლად ალიზით შემოზღუდული და ალიზისავე გოდოლებით გამაგრებული ქალაქია, ალბათ ჯერ კიდევ ანტიკური ხანიდანვე. ჩვენი აზრით, აქ ისახება ერთგვარი ანალოგია (და ეგებ გენეტური ძაფიც?) წინა აზიის ვაკე, უქვო ადგილებში ჩამოყალიბებულ საფორტიფიკაციო მშენებლობასთან.

როგორც არ უნდა გვესმოდეს ამა თუ იმ ტიპის წარმომავლობა, საერთოდ, საფორტიფიკაციო მშენებლობაში დიდი ნაირ-ნაირობა შეიმჩნევა, რაც ალბათ ზოგჯერ ლოკალურ თავისებურებასაც შეესატყვისება (ადგილმდებარეობა, საშენი ქვის არსებობა თუ არარსებობა და ა. შ.). მთავარი აქ მაინც ის არის, რომ მათ გაცილებით მეტი რამ აქვთ საერთო წინარე ანტიკური ხანის ნაშენობასთან, ვიდრე მომდევნო ხანებში იყო.

საკუთრივ საცხოვრებელ შენობათა შესახებ გაცილებით ნაკლები რამის თქმა შეგვიძლია, რადგან თითქმის ყველა განათხარში ისინი მიწასთან არიან გასწორებული. ის კი ჩანს, რომ სახურავი მეტწილ ბანური და იშვიათად კრამიტისა ჰქონიათ; საშენად რიყის, ან კლდის ნატეხ ქვას ხმარობდნენ, ხოლო ზოგჯერ — ალიზსაც. სამეურნეო-სამზარეულო ინვენტარი (კერამიკული თუ სხვა) თითქმის სავსებით იმგვარივე ჰქონიათ, როგორიც გვიანანტიკურ ხანაში, ოღონდ ზოგჯერ მაინც გამოერევა სხვაგვარი ფორმები. თანდათან პატარავდება კრამიტი.

საერთოდ, სამშენებლო კულტურა საკმაოდ მაღალ დონეზე დგას, ხოლო განსაკუთრებული დანიშნულების ნაგებობანი უფრო მეტს გვანიშნებენ და ზოგი მათგანი უნიკუმსაც კი წარმოადგენს (ბოლნისის სიონი, ურბნისის სამნავიანი ბაზილიკა, უჯარმის ციხე-დარბაზი, ვაშნარის შიდაციხე თავისი ტაძრებითურთ და სხვ.).

სამშენებლო კულტურის დონისავე მეტყველი მაჩვენებელია სამთავროში აღმოჩენილი ეპიტაფია, რომელშიც საუბარია (ქალაქ მცხეთის) „ხუროთმოძღვრისა და მხატვართუხუცესის" შესახებ. ასეთი თანამდებობანი წესიერ, გეგმიან, კვალიფიციური ხელმძღვანელობით უზრუნველყოფილ მშენებლობას გვაგულისხმებინებენ.

არქეოლოგიური მასალების მიხედვით ქართული ქვეყნების მეურნეობრივ კულტურაზე ბევრი არა გვეთქმის რა. შთაბეჭდილება უფრო ისეთია, რომ გრძელდება წინარე ეპოქებიდან ნაანდერძევი ინტენსიური მიწათმოქმედება და მესაქონლეობა. ამ უკანასკნელზე მიგვანიშნებს ყოველ განათხარში უხვად ამომავალი ნაირ-ნაირი ძვლები ჩვენში დღესაც არსებული მსხვილფეხა თუ წვრილფეხა შინაური რქოსნებისა (მათ შორის ხშირია ხევსურული, ტანმორჩილი საქონელი). აქა-იქ გვაქვს შემორჩენილი მარცვლეული (პური, ქერი, ფეტვი) და სხვადასხვა ჯიშის ყურძნის წიპწები („მწვანე", „საფერავი"...). მრავლად არის განათხრებში მარნები, წარმოდგენილი ნაირ-ნაირი, ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში გავრცელებული ტიპის გლუვი და წიბოებიანი მუცლიანი ქვევრებით. აქედან ცხადია მევენახეობა-მეღვინეობის განსაკუთრებული როლი ქართული ქვეყნის სოფლის მეურნეობაში.

გარდა კარგი ხარისხის ქვევრებისა, ყველგან კეთდება თიხის ასეთივე ნაირ-ნაირი ჭურჭელი: სასმისები, საღვინე, საწყლე, სამზარეულო და სხვ. ოღონდ, უნდა ითქვას, რომ მხატვრული იერის მხრივ ეს მასობრივი ნაწარმი მაინცდამაინც მიმზიდველი არა ჩანს და ბევრად ჩამოუვარდება წინა ეპოქათა კერამიკას. მაგრამ იგივე შეიძლება ითქვას აგრეთვე გვიანანტიკური ხანის კერამიკაზე! [119, გვ. 354]. კერძოდ, მოჭიქული ჭურჭლის წარმოება ამ ორთავე ხანაში ჩანასახოვან მდგომარეობაში ჩანს (ეს ჭურჭელი ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის რამდენსამე ლაზათიან სასმისთან შედარებითაც კი მდარეა) და მომდევნო საუკუნეებში დაწყებული დიდი განვითარებისაგან მოწყვეტილად უნდა ჩაითვალოს.

არქეოლოგიური მასალების მიხედვით ყოფისა და ნივთიერი კულტურის კიდევ ერთი მხარის შესახებ შეგვიძლია ზოგი რამის თქმა. ეს არის მოსახლეობის ამა თუ იმ ფენის ჩ ა ც მ ა-დ ა ხ უ რ ვ ა დ ა შ ე მ კ უ ლ ო ბ ა. სათანადო წყაროებს წარმოადგენს სამარხებში (იშვიათად ნამოსახლარებშიც) საკმაოდ მრავლად წარმოდგენილი ლითონის შესაბნევი და შესამკობი დეტალები სამოსელისა, იშვიათად თვით ტანსაცმლისა თუ თავსაბურავის მცირე ნაფლეთები, სამკაული და მეტადრე კი პორტრეტული თუ სხვაგვარი ინტალიოები, რომლებზედაც ადამიანები წელზევით ან ყელზევით არიან გამოხატული. ყოველივე ეს, უპირველეს ყოვლისა, გვხვდება მცხეთის სამაროვანთაგან მომდინარე მასალებში. გამოგვადგება აგრეთვე ბოლნისის სტელაზე გამოხატული სახე.

ზემოთაც ითქვა, რომ სწორედ განსახილველი ხანის დამდეგს ხდება ფრი-

ად მნიშვნელოვანი ცვლილება აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობის ჩაცმულობაში და ეს უკანასკნელი ემსგავსება დასავლეთში ჯერ კიდევ ანტიკურ დროს გავრცელებულს. ამას გვანიშნებს III საუკუნის შემდეგ ქართლისა და მეტადრე მცხეთის სამაროვნებში ბრინჯაოს, რკინისა თუ ბრინჯაო-რკინის მშვილდსაკინძების მოზღვავება. ცხადია, რომ ახლებურად გამოჭრილ-შეკერილი და შებნეული სამოსელი შემოუღიათ საზოგადოების თითქმის ყველა წრეში და ეგებ ამ მხრივ დასავლურ-ქართული ჩაცმულობა გამხდარა მისაბაძი ნიმუში. ამგვარი მშვილდსაკინძი ევროპული წარმოშობის შესაბნევია და მართლაც შეიძლებოდა, რომ მას ჯერ კოლხეთ-ეგრისში მოეკიდა ფეხი, ხოლო იქიდან ქართლში გადმოსულიყო. ამიტომაც, მაინცდამაინც აღმოსავლურ-სასანურ-გავლენას ეს ვერ მიეწერება.

ასევე დასავლური, კერძოდ, ევროპული წარმომავლობა უჩანს სახამლე ბრინჯაოს აბზინდებს, რომლებიც საკმაოდ გავრცელებულია სამარხებში. აქაც მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლია, რომ რაღაც ახლებურად შეკერილი და შესაბნევი ფეხსაცმელი შემოსულა იმ ხანაში: უწინ შესაბნევები საერთოდ თითქმის არ ჩანდა. და, მაშასადამე, ხამლიც სხვანაირი ყოფილა.

ისიც ვიცით, რომ ქალს თავდაუბურავად არ უნდა ევლო, ხოლო მაღალი წოდების კუთვნილს — თმადაუწვნელად. მაგრამ ამას არქეოლოგიურად თითქმის ვერაფერს შევმატებთ, გარდა იმისა, რომ სამთავროს ერთ სამარხში აღმოჩნდა ქალის ქუდი, რომელიც სავსებით შენახულა. იგი მოთელილი მატყლისაგან არის გამოყვანილი და ქსოვილი აქვს გადაკერებული. თავისებური მოყვანილობაც ეგებ ფართო წრეებში გავრცელებულ ქალთა თავსაბურავის „მოდაზე" უნდა მიგვანიშნებდეს. რაც შეეხება მამაკაცთა თავსაბურავს, აქ ნივთიერი ნაშთები არ გაგვაჩნია, მაგრამ, სამაგიეროდ ,ორ პორტრეტულ ინტალიოზე, სამთავროულა ოქროს მედალიონის თვალსა და თბილისში აღმოჩენილ ქვის ბეჭედზე მის რაობას მაინც ვამჩნევთ: პირველზე რაღაც თანამედროვე „შლაპის" მსგავსი, ვიწრო და აკეცილფარფლებიანი ქუდი ჩანს, ხოლო მეორეზე — უფარფლო, საშუალო სიმაღლისა, შვეულზოლიანი. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ იმ დიდკაცს ზედატანი უსაყელო და გარდიგარდმოზოლიანი აცვია. უნდა გავიხსენოთ ბრიტანეთის მუზეუმში დაცული, ფალაურწარწერიანი გემაც, რომელზედაც ვახტანგ გორგასლის პორტრეტს გულისხმობენ. მასზე საზეიმო დიადემისებრი, ორსალტიანი და მოთვალული გვირგვინი, მდიდრული ყელსაბამი და საყურეა გამოხატული. თავდაუბურავად გამოხატულ დიდკაცთა პორტრეტების (მაგ., უსას) მიხედვით შეგვიძლია თმის დაყენების წესიც წარმოვიდგინოთ: გრძელი, დაკულულებული წვერი და გრძლადვე გაშვებული, ბოლოებდახვეული თმა. არმაზისხევის IV საუკუნის სამარხიდან მომდინარე პორტრეტულ ინტალიოზე გამოხატული ძველი ერისთავების შთამომავალი სახითაც და თმა-წვერის დაყენებითაც უსას (სისხლით ნათესავები ყოფილან?) ჰგავს, თანაც ორივეს საყურე ჰკიდია (ანტიკური დროის იმ დიდკაცთაგან განსხვავებით, რომელთა პორტრეტებიც შემოგვრჩენია). ეს მმართველი დიდკაცობის ყოფასა და ინსიგნიებში აღმოსავლური გავლენით მომხდარი ცვლილების მომასწავებელი უნდა იყოს. უშუალოდ მომდევნო ხანაში კი ქართლის ერისთავთა ინსიგნიების აღწერისას წყარო („ძეგლი ერისთავთა") საყურესაც ასახელებს და ეს ვითარება IV საუკუნიდანვე შეგვიძლია

ვიგულისხმოთ. აქვე აღვნიშნავთ, რომ ტანსაცმელიც — არმაზისხეველის, უსასი და „ვახტანგ გორგასალის“ პორტრეტებზე — სხვადასხვანაირია და მკაფიოდ გამოირჩევა ანტიკური ხანის „წინაპრების“ სამოსელისაგან. მათ საერთო ისა აქვთ, რომ ყელთან მჭიდროდ არის შეკრული. ზოგადად თითქოს ასეთივე ჩანს კელასურის სამპორტრეტიან ინტალიოზე გამოხატულთა ტანსაცმელი (სხვა დეტალებზე მსჯელობა ძნელია სურათის მიხედვით).

დიდკაცობის ჩაცმა-დახურვაზე გლიპტიკური ძეგლების მიხედვით ამის მეტს ვერას ვიტყვით. სრულიად არ ვიცით, როგორ გამოიყურება მათი სამოსელი მკერდს ქვევით, ან როგორ იმოსებოდნენ საზოგადოების სხვა ფენათა წარმომადგენლები. შეიძლებოდა მხოლოდ ორიოდე სიტყვის თქმა იმის შესახებ, რომ იხმარებოდა ლითონის მშვილდსაკინძები, ხოლო ქალებს აგრეთვე ღეროვანი საკინძებიც ჰქონიათ ტანსაცმლის შესაბნევად. საკინძები ლითონისავე თუ ქვის თავებით ყოფილა დამშვენებული და უფრო მეტ ლაზათს მატებდა სამოსელს. გარდა ამისა, ქალებს ამგვარი ქინძისთავები თმაში ჩარჭობილიც უტარებიათ, ხოლო დაკვირვება უფლებას აძლევს არქეოლოგებს (ჯერ კიდევ ე. თაყაიშვილიდან მოკიდებული) იგულისხმონ, რომ თითქმის დღემდე ტრადიციულად შემონახული საგარეო თავსაბურავი ქართველი ქალისა იმხანად უკვე მშვენივრად განვითარებული ყოფილა. კერძოდ, „შუბლის ქინძისთავები“, სამარხებში მრავალად არის შემონახული. სხვა მხრივ, შემოსვა-შემკობის საკითხში არქეოლოგია ჯერჯერობით ბევრს ვერაფერს ამბობს.

* * *

ამრიგად, განსახილველი დროის მიწურულისათვის ქართული კულტურა წინარე ხანასთან შედარებით უფრო თავისთავადი, ეროვნული ჩანს, მეტადრე აღმოსავლეთ საქართველოში. შეიძლება ითქვას, რომ უკვე მაშინ ეყრება საფუძველი მის კიდევ უფრო თავისთავადსა და ბრწყინვალე აღზევებას, რაც ადრეფეოდალური ხანის ბოლოს ყოველმხრივ მკაფიოდ იჩენს თავს — ისევე როგორც პოლიტიკური მომძლავრება, ქართული ქვეყნების საქართველოდ გაერთიანებით დაგვირგვინებული. ესა თუ ის უცხოური გავლენა უტყუარი ფაქტია, მაგრამ საკუთარი კულტურული მეობისა და თავისებურების, გამოღვიძებულ-აღორძინებული ეროვნული ტრადიციების ხვედრი წონა სულ უფრო მატულობს. ეს პროცესი ძალუმად იწყება სწორედ IV საუკუნიდან და სწორედ ანტიკური „საყოველთაობის“ დაძლევის პირველი ნაბიჯებით. ჩვენი მაგალითით კიდევ ერთხელ მტკიცდება ის კანონზომიერება, რომ საზოგადოების ფეოდალური წყობა ხელს უმართავს კულტურის ეროვნული, თავისთავადი ფორმების მომძლავრებასა და გაბატონებას.

ხაზგასასმელია კიდევ ერთი გარემოება: იმ ხანაში ქართულ ქვეყნებს არსებითად ასცილებია ის დიდი აბორგება, შეხლა-შემოხლა და ამოძრავება, რომელიც რომის ანტიკური იმპერიის დამხობას მოჰყვა მრავალ მახლობელ თუ საკმაოდ შორეულ ქვეყანაში („ხალხთა დიდი გადასახლება“, „გოთობა“ და ა. შ.) და რომელმაც ძლიერ უცვალა სახე კავკასიონის ჩრდილო თუ ჩრდილო-დასავლეთით მდებარე ქვეყნების (მათ შორის მეტადრე ყირიმის) პოლიტიკურსა და კულტურულ ვითარებას. ჩვენში თითქმის არა ჩანს (ჩრდილო

კიდურ ზღვისპირს გარდა), ახალი, გარეშე, უხეში ძალის შემოჭრისა და დადგინებული ცხოვრების, კულტურული დოვლათის ანგრევა-გატლანქების ნიშნები. მაგრამ მაინც შესამჩნევია ის ახალი ნაკადები, უპირატესად გემოვნებისა და „მოდის“ მხრივ სახეთა ახალ რეპერტუარშიც რომ ჩანს და რომლებიც იმ ხანაში აღიძრა რომის იმპერიის ყოფილ ფარგლებში (ვგულისხმობთ, უპირველეს ყოვლისა, ე. წ. გოთურ სტილს ოქრომჭედლობაში, სამკაულში, რომელიც გარკვეული თვალსაზრისით შეენაცვლა ე. წ. „სარმატულ სტილს“). ეს კი მხოლოდ იმას უნდა მიეწერებოდეს, რომ ქართული ქვეყნები არც ახლა დარჩენილან მახლობელი ქვეყნებისაგან მოწყვეტილ-გათიშულნი და მხარდამხარ მისდევდნენ მოწინავე მსოფლიოს კულტურული განვითარების მხრივ, თუნდაც იმავე აღმოსავლურრომაული და ადრებიზანტიური იმპერიის მეშვეობით.

ამასთანავე ხაზგასმითა გვაქვს აღსანიშნავი, რომ აქ არ იგრძნობა სხვაგან თვალნათლივ თავჩენილი დიდი გაუხეშება. ვთქვათ, ოქრომჭედლობისა. ასეთი რამ ეტყობა უფრო მცირე გლიპტიკას (მაგალითად, რაც არ უნდა დიდკაცის პორტრეტულ ინტალიოსთან გვქონდეს საქმე).

* * *

როდესაც ვაჯამებთ ჩვენს წარმოდგენას ქართული ქვეყნების კულტურულ ვითარებაზე, არქეოლოგიურ ძეგლთა მიხედვით, არ შეიძლება ორიოდე სიტყვით მაინც არ მოვუყაროთ თავი იმ ცოდნას, რომელიც სადღეისოდ დაგროვილია ჩვენი ქალაქების, მნიშვნელოვანი ადმინისტრაციული ცენტრების, კულტურისა და ხელოსნური წარმოების მთავარი კერების თუ ციხესიმაგრეთა და მათი მშენებლობის ისტორიის შესახებ, რაც ავლენს საერთო კულტურის დონეს.

ამ ცოდნის უმთავრეს წყაროს შეადგენენ მცხეთის, თბილისის, ბოლნისის, ურბნისის, კუხეთის რუსთავის, უჯარმის, ნოქალაქევის, ბიჭვინტისა და სხვ. განათხრები. მცხეთა, ურბნისი, ნოქალაქევი („ციხე-გოჯი“) და ბიჭვინტა ანტიკური ხანის მეტ-ნაკლებ სიღრმეშივე ჩასახული და წამოზრდილი ქალაქების ნიადაგზე განაგრძობენ განვითარებას; ისინი ზოგ რამეს კვლავ ანტიკური ყაიდისამებრ იმატებენ, ზოგში კი სიახლეს იჩენენ. ასე მაგ., მცხეთასა და ურბნისში ტრადიციულად უნდა ჩაითვალოს: ალიზით ამოყვანა თვით ყველაზე უფრო საპასუხისმგებლო, თავდაცვითი ნაგებობისა (ოღონდ უკვე ძველებური, შესანიშნავი, ქვათლილოვანი ძირა ფენების გარეშე); სწორკუთხოვანი, ზოგჯერ მომრგვალებული ბურჯები და გოდოლები; დიდრონი, ტრაპეციული კრამიტით დაბურვა შენობებისა; კუხეთის რუსთავის ციხის დიდრონი ქვათლილებისაგან შემდგარი პერანგი ზღუდისა და ნახევარწრიული ბურჯებისა; უჯარმის ციხე-დარბაზში — სწორკუთხოვანი გოდოლები, წესიერად მოჭრილ-ნაწყობი კვადრებისაგან შემდგარი პერანგი, დიდრონი კამაროვანი კარ-სარკმლები და ა. შ.; თბილისის დედაციხეში — თითქოს დიდი ქვათლილებით შემოსილი სწორკუთხა გოდოლი; ნოქალაქევში — დიდრონი ქვათლილები, კამაროვანი კარ-სარკმლები და ა. შ. ბიჭვინტაში მშენებლობას უფრო უცხოური, რომაულ-ბიზანტიური დაღი აზის; მეტ-ნაკლებ იგივე ითქმის ციხისძირის (პეტრას),

ვაშნარისა და ეგრისის ზოგიერთი სხვა, ჯერ მცირედ გამოკვლეულ ციხე-ქალაქის შესახებ.

ურბნისსა და მცხეთაში უკვე საკმაოდ გამოვლენილი, თიხაქვით ნაშენი საცხოვრებელ-სამეურნეო ნაგებობანი არსებითად არ განირჩევიან წინარე, გვიანანტიკური დროის ნაგებობათაგან, თუმცა ხშირია უკანასკნელთა გადაკეთებისა თუ ხელახლა (მასალად მაინც) გამოყენების შემთხვევები. თბილისში ჯერ არ ჩანს ესოდენ მეტყველი ნაშთები და უფრო კულტურულ ფენათა მიხედვით გვექმნება წარმოდგენა.

მცხეთა და ურბნისი განსახილველ ხანაში შემდგომ ზრდასა და ქალაქურ-საწარმოო ცხოვრების მოწიფვას განიცდიან, მაშინ, როცა თბილისის მიმართ ამისავე თქმა უფრო აპრიორულია, რადგან ჯერჯერობით მასალების ნაკლებობა გვაქვს. მცხეთა ნამდვილად „მდუღარე" ცხოვრებას ეწევა IV—V საუკუნეებში და შემდეგაც, მიუხედავად დედაქალაქის თბილისში გადმოტანისა, თვით VIII საუკუნის კატასტროფამდე. იგივე ემართებათ ურბნისს ქართლში და ციხე-გოჯს ეგრისში.

რუსთავი და ბოლნისი (აგრეთვე დმანისი) სწორედ განსახილველ ხანაში უნდა გადაქცეულიყვნენ მნიშვნელოვან ქალაქურ სამოსახლოებად, ხოლო შემდეგ სულ უფრო უნდა განვითარებულიყვნენ.

თითქმის ყველა ზემოჩამოთვლილ ქალაქს, რამდენადაც კი მოხერხებულა სადღეისოდ მათი არქეოლოგიური შესწავლა, მრავალმხრივ თვალსაჩინო მსგავსებისა თუ ერთიანობის ფონზე საკუთარი იერიცა აქვს და თავისებური საწარმოო კულტურაც. რაც შეეხება ამ უკანასკნელს, უთუოდ ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ, მაგ., მცხეთაში, ურბნისში, რუსთავში ან ბიჭვინტაში მოპოვებული (და თითქმის ყველგან ადგილობრივ ნაკეთები) მინისა თუ თიხის ჭურჭლეული, სამკაული და სხვ. ყოველთვის გამოირჩევა თავისებური იერით. თან კი ქართლ-კახეთის მრავალ ადგილას არის არქეოლოგიურად დამოწმებული პირწავარდნილი „მცხეთური" სამკაული (მეტადრე საკინძები), რაც იმაზე მეტყველებს, რომ იქაური ნაწარმის სოფლად ფართო გავრცელების ფაქტთან გვაქვს საქმე.

ასე ინაკვთება განსახილველ ხანაში (ვიმეორებთ, დიდი ერთობის ფონზე) ჩანასახი მერმინდელი, ფეოდალური საქართველოს სხვადასხვა მხარის ქალაქთა აღნაგობრივი თუ საწარმოო-კულტურული თავისებურებებისა, რაც მკაფიოდ გასდევს თითქმის მთელ შუა საუკუნეებს.

დასასრულ, ორიოდე სიტყვა უნდა ითქვას იმაზე, თუ რას გვეუბნება ჩვენს ხელთ არსებული მასალა ქართული ქვეყნების მოსახლეობის სოციალური ვითარებისა და მოძრაობის თაობაზე.

განათხარებიცა და შემთხვევითი აღმონაჩენებიც (მეტადრე სამარხეული) იმდენნაირ გრადაციას ასახავენ ქონებრივი შეძლებისა თუ სულაც უქონლობისას, რომ სრულიად უეჭველია მოსახლეობაში სოციალური განშრევება. ერთი მხრივ, გვაქვს ოქროულისა და ზოგჯერ აგრეთვე სასანური ვერცხლეულის შემცველი, ნამდვილად ყოველმხრივ დაწინაურებულ დიდკაცთა სამარხები (არმაზისხევი, სარკეეში, ურეკი და სხვ.), მეორე მხრივ კი თითო-ოროლა ბრინჯაოსა თუ რკინის ნივთის, ან სულაც არაფრის შემცველი. არის მათ შორის გარდამავალიც. ცალკე შეიძლება გამოიყოს, ასე ვთქვათ, „ჭეშმარი-

ტად ქრისტიანული“, ასკეტურად ღარიბული სამარხები (მეტადრე სამთავროში).

შემდეგ ჩვენს თვალწინ არის ფრიად მკაფიო სურათი გვიანანტიკური დროის დიდკაცური რეზიდენციის ძალით განადგურებისა და გადაწვისა. ვგულისხმობთ I—III საუკუნეთა ერისთავ-პიტიახშების ნასასახლარის ნაშთების მდგომარეობას არმაზისხევის განათხარში [119, გვ. 373—374], სადაც შენობის ხის ნაწილები და კრამიტის სახურავი ჩამხობილი და ჩალეწილი იყო, იატაკი — ნახშირითა და ნაცრით მოფენილი, თლილი ქვები — წითლად გარუჯული, მარმარილოს ფაქიზი ქანდაკებანი — დამტვრეული და მიმობნეული. მრავალი ქვათლილი შემოძარცული და მომდევნო ხანაში აგებულ შენობათათვის გამოყენებული გამოდგა. დაახლოებით ასეთსავე ვითარებას ვხედავთ არმაზციხე-ბაგინეთში. შეიძლება ასევე ვიგულისხმოთ იგი ურბნისშიც. მცხეთის განათხარებში აღნიშნული დაწვა-დაქცევა IV საუკუნეში უნდა მომხდარიყო, ურბნისში კი V საუკუნეში ვარაუდობენ და თან უცხო მტერს მიაწერენ. ეგებ საქმე მთლად ასე არც იყოს. მაინცდამაინც მცხეთაში IV საუკუნეში არავითარი მნიშვნელოვანი შემოსევა არ იგულისხმება, ხოლო შინაგანი მძაფრი შეხლა–შემოხლა, თუნდაც რელიგიურ სამოსელში გახვეული და ე. წ. ფეოდალური რევოლუციის პირველი ტალღა, სწორედ იმ საუკუნეში ივარაუდება (ს. ჯანაშია). კერძოდ, გასახსენებელია ქრისტიანობის დამნერგავთა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა წარმართობის მიმდევარ-დამცველებთან, რასაც ნგრევაც მოსდევდა და მსხვერპლიც (არმაზის კერპის დამსხვრევა „ღვთის შეწევნით“ წმ. ნინოს მიერ; „მთეულთა“ გაქრისტიანებისას „მახვილის მცირედ დატრიალება“მათი „კბილთა ღრჭენის“ გამო და სხვ.). შესაძლოა, არმაზისხეველი ერისთავებიც ემსხვერპლა ამ ჭიდილს, როგორც მოძველებული წყობისა და სახელმწიფო აპარატის მესაჭეთაგანნი, ყოველ შემთხვევაში, მათი სასახლე მაინც. ისიც დამახასიათებელია, რომ მათ მემკვიდრეებს შემდგომ განადგურებული რეზიდენციის არეზე მოუწყვიათ თავიანთი სამარხავი, წინაპართა საფლავების გვერდით, და ბევრი რამით მათებურადვე... შესაძლოა, ისინი საბოლოოდ შეეგუენ ახალ ვითარებას და ისევ ჩადგნენ მმართველ წრეში (აკი არის ვარაუდი, რომ „უშა პიტიახში“ მათი შთამომავალი იყო!)...

ბოლოს აღსანიშნავია, რომ ახალი წყობისა და გადახალისებული სახელმწიფოს წიაღში და სათანადო სტიმულის შედეგად წარმოქმნილად შეიძლება ჩაითვალოს ისეთი ახალი ციხე-ქალაქები, როგორიცაა, მაგ., რუსთავი, დმანისი, ვაშნარი და სხვ.

* * *

ამრიგად გვესახება ქართული ქვეყნების კულტურული (ნაწილობრივ აგრეთვე სოციალურ-პოლიტიკური) ვითარებისა და ყოფის ძირითადი, არსებითი მომენტები IV—V საუკუნეებში. ეს ხანა წარმოადგენს ანტიკური ეპოქიდან ნამდვილი ფეოდალიზმის ეპოქისაკენ გადმომყვან თავისებურ ხიდს, ბევრი სიახლის ჩამსახველსა და მრავლის გამქრობელ საფეხურს.

თავი მესამე

# საქართველოს კულტურა და ყოფა VI—X საუკუნეებში

ქართული ქვეყნების კულტურა — ნივთიერიცა და სულიერიც — მკაფიოდ აირეკლავს განსახილველი ეპოქის ეკონომიურ, სოციალურ და პოლიტიკურ ვითარებას, რადგან იგი მისი „სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანია".

რა თქმა უნდა, ამჟამად ჩვენთვის საინტერესო ხანა წინა ხანასთან (IV—V სს.) შედარებით უფრო ვრცელსა და მრავალმხრივ სურათს ასახავს, თუნდაც იმიტომ, რომ ნივთიერი კულტურის ძეგლები, კერძოდ, ხუროთმოძღვრებისა და ჭედური ხელოვნების მიწისზედა ნიმუშები, ბევრად მეტია შემორჩენილი და ისინი უკვე მაღალ დონეზე მდგარ, თვისებრივ ახალ ფორმებსა თუ ბრწყინვალე მიღწევარს შეიცავენ და მკაფიო ევოლუციას, კვლავ ეროვნული ფორმებისადმი შემობრუნებას გვიჩვენებენ. სამაგიეროდ, უნდა ითქვას, რომ ნაკლებმდიდარი ვართ იმ ეპოქისათვის არქეოლოგიურ განათხართა მხრივ — თუნდაც IV—V საუკუნეებთან შედარებით, გვიანანტიკურსა და შუაფეოდალურ ხანებზე რომ არარა ითქვას რა.

მაგრამ ნივთიერი ძეგლების ამ ერთგვარ ნაკლოვანებას ის გვინაზღაურებს, რომ საკმაოდ მრავლად მოგვეპოვება წერილობითი ძეგლები: საერო და სასულიერო თხზულებანი, საბუთები, წარწერები.

## I. წყარო-ძეგლების მიმოხილვა

ს ა მ ა რ ხ ე უ ლ ი  ძ ე გ ლ ე ბ ი დ ა ნ, უპირველეს ყოვლისა, კვლავ უნდა დავასახელოთ ს ა მ თ ა ვ რ ო ს  ს ა მ ა რ ო ვ ა ნ ი, რომლის უახლესი სამარხები მიეკუთვნება VI—VIII საუკუნეებს, ე. ი. განსახილველი ხანის პირველ ნახევარს. იგი ამ დროის ბოლომდე აგვისახავს ხალხმრავალსა და ცხოველ ქალაქს (ისევე როგორც მცხეთის სხვა სამაროვნები), მიუხედავად იმისა, რომ VI საუკუნის დამდეგს უკვე თბილისი იქცევა ქართლის დედაქალაქად. VIII საუკუნეში ყველა ამ სასაფლაოს გაუქმება, ეტყობა, უკავშირდება მურვან ყრუს ლაშქრობას, რომელმაც იმსხვერპლა მცხეთა, როგორც ქალაქი და ზოგიერთი მისი უბანი პირწმინდად აღგავა პირისაგან მიწისა.

სამთავროს ათასწლოვან სამაროვანზე IV საუკუნის აქეთ გვაქვს მხოლოდ ფილაქვით (ან, ერთხანს, ნაწილობრივ ქვა-თიხით) ნაშენი სამარხები, რომელთაც მეტწილ საოჯახო-საგვარეულო აკალდამათა სახე აქვთ. იგივე სურათია დიდი მცხეთის სხვა სამაროვნებზე, კუხეთის რუსთავისა და წალკის სამაროვნებზე. ერთი შეხედვით, თითქოს ამ სამარხთა ხასიათი და ნივთიერი შინაარსი IV—VIII საუკუნეთა მთელ მანძილზე ერთნაირი იყო, მაგრამ სამთავროს სა-

მაროვნისა და მისი ინვენტარის გულდასმით შესწავლამ ცხადყო საბოლოოდ, რომ ინვენტარის მიხედვით თითქმის შეუცდომლად შეიძლება გამოყოფა VI—VIII საუკუნეთა კუთვნილი ფენისა IV—V საუკუნეთა ფენისაგან.

IV—VIII საუკუნეთა ინვენტარის ძირითად ნაწილს შეადგენს: ლითონქვის სამკაული თუ ტანსაცმელ-ფეხსაცმლის შესაბნევი საკინძები, მშვილდსაკინძები, ბეჭდები, საყურეები, ლითონის დეტალები და მინის ჭურჭელი. მონეტები თითო-ოროლაა. ინვენტარი ცხადყოფს, რომ წინარე ხანაში აღნიშნული მიმოქცევადი პროცესი ახალ-ახალი ფორმების ძიება-შემუშავებისა დასრულებულა და ფორმების სტაბილიზაციასთან გვაქვს საქმე, რაც საკუთარი წარმოებისა და მხატვრული ფორმებისადმი მიდრეკილების ძლიერ ნაკადთან არის დაკავშირებული. აქ კიდევ უფრო თვალნათლივ ჩანს კონტრასტი ანტიკური ხანისათვის დამახასიათებელი საყოველთაო-კოსმოპოლიტური ფორმებისადმი მიდრეკილების მიმართ. ზოგადად იგივე ითქმის ქართლის ყველა სხვა სამაროვანზე, რომელიც კი შესწავლილია არქეოლოგიურად.

თუ უცხოურ გავლენასა და იმპორტზე მოგვიხდება საუბარი, ისევ და ისევ მონეტებისა და ინტალიოთა მიმართ. ფული სამარხებში აღმოჩენილია ბიზანტიური (სპილენძისა), სასანური (ვერცხლისა) და არაბული („ფელსი", სპილენძის უმცირესი ერთეული). სწორედ ესენია, რომ VIII საუკუნით გვითარიღებენ უახლეს ფენას. გემმათა უმრავლესობა ნამდვილად ადგილობრივ ნაკეთებ ოქროს, ვერცხლისა თუ ბრინჯაოს ბეჭდებშია ჩასმული და ალბათ აქვეა მოჭრილი, ოღონდ სასანურ-ირანული სიუჟეტების (ღვთაებათა თუ ზღაპრულ არსებათა, ცხოველთა, ზოდიაქოს ნიშანთა და აქა-იქ ფალაურ ასოთა თანხლებითაც კი) მიხედვით. მეორე ადგილი უჭირავს ადრებიზანტიური სამყაროდან მომდინარე ნაკადს, რომელიც წარმოდგენილია თითო-ოროლა ბერძნულ-წარწერიანი საგნისა თუ V საუკუნიდან შემორჩენილი და სამკაულად ქცეული, ლეონ პირველის სპილენძის ორიოდე მონეტის სახით. ასეთ ფულს ნუმიზმატები სულაც ჩვენებურ მ ე რ მ ი ნ დ ე ლ მინაბაძებად მიიჩნევენ [129]. რაც შეეხება არაბულ გავლენას, რომელიც ლოგიკურად თითქოს მოსალოდნელი იყო VII საუკუნიდანვე, მას მარტოოდენ მოგვაგონებს VIII საუკუნის ფელსების აღმოჩენა სამარხებში. ესეც უფრო კულტურულ გავლენას კი არა, იმას მოასწავებს, რომ არაბთა მიერ დაპყრობილ ქართულ ქალაქებში მათ მიერ მოჭრილი ფული მიმოიქცეოდა. არც მცხეთისა და არც სხვა სამაროვნებში ჯერაც არსადა ჩანს ქართული თუ ქართულ-სასანური ფული, რომელიც VI—VIII საუკუნეებში იჭრებოდა [217; 218, 35—41]. სამაგიეროდ, გადაჭრით შეიძლება თქმა, რომ სამთავროსა და სხვა სამარხეულ მასალებში იოტის ოდენადაც არ შეიმჩნევა არაბული მუსლიმური სარწმუნოებაკულტურის ანარეკლი და ეს ხაზგასმით აღსანიშნავი გარემოებაა.

ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ის ასეულობით სამარხი, რომლებიც სამთავროსა და „დიდი მცხეთის" სხვა სამაროვნებზე, კუხეთის რუსთავისა და წალკის სამაროვნებზეა გათხრილი, თავიდან ბოლომდე ყველა ნამდვილად ქრისტიანულია დაკრძალვის წესის მხრივ: მიცვალებულები ჩვეულებრივ დასვენებული არიან გულაღმა, თავით აღმოსავლეთისაკენ, ხელჩამოშვებით, გულხელდაკრებილი ან პირისახესთან ხელებმიტანილი. როგორც უკვე აღვნიშნავს, აგრეთვე ქრისტიანობის დამკვიდრების შედეგი ჩანს კოლექ-

ტიურ, საგვარეულო საძვალეებად ქცევა დიდრონი ფილაქვის სამარხებისა. ერთგვარი გაკვირვებით უნდა ითქვას, რომ სამარხეულ ინვენტარში უაღრესად იშვიათია მთავარი, უძველესი და უმარტივესი ქრისტიანული სიმბოლო-ყელსაკიდი ლითონის მცირე ჯვარი, მაშინ, როცა იქ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავთ სწორედ ყელსაბამებს, ნაირ-ნაირი მძივებისა და მძივსაკიდებისაგან შემდგართ. ჩანს, ამ მოვლენას ახსნა სჭირდება და ქრისტიანობის ჯერაც გაუვრცელებლობას მას ვერ მივაწერთ. ჯერჯერობით კი ნამდვილი სამკერდული ჯვარი კუხეთის რუსთავის ერთადერთ სამარხში გვეგულება [219]. სამთავროში მხოლოდ ერთი ფილაქვაა (ჩადგმული ზეგან-უბნის სამარხის კედლად), რომელზედაც ჯვარი იყო ამოკვეთილი.

სამთავროს სამაროვანი ჩვენთვის დიდად ყურადსაღებ კიდევ ორ ძეგლს (სამარხებს) გვაწვდის. ერთ მათგანში, რომელიც VI—VII საუკუნეებს მიეკუთვნება, წყვილად იყვნენ დაკრძალული ცოლ-ქმარი და ამ უკანასკნელს თან ახლდა უნიკალური, მეტყველი ინვენტარი: პაწია სასწორი (რკინის უღელი და სპილენძის თხელი თეფშები), ბრინჯაოს ბრტყელკვადრატული საწონები (რომლებზედაც ამოკაწრულია გვირგვინი და ჯვარი) და ხუთი სხვადასხვა ქვის თვალი, რომელთაგან ორზე ცხოველთა გამომხატველი ინტალიოებია ამოკვეთილი. საწონები სპეციალისტების მიერ განისაზღვრა როგორც „ბიზანტიური ექსაგიონი“, ოღონდ, ისიც ითქვა, რომ წონა-შეფარდების მხრივ ისინი განსხვავდებიან ნამდვილ ბიზანტიურთაგან და ალბათ ქართული წონითი ერთეულების შესაბამისად არის ჩამოსხმული [220]. უეჭველია, რომ საქმე გვაქვს პატიოსანი თვლების დამმუშავებელ-გამომთლელ ოსტატ-იუველირთან (ეგებ ოქრომჭედელთანაც?), რომლისთვისაც ჩაუტანებიათ ფაქიზი ხელობისათვის დამახასიათებელი ხელსაწყოები და ნაწარმის ნიმუშები. პროფ. ლ. მაცულევიჩმა გამოთქვა სხვაგვარი ვარაუდი: ის ოსტატი იმავე დროს ზარაფი, ანუ მეკერმეც უნდა ყოფილიყო.

მეორე ასეთსავე განუმეორებელ სამარხში, ზოგადად იმავდროულში, დაკრძალულს ჩატანებული აქვს მინის 39 სანელსაცხებლე ჭურჭელი, რაც თითქმის ერთიანად აღემატება „საშუალო ნორმას“. ეს კი მიზანშეწონილობის მხრივ გაუგებარი იქნებოდა, თუ აქაც „პროფესიული ატრიბუტების“, ანუ ნაწარმის თანგაყოლებას არ ვიგულისხმებდით, მით უმეტეს, რომ იმავე სამარხში აღმოჩენილია რკინის მოგრძო, ღეროვანი საგნის ნატეხები, რომელშიც მინის საბერავ მილს გულისხმობენ, ხოლო სამარხში — მინამბერი ოსტატის დაკრძალვას.

ეს ორი განსხვავებული არქეოლოგიური ძეგლი იმიტომ არის კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისით ფრიად ყურადსაღები, რომ უფლებას გვაძლევს განვაცხადოთ: მცხეთაში, დედაქალაქობის „ჩამორთმევის“ შემდეგაც, ინტენსიურად უმუშავიათ მხატვრული განხრით დასპეციალებულ ხელოსნებს და მინისა თუ საიუველირო წარმოების ადგილობრივი კერები უთუოდ ანგარიშგასწევი ყოფილა. მტკიცე საბუთები გვეძლევა ხელთ სამარხებში მრავლად წარმოდგენილი სათანადო ნაწარმის მცხეთაშივე ნაკეთობისა.

ჭეშმარიტად „მცხეთური“ ჩანს (და სხვა ადგილებში იშვიათად გვხვდება, ეგებ სწორედ მცხეთიდან გავრცელებული) ის ფრიად მრავალრიცხოვანი სერია ბრინჯაოსი თუ რკინის მარჯნისთავიანი ან ლაჟვარდისთავიანი (ბროწეუ-

ლის ყვავილის ან ნაყოფის წარმომსახველი) საკინძებისა და თმის სარჭებისა, რომლებიც ესოდენ დამახასიათებელი ჩანს სწორედ IV—VIII და უფრო კი V—VIII საუკუნეთა სამარხებისათვის — სამთავროშიც, არმაზისხევშიც, სანგრისხევშიც.

ოქროს სამკაული, მიუხედავად სამარხთა ძლიერი ნაძარცვობისა, მაინც გვხვდება. იგი აგრეთვე ხასიათდება თავისებური, არსებითად ჯერ კიდევ ტრადიციული „მცხეთური“ ფორმებით. საქმე იქამდეც მიდის, რომ არმაზისხევის ერთ იმდროინდელ სამარხში აღმოჩენილი მოთვალული გულსაკიდი და წყვილი საყურე აღნაგობრივაც და სტილისტურადაც გასაოცრად იმეორებს იქაურ, II საუკუნის უმდიდრეს სამარხებში აღმოჩენილ საყურეებს: თითქოს რამდენიმე საუკუნის მანძილზე შემონახულა მაშინდელი სამკაულებით. საერთოდ კი, ოქროული ტიპოლოგიურად მაინც განსხვავებულია უწინდელი არისტოკრატიული სამაროვნებიდან მომდინარე სამკაულთაგან და გარკვეულ ევოლუციას, „გახალხურებას“ მიგვანიშნებს.

სამოსელთან დაკავშირებული ლითონის საგნების ერთი ყველაზე უფრო გავრცელებული და დამახასიათებელი ჯგუფის — მშვილდსაკინძების სახეობათაგან VI-დან VII საუკუნეში გადმოდის მხოლოდ ორი, V საუკუნეში გაჩენილი. მძივთა ოდენობა საერთოდ კლებულობს და მათ მასალაში ქვებიდან სარდიონიღა რჩება, ხოლო მატულობს პასტა; კლებულობს გემმათა რიცხვიც. მკვლევარ ნ. უგრელიძის დაკვირვებით, VI საუკუნიდან საბოლოოდ გამქრალი ჩანს წინარე, გარდამავალი ხანისათვის დამახასიათებელი მერყეობა და ძიება და, VIII საუკუნის ჩათვლით, სამკაულის ყველა სახეობაც და მინის ჭურჭლეულიც მკვიდრი, ერთგვაროვანი ფორმებით არის წარმოდგენილი.

ჩვენ დავუმატებდით ზოგ სხვა დაკვირვებას სამთავროს სამაროვანზე: მატულობს კოლექტიურ სამარხთა და შიგ დაკრძალულების რიცხვი; აღარ გვხვდება უცხოენოვანი ეპიტაფიები თუ სხვა რამ ლაპიდარული წარწერები, თუმცა ჯერ არც ქართული ჩანს (მიუხედავად იმისა, რომ ქართული ხუცურწარწერიანი ქვები უკვე V საუკუნიდანაა ცნობილი სხვადასხვა ადგილას) [221]. ნაკლებია უცხოური იერის სამკაული და, პირიქით, მშვილდსაკინძების (ისიც მათი პროტოტიპების?) გარდა, ყველაფერი ადგილობრივია, ქართულად გამოიყურება; ჩნდება ქვისაგან მთლიანად გამოთლილი ბეჭდები, ხოლო სულ გვიან — მინის ბეჭდებიც. სამთავროს სასაფლაოზე დაკრძალულ მცხეთელთა ინვენტარი უეჭველყოფს მათ ქონებრივ-სოციალურ დიფერენციაციას: მრავლად არის უინვენტარო სამარხები, ხოლო, მეორე მხრივ, ვხედავთ საკმაოდ მრავალრიცხოვან და ზოგჯერ საკმაოდ მდიდრული ინვენტარის შემცველ სამარხებს.

*არმაზისხევის სამაროვანზე* სამარხები ბევრად ნაკლებია გათხრილი და მხოლოდ ორ მათგანშია მონეტები, არაბული ფელხები VIII საუკუნისა (ეს სამარხები გამოირჩეოდნენ შედარებით მდიდრულობით და შეიცავდნენ ოქრო-ვერცხლს). არაბობასავე მიგვანიშნებს კულტურულ ფენაში აღმოჩენილი ვერცხლის ბეჭედი, რომელსაც ფარაკზე კუფური წარწერა აქვს ამოკვეთილი. აღსანიშნავია ერთ სამარხში შემორჩენილი ნაშთები ქალის თხელი, ნატის (საფიანისებური ტყავის) ფეხსაცმლისა და რამდენიმენაირი თხელი ქსოვილისა (ტილოსი, მონარინჯისფრო აბრეშუმისა) [12]. ეს

გარემოება მოასწავებს დაკრძალული ქალის (ჩანს, ახალგაზრდის, ფერადით მოსილის) კარგ ჩაცმულობას და საკმაო შეძლებულობას; მოხდენილი მდიდრული ფეხსაცმლის დამამზადებელ სახელოსნოთა და მათი ნაწარმის მყიდველთა არსებობას მცხეთაში; მოსახლეობის არცთუ მთლად დაწინაურებულსა და შეძლებულ ფენებში აბრეშუმის ქსოვილებისადმი მიდრეკილებას (ამის მანიშნებელი მონაპოვრები IV—V საუკუნეთა სამთავროულ სამარხებშიც გვაქვს). ეს უკანასკნელი გარემოება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება ჩვენში აბრეშუმის ადრევე ფართოდ გავრცელების დადგენის თვალსაზრისით.

არმაზისხევის მეზობლად, სანგრისხევის (მარტაზისხევის) სამაროვანზედაც არის გათხრილი ქვის სამარხები, რომელთა უმეტესობა VI—VII საუკუნეებს მიეკუთვნება [132,70—89; 133, 91—97; 12,89]. იქ ნაპოვნია VII საუკუნის ბიზანტიური ვერცხლიც (ჰერეკლე-კონსტანტინეს მოჭრილი) და ინვენტარიც, რომელიც თითქმის სავსებით გავს სამთავრო-არმაზისხევისას. გამოირჩევა ბრინჯაოს ვეებერთელა,ნისკარტიანი აბზინდა (რკინის ჯაჭვური სარტყლისა), რომლის მსგავსი იყო არმაზისხევში [12], ხოლო მეორე აღმოჩნდა ერწოში. ვერცხლის მედალიონიც არის, თითქოს ჯვრიანი. ოქროს რამდენიმე სამკაულში გამოირჩევა ორი ლამაზი საკინძი, იმთავითვე მართებულად მიჩნეული „ქართული თავსაკრავის კუთვნილად“ [132; 16, 23—24].

კუხეთის რუსთავის სამაროვანზე, რომელიც ფილაქვით ნაშენი ათეულობით სამარხებით არის წარმოდგენილი, შეინიშნება რამდენიმე განსხვავებული. ჩვენთვის ყურადსაღები მომენტი. სამარხები ჯგუფ-ჯგუფადაა გაფანტული ათიოდე ჰექტარზე (ამის მიხედვით იმდროინდელი ქალაქის მოსახლეობას პირველგამთხრელი მ. ივაშჩენკო 20 000 ანგარიშობს, მაგრამ ეს გაზვიადებულად მიგვაჩნია). ინვენტარი, მიუხედავად კოლექტიურობისა, მცხეთის სამაროვანთაგან განსხვავებით, იშვიათია და მცირერიცხოვანი. რაც მოგვეპოვება, იმის მიხედვით VI—VII საუკუნეები ივარაუდება. უმთავრესად ქვისთავიანი საკინძების სამთავროული ანალოგიების მოშველიებით, დაკრძალვის წესისა და უკვე ხსენებული ვერცხლის გულსაკიდი ჯვრის აღმოჩენის მიხედვით სასაფლაო ნამდვილად ქრისტიანულია. ამასთანავე, იგი ქალაქური ჩანს (ჯერ კიდევ IV—V საუკუნეებში გვაქვს ასეთივე, ოღონდ გაღმა ნაპირზე), რაც მნიშვნელოვანია. ცალკე აღსანიშნავია მინის სამაჯური, რომელიც ძალიან ადრინდელ ნიმუშს წარმოადგენს და ეტყობა, სხვა ქალაქთა უწინ სწორედ რუსთავში დაუწყიათ ამ სამკაულთა კეთება მინისაგან, მით უმეტეს, რომ IV—V საუკუნეთა სამარხებში უკვე აღმოჩნდა მინის საცხოო და უთუოდ ადგილობრივ ნაკეთები ჰურჰლეული [151].

ურბნისის ვრცელი ნაქალაქარი და სხვადასხვა დროის სამაროვნები წლობით ითხრებოდა, მაგრამ დღემდე იქ არც ერთ არქეოლოგს არ გამოუყვია VI და მომდევნო საუკუნეთა სამარხეული ძეგლები [28; 29]. თუმცა, რა თქმა უნდა, ისინი იქ უთუოდ მოსალოდნელია, რაკი ქალაქი, მცხეთასავით, VIII საუკუნემდე ნამდვილად დიდქალაქობდა.

ამ ბოლო ხანებში არცთუ ცოტაა გათხრილი ადრეფეოდალური ხანისადმი მისაკუთვნებელი სამარხები ივრის აუზის მთიან უბნებსა (მაგ., თიანეთის მახლობელ სოფელ ჯიჯეთში), თუ ბარში (მაგ., სოფ. კაჭრეთ-

შიდა ერწოს ველის რამდენსამე ადგილას). ერთხმად არის აღნიშნული ყველა ამათი ინვენტარის — ნაირ-ნაირი სამკაულის — სრული თანხვდენა მცხეთისა და უმთავრესად სამთავროს VI—VIII საუკუნეთა სამარხების ინვენტართან (თუმცა თან ყურადღებას იპყრობს სრული უქონლობა მინის ჭურჭლეულისა). ეს კი მიეწერება მცხეთის ქვეყნის უშუალო მეზობლობას და იქიდან ამავალი ძველი, ძლიერ მოკლე და მარჯვე გზების მოქმედებას.

VIII—IX საუკუნეთა ჯგუფს გამოყოფენ გამთხრელები ივრის სიონის ცნობილ მრავალფენოვან სამაროვანში (მდინარის შუა წელზე). [152; 82]. გარდა ჩვეულებრივი ფილაქვის სამარხებისა, აქ ვხედავთ სრულიად უნიკალურთაც, რომელთა შორის აღსანიშნავია ჩუქურთმიანები. ამ უკანასკნელთ საშენი მასალითა და დეკორით უკავშირებენ (და უმთავრესად ამრიგად ათარიღებენ) ადრეფეოდალური ქართლის ხუროთმოძღვრების ისეთ ძეგლებს, როგორიცაა ჯერ ბოლნისისა და შემდეგ ივრისავე სიონის საყდრები; თავდაპირველი სვეტიცხოველი, წრომი, აკვანება, წოფის საყდარი და სხვ. ინვენტარი მათში მცირერიცხოვანია, მაგრამ ეს მიეწერება ამ კოლექტიურ სამარხთა ხანგრძლივ, რამდენიმეგზის გამოყენებას.

ყურადსაღები და თავისებური სამაროვნებია გამოვლენილი ქიზიყში, ძველი ხორნაბუჯის მიდამოებში (ანაგა, ყოლოთო, წითელწყარო). აქ ვხედავთ რიყის ქვით ან ქვათლილებით და დუღაბით თაღურად ამოყვანილ, მიგრძოკიბიან და კარიან, დერეფნიან-კამერიან აკლდამებს (!) [222]. ისინი ადრევეა გაძარცული, მაგრამ შიგ მაინც შემორჩენილია ბრინჯაოს სამაჯურები, მშვილდსაკინძები, მძივები და ოქროს ნივთებიც კი. ამ უკანასკნელთა შორის გვაქვს თავისებური, ყურადსაღები, ჭვირული და ინკრუსტაციით შემკული ბალთები, ინკრუსტაციულივე საკინძი და სხვ. ისინი მიეკუთვნებიან VI—VII საუკუნეებს [223]. და ზოგი მათგანი წარმოადგენს იმდროინდელი მცირე ხელოვნების ძეგლთა ფონდის უნიკალურ შენამატს. სამარხები კოლექტიურია, საოჯახო. ქვათლილებით ნაშენი აკლდამა, ივრის სიონის დიდი აკლდამის მსგავსად, შეიძლება დიდკაცისას წარმოადგენდეს. დაკრძალვის წესი ყველგან გარკვევით ქრისტიანულია.

ასეთივე თავისებური და შინაარსიანი სამარხეული ძეგლებით შემოდის ადრეფეოდალური ხანის კულტურაში აღმოსავლეთ საქართველოს ეს ერთ-ერთი განაპირა ქვეყანა.

წალკა-თრიალეთის რამდენსამე ადგილას არის გათხრილი ქვის სამარხები, რომელთა ნაწილი მაინც VI—VII საუკუნეებს მიეკუთვნება [16], მით უმეტეს, რომ ერთ მათგანში VI საუკუნის სასანური (კავად მეფის) მონეტაა აღმოჩენილი. ნაპოვნია აგრეთვე ქვისაგან თლილი ბეჭდები, თავსაკრავთა საკინძები და სხვა „მცხეთური“ ნივთები, რომლებიც სწორედ აღნიშნულ ხანას მოასწავებენ. ალგეთის ხეობის სოფ. ხოპისში 1954 წ. გაითხარა რამდენიმე ასეთი ქვის სამარხი.

თბილისში ამ ეპოქისათვის ჯერჯერობით თითქმის სრული „არქეოლოგიური სიცარიელე“ სუფევს. მის მახლობლად, წყნეთსა და ბეთანიაში კი აღმოჩნდა და გაითხარა მცხეთურის მსგავსი ინვენტარიანი სამარხები [224].

დასასრულ, უთუოდ აღსანიშნავია ჩვენთვის საინტერესო დროის სამაროვანი საქართველოს ჩრდილოეთ მხარეში — ხევში, რომელიც კავკასიონს

გადაღმა, თერგის პირზე მდებარეობს. სწორედ ეს განათხარი მოწმობს, რომ ხევი უმჭიდროესად იყო დაკავშირებული ქართლის სამეფოსთან, დარიალის ხეობით [225]. „გიგიას სათიბებზე“ გათხრილი 16 (იქაური შავი ფიქლით, ანუ „ჰაჰით“ ნაშენი) სამარხიდან ინვენტარს შეიცავდა სხვებზე უფრო დაბლა მდებარე მხოლოდ 6 (მაშასადამე, მერე და მერე ინვენტარი იქაც ქრება). ეს იყო ფეხთით დადგმული თითო თიხის ჭურჭელი, მძივები, ბრინჯაოს პაწია მშვილდსაკინძები და აბზინდები, რკინის დანები, შავი მინის ბეჭდები და გრეხილი სამაჯურები, ვერცხლის ორი თვალბუდიანი ბეჭედი (ერთს არაბულწარწერიანი ინტალიო უზის), მინის სასმისი, ბრინჯაოს კოვზი (ანტიკური წესის გადმონაშთი?) და IX საუკუნის 2 არაბული მონეტა (იემენური, რომელიც პირველად აღმოჩნდა საქართველოში).

ინვენტარის ერთი წყება, მოსალოდნელიც იყო, ეხმაურება დარიალის ხეობაშივე და, საერთოდ, ჩრდილო კავკასიაში (ბალთა, ლარსი-გველეთის შუა მდებარე ადგილები, კუმბულთა) აღმოჩენილ სამარხეულ მასალებს, მეორე კი — აღმოსავლეთ საქართველოს სამარხეულ ინვენტარს. მთავარი კი ისაა, რომ ზოგი რამ, ჩანს, სულაც აქედან უნდა მომდინარეობდეს (მინის სასმისი, შავი ბეჭდები და სამაჯურები — მაგ., ორბეთის VIII—IX საუკუნეთა სახელოსნოდან), რაც ყურადსაღები მინიშნებაა ქართლთან ხევის მჭიდრო კავშირისა. თანაც ერთი მეცნიერულად ღირებული გარემოება გვაქვს: მაგ., მცხეთის სამაროვანთაგან განსხვავებით, რომელთა ხნოვანება VIII საუკუნის პირველ ნახევარში თავსდება (მურვან ყრუს შემოსევის გამო!), დარიალის სამაროვნის ხნოვანება ნამდვილად შემოდის IX და ეგებ X საუკუნეშიც კი. ამის გამოა, კერძოდ, რომ მასში გვაქვს მინის სამაჯურებიც (ბეჭდები სამთავროშიცაა, უფრო ადრე, მის უახლეს სამარხებში), ისევე როგორც რუსთავის თითო-ოროლა სამარხში. ამრიგად, ფართოვდება აღმოსავლეთ საქართველოს მეტყველ სამარხეულ ძეგლთა ქრონოლოგიური დიაპაზონი, ხოლო ის, რაც ორბეთის სახელოსნოს ნაშთებში გვაქვს, თითქმის იმავდროულ შორეულ, მაგრამ პოლიტიკურად და კულტურულად ძალიან მახლობელი ქვეყნის-ხევის სამარხებშიც დაუნჯებულა. მეორე მხრივ, ისიც აღსანიშნავია, რომ გადმოღმა საქართველოში არსად გვეგულება არაბული საგნების ესოდენი სიმრავლე.

„გიგიას სათიბეს“ სამაროვანს (თითო-ოროლა შემთხვევითი აღმოჩენის მიხედვით აგრეთვე ზოგ სხვა ხევში) მნიშვნელობა და დამაჯერებლობა ემატება ისეთი კარგი ხუროთმოძღვრული ძეგლების გარემოცვაში, როგორიცაა: გარდაბნის დარბაზული საყდარი (მას უწინ VIII, ხოლო ახლა IX—X საუკუნეებს აკუთვნებენ) და სიონისა და ახალციხის ბაზილიკური, ზოგადად იმავდროული საყდრები [225]. თანაც ეს ყოველივე წარმოიქმნება და არსებობს არაბობის ხანაში.

დ ა ს ა ვ ლ ე თ  ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი აღმოსავლეთისაგან თვალნათლივ განსხვავებული ვითარებაა და ჩვენი თემის წყაროთმცოდნეობითი თვალსაზრისით იგი რამდენადმე ვრცლად უნდა დავახასიათოთ. უპირველეს ყოვლისა, იქ გაცილებით ნაკლები სამაროვნები გვაქვს გათხრილი და მეცნიერულად შესწავლილი, რის გამოც უფრო შემთხვევით მონაპოვრებს ვეყრდნობით. მეორე ისაა, რომ მკაფიოდ განირჩევა ერთიმეორისაგან უშუალოდ ზღვისპირა ზოლისა და შიდა მხარეების სამარხეული ძეგლები.

ზღვისპირა ზოლში აღსანიშნავია: გაგრის მახლობლად ადრევე აღმოჩენილი სამარხეული, V—VI საუკუნეთა მიჯნის საკმაოდ მდიდრული კომპლექსი (ვერცხლის თასი, სარკე, პირსაფარეშო საგნები და სხვ.), რომელიც შედგენილობით ჯერ კიდევ ანტიკური ხანის სამარხთა ინვენტარს მოგვაგონებს [159; 161]; ახალ ათონში (ანაკოფიაში) VI საუკუნის დამდეგის (ანატასიოსის) ვერცხლის ფულის თანხლებით აღმოჩენილი ქარვის მძივები და ბრინჯაოს ფრიად თავისებური სამაჯურები [159]; „ადრებიზანტიური ხანით“ დათარიღებული სამარხები (რკინის გრძელი რომბულკვეთიანი შუბისპირები, ვერცხლის ჯვარედინა მშვილდსაკინძები და საყელურები, ბრინჯაოს პირხსნილი სამაჯურები, ფერადი მინის მძივები), აღმოჩენილი ბზიფის ხეობის სოფლებში, მიწარსა და კალდახვარაში [160, 93—96].

ამ სამარხთაგან ზოგი ინჰუმაციურია, ზოგი კი, ნაწილობრივ მაინც, კრემაციული. ეს უკანასკნელი გარემოება, ისევე როგორც ინვენტარის „ბიზანტიურ-ქერსონესული“ პარალელები, იმის მოწმობად ითვლება, რომ საქმე გვაქვს უცხოელთა სამარხებთან და შემოტანილ ნივთებთანაც. მაგრამ შეიძლება არც ასე იყოს: კრემაცია ჩვენში ბევრად ადრეც ყოფილა წესად (ალაგ-ალაგ მაინც), ხოლო ბიზანტიური წარმოშობის სამკაული ხომ აუცილებლად იმას არ ნიშნავს, რომ ისინი ბიზანტიელ მიცვალებულთათვის ჩაუტანებიათ?!

რამდენადმე განსხვავებული სურათი ისახება აფხაზეთის მთიანი კუთხის, წებელდის ზოგიერთ სოფელში გათხრილი სამაროვნების მიხედვით. თავდაპირველად იქ გამოვლენილ იქნა სამარხები, რომელნიც III—IV საუკუნეებს მიაკუთვნეს [229]. სადღეისოდ კი ასზე მეტი სამარხია შესწავლილი და მათი საერთო ხნოვანება I—VI საუკუნეებში ექცევა, ოღონდ VI საუკუნის მხოლოდ დამდეგი იგულისხმება [163; 164]. ამიტომ ეს ყურადსაღები, თავისებური სამარხეული მასალები ზემოთ (IV—V საუკუნეებისადმი მიძღვნილ ნარკვევში) გვაქვს განხილული. აქ კი გაკვრით აღვნიშნავთ, რომ VI საუკუნეშიც გრძელდება დაკრძალვის წესის საკმაო სიჭრელე (ინჰუმაცია, კრემაცია — ხშირად უსრულო) და თან სხვადასხვაგვარი სამარხების მიმობნეულობა ყოველგვარი კანონზომიერების გარეშე. ესეც არ იყოს, ინვენტარი ყველგან ერთგვაროვანია და ამიტომ არ მოგვიხდება მსჯელობა ეთნიკურ სხვადასხვაობაზე. დასავლურ ქართული ქვეყნებისათვის ჩვეული ვითარების შესაბამისად აქაც გრძელდება VI საუკუნეში სხვაგან თითქოს უკვე „დრომოჭმული“ ელემენტები დაკრძალვის წესისა: მრავალრიცხოვანი ხელსაწყო-საჭურვლის, თიხის ჭურჭლისა და აქა-იქ აგრეთვე წარმართულ-საკულტო ქანდაკებათა ჩატანება; მინის ჭურჭლის ჩატანება (სოფელ ადგილებში!) და შეკაზმული ცხენების თანადამარხვა. გამთხრელი ამტკიცებს, რომ ამ სამაროვნებში წარმოდგენილი „წებელდური კულტურა“ მონაცვლეობას იჩენს წინამორბედი, კოლხურ-ყობანური კულტურის მიმართ (საჭურველი, ბრინჯაოს ზოგი სამკაული, თიხის ჭურჭელი და ორნამენტის მოტივები). ჩვენი აზრით კი, იგი ზოგადეგრული კულტურის ერთ-ერთი გამოვლინებაა და სამხრეთის, მეზობელ ტომთა კულტურისაგან მას გამოარჩევს: თიხის ჭურჭელი, რომელსაც კვერცხისებრი თუ ყუმბარისებრი ტანი, თასისებრი პირი და თავისებური ორნამენტი აქვს; რკინის ცულები; სარდიონით შემკული ვერცხლის საყურეები და სხვ.

კიდევ უფრო ადგილობრივი და მკვიდრი ქართველური ტომის კულტუ-

რის ამსახველია ის ნივთიერი ძეგლები, რომლებიც საკმაოდ ამოგვიმზეურა გათხრამ საგვარჯილის ქვაბში (გამოქვაბულში) და მის წინ [230]. ეს ქვაბი მდებარეობს აწინდელი თერჯოლის რაიონში, სოფ. ძევრის მიდამოებში (ისტორიული არგვეთი, ანუ „მარგვი“) [231]. აქ იყო ინჰუმაციური ორმოსამარხები, რომლებიც საერთოდ განსახილველ ხანაშიც ჯერ კიდევ გაბატონებულია დასავლეთ საქართველოში და ეს აღმოსავლეთისაგან ერთი ძირეულად განმასხვავებელი გარემოებაა. საგვარჯილის ათეულობით სამარხის ნაწილი მიეკუთვნება III—VI საუკუნეებს, დანარჩენი — მომდევნო ხანას (ძნელი დასაზუსტებელია, ინვენტარს სულ არ შეიცავენ). ორ სამარხს გარდა მიცვალებული ყველგან სათითაოდ არის დაკრძალული. ძველ სამარხებში მოკუნტულნი წვანან, ახლებში კი — ნამდვილ „ქრისტიანულად“, გულაღმა და გულხელდაკრებით. III—VI საუკუნეთა სამარხებში ინვენტარს შეადგენს: წითელი თიხის ჰურჰელი, რკინის საჰურველი (სატევარი, შუბები, ცული, დანა), ბრინჯაოსა და რკინის მშვილდსაკინძები და ბეჭდები, ბრინჯაოსა და ვერცხლის საყურეები; ბრინჯაოს საკინძები, აბზინდები და ბალთები; მინის, ქარვის, სარდიონის, პასტის და ძვლის ნაირ-ნაირი მძივები. ამ ინვენტარის აღმოსავლურ ქართული (მცხეთური, რუსთავული) ანალოგიების მიხედვით არის დადგენილი ამ სამაროვნის ხნოვანება, რომელიც VI საუკუნესაც მოიცავს.

გამოირჩევა ბრინჯაოს სამი ბეჭედი, რომელთაც ფარაკებზე ამოკვეთილი აქვთ უნიკალური ინტალიოები: ა) ადამიანის პროფილი და პირამიდულ სადგარზე აღმართული ჯვარი; ბ) თითქოს შარავანდედი ადამიანი, ნამგალა მთვარე, ფრინველი და ჯვარი; გ) ბოლოებგანშტოებული ჯვარი. ცხადია, სამივე ქრისტიანული სიმბოლოა. გამომქვეყნებელი მართებულად ხედავს მეორე ინტალიოში მაზდეანურ-ქრისტიანული ნიშნების შერწყმას იმ „ქართულ-სასანურ დრამებზე“ გამოხატულს, VI—VII საუკუნეებს რომ მიეკუთვნება [217]. ჯვრიანი ინტალიოების საფლავში ჩატანება ბუნებრივად უნდა მივიჩნიოთ, რადგან ქრისტიანობა ეგრისში ადრე იკიდებს ფეხს: V საუკუნის მესამე მეოთხედში იგი დიდი ხნის გაქრისტიანებული ჩანს (ველასი კვიზიკელის ცნობით) [50]. ესეც არ იყოს, ძევრულის ხეობის მიყრუებულ, ქვაბოვან ჩიხში ცალკეული ადრექრისტიანული თემის არსებობაც არ იქნებოდა შეუძლებელი. ალბათ აღნიშნული მოვლენის ერთგვარ დაგვიანებასვე უნდა მივაწეროთ ისიც, რომ VI საუკუნის წიაღში შემოსდევს საგვარჯილეს სამაროვანს დაკრძალვის წესისა და ინვენტარის არქაულ-წარმართული ხასიათი (მაგ., კუხეთის რუსთავში ეს მარტოოდენ წესზე ითქმის, ინვენტარზე კი — არა).

წებელდის სამაროვნების მსგავსად საგვარჯილეს სამაროვანიც ძალიან გვიმდიდრებს, გვიმრავალფეროვნებს წარმოდგენას განსახილველ ხანაში ქართული ქვეყნების სარწმუნოებრივი ვითარების შესახებ. აქაც ცხადია, რომ ამ მხრივ ქართლის სამეფო უფრო ადრე დასდგომია ქრისტიანობის კანონიკურ წესებს და, კერძოდ, იქ თავიდანვე გაბატონებულა ფილაქვით ნაშენი საოჯახო სამარხები. მათში მიცვალებულთ გულაღმა გაშოტილთ აწვენდნენ და თან ატანდნენ ნივთებს, რომელთა შემადგენლობა გაერთფეროვანებული და შემცირებულია (სამკაული, ხოლო ქალაქ ადგილებში — მინის ჰურჰელიც).

* * *

საბოლოოდ. ერთი რამ უნდა დავსძინოთ სამარხეული ძეგლების მიმოხილვას: რაც არ უნდა შინაარსიანსა და რიგიანად გათხრილ-შესწავლილ სამაროვანთან გვქონდეს საქმე, თითქმის ყველას ერთი ნაკლი თუ ხარვეზი აქვს: IX საუკუნის სამარხები ორიოდე შემთხვევაში თუ გვხვდება, ხოლო X საუკუნისათვის მისაკუთვნებელი ფენები და თუნდაც ცალკეული სამარხები — არსად ჩანს (თუ ასეთ ძეგლებად არ მივიჩნევთ, მაგ., ბოლნისის სიონში აღმოჩენილ წარწერებიან და გამოსახულებიან საფლავის ქვებს, რომლებიც VI—X საუკუნეებს მიეკუთვნება) [189]. მცხეთის მიმართ ამას იმით ვხსნით, რომ მურვან ყრუს ლაშქრობის შემდეგ ქალაქი ძალზე დაზარალდა, დაკნინდა და შემცირებული სასაფლაოები, ეტყობა, გადატანილ იქნა არსებულ ტაძართა მახლობლად, გალავნებში.

საერთოდ კი, ეს საკმაოდ უცნაური მოვლენაა და მას ყველგან, კერძოდ დასავლეთ საქართველოში, არაბების მრისხანე პარპაშს ვერ მივაწერთ. ასეა თუ ისე, IX—X საუკუნეთა სამარხეული ძეგლები ჩვენთვის ჯერჯერობით თითქმის „თეთრი ლაქაა“ (სიონისა და ხევის გამოკლებით). XI—XIII საუკუნეთა განათხარებში კი კვლავ გვაქვს მათთან საქმე და საკმაოდ ხშირადაც (სვეტიცხოველი, უჯარმა, რუსთავი, დმანისი, სიონი).

ნამოსახლარი არქეოლოგიური ძეგლები. თუ თავდაპირველად არქეოლოგთა ყურადღება უმთავრესად სამარხეული ძეგლებისადმი იყო მიპყრობილი და ნამოსახლართა გათხრა-გამოვლენა ჩრდილში რჩებოდა, ბოლო დროს ამ მხარემაც წამოიწია და ახლა უკვე საკმაოდ ბევრი რამ გვაქვს შესწავლილი, ოღონდ VI—X საუკუნეთა ძეგლები და ფენები ან წინამორბედი ხანის, IV—V საუკუნეთა ფენებთან ერთადაა წარმოდგენილი (და ასეთი ძეგლები უფრო დაწვრილებით წინა ნარკვევში გვაქვს განხილული), ან მომდევნო, XI—XIII საუკუნეთა ფენებთან ერთად. სამაგიეროდ, შესანიშნავი, მიწის ზემოთ მეტ-ნაკლებ მთლიანად შემორჩენილი ნიმუშებით არის წარმოდგენილი ეს ხანა ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიაში, რომელსაც ახასიათებს კონფესიურად თავმოხვეული ბაზილიკური არქიტექტურისაგან „თავის აშვება“ და მძლავრი „აფეთქება“ ხალხური საწყისების მქონე ცენტრულგუმბათოვანი არქიტექტურისა (ნინოწმინდა, მცხეთის ჯვარი, ატენის სიონი, წრომი, სამწევრისი, თავდაპირველი იშხანი, ვაჩნაძიანი (ახლანდელი სოფ. შრომა), ყველაწმინდა, გურჯაანი, კუმურდო, ოშკი, ერედვი, ქოროღლი, ბოჰორმა და სხვ.). ამ ძეგლებს თან ახლავს წარწერები, რელიეფური პორტრეტები, ჩუქურთმები, მოზაიკური მხატვრობა და სხვ. ცალკე შემორჩენილი და შესწავლილია საკულტო ოქრომჭედლობის პირველხარისხოვანი ძეგლები (VIII—X სს.) და ა. შ. ეს ყოველივე დიდად ავსებს კულტურის სურათს და ანაზღაურებს განათხართა ხარვეზებს ,მაგრამ ამ უკანასკნელთაც ენიჭებათ სავსებით განსაკუთრებული და განუმეორებელი მნიშვნელობა(ტაბ. XIX, XX).

მცხეთაში უკვე რამდენსამე ადგილას არის გამოვლენილი საცხოვრებელ-სამეურნეო ნაგებობათა ნაშთები და მათთან დაკავშირებული კულტურული ფენები. სვეტიცხოველთან გამოყოფილია VI—X საუკუნეთათვის მისაკუთვნებელი რიყის ქვა-ალიზის შენობის ნაშთები თონეების, სამარცვ-

ლეული ორმოების, საკანალიზაციო კოლექტორის, მოუჭიქავი კერამიკისა და მინის ჭურჭლის თანხლებით [178]. კარგი განათხარი წარმოიქმნა სამხედრო გზის პირასაც. მთა ქართლად წოდებული ქედის თხემზე, ნინოწმინდის მცირე საყდრის გარშემო საკმაოდ მკვიდრი, ზღუდე-გოდოლებიანი კედლების გარდა, მათ შიგნით გაითხარა რიგით საცხოვრებელ და სამეურნეო (მარანი და სხვ.) შენობათა ნაშთები, მოუჭიქავი კერამიკითა და სხვ. მონაპოვრებითურთ (მოჭიქული თიხის ჭურჭელი არც იქ გამოერევა). ეს, საკმაოდ გაურკვეველი დანიშნულების სამოსახლო VI—VIII საუკუნეებით თარიღდება [173]. და ისიც მურვან ყრუს მსხვერპლი ჩანს, არმაზის ქალაქთან ერთად, რომლის ერთ-ერთ გარეუბნად უნდა ჩაითვალოს.

არმაზისხევის რთულ კომპლექსში ყურადღებას იქცევს ერთი, სანახევროდ „პარაზიტულად" აგებული,მაგრამ მაინც მონუმენტური, ორსენაკიანი შენობა (ასევეა ხელახლა გამოყენებული ანტიკური დროის ქვათლილები ნინოწმინდის საყდარშიც), რომელიც თავზე ადგას IV—V საუკუნეთა ქვის სამარხებს და მაშასადამე, VI და მომდევნო საუკუნეებს უნდა მიეკუთვნოს. მის სენაკებში ჩადგმულია ორ-ორი ქვის სამარხი, ნაწილობრივ აგრეთვე „პარაზიტულად" აშენებული. შენობის დანიშნულება გაურკვეველია, მაგრამ იგი არ უნდა იყოს იმთავითვე სამარხავი. ნივთიერი მონაპოვრებიდან აღსანიშნავია მოზრდილი კერამიკული საბეჭდავები (ხვიები, ტოლმკლავა ჯვარი და ირგვლივ ორნამენტული წრეები) [12].

ნავთსადენში (სანგრისხევის, ანუ მარტაზისხევის შესართავთან) აღმოჩნდა შენობათა ნაშთები, არცთუ დიდად მნიშვნელოვანი. აღსანიშნავია მარანი [132]) და ქვა-თიხით ამოყვანილი შენობა, რომელშიც ქვევრები, თონეები და ნაირ-ნაირი (ოღონდ კვლავ მოუჭიქავი) თიხის ჭურჭელი იყო [172]. აღმოჩენილია VI ს. სასანური მონეტების ორი განძიც.

თ ბ ი ლ ი ს შ ი ადრეფეოდალური ხანა ჯერჯერობით მხოლოდ ერეკლე მეორის მოედნის განათხარში გამოიყოფა [183; 182]. იგი დიდად მნიშვნელოვანია და ამიტომ უფრო დაწვრილებით განვიხილავთ. მრავალფენიანი, ღრმა ჭრილის ზემოდან მეოთხე ფენა მიეკუთვნება IV—X საუკუნეებს (IV—V საუკუნეთა ქვეფენის შესახებ წინარე ნარკვევში გვქონდა საუბარი). საკუთრივ ნამოსახლარის ნაშთები მაინცდამაინც ხელშესახებად გამოვლენილი არ არის, მაგრამ, სამაგიეროდ, მონაპოვრის — კერამიკისა და მინის — საყოველთაოდ გავრცელებული ჯგუფების ახლებური ხნოვანებაა დადგენილი და პირველადაა გამოყოფილი ადრინდელი წყება. ესა და თვით მონაპოვრის, თბილური ნაწარმის, სიმრავლე გვინაზღაურებს საკვლევი ხანის სამაროვნებში მათ (მეტადრე კერამიკის) დიდ სიმწირეს, ხოლო თბილისში — სრულიად უქონლობასაც.

პერიოდის მეორე მესამედი, VI—VIII საუკუნეები ამ განათხარში თარიღდება წარმოდგენილი ბრინჯაოს მშვილდსაკინძეებითა და სხვა ნივთ-სამკაულებით, ხოლო მესამე — IX—X საუკუნეები იმდროინდელი 4 არაბული ფელსითა და თავისებური კერამიკით. ზოგადად, V—X საუკუნეებით თარიღდება სათუნე და მინის სადნობ ქურათა სუსტად შემორჩენილი ნაშთები (საცეცხლურებისა, ნედლეულისა).

V—X საუკუნეებით თარიღდება წითლად და მოთეთრო-მოვარდისფროდ

გამომწვარი (ეს უკანასკნელი გაპრიალებულებიცაა), ნაირ-ნაირი საოჯახო-სასუფრე პურპელი, ჰრაქები (მერმინდელი, ნიჟარისებრიც!), სამარილეები და სხვა. V—VIII საუკუნეებს მიეკუთვნება თეთრად ან წითლად გამომწვარი, უანგობოდ, გამჭვირვალე ჭიქურით დაფარული ჯამები და ფიალები; თეთრი ანგობით მოხატული და ფერადი ჭიქურით დაფარული ჯამები და სამარილეები (თუ სავსებით გავიზიარებთ გამთხრელთა ამ თარიღს, აქ საქმე გვქონია შუა საუკუნეთა საქართველოს მოჭიქული კერამიკის უძველეს ნიმუშებთან! — გ. ლ.). IX—X საუკუნეებს მიაკუთვნებენ წითელკეციანსა და მწვანედ, მოყვითალოდ ან ყავისფრად მოჭიქულ ჯამ-ლანგრებს, სამარილეებს და სარძევეებს: თეთრანგობიანსა და ერთფერჭიქურიან ჯამებს, ჰრაქსა და სურას; თეთრანგობიანსა და ფერადჭიქურიან ჯამებს, ამოკაწრულნახატიანსა და ჭიქურით დაფარულ ჯამებს.

მოჭიქული კერამიკის უფრო ადრინდელ ჯგუფთა ასე გადაჭრით გამოყოფა ჯერ სხვა განათხარებში თითქმის არ არის დადასტურებული [233, 232], IX—X საუკუნეთა ჯგუფისა კი დამოწმებულ იქნა კუხეთის რუსთავში, უჯარმაში და სხვაგანაც.

მინის პურპლეულში (საერთოდ ბევრად უფრო მცირერიცხოვანში) გამთხრელები გამოყოფენ ორ ჯგუფს: VII—VIII (მწვანე ბუშტულებიანი სანელსაცხებლე და ჭიქა, მცხეთურთაგან განსხვავებული) და IX—X საუკუნეებისას (მწვანე თხელი ჭიქა, ფიალა, „ვაზა“, სანელსაცხებლე; ლურჯი პატარა პურპელი).

ასეა თუ ისე, შინაარსიანი საყრდენი გვაქვს ადრეფეოდალური ხანის თბილისისა და საერთოდ, ქართლის ნივთიერი კულტურის ძეგლთა შესწავლა-დათარიღებისათვის (თუნდაც ამ საყრდენის საგრძნობლად დაზუსტებითაც!).

მეორე და უმნიშვნელოვანესი ძეგლი თბილისში, რომელიც სულ ახლახან იქცა გათხრა-შესწავლის საგნად, არის დედაციხე („შურისციხე“, „ნარიყალა“) [185; 186]. ოღონდ იქ ჯერჯერობით რუსთაველისა და გვიანი ხანა (XVII—XVIII სს.) არის სისრულით წარმოდგენილი, ადრეფეოდალური კი მხოლოდ თითო-ოროლა ნიშნით გამოიცნობა. ქალაქისა და მისი უძველესი, უმთავრესი ციხის წერილობითი ისტორია სარწმუნოს ხდის, რომ მთელი ადრეფეოდალური ხანის განმავლობაში ციხე მოქმედებდა და, მაშასადამე, განათხარის თანდათან ჩაღრმავება იმდროინდელ ნაშთებამდეც ჩაგვიყვანს. რაც შეეხება ნიშნებს, უნდა დავასახელოთ მოჭიქულ კერამიკაში ადრინდელი, IX—X საუკუნეთათვის დამახასიათებელი ნიმუშების, ხოლო ტაძრის XII—XIII საუკუნეების ჩუქურთმის ნატეხებს შორის ერთი განსხვავებული, თითქოს VI—VII საუკუნეთათვის დამახასიათებელი მოტივების მქონე ნიმუშის გამორევა. ამასთანავე, ციხის ზღუდის გარეთა პერანგში მხოლოდ ერთ ადგილას. შემოსასვლელი კარიბჭის სწორკუთხოვანი გოდოლის სამ ფასადზე არის შემორჩენილი ცეცხლში ძალზე გარუჯული ქვათლილები, რომლებიც მკაფიოდ გამოირჩევა მერმინდელი ქვა-აგურისა (შუა ფეოდალური ხანის) და აგურის (გვიანი შუა საუკუნეების) პერანგებისაგან და ადრეფეოდალურ ხანას უნდა მივაკუთვნოთ (ისევე როგორც კუხეთის რუსთავში — იხ. ქვემოთ, გვ. 155). თუ მართლაც გამოვლინდა ადრინდელი საყდარი, იგი VI—VII საუკუნეებში იქნება აგებული დედაციხის შიგნით (შუა ფეოდალურ ხანაში კი მის ნაშთზე

დადგამდნენ დიდ, გუმბათიან ტაძარს, ისევე როგორც მტკვარგალმა მეტეხში, სიონში, მცხეთის სვეტიცხოველში და ა. შ.), თორემ შემდგომ მოდის ჯერ არაბთა და მერმე თურქ-სელჩუკთა კარგა ხნით დაბუდება ქართლის დედაქალაქსა და მის მთავარ სიმაგრეში, რაც, ცხადია, არაფრით არ შეუწყობდა ხელს აქ ქრისტიანული საყდრის აშენებას. საქართველოს სხვა კუთხეებში კი, ცნობილია, მათ დროსაც შენდებოდა კარგი საყდრები.

კუხეთის რუსთავში ორ ადგილას, მტკვრის მარჯვენა და მარცხენა ნაპირზეა გამოვლენილი იმ დროის ნამოსახლარი ნაშთები [151; 180; 181].

მარცხენა ნაპირზე გაითხარა რამდენიმე სახლის ნანგრევი. მათში ნაპოვნ კერამიკაში მოჭიქული სულ არ გამორეულა. იგი V საუკუნეზე მერმინდელი ჩანს. სხვაგან, IV—V სს. სამაროვნის თავზე გამოვლინდა მარან-ბეღელთა ნაშთი, რომელთანაც დაკავშირებული უნდა იყოს ქვის მოზრდილი, მრგვალი საბეჭდავი, „ბოლნური" ჯვრის გამოსახულების, დაქარაგმებული ბერძნული წარწერისა და ამოკაწრული, რამდენიმე ქართული მთავრული ასოს მქონე. წარწერას VI—X საუკუნეებით ათარიღებენ (იქვე ახლოს ნაპოვნია VII საუკუნის ბიზანტიური ვერცხლის ფული, კონსტანტინე III-ისა, ხოლო ერთ ქვევრში VII—VIII საუკუნეთა მშვილდსაკინძი, რომლებიც თითქოს აზუსტებენ ამ მეტისმეტად „გაშლილ" თარიღს) და ასეთი ხნოვანებაცა და ბერძნული წარწერის შინაარსიც თუ გავრცელდა მარან-ბეღელზე, შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რომ ეს უკანასკნელი ეკლესიის საკუთრება ყოფილა და ჯვრიანი საბეჭდავით „ილუქებოდა". არც იქა ჩანს მოჭიქული თიხის ჭურჭელი. თვით ქვევრები გლუვი ან წიბოებიანია. იქვე ახლოს კრამიტით დახურული, ე. ი. არცთუ ჩვეულებრივი შენობის ნაშთები გამოვლინდა.

მარცხენა ნაპირას უფრო მეტია გამომზეურებული ადრეფეოდალური ხანის ნაშთები. შუა ფეოდალური ხანის ნაქალაქარის თხრისას უფრო ადრინდელმა ფენამ იჩინა თავი. მასში ვხედავთ: დიდრონი, დაკუთხული (და არა მერმინდელივით რიყის) ქვით და თითქოს კირით ნაშენი კედლების ნაშთებს, ადრეულ შუა საუკუნეთათვის დამახასიათებელ ზოგიერთ მოუჭიქავ თიხის ჭურჭელს (ერთზე ორგზის ამოკაწრულია ხუცური წარწერა „თეფალე" — პატრონის სახელი?). ბრინჯაოს აბზინდებს, ქვისაგან თლილ ორ ბეჭედს (ერთზე სასანური ინტალიო, ფრთოსანი გენიუსი „სეროშია" ამოკვეთილი და იგი VII საუკუნეს უნდა ეკუთვნოდეს). ბიზანტიურ სპილენძის ფულს (იუსტინიანესი, VI ს.) და ა. შ. საფიქრებელია, რომ ადრე დახასიათებულ სასაფლაოებზე იმ უბნის მკვიდრნიც იმარხებოდნენ.

ნაციხვარის განათხარში უფრო მკაფიოდ გამოიყოფა ციხის შიდა შენობათა შორის უძველესი და უმკვიდრესი, ქვითკირის (რაც იშვიათია და მერმე სულაც აღარ გვხვდება) თუ, ზუსტად, ქვითგაჯის მოზრდილი სამსენაკიანი ნაგებობა, რომელზედაც მიშენებული ყოფილა მარანი და აგურის აბანო. იგი საკმაოდ ემსგავსება ჯერ კიდევ ანტიკური ხანის განათხარ აბანოებს (მცხეთაში). მონაპოვარში უძველესი და უმნიშვნელოვანესია ნამდვილად ადრინდელი ნიმუშები ჩვეულებრივი მოჭიქული ჯამებისა, რომლებიც თბილისის განათხარის მიხედვით IX—X საუკუნეებს მიეკუთვნება.

ამავე ნარკვევში კვლავ ვამახვილებთ ყურადღებას რუსთავის ციხის ზღუდე-

სა და თავდაპირველი პერანგის ნაშთებზე, რომელთაც ჩვენ IV—V საუკუნეებს ვაკუთვნებთ. საქმე ისაა, რომ დღემდე არც ნაციხვარის და არც ნაქალაქარის გათხრას არსად მოუცია დანამდვილებით იმ საუკუნეთა უფრო ადრინდელი. ანტიკური ხანის ნივთიერი მონაპოვარი. სავარაუდოა, რომ ანტიკური იერის, ერთნაირი ქვათლილებისაგან შემდგარი გალავნის პერანგი V საუკუნის შემდგომაც კი იყოს აგებული. დანამდვილებით ამას მომავალი გათხრა გამოარკვევს.

რუსთავის ორსავე (ნაქალაქარისა და ნაციხვარის) განათხარში უკვე საკმაო დამაჯერებლობით არის „დაჭერილი" ნაშთები უმოწყალოდ დაქცეული და შემდგომ საშენ მასალად გამოყენებული საყდრისა. ნაქალაქარიდან გვაქვს ჩუქურთმიანი ქვების რამდენიმე ნატეხი, რომელთაგან ერთი, პროფ. რენე შმერლინგის აზრით, კანკელის სვეტს უნდა ეკუთვნოდეს და VIII—IX—X საუკუნეებს მიგვანიშნებდეს. გვაქვს აგრეთვე ნატეხი „ბოლნური ჯვრის" გამოსახულებიანი მედალიონისა, რომელიც თავის დროზე კედლის პერანგზე იქნებოდა დატანილი. ნაციხვარის ზღუდის მერმინდელი სახე მუსლიმთა მიერ აღდგენილ-შეკეთებულია (თურქ-სელჩუკების დროს? ნაზარ ალი-ხანის დროს?) და პერანგის წყობაში ჩართულია რამდენიმე ნატეხი დაკბილული ლავგარდნისა (ნამდვილად ადრეფეოდალური ხანისა) და ჩუქურთმიანი ქვებისა, თითქოს სტელისაც, რომელსაც აგრეთვე „ბოლნური" ჯვარი ამკობს. ათეულობითაა დიდრონი კუთხოვანი ქვათლილი, ნახევარწრიული სვეტის ნაწილი და სხვ.

ნაქალაქარზე აღმოჩნდა სავარაუდო ტაძრის მოგრძო, სწორკუთხოვანი ძირიც. იგი აღმოჩნდა in situ და გამოცნობილ იქნა 6 სვეტის ძირისა და ფილაქვის იატაკის მიხედვით; აბსიდის მორგვალება არ ჩანდა. ახლოს იყო ჯვრიანი კრამიტებიც და ზემოაღნიშნული ჩუქურთმიანი ქვებიც. შორიახლოს გაითხარა მომდევნო ეპოქის სამაროვანი. ჯერ არ ვიცით, მხოლოდ ეს ტაძარი ყოფილა და ნაციხვარზე აღმოჩენილი დეტალებიც მასვე ეკუთვნის, თუ გალავნის შიგნით კიდევ სხვა მდგარა („ციხის საყდარი" მსგავსად, მაგ., თბილისის დედაციხისა?). მხოლოდ ერთი ტაძარიც რომ ყოფილიყო, იგი უნდა ვიგულისხმოთ საყდრად იმ რუსთველი ეპისკოპოსისა, რომელიც ვახტანგ გორგასალს დაუსვამს: ნაპოვნი დეტალები ბოლნისის ტაძრისას მოგვაგონებენ, ხოლო თუ მეორეც ყოფილა, იგი მოგვიანებით, VIII—X საუკუნეებში უნდა აღემართათ დამატებით, რასაც იმდროინდელი ჩუქურთმის ნაშთებიც ადასტურებენ.

ის კი უეჭველია, რომ ამ ძველ საყდარს თუ საყდრებს სელჩუკთა შემოსევის შემდეგ, მთელი შუა ფეოდალური ხანის მანძილზედაც, გაუწევიათ ქალაქისათვის მომსახურება, რადგან არსად ჩანს ამ ხანის დამახასიათებელი დეტალები (1225 წელს კი საყდარიც ქალაქთან ერთად საბოლოოდ დაღუპულა, ისე რომ, რუსთაველი ეპისკოპოსი მარტყოფში გადასულა). ასევე იყო, მაგ., ბოლნისსა და ურბნისში, თუმცა ისიც სათქმელია, რომ როგორც ქალაქები, ისინი, რუსთავისაგან განსხვავებით, შუა ფეოდალურ ხანას ვეღარ შემოჰყვნენ. ასევეა ჯავახეთში (ახალქალაქში, სადაც XI საუკუნემდე მხოლოდ სოფელია საგულისხმებელი), მაგრამ არა ჩანს მცხეთაში (V ს. ბა-

ზილიკაზე XI ს. დიდი ტაძარი დაშენდა), თბილისში (იხ. ზემოთ, გვ. 101), დმანისში (VI ს. ბაზილიკას XIII ს. კარიბჭე მიაშენეს).

უ ჯ ა რ მ ი ს ციხე-ქალაქის ნაშთებიდან ჯერჯერობით არქეოლოგიურად შესწავლილია მხოლოდ „გორგასლისეული ციხე-დარბაზი" [81; 130]. მისი თავდაპირველი ნაშენობა წინა ნარკვევებში გვაქვს განხილული (გვ. 13, 95) და აქ აღარ დავუბრუნდებით. შემდგომი მშენებლობა იქ შუა ფეოდალურ ხანაში წარმოებს, ასე რომ ამ მხრივ არაფერი გვექნება ახლა საკვლევი ეპოქისათვის მისაწერი. მაგრამ ციხე-დარბაზში სიცოცხლე რომ მთელი ადრეფეოდალური ხანის განმავლობაში გაგრძელებულა, ამას მოწმობს ორი გარემოება: ა) X საუკუნეში (914 წელს) არაბთა სარდალს აბულ-კასიმს დ ა ს ჭ ი რ ვ ე ბ ი ა ციხის აღება; ბ) განათხარში საკმაოდ არის წარმოდგენილი ერთგვარი მონაპოვარი (უმთავრესად, თავისებური, ძველებური ხშირად უანგობო მოჭიქული ჯამები), რომელიც ვერაფრით ვერ მოთავსდება შუაფეოდალურ ხანაში და ნაწილობრივ შეიძლება VI—VIII საუკუნეებს მიეკუთვნოს (თბილისის განათხარის მსგავსად). ამ ჭურჭლის წარმოება უჯარმაში თითქოს ადგილობრივი ჩანს.

უჯარმის შორიახლოს, წყალგაღმა მდებარე ი ვ რ ი ს ს ი ო ნ თ ა ნ მიკვლეული და უჯარმის მხარდამხარ გათხრილ-შესწავლილია მოზრდილი ბაზილიკური ეკლესიის ნანგრევი [73], რომელიც რამდენიმე მხრივ გამოდგა ყურადსაღები. იგი ხუროთმოძღვრების თვალსაზრისით ორიგინალურია, შიდა სივრცით თავისებური, ხოლო კომპოზიციით მთლიანი. სვეტისთავები და კანკელის ქვები მდიდრულადაა აქვს შემკული ჩუქურთმით, რომლის სახეებიც ეხმაურება ჩვენი ადრექრისტიანული ძეგლებისას (უპირველეს ყოვლისა, ბოლნისის სიონისას, მცხეთის ჯვრის მცირე ტაძრისას და ა. შ.). ოღონდ აქ ისინი უფრო უხეადაა წარმოდგენილი. ამის გამო ტაძარი თავდაპირველად მიჩნეულ იქნა V—VI საუკუნეთა ძეგლად, ოღონდ ახლა, აზრთა გაცვლა-გამოცვლისა და მეცნიერული სიფრთხილის გათვალისწინებით, VIII საუკუნისად (სამშვილდის სიონის ტოლად) ითვლება.

არა გვგონია, რომ დიდი სხვაობა იყოს ხნოვანებაში ივრის სიონსა და ამ ტიპის საწყის ძეგლს — ბოლნისს (V ს. ბოლო) შორის. მაგრამ მთავარი მაინც ის არის, თუ როგორ მკაფიოდ შემოუღწევია ისტორიული ივრის კახეთის სიღრმეში (კერძოდ, ადრეფეოდალური ქალაქის ჟალეთის მიდამოში) ჯერ ქვემო ქართლსა და შემდგომ ყოფილ დედაქალაქ მცხეთაში ჩამოყალიბებული ბაზილიკური ტაძრებისა და მათი სამკაულის ტიპს. ეს ქართული ქვეყნების მჭიდრო დაახლოების ერთი მანიშნებელია.

თვით ჟ ა ლ ე თ ი ს შესწავლა ჯერ დაზვერვასა და გათხრით მოსინჯვას არ გასცილებია [234], მაგრამ უკვე ნათელია, რომ იქ ადრეულ შუა საუკუნეთა ნაშთები კვლავაც იჩენს თავს. თან ისიც ისახება, რომ ივრის სიონიც უნდა შესულიყო ამ ქალაქის ფარგლებში — ისევე როგორც „დიდ მცხეთაში" შედიოდა რამდენიმე საკმაოდ დაშორებული სამოსახლო. ის კი არა და, „სიონის" ვრცელი და შინაარსიანი სამაროვნის მიხედვით (იხ. ზემოთ) ის ეგებ სულაც ერთი მთავარი უბანი ყოფილიყო ქალაქისა.

თ ე ლ ა ვ ი, ჯერ ადრეული და შემდეგ გვიანი შუა საუკუნეების კახეთის სამეფოს დედაქალაქი, სადღეისოდ მცირედ არის არქეოლოგიურად შეს-

წავლილი, მაგრამ ზოგი რამ უკვე გარკვეულია [235, 236]. მისი „ძველი გალავანი" თავდაპირველი მთავარი სიმაგრე და ციხე-დარბაზია ქალაქისა და არქიტექტურული იერით სწორედ X—XII საუკუნეთა მიჯნით [237] თარიღდება, ე. ი. ადრეფეოდალური ხანის მიწურულით — ისევე როგორც ალაზანალმა, მთიანში მდებარე და მისი მსგავსი კვეტერის ციხე-დარბაზის პირვანდელი ნაშენობა (იხ. ქვემოთ, გვ. 104). „ძველი გალავნის" მიმდებარე ადგილას გათხრილი, უკვე შუა ფეოდალური ხანის მეთუნე ხელოსანთა უბნის ნაშთებს ქვეშ თავი იჩინა წინა დროის სამოსახლოს ნაშთებმა, რომლებიც წარმოდგენილია დამახასიათებელი კერამიკით: „IX—X საუკუნეთა მოჭიქული ჯამებით, „ლუთერიუმით" და სხვ. შუა ქალაქში მდგარი „ღვთაების ტაძრის" თავდაპირველ ნაშენობას VI საუკუნეში გულისხმობენ ხელოვნებათმცოდნენი [238]. ამრიგად, უკვე ითქმის, რომ ქალაქ თელავის ისტორიის საწყისი გადასატანია უფრო ძველ ხანაში, კერძოდ, ადრეფეოდალური ხანის პირველ ნახევარში, ვიდრე იქ კახეთის პირელი სამეფოს მესვეურნი დამკვიდრდებოდნენ. ამ მხრივ ის გარემოებაცაა ყურადსაღები, რომ ქალაქის უახლოეს მიდამოში, ალაზნის პირას გათხრილ იქნა ორი თავისებური ტაძრის ნანგრევები და ეს ტაძრები აღნიშნულ დროს მიეკუთვნა.

კ ვ ე ტ ე რ ა ალაზნის ზემო დინებაზე, მდ. ილტოს აუზში, თიანეთისაკენ (ე. ი. ივრის ხეობის ზემო დინებისაკენ) გარდამავალ ძველისძველ, მოკლე გზაზე მდებარეობს. იგი, როგორც ერისთავთა ადგილსამყოფელი, სწორედ X—XI საუკუნეებში იხსენიება. ხელოვნების ისტორიკოსების აზრით [237], იქაური ციხე-დარბაზის შესანიშნავი ანსამბლი აღნიშნულ საუკუნეებში, ე. ი. ადრეფეოდალური ხანის მიწურულში უნდა იყოს ერთბაშად აგებული (ორსართულიანი სასახლე, კარის საოცრად მოხდენილი, მცირეგუმბათიანი საყდარი, საცხოვრებელი გოდოლი, ზღუდე-ბურჯები, ჰიშკარი). იქვეა ზღუდის გარეთა მოზრდილი სამოსახლოც. 1968 წელს გათხრისას გამოვლინდა ერთი ბევრად ადრინდელი ციხე-დარბაზის გალავნის ქვეშ მოქცეული მცირე ბაზილიკური საყდარიც. ამას სავსებით შეესაბამება ის, რომ დიდძალ კერამიკულ (კერძოდ, მოჭიქულ )მონაპოვარში გამოერია IX—X საუკუნეთა ჯამებიც [239]. ასე რომ, კვეტერაში სიცოცხლე საკმაოდ მჩქეფარე ყოფილა ადრეფეოდალური ხანის მეორე ნახევარშივე და ასე გაგრძელებულა XIII საუკუნის ბოლომდე, როცა ქალაქს დაკნინება დაუწყია (მონღოლობის გამო?).

დ მ ა ნ ი ს ი ს ცნობილი ნაქალაქარი [240; 241; 242; 243] (ტაბ. XXI) მეტს აძლევს ჩვენთვის ახლა ყურადსაღები ეპოქის არქეოლოგიურ ძეგლებს. იქ ქალაქური სამოსახლოს წარმოქმნას ისტორიკოსები IV-V საუკუნეებში ვარაუდობენ, კერძოდ, იმხანად იქ საეპისკოპოსო კათედრის დაწესების მიხედვით [244] — ისევე როგორც ამას ჩვენ კახეთის რუსთავში ვგულისხმობთ (იხ. ზემოთ გვ. 101). აღნიშნულ დროს იქ უკვე საკმაოდ მჭიდრო მოსახლეობა ივარაუდება. თან ხომ VII საუკუნის უგვიანეს არ უნდა იყოს აგებული ღლესაც მდგარი სამნავიანი ბაზილიკა, დმანისის სიონი.

ნაქალაქარის განათხარში VI და მომდევნო ოთხიოდე საუკუნე მცირედ, მაგრამ მაინც არის წარმოდგენილი. მეტადრე აღსანიშნავია VI ს. ბიზანტიური (ისევე იუსტინიანეს!) სპილენძის ფული, რომელიც, ცხადია, აქაც ქალაქის სათანადო სავაჭრო ურთიერთობას მოწმობს. პირველგამთხრელის ლ. მუსხე-

ლიშვილის აზრით, დმანისში საქალაქო ცხოვრება, სპეციფიკური გაგებით, იწყება არაუადრეს X საუკუნისა, ვინაიდან მონაპოვარში მას შემდეგ მატულობს ფული, მაგრამ ისტორიკოსთა შენიშვნით იგი ქალაქად VIII—IX საუკუნეებშიაც იხსენიება [244].

VIII საუკუნის მეორე ნახევრიდან XI საუკუნემდე დმანისში განუწყვეტლივ ბატონობდნენ არაბები (შემდეგ მათ იქაც თურქ-სელჩუკები შეენაცვლნენ). სწორედ მას აქეთ ჩაეყარა საფუძველი იქ მოსახლეობის ეროვნულ სიჭრელეს, ისევე როგორც წინა აზიასთან მნიშვნელოვან და ფართო აღებმიცემობაში ჩაბმულ სახელოსნო-სავაჭრო ცენტრის წარმოქმნას. იქ რომ ყოველნაირი კერამიკისა და მინის წარმოება ყოფილა, ამას განათხარიც უეჭველყოფს. ბოლო დროს დანამდვილებით მოხერხდა IX—X საუკუნეთა მოჭიქული ჯამ-ჭურჭლის გამოყოფა შუაფეოდალური ხანის კერამიკისაგან. ეს კი უფლებას გვანიჭებს დმანისში ასეთი წარმოება ადრეფეოდალური ხანის ბოლო ორი საუკუნიდან მაინც ვიგულისხმოთ.

სამწუხაროდ, ჯერჯერობით არც ერთ გამთხრელს არ გაუმახვილებია ყურადღება სათანადო ან უფრო წინა დროის თავდაცვით და საცხოვრებელ-სამეურნეო ნაშენობის გამოყოფაზე. ამიტომ სიონი რჩება ადრინდელი დიდი მშენებლობის ერთადერთ უტყუარ და უთუოდ მრავლისმთქმელ ძეგლად, რომელიც ალბათ აღიმართებოდა უკვე შემოზღუდულსა და კარგა მოზრდილ სამოსახლოში.

აღმოსავლეთ საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი მხარე ერთი ძეგლით არის წარმოდგენილი, ეს არის ჯავახეთის ახალქალაქი [245: 246], რომელიც, როგორც ციხე-ქალაქი, არსებითად შუაფეოდალური ხანის დამდეგს წარმოქმნილა, თუმცა ზოგი ახლანდელი მკვლევარი მასაც XI—X საუკუნეებს აკუთვნებს (დმანისი, არტანუჯი, თმოგვი, ახალციხე და სხვ.) [244]. თხრამ ცხადყო, რომ მართლაც შეგვიძლია ვიგულისხმოთ მნიშვნელოვანი სამოსახლო მაინც (თუ ქალაქი არა) ზეგანის იმ განაპირას, რომლის საწინააღმდეგო მხარეზედაც შემდგომ, სწორედ XI საუკუნეში შიდაციხე მოუზღუდავთ და შიგ უმთავრესი ნაგებობანი აღუმართავთ. ამას გვაფიქრებინებს აღნიშნულ განაპირას გათხრილი ნანგრევი თითქოს მომცრო. მაგრამ მოხდენილად, გეგმით ჯვარისებრ ნაშენი და დაკუთხული ქვებით შემოსილი საყდრისა. ჩუქურთმის შემორჩენილი ნაწილები ემსგავსება ნამდვილად ადრეფეოდალური ხანის (უფრო მისი მეორე ნახევრის) ძეგლების ორნამენტს — უპირველეს ყოვლისა, თვით ჯავახეთშივე. ეტყობა, ეს საყდარი ემსახურებოდა ქართულ მართლმადიდებლურ მოსახლეობას ქალაქის მთელი ისტორიის მანძილზე. მის მახლობლად გათხრილმა საცხოვრებელ-სამეურნეო შენობების კომპლექსმა ცხადყო, რომ საქმე გვაქვს სწორედ სამოსახლოს ადრეფეოდალური ხანის უბანთან, რაც უმთავრესად სტრატიგრაფიული დაკვირვებისა და მოუჭიქავი კერამიკის მიხედვითაც დასტურდება. ეს უკანასკნელი ზოგი ნიშნით მოგვაგონებს სხვა ნაქალაქარებზე მოპოვებულ კერამიკას და ზოვითაც ნამდვილად ადგილობრივი და თავისებურია (პრიალაწერნაქიანი).

ამრიგად, ქალაქის ისტორიის ადრინდელ საფეხურებში უკვე დამაჯერებლად ჩაგვახედა ახალმა განათხარმა. ყველა შენობა ნაგები და შემოსილია ად-

გლობრივი მაგარი, ანდეზიტ-ბაზალტური ქანის ქვებით, ქვითკირით ან ქვა-თიხით [247].

შიდა ქართლის ცნობილი ქალაქი უ რ ბ ნ ი ს ი [28, 29] სწორედ განსახილველი ხანის დამდეგს, V საუკუნის ბოლოს ან VI საუკუნის მიჯნაზე განიცდის მტრისაგან განადგურებას (მეორედ ელინისტური ხანის შემდგომ), რასაც ვრცელი ნაცროვანი ფენა მოწმობს. მას შემდეგ წარმოქმნილი VI—VIII საუკუნეთა ფენა შეესაბამება ურბნისის ქალაქობის უკანასკნელ ხანას მურვან ყრუს შემოსევამდე. მასში წარმოდგენილია საცხოვრებელ-სამეურნეო ბანური შენობები, აგებული ალიზით, რიყის ქვის საფუძველზე. ერთ ბეღელში (შემდეგ მარნად გადაკეთებულში) მრავლად აღმოჩნდა დანახშირებული რბილი ხორბალი; სხვაგან — დიდრონი დერგები (ერთში — ქართლური ჯიშის ყურძნის წიპწები), რკინის ჯაჭვის პერანგი, მახვილის ნატეხი; სხვაგან — სპილენძის საოჯახო ჭურჭლეულის განძი. კერამიკა (ქვევრი, დოქი, ხელადა, ჯამი, ქოთანი და სხვ.) ჩამოჰგავს V—VI საუკუნისას, მაგრამ ახალ სახეებსაც შეიცავს; ანტიკური გადმონაშთები აღარ იგრძნობა. ერთ ქვევრზე სამი ხუცური ასოა „ქჰე“, ერთ დოქზე — „სე“ (პატრონის სახელი?). არავითარი ნაშთი მოჭიქული კერამიკისა არ ჩანს, ასეთი ჭურჭელი ხომ სწორედ VIII საუკუნის შემდგომ ვრცელდება, ხოლო უფრო ადრინდელი ჯერჯერობით მხოლოდ თბილისსა და უჯარმაშია აღნიშნული. გამოვლენილი მარნების (13—15 ქვევრი) სიმრავლე მოწმობს მევენახეობის მნიშვნელობას ქალაქის ცხოვრებაში.

მურვან ყრუს თარეშს საბოლოოდ უმსხვერპლია ურბნისიც. გადარჩენილი ნაწილი V საუკუნის დიდი სამნავიანი ბაზილიკური ტაძრის ირგვლივ მიყუჟულა, ხოლო შემდგომ სოფლად ქცეულა. ასეთივე ვითარება ჩანს მცხეთაში. ჯერ არაბობისა და შემდგომ თურქ-სელჩუკობის მძიმე ხვედრს, ეტყობა, ხელი შეუშლია ამ ორი ქალაქის კვლავ წამოდგომისათვის და მცხეთას თუ თბილისი შენაცვლებია, ურბნისს — ჯერ უფლისციხე (IX—X სს) და მერე კი გორი.

ნასახლართა სტრატიგრაფიას შეესაბამება ურბნისის თავდაცვითი სისტემის ისტორიაც [30]. იგი, ალიზით ამოყვანილი (პერიმეტრით ორიოდე კილომეტრი), 23 ჰექტარ ვაკე ადგილს შემოფარგლავს და, ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში არსებული, დროთა ვითარებაში საგრძნობლად არის სახეცვლილი. მას ჰქონია მცირე შიდაციხეც („ხიზანაანთ გორა“), სადაც ზედა 4 ფენა ადრეფეოდალურ ხანას ეკუთვნის. ალიზის ერთი გოდოლისებრი მრავალსენაკიანი ბანური ნაგებობა VI საუკუნის მეორე ნახევარში არის ამოყვანილი. ქალაქის გალავნისაგან შემორჩენილ ნაწილში (300 მ) 6 გოდოლი იყო. ამ ზღუდე-გოდოლთა აგებასაც VI საუკუნის მეორე ნახევარს მიაწერენ. კუთხის გოდოლი დიდია, ექვსსენაკიანი, გოდოლებს აქვთ სარკმელ-საჭვრეტები და სასროლები, რომლებიც ერთიმეორეს სავალით უკავშირდებოდნენ. ჭიშკარი ორგან უნდა ყოფილიყო.

სადავოდ რჩება ზღუდის გარეთა თხრილისა და მიწაყრილის და აგრეთვე მათი ხნოვანების საკითხი, არ არის მთლად უარსაყოფი აზრი, რომ ისინი VIII საუკუნეზე უფრო ადრინდელია და რომ ირგვლივ თხრილში საჭიროებისას ლიახვიდან გადმოღებული რუს წყალი („რუისი“) იქნებოდა შეშვებული.

საერთოდ კი, ურბნისის სიმაგრე შედარებით კარგად შენახულა და აღნა-

გობითაც სწორუპოვარი ჩანს საქართველოში. ზოგი რამით იგი მოგვაგონებს აგრეთვე ვაკეზე მდებარე კუხეთის რუსთავს, მაგრამ მკაფიოდ გამოირჩევა მისგან იმით, რომ მთელ ქალაქს მოიცავს.

გამოქვაბული ქალაქი უ ფ ლ ი ს ც ი ხ ე როგორც ციხე-ქალაქი, ურბნისის შორიახლოს და მხარდამხარ არსებობს ანტიკური ხანის წიაღიდან ვიდრე ადრეფეოდალური ხანის ბოლომდე. VIII საუკუნიდან იგი თითქოს ენაცვლება ურბნისს და IX—X საუკუნეებში ხომ კიდევაც პირველობს ქართლში (დედაქალაქივითაა მუსლიმთა მიერ თბილისის დაპყრობის გამო). თხრამ გამოარკვია, რომ ამ ანტიკურ ქალაქში შუაფეოდალურ ხანაშიაც კი არ ჩამკვდარა სიცოცხლე, ჩვეულებრივი მშენებლობა და ქვაბთა კვეთაც კი, ხოლო ადრეფეოდალურში — მით უმეტეს. ამას მოწმობს იმ დროისათვის მისაკუთვნებელი (არქეოლოგიურად) ქვაბთა ჯგუფები და ნაგებობანი, პირველთა მკაფიო ნიმუშია ადრინდელი, ორსვეტიანი დარბაზის მქონე სასახლის გვერდით გამოკვეთილი სამნავიანი ბაზილიკა, რომლის ფართობი 400 კვ მეტრს უახლოვდება [248]. შესაძლოა, მის ადგილას ძველი ქვაბებიც იყო, მაგრამ დასახელებული საყდარი ნამდვილად გამოირჩევა ადრეფეოდალური ხანისათვის დამახასიათებელი ელემენტებით, რომლებიც უნიკალური ჩანს. მაგრამ დროთა გასვლის შემდეგ ის ქვაბსაყდარი ვეღარ დააკმაყოფილებდა უფლისციხელთა მოთხოვნილებას და IX—X საუკუნეებში მის ახლოს (ჩანს, ძველ ქვაბთა ნანგრევზე) აგურით ა უ შ ე ნ ე ბ ი ა თ სამნავიანი ბაზილიკა. იმავე ხანებში უნდა იყოს აგურითვე გამაგრებული შუა ქალაქის დასაცავი ზღუდე. გამთხრელი ორთავე საყდარს VI—VII საუკუნეებს მიაკუთვნებს [249], მაგრამ ეს ნაკლებ დამაჯერებელია.

აქვეა აგრეთვე ადრეფეოდალური ხანის კიდევ რამდენიმე სხვა შენობისა და ქვაბის (ზოგჯერ — ხელახლა გამოყენებულ-გამართულის) ნაშთები, მათ შორის გვაქვს მარნები და ბეღლებიც.

ბოლო დროს ჩვენში დაწინაურებულმა ნ ა ს ო ფ ლ ა რ თ ა არქეოლოგიამ უმთავრესად უფრო შინაარსიანი, შუაფეოდალური ხანის ძეგლები გამოგვიმჟღავნა, მაგრამ ორ ადგილას აქაც ჩავდივართ ადრეფეოდალურ ხანაში.

ერთია თბილის-სამგორის გზაზე, ლ ო ჭ ი ნ ი ს ხევის თავს მდებარე ზეგანზე შემთხვევით აღმოჩენილი ნასოფლარი, რომელშიც ორი შენობის ნაშთი გაითხარა. ეს ყოფილა მომცრო, სწორკუთხოვანი, ნატეხი ქვითა და თიხით ნაშენი სახლები. მათ ნანგრევებში მოიკრიბა რამდენიმე მოუჭიქავი თიხის ჭურჭელი (უკვე ეს იყო ძეგლთა ადრინდელობის ნიშანი!) და ერთიც თიხისავე საბავშვო ჩანჩხურა. ჭურჭელში ნაპოვნია ნამდვილად ადრეული შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელი პატარა, წაბლისფერპრიალა ხელადა, რომელზეც გამოწვის შემდგომ ორი ხუცური ასოა ამოჭრილი [250; 251, 378—379].

ბორჯომის მიდამოები, თ ო რ ი ს ა და ლ ი კ ა ნ ი ს ნასოფლარებში (მტკვარს გაღმა-გამოღმა) ორგზის გაითხარა და გამოვლინდა ნამდვილად ადრეფეოდალური ხანის შენობათა ნანგრევები, რომელთაც მეტ-ნაკლებ დამახასიათებელი კერამიკა თუ სხვა მასალა ახლავთ [251, გვ. 379].

ამ ნასოფლარებში ყველგან არის ძველი საყდრის ნანგრევები და ეს აძლიერებს დათარიღებას. შესწავლილი სოფლები შედარებით მშვიდობიანად მიუტოვებიათ, მათი განადგურება არ ჩანს და ამიტომ შემორჩენილი ნივთებიც

ცოტაა. ის კი ეტყობა, რომ კერამიკაში მოჭიქული არ გამოერევა და მოუჭიქავში კი ადრეული სახეები გამოიცნობა. სახლთა აღნაგობა, ერთი შეხედვით არქაულია და. თუმცა მთლიანად ქვით არის ნაშენი, თვალნათლივ ჩანს მიბაძვა ხის ერდო-გვირგვინიანი დარბაზებისა. ეს კი ქვით მშენებლობისათვის უნიკალურად უნდა ჩაითვალოს.

განსაკუთრებული ადგილი უჭირავს განსახილველ ძეგლთა შორის მინის წარმოების ნაშთებს, რომლებიც ო რ ბ ე თ შ ი (ძველი მანგლისის ქვეყანა) [252; 226; 123] გაითხარა. ეს არის შუა საუკუნეთა საქართველოს საწარმოო არქეოლოგიის ერთი საუკეთესო, შინაარსიანი ძეგლი.

მინის სალღობი ქურა, ანუ თაკარა, ჩაქცეულ-ნაკლული აღმოჩნდა, მაგრამ მრავლად შემორჩენილი ნაწარმის ხარისხი ცხადყოფს, რომ თაკარაც და ტექნოლოგიაც მაღალ დონეზე ყოფილა გამართული. ნაწარმის არქეოლოგიური პარალელიზაცია და აღმოჩენილი არაბული მონეტა სახელოსნოს VIII ან IX საუკუნის დასაწყისისათვის მიგვაკუთვნებინებს. ესოდენ ძველ მინის საწარმოს არ იცნობს მსოფლიო არქეოლოგია. იგი უნიკალურია და შედარებით დაწვრილებითი დახასიათების ღირსი.

სახელოსნოს ფრიად მრავალგვარი „საწარმოო პროფილი" ჰქონია. იქ უკეთებიათ: ნაირფერადი მინის ჭურჭელი, სამაჯურები, ბეჭდები, სამოზაიკო კენჭები და აგრეთვე სასარკმელე მინა. ჭურჭელში წარმოდგენილია სანელსაცხებლეები ,სასმისები და ბოთლებიც კი. სასმისები არის სქელიცა და თხელიც, ძაფებითა და რელიეფური სახეებით შემკულიც, მინანქრის საღებავით მოხატულიც (პირველად საქართველოში!), ობსიდიანის დანით ამოღარული სახეებით დამშვენებულიც და ა. შ. გასაოცარი ნაირ-ნაირობა ჩანს მინის ფერში, სხვადასხვაგვარი სპილენძის, კობალტისა და რკინის გამოყენების წყალობით (წითელი, ლურჯი, ცისფერი, მწვანე, შავი, თეთრი, ყვითელი, ორფერი და სხვ.). მინის ხარისხი ნამდვილად კარგია: ჩანს, ხელოსნებს საუცხოოდ ემარჯვებოდათ კაზმის შემზადება, სასურველი ფერის მინიჭება და გამოლღობა. წითელი და ჭრელი მინა პირველად აქ გვხვდება საქართველოში.

ნაირფერადი და ნაირსახოვანია ბეჭდებიცა და სამაჯურებიც. აღსანიშნავია, რომ სამარხეულ ინვენტარში (სამთავროში) მინის ბეჭდები VII—VIII საუკუნეებში გვხვდება და, მაშასადამე, მაშინ შემოდის ჩვენებურ ქალთა სამკაულში. მინის სამაჯურები კი კარგა ხანს მხოლოდ XI—XIII საუკუნეთა კუთვნილებად ითვლებოდა, ორბეთში კი VII—IX საუკუნეებში უკვე მრავლად უწარმოებიათ, რაც რუსთავის ზოგიერთ ადრეულ სამარხშიც არის აღნიშნული. ამრიგად, შუა საუკუნეთა მინის სამკაულის რაგვარობისა და გავრცელების დროის დადგენის მხრივაც ორბეთის განათხარი ახალ სიტყვას გვეუბნება.

სრულიად იგივე ითქმის სასარკმლე მინის თაობაზე. უეჭველია, რომ ამ კარგად მოწყობილსა და ყოველმხრივ მაღალ დონეზე მომუშავე სახელოსნოში ჯეროვანი ხარისხის ბრტყელი, მწვანე თუ ყვითელი, მინაც უკეთებიათ — განსაკუთრებული დანიშნულების მქონე შენობათა სარკმლებში ჩასასმელად. უწინ განათხარებში ასეთი მინის ნატეხები მხოლოდ შუაფეოდალური ხანის ძეგლებთან, უფრო სასახლეებთან, ჩანდა ხოლმე. „ზეზე მდგარ ძეგლთაგან კი მხოლოდ შრომის ტაძრის (VII ს.) სარკმელებში ჩარჩენილა მწვანე მინის ნატეხები. ეს ორი გარემოება ცხადყოფს, რომ დიდრონ, საზეიმო ნაგებობათა

ყოველმხრივ გამართვა-დამშვენებისათვის ყოველნაირი მასალა უმზადებიათ ჩვენს სახელოსნოებს, ადრეფეოდალური ხანის მეორე ნახევრიდან მაინც, მანამდე თუ არა.

ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ტაძართა ისეთი სამკაული, როგორიც არის კედლებისა და იატაკის მოზაიკური მოხატულობა. შუა საუკუნეთა საქართველოში მოზაიკას „სოფიის კენჭი" (ერთი ვარიანტით „ს ე ფ ი ს კ ე ნ ჭ ი"!) ერქვა და ერთხანს კიდევაც ეგონათ, რომ თვით „კენჭებიც" კი, მოხატვის წესთან ერთად, ბიზანტიიდან მოდიოდა. ახლა კი ცხადი ხდება, რომ ეს ნაირფერადი, გაუმჭვირვალე მინოვანი ნივთიერება, რომელსაც სმალტა ეწოდება, ორბეთისა და, ჩანს, აგრეთვე სხვა სოფლების სახელოსნოებშიც უკეთებიათ. სწორედ მისგან ჩამოსხმული პატარ-პატარა, პრიალა პარალელოპიპედებისაგან შედგებოდა მოზაიკური ნახატი.

ბიჭვინტის V ს. ტაძრის ნაშთის განათხარმა გამოგვივლინა ნაირ-ფერადი კირქვის წვრილი ნატეხებისაგან შედგენილი მოზაიკა, ხოლო საგანგებოდ მინისაგან გამომლღვარ მრავალფერ დეტალებს პირველად ორბეთში ვხედავთ. უფლება გვეძლევა განცხადებისა, რომ ორბეთის ან მის მსგავს (უფრო ადრინდელ თუ მერმინდელ) საწარმოებში ყოფილა დამზადებული იმ მოზაიკათა კენჭები, რომლებიც ცნობილია დღემდე შემორჩენილ ტაძრებში: მცხეთის მცირე ჯვრის (VI ს. მეორე ნახ.), შორეთის, წრომისა (VII ს.) და გელათისა (XII ს.). მთავარი ისაა, რომ მტკიცე საწარმოო და მხატვრული ტრადიცია გასდევს მთელ ადრეფეოდალურსა და შემდეგ შუაფეოდალურ ხანასაც. ორბეთის სახელოსნო ერთი ყველაზე უფრო მეტყველი და ჯერჯერობით ერთადერთი არქეოლოგიურად შესწავლილი რგოლია ამ ჯაჭვისა. ცალკე აღსანიშნავია ზედმიწევნით მსგავსება წრომის მოზაიკის კენჭებისა (მეტადრე ოქროფერილისა) ორბეთულ კენჭებთან, რაც გვაფიქრებინებს, რომ ეგებ სწორედ ორბეთში (ქვემო ქართლში) ყოფილა (ოღონდ შესწავლილ სახელოსნოზე ბევრად ადრე არსებულში) ნაკეთები ის დეტალები, რომლითაც შეუდგენიათ მოზაიკური ნახატი წრომში( შიდა ქართლი). ეს კიდევ ერთი მოწმობაა ამ ქვეყნებს შორის მჭიდრო ურთიერთობისა VII საუკუნისათვის.

დასასრულ, ხაზგასასმელია, რომ ორბეთულის დიდად მსგავსი სასმისები და ბეჭდები აღმოჩენილია ჩრდილო კავკასიის (უფრო ოსეთის და აგრეთვე დარიალის ხეობის) „ალანურ" და ქართულ სამარხებში, რომლებიც თერგის შუა დინებაზეა გათხრილი. არ არის გამორიცხული, რომ ეს ნივთები აქედან, და სწორედ ორბეთიდან, იყოს ჩრდილოეთით გაზიდული. ეს კი ბევრად უფრო შორეულ ეკონომიურ ურთიერთობასა და კულტურულ გავლენას მოასწავებს (ისევე როგორც დაღესტანში „გაყონილი" მცხეთური საკინძები, იხ. ზემოთ), არაბობის ხანაში.

დ ა ს ა ვ ლ ე თ  ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი მხოლოდ ამ ბოლო დროს დაწინაურდა ნამოსახლარი ძეგლების არქეოლოგიური გათხრა-შესწავლის საქმე, თორემ კარგა ხანს ნოქალაქევის მცირე განათხარის ამარა ვიყავით. სადღეისოდ იქ მხოლოდ ციხე-ქალაქების თხრაა დაწყებული. ჩვენთვის ამჟამად ყურადსაღები ხანაც სათანადო განათხარებში მხოლოდ ერთ-ერთი ფენით არის წარმოდგენილი. ერთი თავისებურება ისაა, რომ თითქმის ყველა ციხე-ქალაქი მეტ-ნაკლებ აღწერილი და დახასიათებული აქვთ ბიზანტიელ მწერლებს, უმ-

თავრესად იმის გამო, რომ ის ქვეყანა — ეგრისი ანუ ლაზიკა — ხანგრძლივ იყო ადრეული ბიზანტიისა და სასანური სპარსეთის ომიანობის ასპარეზი და, გარდა ამისა, თვით ბიზანტიას ჰქონდა მუდმივი პოლიტიკური ინტერესები თუ გავლენა ლაზიკაში და მისი მოხელეები იქაურობას თავისთავად აღწერდნენ. ამ მასალების მიხედვით ადრევე, იმ მხარის არქეოლოგიური კვლევა-ძიების გაშლამდე, შეიქმნა მიმოხილვითი ნარკვევი [253].

მდ. ტეხურზე, შუა სამეგრელოში მდებარე ნოქალაქევი (ბიზანტიელ ავტორთა „არქეოპოლისი"), როგორც ითქვა, ყოფილა გვიანანტიკურ ხანაში აგებული ციხე-ქალაქი, ეგრისის, ანუ ლაზიკის სამეფოს ცენტრი IV—VII საუკუნეთა მანძილზე და ბერძნული, მეორადი სახელწოდების („ძველი ყოფილი ქალაქი") გარდა მას უნდა მიერგოს პირველადი „ციხე-გოჯი" („ქუჯის ციხე"), რომელიც ვახუშტის ცნობით („სამზღუდიანი ქალაქი") ელინისტურ ხანაში აუშენებიათ და ბევრ სხვა ციხე-ქალაქთან ერთად VIII საუკუნეში მურვან-ყრუს გაუნადგურებია.

ნოქალაქევის გამთხრელთა ვარაუდით [37] ეს ციხე-ქალაქი, ანტიკური ხანიდან მოყოლებული, არაერთგზის არის ზღუდეშემოვლებული. გალავანს რამდენიმე ჭიშკარი ჰქონია, შიგ კი მდგარა ორი მკვიდრი შენობა (მათგან ერთი — სასახლე), კრამიტით დახურული ხის ნაგებობანი. მერე ზღუდეში გოდოლები შეუშენებიათ და ჯერ დიდი ციხე აუგიათ, შემდეგ კი საყდარი. აღმოჩენილი მონეტების განძის მიხედვით ეს მომხდარა VI საუკუნეში, პირვანდელი გალავანი კი IV საუკუნისაა და მცირე ციხე-დარბაზს უნდა მიეკუთვნებოდეს. მოპოვებული კერამიკა ზოგადად IV—VIII საუკუნისად არის ჩათვლილი.

ახლახან ეგრისის ძეგლთა ხელახლა შესწავლისა და, კერძოდ, ამ ძეგლის ნაწილების გადასინჯვის ცდის [200] მიხედვით (რომელიც, ნივთიერი მონაპოვრის მიუწვდომლობის გამო, მარტოოდენ ისტორიული ცნობების ანალიზს ემყარება), უძველესი, ჯერაც ანტიკური იერის თავდაცვითი ნაშენობა III—IV საუკუნეებს უნდა მიეკუთვნოს. ქვედა ციხის უძველესი ზღუდე დაქცეული ჩანს VI საუკუნის შუა ხანებამდე. მის მაგიერ აუგიათ, იმ საუკუნის 50-იანი წლების შემდგომ, ორმაგი კედელი. ზედა ციხეს კი შემორჩენია ძველი ზღუდეები, რომლებიც მურვან ყრუს დრომდე ემსახურებოდა მას.

პროკოპი კესარიელის მიხედვით, არქეოპოლისი „ლაზების უპირველესი და უმნიშვნელოვანესი ქალაქი" ყოფილა და ამიტომ ვერ ჩაითვლება ბიზანტიელთა ბაზად თუ ნაშენად სპარსელებთან ომიანობასთან დაკავშირებით, რაც მხოლოდ VI საუკუნეში დაიწყო.

ახლანდელ აფხაზეთში მდებარე ბიჭვინტა (ბერძნ. „პიტიუნტი", „პიტიუსი") არსებითად გვიანანტიკური დროის მნიშვნელოვანი ზღვისპირა და ბერძენ-რომაელთაგან დიდად „დავალებული" და გამოყენებული ციხე-ქალაქი, VI საუკუნემდე განაგრძობს სისხლსავსე ცხოვრებას, მერე კი კნინდება, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანი სამოსახლოა და თანაც ბიჭვინტელი ეპისკოპოსის საჯდომი ტაძრის მქონე.

ნაქალაქარის განათხართა [254] შორის ყველაზე უფრო ყურადსაღებია სამნავიანი ბაზილიკა, რომლის ნაშთებშიც გამოირჩევა ორი ფენა: V—VI და VII საუკუნეებისა. ეს ტაძარი VIII საუკუნეში უქმდება და სამარხავად იქცევა, ხოლო ზედ შენდება მცირე ტაძარი, მოშორებით კი — ახალი, დიდი.

V—VI და VII საუკუნეთა გადაკეთებ-ნაშენობის მომასწავებელი ძეგლები და რიგითი არქეოლოგიური მონაპოვარი (კერამიკა, კერძოდ, წითელლაკიანი და სხვ.) ხშირად არის გამოვლენილი ვრცელი, გალავნიანი ნაქალაქარის სხვადასხვა უბანზე [255; 256].

ერთ უბანზე, ზღვის ნაპირას, გათხრილია საქართველო-კავკასიისათვის უჩვეულო ალნაგობის საყდრის ძირა ნაწილი, რომელშიც ჩანს ორი ერთნაირი მომრგვალო აბსიდა. ეს ტაძარი აგებულია არაუადრეს VI საუკუნისა და დანგრეულა XI საუკუნის მეორე ნახევარში. ამ ძეგლს ანალოგია მოეძებნება მხოლოდ მცირე აზიაში (IV—VI სს.) და ესეც ერთი იმ გარემოებათაგანია, რომლებიც საქართველოს ზღვისპირა რაიონებში უცხოური გავლენის სიძლიერეს მოასწავებენ (ისევე როგორც თიხის ჭურჭელში სიჭარბე იმპორტული წითელლაკიანი კერამიკისა და ა. შ.) [257].

შესაძლო ხდება დასკვნა, რომ ჰუნების გამანადგურებელი ლაშქრობა ბიჭვინტასაც მისწვდომია. იგი ძირფესვიანად აუოხრებია და ამიტომაა, რომ V საუკუნის კულტურული ფენა თითქმის არ მოიპოვება. გამონაკლისია მხოლოდ ამ საუკუნის მეორე ნახევრის 11 მონეტა.

V საუკუნის პირველ მესამედში, როდესაც ბიზანტია ცდილობს კვლავ განავრცოს თავისი უფლება შავი ზღვის სანაპიროზე, ბიჭვინტაშიც იწყება აღორძინება, მაგრამ ახლა იგი უფრო ციხესიმაგრეა, ვიდრე ქალაქი და, შესაბამისად, არქეოლოგიურ მონაპოვარსაც ბევრად ნაკლებს გვაძლევს. ოღონდ აღსანიშნავია გამოცოცხლების მაუწყებელი მომრავლება ამ საუკუნის მონეტებისა: ნაპოვნია 77 ცალი მონეტა. მათგან 55 ერთ განძს შეადგენდა [258]. იმ დროისაა ზემოაღნიშნული მცირე ტაძარიც.

სპარსელებთან ომის გაცხოველებისას ბიჭვინტას თვით ბიზანტიელები ანგრევენ (VI ს. 40 იან წლებში) და ეგებ მას შემდეგ ეპატრონებიან მას აფხაზთა მთავრები. კონსტანტინე აბაზგის ბეჭდის (VII ს. მეორე ნახ.) მიხედვით თუ ვიმსჯელებთ. ბიზანტიელები აღდგენა-მშენებლობას სებასტოპოლისშიდა (სოხუმი) აწარმოებენ [255; 256].

მაგრამ სოხუმის ნაქალაქარში ჯერჯერობით არსად გამოვლენილა V საუკუნის მომდევნო დროის მნიშვნელოვანი კულტურული ფენა [259].

ა ხ ა ლ ა თ ო ნ შ ი (ანაკოფიაში). „ივერიისად" წოდებულ მაღალ მთაზე შემორჩენილი მძლავრი ციხე-ქალაქის ნაშთების თხრის [260] შედეგად გაირკვა, რომ ჯერ კიდევ გვიანელინისტური ხანიდან მჯდარა იქ საერთაშორისო-საეპრო ურთიერთობაში ჩაბმული მოსახლეობა, მაგრამ ცხოვრება უმეტესად VII—XII საუკუნეებში ჩქეფს. ამ ხანაში უშენებიათ ფერდობზე, „სიმაგრის მეორე ხაზის" ფარგლებში, უმთავრესად ხის, მაგრამ აგრეთვე ქვითკირისა და აგურის, კრამიტით დახურული სახლები. ამასთანავე, უცხოვრიათ გოდოლებშიც, რომლებიც კრამიტითვე ყოფილა გადახურული. „მეორე ხაზი" „მკვიდრთა მიერ აშენებულად ითვლება, ვინაიდან სათანადო საოჯახო კერამიკა ნამდვილად ადგილობრივია. აქვეა აღსანიშნავი საკირის აღმოჩენაც. გოდოლებს შიგნით თხრისას გამოვლენილ სამ ფენაში შუათანა მიეკუთვნება VIII—IX საუკუნეებს (ამ დროს იქ ნაწილობრივი ნგრევა-აღდგენა ხდება), ქვედა კი — VII საუკუნეს.

ზღვისპირა საქართველოს ერთი უძველესი ქალაქი, ფ ო თ ი (ანტიკურ

მწერალთა „ფაზისი“) შუა საუკუნეებშიც ინარჩუნებს მნიშვნელობას, მაგრამ ამ ხანის ფენები იქ ჯერ მცირედ არის არქეოლოგიურად გამოვლენილი. ერთი მცირე განათხარია მის ჩრდილო გარეუბან ყულევში [261], რომელიც არხებით უკავშირდება ზღვასაც და სამიწათმოქმედო უბნებსაც. განათხარის უახლესი ფენა ეკუთვნის ადრეფეოდალურ ხანას და წარმოდგენილია ორი შენობის ნაშთებით (ქვითკირის საძირკველი, აგურის კედლები, მარმარილოსა და კერამიკული ფილებისაგან შემდგარი პერანგი), რომელთა შორისაც მოკრებილია ნიშნიანი აგურები (ეს ნიშნები ქართულ ასოთა მსგავსია) და კერამიკული საბეჭდავი. ნაპოვნია ალბათ სარკმლის თხელი მინის მრავალი ნატეხიც.

სამხრეთ-დასავლეთ განაპირას მდებარე გონიოს (ბერძ. „აფსაროსის“) ნაქალაქარი [262; 263] მხოლოდ მოსინჯულია საცდელი თხრილებით და მისი ხნოვანება უკვე საკმაოდ ღრმად არის „გადაწეული“ ანტიკურ ხანაში. გარკვეულია, რომ ჭოროხის ზღვასთან, შესართავის მახლობლად, ვაკე ადგილას ფართოდ მოზღუდვილი ციხე შიგნით კარგად ყოფილა მოწყობილ-გამართული. ახ. წ. პირველ საუკუნეთა ფენის შემდგომ მოდის შუა საუკუნეთა ფენები, რომლებშიც გამოირჩევა ერთი, VII—X საუკუნეთა: იგი ადგილობრივი, მოუჭიქავი კერამიკისა და ცოტაოდენი სინოპური იმპორტის შემცველია. მინის მცირერიცხოვან ნაწარმში გამოერევა IV—VIII საუკუნეებისათვის დამახასიათებელი (ბიჭვინტის, სოხუმის და სხვ. ანალოგიების მიხედვით) პატარა სასმისებიც. ამრიგად, შესაძლოა მსჯელობა იმის თაობაზე, რომ აღნიშნულ საუკუნეთა მანძილზე გონიოს ციხე-ქალაქში ცხოვრება საკმაოდ ინტენსიური ყოფილა.

ახლახან დაიწყო ბათუმში შემორჩენილი თამარის ციხისა და აჭარის ციხისძირის (ბერძ. „პეტრას“) ნანგრევთა თხრა. ციხისძირში, როგორც ვიცით, უკვე გამოვლინდა სამნავიანი, შესანიშნავი ქვათლილებით შემოსილი ბაზილიკისა და აგრეთვე აბანოს ნაშთები. ნაქალაქარის სხვა უბანშიც (ბობოყვათს) იჩინა თავი სამნავიანმა ბაზილიკამ, რომელსაც თან ახლავს ქვის სვეტისთავი, მარმარილოს სვეტის ნატეხები, „ბოლნურ-ჯვრიანი“ ქვა. ქვიანი მოზაიკის ნაშთები, მინის ჭურჭელი, კერამიკული (უმთავრესად სამშენებლო) ნაწარმი და სხვ. ბობოყვათის ტაძარი აუგიათ VI საუკუნეში, შიდაციხის ბაზილიკის, აბანოსა და სხვა შენობათა დანგრევის შემდგომ [201].

ზღვიდან საკმაოდ დაშორებით, გურიის წინა ქედების ზოლში მდებარე ვაშნარის ნანგრევთა თხრამ [11, 154—156] საკმაოდ მეტყველი „ქალაქური“ ნაშთები გამოავლინა. დამაჯერებლად არ მიგვაჩნია ვაშნარის ციხექალაქობის უარყოფისა და „გამაგრებულ მონასტრად“ გამოცხადების ცდა [264].

ციხე-ქალაქი გაშენებული ყოფილა ორი მოზრდილი მდინარის შესართავთან, მაღალ და ვიწრო ზეგან-კონცხზე (ერთი ყველაზე უფრო გავრცელებული და ეფექტური ტიპია ძველი საქართველოს ციხე-ქალაქები). მას შემოვლებული ჰქონია ორმაგი ზღუდე ქვითკირისა, თანაბარი, წესიერი კვადრებით შემოსილი (უჯარმის ციხე-დარბაზის მსგავსად!). შიდა კედელში ყოველ 40 მეტრზე გოდოლები ყოფილა დატანებული.

გალავნის შიგნით მდგარ ნაგებობათაგან გაითხარა ქვითკირის, ქვით მოსილი ტაძრისა და მცირე სამლოცველოს ნანგრევები. ტაძარი გამოდგა სამნავიანი ბაზილიკა. ხუთწახნაგოვანი (ბიჭვინტურის მსგავსი) აბსიდისა და მარმარილოთი შემოსილი საკურთხევლის მქონე. შიგ აღმოჩნდა სანათლავი და წარჩი-

ნებულ პირთა (?!) სამარხავი. გამოვლინდა ქალაქის კარგად ნაკეთები კერამიკული წყალსადენი, რომელიც ზოგან კედლის ძირშია ჩაფლული. მოპოვებულ იქნა თიხისა და მინის ჭურჭლის ნატეხები.

საერთოდ, გათხრილი კომპლექსი თარიღდება V—VIII, ხოლო საკუთრივ ტაძრები —V—VI საუკუნეებით. ეს უკანასკნელნი იმდენად კარგ შენობებს წარმოადგენენ, რომ სავსებით ამოუდგებიან მხარში ბიჭვინტაში გათხრილ ძველ ტაძრებს, რომლებიც მართლაც შეიძლება ჩაითვალოს, როგორც აკადემიკოსი ნ. ბერძენიშვილი ვარაუდობდა, ეგრისში შემავალი ერთ-ერთი მოზრდილი ქვეყნის (მერმინდელი გურიის) ცენტრადქცეული ქალაქის დამამშვენებლად. ნაგებობათა მხატვრული იერი, სამშენებლო კერამიკისა (კრამიტის, აგურის, მილების) და კირის ხარისხი, პერანგის კვადრების დამუშავება, მარმარილოს „სამოსელი", აგრეთვე ზღუდეში შემავალი წყალსადენიცა და კერამიკანარევი წყალგამძლე იატაკებიც კულტურის, სახელდობრ, სამშენებლო ხელოვნებისა და ტექნიკის განვითარების ისეთ მაღალ დონეს მოწმობს, რომ ეს ძეგლი ერთ-ერთ თვალსაჩინო მოწმობად გამოდგება ეგრის-ლაზიკის ყოველმხრივი დაწინაურებისა.

შენების ტექნიკისა და არქიტექტურის ზოგიერთი ელემენტი რომაულ-ბიზანტიურ გავლენას მიგვანიშნებს, ისევე როგორც (თუმცა კი ნაკლებ) ბიჭვინტაში, ციხისძირ-პეტრაში, ქართლის საზღვართან მდგარ შორაპანსა და სხვ. ესაა opus mixtum-ი (აგურის ფენათა გამორევა ქვის წყობაში), ხუთკუთხიანი აბსიდა, „აკანთის" სახეები, „ვოლუტები" სვეტის თავებზე და სხვ.

მეორე მხრივ კი, ქალაქის ზღუდისა და შენობათა პერანგის თანაბარკვადროვანი, ჰორიზონტალურად წესიერი წყობა იმეორებს ქართლის აღმოსავლეთ განაპირას მდგარი უჯარმის ციხე-დარბაზისა და რამდენიმე შორიახლოს მდგარი ძეგლის წყობას, რომელთაც ჩვენ პირობით „უჯარმულს" ან „გორგასლურს" ვუწოდებთ და რომელთაც არ მოეპოვებათ ანალოგია არც საკუთრივ ბიზანტიურსა და არც ეგრისში იქაური გავლენით ნაშენ ძეგლებში. ეს კი ეგრისისა და ქართლის მჭიდრო კულტურული ურთიერთობის ერთ ნიშნად უნდა მივიჩნიოთ.

გურიის დაბლობ ნაწილში, შ უ ხ უ თ შ ი აღმოჩნდა და გაითხარა საკმაოდ რთული და კარგად ნაშენი აბანოს ნაშთი. მას ჰქონია კეთილხარისხოვანი, ორნამენტიანი, ქვაკენჭური მოზაიკური იატაკი. ძეგლი VI საუკუნით თარიღდება [265]. ეს უკვე მესამე შემთხვევაა ბიჭვინტასა და ციხისძირ-ბობოყვათის შემდეგ დასავლეთ საქართველოში ამონათხარ ნაგებობებში მოზაიკური იატაკის აღმოჩენისა. ეტყობა, ასეთი მოხატულობა საკმაოდ გავრცელებული ყოფილა V—VI საუკუნეთა ეგრისში.

იმერეთის მიწა-წყალზე მრავლად არის დადგენილი და წინასწარვეა აღწერილი ადრეფეოდალური ხანის ციხე-ქალაქთა ნაშთები [196]. ორ მათგანს — ს კ ა ნ დ ა ს ა და შ ო რ ა პ ა ნ ს მცირე დაზვერვითი თხრაც კი შეეხო [197]. მესამის, ვ ა რ დ ც ი ხ ი ს (ბერძნ. „როდოპოლისის") ციხის ნანგრევის თხრა კი 1968 წელს დაიწყო და უკვე გამოინაკვთა ძეგლის ისტორია და არქეოლოგიური სტრატიგრაფია, რომელიც წერილობით ცნობებზე უფრო სრულია. გვიანფეოდალური ხანის ზღუდის ქვეშ თავი იჩინა ადრეფეოდალური ხანის შენობამ (მერმინდელი ზღუდე ზედ უვლის მის ნაშთს), რომელშიც დამახასია-

თებელი, მოუჭიქავი კერამიკა ამოვიდა. აქვეა მოჭიქული კერამიკის შემცველი, შუაფეოდალური ხანის ფენა და სულ ძველი, გვიანანტიკური კერამიკისა (ნაწილობრივ იმპორტულის). მესხეთიდან გადმომავალი უმნიშვნელოვანესი გზის შესაყარზე აგებულ ამ ციხე-ქალაქს ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და მისი არქეოლოგიური შესწავლა უთუოდ ნაყოფიერი იქნება.

## II. ყოფა-კულტურის ზოგადი მონახაზი

ზემოთ განხილული არქეოლოგიური წყაროები — ძეგლები და განათხარები (სხვა ეპოქებთან შედარებით ჯერაც ნაკლებად წარმოდგენილნი), ჩვენი აზრით, საკმაოდ ფენენ სინათლეს იმ წინსვლით პროცესს, რომელიც მიმდინარეობდა ჩვენთვის საინტერესო ხანაში.

უპირველესი ზოგადი დაკვირვება და შთაბეჭდილება ისაა, რომ ყოფისა და კულტურის განვითარება არსებითად ჩვეული, ლოგიკური გზით მიმდინარეობს; IV—V საუკუნეთა ძიების შედეგად ბუნებრივ შემუშავებული ფორმებია გავრცელებული და შემდგომ განვითარებული. ისევე როგორც წინარე ხანაში, უცხოური იერი გადაჰკრავს ყოფა-კულტურის ძეგლებს ზღვისპირა საქართველოში, ოღონდ უშუალოდ სანაპირო ზოლში. ესა თუ ის გავლენა ეტყობა კულტურის ზოგ ფორმას ყველგან.

ადამიანთა (თითქმის მხოლოდ რიგითი ან რამდენიმე დაწინაურებულ პირთა) ჩ ა ც მ უ ლ ო ბ ი ს ა და შ ე მ კ უ ლ ო ბ ი ს არსებითი ცვლილება არსად შეიმჩნევა წინარე (IV—V სს.) ხანასთან შედარებით. ამას გვაფიქრებინებს იმავე ლითონის მშვილდსაკინძების, ღეროვანი საკინძების, აბზინდებისა და შესაბნევის ლითონის დეტალების გავრცელებულობა სამარხეულ ინვენტარში. საგანგებოდ აღსანიშნავია, რომ მშვილდსაკინძები IX—X საუკუნეებში გვხვდება (მაგ., ხევში). ახლა უფრო მკაფიოდ გამოსჭვივის, თუ რა დიდმნიშვნელოვანი ფუნქცია ჰქონია დაკისრებული მარჯნის, ლაჟვარდის ან სხვაგვარი მასალის მქონე ბრინჯაოსა თუ რკინის „მცხეთური ტიპის" საკინძების ერთ წყებას, რომელიც ნამდვილად დღემდე შემორჩენილ ქალთა საზეიმო თავსაბურავის („ლეჩაქ-ჩიხტიკოპის", „თავსაკრავის", „თავხურის") დასამაგრებელ და დასამშვენებელ თუ თმაში ჩასარჭობ სამკაულებს წარმოადგენენ. შესაძლოა საუბარი ჩრდილო კავკასიაში (მაგ., დაღესტანში) თვით საკინძთა თუ მათი ტიპის გადატანაზედაც. მათ სრულიად ვერა ვხედავთ დასავლეთ საქართველოს სამარხებში და შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რომ მაშინაც სხვანაირი, უქინძისთავო და უჩიხტიკოპო თავსაბურავები უტარებიათ ქალებს ეგრისში.

რაც შეეხება თმის დაყენებას, ზოგ სამარხზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ქალებს „ბულულად" უტარებიათ იგი და შიგ გრძელი, თავიანი საკინძები ჰქონიათ დასამშვენებლად ჩარჭობილი.

მცხეთის ზოგ სამარხში გამონაკლისის სახით შემორჩენილი ნაფლეთების მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ არცთუ დიდად გამორჩეული ოჯახების ქალებს, ალბათ ახალგაზრდებს, გარდა ჩვეულებრივი (ბევრგან დამოწმებული) სელისა თუ მატყლის სქელი ქსოვილებისა, საზეიმო შემთხვევებში (მიცვალებულებსაც!) სცმიათ ფერადი აბრეშუმის ქსოვილისაგან შეკერილი ფაქიზი სამოსელი და ნატის (საფიანის) თხელი და რბილი ტყავისაგან შეკერილი ფეხ-

საცმელი. ეს ნიშნავს, ამასთანავე, მცხეთაში (და ეგებ სხვაგანაც) მოხდენილი და საკმაოდ ძვირფასი ფეხსამოსის სახელოსნოების (გავიხსენოთ ოსტატი ე ვ ს ტ ა თ ე მ ც ხ ე თ ე ლ ი ძველი ქართული ლიტერატურის ცნობილი ძეგლიდან „ევსტათე მცხეთელის მარტვილობა"...) და აგრეთვე მათი ნაწარმის შემკვეთ-მყიდველთა ფართო წრეების არსებობას. დასასრულ, ამ გარემოებას მნიშვნელობა ენიჭება ჩვენში აბრეშუმის ადრევე (როგორც ვიცით, IV—V საუკუნეებიდანვე) გავრცელების დადგენის თვალსაზრისით.

დიდკაცობის საზეიმო ტანსაცმელ-ფეხსაცმლის რაგვარობის გასარკვევად არქეოლოგია ვერას გვეუბნება, მაგრამ, სამაგიეროდ,მათ შესახებ მსჯელობა შეგვიძლია მცხეთის ჯვრის VI—VII საუკუნეთა მიჯნის რელიეფებისა (ერისმთავრები, ხუროთმოძღვარი?) და ზოგიერთი ადრინდელი ფრესკის (დოდოს რქა გარეჯაში, ატენი, იშხანი და სხვ.) მიხედვით, უკვე განსახილველი ხანის მეორე ნახევარში.

სამკაული საკმაოდ უხვად არის წარმოდგენილი სამარხეულ ინვენტარში. გარდა უკვე ხსენებული ყოველნაირი საკინძებისა (ამ დროს ვრცელდება მარჯნისთავიანი!) და შესაბნევებისა, კვლავ გვაქვს ლითონის (ოქროსიც) ფარაკითა და გემმებით შემკული ბეჭდები; ჩნდება ქვისაგან თლილი ბეჭდები; მძივები (უწინდელზე ნაკლებია), უფრო პასტისა, ქვათაგან — სარდიონისა; სამაჯურები, საყურეები, ოქროს ინკრუსტაციული ბალთები და საკინძები. ერთ შემთხვევაში (არმაზისხევი) აღნიშნულია გასაოცარი მსგავსება ოქროს მოთვალული მრავალნაწილიანი საყურეებისა და გულსაკიდისა, იქვე II საუკუნის სამარხთაგან ცნობილ ასეთ სამკაულებთან (შემონახვა? მიწაში პოვნა და კვლავ გამოყენება?) გემმები ნამდვილად ადგილობრივ ნაკეთებ ბეჭდებშია გამოყენებული, მაგრამ ამ გამოსახულებაში ხშირად ვხედავთ ზოროასტრულ სიუჟეტებს, პერსონაჟებს და ფალაურ ასოებსაც კი. გვაქვს ცოტა რამ ბიზანტიური სამყაროდან მომდინარეც. ზოგჯერ სწორედ ბიზანტიური ლითონის ფულია გახვრეტილი და მძივებთან ერთად ყელსაბამზე აცმული.

კვლავ მცირერიცხოვანია ქრისტიანული სიმბოლოები, მაგრამ ეს, ცხადია, არ ნიშნავს იმას, რომ ქრისტიანობა არ იყო გავრცელებული. დასავლეთ საქართველოს სამარხებში სამოსელ-სამკაული წარმოდგენილია: ქარვისა და მინის მძივებით, სამაჯურებით, ბრინჯაოს ბეჭდებით (ზოგჯერ უკვე ფარაკიანით), მშვილდსაკინძებით, საკინძებით, საყურეებით, აბზინდებით. ნაპოვნია სარკე და პირსაფარეშო ხელსაწყოებიც (საფრჩხილე, ყურსაჩიჩქნი და სხვ.).

ზოგი რამ შეგვიძლია ვთქვათ მამაკაცთა საომარ-სანადირო აღჭურვილობის შესახებ (დასავლეთში — წებელდაში, საგვარჯილეში, ზღვისპირეთში ჯერაც სამარხებში ატანდნენ, აღმოსავლეთში კი მხოლოდ ერთ ნამოსახლარშია ნაპოვნი). ეს არის რკინის მახვილები, სატევრები, შუბები, ჯაჭვის პერანგი, ცულები, დანები და სხვ.

სამეურნეო-საოჯახოდ გამოყენებული ჰქონიათ ისევ და ისევ თიხის არცთუ დიდად კეთილხარისხოვანი ჭურჭელი და მინის ჭურჭელი, ზოგჯერ ტლანქი, ზოგჯერ მოხდენილი (მაგ., რუსთავში). ზოგ განათხარში წარმოდგენილია ქვევრები და დერგები.

სოფლის მეურნეობას ქალაქადაც კი (მცხეთა, ურბნისი, კუხეთის რუსთავი, ჯავახეთის ახალქალაქი და ა. შ.) ძალიან დიდი ადგილი უკავია მოსახ-

ლეობის საქმიანობაში. საყოველთაოდ და მძლავრად არის წარმოდგენილი: მევენახეობა და მეღვინეობა — ახალქალაქის გარდა — რაც დასტურდება შემორჩენილი მარნებითა და ყურძნის წიპწებით, მემინდვრეობა (ნაპოვნია ბელლები, ორმოები) და ყოველნაირი მესაქონლეობა (შემონახულია ნასუფრალი ძვლები). საერთოდ კი მეურნეობის ეს დარგები ღონიერი ჩანს და შემდგომი განვითარების გზაზე მდგარი. საკმაოდ მკაფიოდ გვეხატება, მიუხედავად დამპყრობლების თარეშისა, ხელოსნობისა და, კერძოდ, მხატვრული ხელოსნობის ზოგიერთი დარგის მეტ-ნაკლებ მაღალი დონე. წინასწარვე კი შევნიშნავთ, რომ ზოგი რამ, მაგალითად, თიხის ჭურჭლის კეთება, კარგა ხანს მ ხ ა ტ ვ რ უ ლ ა დ საერთოდ კვლავ დაქვეითებული ჩანს. ამ მხრივ გრძელდება იგივე ვითარება, რაც IV—V საუკუნეებსა თუ თვით ანტიკურ ხანაშიც კი იგრძნობა. ოღონდ ეს, რასაკვირველია, სრულიად არ არის დამახასიათებელი მარტოოდენ ქართული ქვეყნებისათვის, საყოველთაო ჩანს, მეტადრე იმ ბრწყინვალე ნაწარმთან შედარებით, რომელიც წინარე, ანტიკურ ხანას მოსდგამს. ჩვენ თავის დროზე გვქონდა საშუალება ამის ერთ-ერთ მიზეზად ის დაგვესახელებინა, რომ ანტიკურ ხანაში წინ გამოდის ლითონისა და მინის ჭურჭელი, რომელიც ჩრდილავს თიხისას [119, გვ. 354].

ამ, ადრევე წამოყენებულ დაკვირვებას სავსებით იზიარებენ ჩვენებური ადრეფეოდალური ხანის კერამიკის მკვლევრები, რომლებიც აღნიშნავენ სახეობათა ერთფეროვნებას, საერთოდ, „გაღარიბებას" და აცხადებენ, რომ მცირერიცხოვანი, საუკეთესო (არასამზარეულო და სამეურნეო) თიხის ჭურჭლის მხატვრული ღირსებაც კი არსებითად მოყვანილობაში, ზედაპირის დამუშავებასა და ფერში გამოიხატება; ორნამენტი მარტივი და ერთგვარია. „გაღარიბების" მთავარ მიზეზად მიიჩნევენ მეურნეობის ნატურალიზაციას, ფეოდალურ კარჩაკეტილობას და აგრეთვე იმას, რომ სოფლის მეურნეობისა და კერძოდ, მევენახეობის განვითარებამ მოითხოვა ერთგვაროვანი ნაწარმი და მაშასადამე ასეთივე ტექნოლოგია [266, 83, 85—87].

აღნიშნულია აგრეთვე ერთი ყურადსაღები მოვლენა: აღმოსავლურ-ქართული კერამიკა, საერთოდ, გვიანანტიკური ტრადიციებით მოსაზრდოვე კერამიკისაგან განსხვავებით, თავისებურ, ძველ ტექნიკურ ტრადიციაზე (გაპრიალება და სხვ.) დამყარებით ეხმაურება ამ საყოველთაო მიდრეკილებას. თავისთავადი ჩანს სამზარეულო-სამეურნეო კერამიკა. ისიც აღსანიშნავია, რომ დიდი სიახლოვე იგრძნობა აღმოსავლურსა და დასავლურ-ქართულ კერამიკაში მოყვანილობის, ორნამენტისა და კეცის დამუშავების მხრივ. ნაწილობრივი მსგავსებაა სომხურ-აზერბაიჯანულთან და ერთგვარი — ჩრდილოკავკასიურთან.

სათუნე წარმოების უშუალოდ მანიშნებელი ნაშთები ჯერჯერობით ურბნისში ჩანს მხოლოდ (ისიც — ქურა არა), მაგრამ, უეჭველია, რომ ყველა ქალაქსა და ეგებ ბევრ დაბაშიც არის საგულისხმებელი სახელოსნოები.

აღსანიშნავია ქართული მცირე წარწერების (ზოგჯერ მხოლოდ ცალკეული ასოების) სიმრავლე თიხის ნაირ-ნაირ ჭურჭელზე (ეს მოსახლეობის ფართო წიგნიერების მომასწავებელიც არის).

შედარებით უფრო ლაზათიანია მოჭიქული თიხის ნაწარმი, უმთავრესად ჯამები. მაგრამ ისინი დ ა ნ ა მ დ ვ ი ლ ე ბ ი თ ყველგან მხოლოდ IX—X საუკუნეებში გვევლინებიან და ტექნიკურად თუ მხატვრულად ღირსეულნიც

არიან. რაც შეეხება V—VIII საუკუნეთა მოჭიქულ კერამიკას, იგი ჯერ მხოლოდ თბილისის ერთ განათხარშია გამოყოფილი, ხოლო პირობითად ჩანს აგრეთვე უჯარმის გორგასლისეულ ფენაში (იქაც უანგობოა!), სხვაგან კი არსად გვხვდება, რაც რამდენადმე ჩრდილს აყენებს ადრეულად მიჩნეულ „ჭიქურთა" გამოყოფის მართებულობას. მოჭიქული ჭამ-ჭურჭლის წარმოების დიდი გაფურჩქვნა XI—XIII საუკუნეებში ჩანს ჩვენში, ხოლო ადრეფეოდალური ხანის მეორე ნახევარში უკვე ძლიერი „ფესვებით" არის წარმოდგენილი და ხალხის ყოფაში ღრმადაა შეჭრილი (მანამდე კი თითო-ოროლაა). საერთოდ ხომ მისი წამოწევა და ფართოდ გავრცელება საბოლოოდ ისლამურ კულტურას უკავშირდება, ხოლო თუ წინაისლამური მართლაც დამტკიცდება ჩვენში, ეს დიდად მნიშვნელოვანი გარემოება იქნება.

ადრეფეოდალური ხანის ქართლში მინის წარმოებას — თანდათან უფრო მომძლავრებულსა და დახვეწილს — გვიმოწმებს, ჯერ ერთი, დიდძალი სამარხეული მასალა (უმთავრესად მცხეთის სამაროვნებიდან მომდინარე), და მეორეც, თვით საწარმოს ნაშთი (ორბეთში), რომელიც ზემოთ დაწვრილებითა გვაქვს აღწერილი როგორც უნიკალური ძეგლი და მეცნიერული ინფორმაციის წყარო [252].

აქაც სავსებით გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ მინის თითქმის ყველანაირი ნაწარმი ფართოდ არის ერის ყოფაში შეჭრილი, საოჯახოც, დაკრძალვის რიტუალთან დაკავშირებულიც („საცრემლეები", ანუ „სანელსაცხებლები", რომელთაც ზოგჯერ — მაგ., რუსთავში, ნამოსახლარშიც ვხვდებით ხოლმე) და სამკაულიც, კერძოდ, ბეჭდები (ჯერ კიდევ გვიანანტიკური ხანიდან მოკიდებული) და სამაჯურები (პირველად ჩნდება VII—VIII საუკუნეებში, ხოლო ყველგან „მოზღვავდება" — მაგ., რუსთავისაგან განსხვავებით, სოფლებშიც — XI—XIII საუკუნეებში).

VI—VIII საუკუნეებში უკვე მოთავებულია სანელსაცხებლეების ფორმათა ძიების ის „ციებ-ცხელება", რომელიც IV—V საუკუნეებში ოცზე მეტ ტიპს წარმოქმნის; ხდება მათი სტაბილიზაცია, და სულ 3—4 ტიპიღა გამოიყოფა. თან არავითარი ეჭვი არაა, რომ უკვე ნამდვილად საკუთარი, ან ძლიერ „გაშინაურებული" ფორმები გვაქვს და ზოგ მათგანს მოენახება კიდეც პროტოტიპი ჩვენებურ, გვიანანტიკურ ოქროს ფლაკონებში. მინის ხარისხი საკმაოდ კარგია, ტექნოლოგია — ჯეროვან დონეზე მდგარი. ცალკე კვლავ ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ მცხეთაში იმხანად ნამუშევარი ერთი მინის მბერავი ოსტატი თავისი ხელობის აღმნიშვნელი ინვენტარის (ორმოციოდე სანელსაცხებლისა და საბურავი მილის) თანხლებით დაუკრძალავთ. ეს ყოფის დამახასიათებელიც არის, თვით ხელოსანთა ცხოვრებასა და შრომის დადასტურებაზე რომ აღარა ითქვას რა. გარდა მცხეთისა, იმდროინდელი წარმოება შეგვიძლია ვივარაუდოთ ურბნისშიც და რუსთავშიც... დასავლეთ საქართველოში სხვა ვითარებაა და, კერძოდ, ბიზანტიაში თუ შემოზიდული არა, უცხოურის (ბიზანტიურის) მიხედვით ნაკეთები მაინც უნდა იყოს ჭურჭელი.

ორბეთის საწარმო ყოველმხრივ მოწიფულად გვევლინება და მინის არც ერთი შესაძლო სახეობა არ არის მის საქმიანობაში გამორჩენილი: ჭურჭლეული, სასარკმლე მინა, სამოზაიკო კენჭები, თვალთა მინაბაძები, სამკაული. ეს კი მოხმარების ყველა სათანადო სარბიელს მიგვანიშნებს. კერძოდ, ტაძრე-

ბისათვის მოზაიკა ჩვენშივე უკეთებიათ, ოქრომჭედლური ნაწარმისათვის მინის თვლები უხმარიათ (ზოგჯერ მაინც), შენობების (ცხადია, გამორჩეული მნიშვნელობის მქონეთა) სარკმელებში კარგი მინა ჩაუსვამთ, სასმისად მინის თასები და სხვ. უხმარიათ და ა. შ. (სამკაულზე უკვე გვქონდა საუბარი). ასე ერთბაშად ეფინება შუქი ყოფისა და კულტურის რამდენსამე მხარეს ერთი შინაარსიანი არქეოლოგიური ძეგლის წყალობით. თანაც, ვინ იცის, ორბეთულის მსგავს რამდენ სახელოსნოს უმუშავნია ქართულ ქვეყნებში და ისიც VIII—IX „არაბობის" საუკუნეებში?! მეტიც ითქმის: ორბეთის, ან მისი მსგავსი, სახელოსნოს ზოგიერთი ნაწარმი (მაგ., თასები და ბეჭდები) საქართველოს გარეთაც უზიდავთ: ხევზე რომ აღარა ითქვას რა, ჩრდილო ოსეთშიც ჩანს ისინი უხვად. მაშასადამე, მინის ნაწარმი საალებმიცემო საქონლადაც ყოფილა.

საიუველირო საქმეზე, ოქრომჭედლობასა და ლითონდამუშავებაზე არქეოლოგია ბევრს ვერას გვეუბნება, გარდა იმისა, რომ ერთიც გრძელდება და მეორეც. ოღონდ ვიცით მხოლოდ მასობრივი, ხალხის ფართო მასებისათვის განკუთვნილი სამკაული, რომელიც ნამდვილად ადგილობრივ ცენტრებშია (იმავე მცხეთაში და სხვ.) ნაკეთები. სამარხეულ ინვენტარში მათი ოდენობა თანდათან კლებულობს (მეტადრე IV—V საუკუნეებთან შედარებით, უფრო ადრინდელზე რომ აღარა ითქვას რა). მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ისინი ნაკლებ გამოიყენებოდა. აქაც დიდად ყურადსაღები ფაქტია სამთავროში დაკრძალული „ოქრომჭედელ-იუველირის", ანდა ეგებ „მეკერმის" სამარხში ძირითადი ხელსაწყო (სასწორი, საწონები) და გამოთლილ-ნაჭრევი რამდენიმე თვალიც არის ჩატანებული. ადრეფეოდალური ხანის ოქრო-ვერცხლის ხატები, ჯვრები და საეკლესიო ჭურჭელიც კარგად არის ცნობილი.

მხატვრული ხელოსნობის დანარჩენი დარგების შესახებ არქეოლოგიური განათხარების მიხედვით აღარა გვეთქმის. საერთოდ კი უნდა დავასკვნათ, რომ ეს ხელოსნობა ერთ-ერთი არსებითი წყაროა ქართული ქვეყნებისა და მეტადრე მათი ქალაქების ეკონომიური პოტენციალისა, რომლის საკმაო სიდიდე მიუხედავად ომიანობა-დაპყრობისა უეჭველად ჩანს.

რაკი სიტყვამ მოიტანა, აქვე განმეორებით გავიხსენებთ, რომ არც ბიზანტიის, არც ირანის, არც არაბების მოძალადეობას არ მოუხდენია წამლეკავი თუ დამშრეტავი გავლენა ქართული ქვეყნების სამეურნეო-კულტურულ ვითარებაზე. ან, თუ ერთი მხარე ზარალდებოდა და ჩამორჩებოდა, სხვანი წინაურდებოდნენ ხოლმე. გამონაკლისს წარმოადგენს, რა თქმა უნდა, მურვან ყრუს ლაშქრობა, რომელმაც წელში გატეხა და სულაც ძირს დასცა რამდენიმე ძველი „ტრადიციული" ქალაქი, მაგრამ მათი მაგივრობაც სხვებმა იკისრეს. ხაზგასასმელია, რომ არაბობა არ, ანდა ვ ე რ ახდენს გავლენას ჩვენს კულტურაზე. ასეთი რამ იგრძნობა ტრადიციულად უფრო ირანისა თუ ბიზანტიის მხრივ ქართლშიც და ეგრისშიც, ოღონდ, ისიც საკმაოდ „ვიწრო დასპეციალებით" (გემმათა გავრცელება, ზოგი სამკაული, ფალაურწარწერიანი თუ ბერძნულწარწერიანი ნივთები — რუსთავსა და მცხეთაშიც კი — და ა. შ.). ზღვისპირა საქართველოში კი ბიზანტიის გავლენა, ცხადია, ბევრად მეტია და ძლიერი.

ორიოდე სიტყვის თქმა შეგვიძლია მშენებლობის ტექნიკის შესახებ (იმ ეპოქის დიდად საინტერესო ხუროთმოძღვრება ამ ნარკვევის ფარგლებს სცილ-

დება და ამიტომ ცალკეა განხილული). ზოგ ნაქალაქარში გათხრილი ნაგებობანი — ციხე-ტაძართა გარდაც — გაცილებით უფრო მკვიდრი, დიდი და კარგად დაკუთხული ქვითა და კირის ან გაჯის დუღაბით ნაშენი ჩანს, ვიდრე, ვთქვათ, შუაფეოდალური ხანის რიგით სამოსახლოთა დიდი უმეტესობა (სადაც გამოიყენება რიყის ან ნატეხი ქვა, თიხა). შესაძლოა, აქაც უფრო ანტიკური ხანის გადმონაშთებთან გვქონდეს ჯერაც საქმე? (მით უმეტეს, რომ ეს ჩვენი პერიოდის პირველ ნახევარში ჩანს). თუმცა არის „პარაზიტულად", ნარევი მასალითა და თიხით, ან ჩვეულებრივი ნატეხი ქვითა და თიხით ამოყვანილი შენობებიც. ცალკე აღსანიშნავია ხის გვირგვინიანი დარბაზების მიბაძვით ქვით ნაშენი სოფლური სახლები, მიკვლეული თორსა და ლიკანში.

ცნობილია, რომ თვით მშენებლობის ორგანიზაცია და ცალკეული სამუშაოები შესანიშნავად, უნიკალურად არის ასახული ადრეფეოდალური ხანის მიწურულის ორი ძეგლის — ოშკისა და ქოროღოს საყდართა წარწერებსა და რელიეფებში.

ამ ნარკვევში განხილული სათანადო ძეგლები (სამარხები, საკულტო შენობები) პირწმინდად ქრისტიანულია და სრულიად არ აირეკლავს მაზდეანობისა და ისლამის გავლენას, თუმცა წმინდა ქრისტიანული სიმბოლოები კვლავ ცოტა გვხვდება. ამ პერიოდის ბოლოს ჩნდება ქართული ეპიტაფიები (ბოლნისში). ხაზგასმით ითქმის ეს დაკრძალვის წესზედაც, მიუხედავად იმისა, რომ იმ ხანაში, გარდა ტრადიციული ორმოსამარხებისა (დას. საქართველოში) და ქვის სამარხებისა (აღმ. საქართველოში) ამა თუ იმ განაპირა მხარეში ახლებური აღნაგობის სამარხებიც ჩნდება (მაგ., თაღურად ამოშენებული რთული აკლდამები ქიზიყში და ჩუქურთმიანი ივრის სიონში). გამონაკლისს წარმოადგენს კრემაცია წებელდის სამაროვნებზე. მაგრამ, ჯერ ერთი, მათი ხნოვანება მხოლოდ VI საუკუნიდან იწყება (როდესაც მთელი დას. საქართველო საბოლოოდ გაქრისტიანდა და, მეორეც, იმ მთიან კუთხეში საერთოდ თავიდანვე რამდენიმენაირი წესი თანაარსებობს (მათ შორის ქრისტიანულიც). ჭეშმარიტად ქრისტიანულია საგვარჯილეს სამაროვნის დაკრძალვის წესიცა და, მეტადრე, ბრინჯაოს სამი ჯვრიანი ბეჭედი, რომლებიც ზემოთ დაწვრილებით განვიხილეთ. თუ ის სამარხები ეგრისის მთლიანად გაქრისტიანების დროს არ ეკუთვნის, მყუდრო ადგილას, ქვაბებში „მოფარებულ", მანამდე არსებულ რომელიღაც მცირე ქრისტიანულ თემს კი მიეწერება.

ქართული ქვეყნებისა და უფრო მცირე ერთეულების განუხრელად დაახლოება და „კულტურული გაერთმნიშვნელიანება" საკმაოდ თვალნათლივ გამოსჭვივის არქეოლოგიურ მასალებში. ეს აღსანიშნავია, მაგ., ისეთ დაშორიშორებულ კუთხეებში, როგორიც გურია და ივრის კახეთია, კერძოდ კი, ვაშნარისა და უჯარმის ციხე-ქალაქთა მშენებლობაში პერანგის ერთი და იმავე წყობის გამოყენება, თუმცა, მეორე მხრივ, ვაშნარში აგურის ფენებიც არის გამოყოფილი (ბიზანტ. opus mixtum), უჯარმაში კი არა. საერთოდ კი, აღმოსავლეთ საქართველოს უკიდურესი ნამოსახლარი, სადაც აგურის ფენებს ვხედავთ, ურბნისია. მეტადრე ნიშანდობლივია ქვემო ქართლისა და ხევის (და ჩრდ. ოსეთისაც კი) უმჭიდროესი ურთიერთობა თუნდაც ორბეთული ყაიდის მინის ნაწარმის იქ აღმოჩენის მიხედვით, აგრეთვე მცხეთისა და დაღესტნისა, ამ უკანასკნელში „მცხეთური" საკინძების აღმოჩენის მიხედვით. ეგრისის აღ-

მოსავლეთი ნაწილი და არგვეთი ხომ არქეოლოგიურად გაცილებით უფრო უახლოვდება ქართლს, ვიდრე ზღვისპირა მხარეს.

დასასრულ, სულ ორიოდე სიტყვა უნდა ითქვას განსახილველ ხანაში ქალაქთა „არქეოლოგიურ ისტორიაზე". ამ პერიოდის შუა ხანაში (VIII ს., მურვან ყრუ) საბოლოოდ ვეთხოვებით, როგორც ნამდვილ ქალაქებს, მცხეთას, ურბნისს და ციხე-გოჯს, ხოლო უფრო ადრე, VI საუკუნეში ისპობა ქალაქი ბიჭვინტა. ასეთ განადგურებას გადარჩენილან: თბილისი, უფლისციხე, დმანისი, უჯარმა, კუხეთის რუსთავი, ჟალეთი, თელავი. ჯერაც არაა ნამდვილი ციხე-ქალაქი ჯავახეთის ახალქალაქი და ალბათ კვეტერაც. ეტყობა, ვაშნარიც, შორაპანიც, სკანდეცა და ვარციხეც ადრეფეოდალურ ხანაშივე ამთავრებენ ქალაქობას. ხაზგასასმელია ქალაქთა გარეშე მდებარე და მომუშავე ისეთი მძლავრი საწარმოები, როგორიცაა მაგ., ორბეთის სახელოსნო („მანგლისის ქვეყანაში"). ისიც უნდა დავსძინოთ, რომ ადრეფეოდალური ხანის ნასოფლარები ჯერჯერობით მაინც ნაკლები გვეგულება, ვიდრე შუაფეოდალური ხანისა. ჩანს, მონღოლებისთანა მძიმე აოხრება და განადგურება ჩვენს სოფელს არ განუცდია, მაგ., მურვან ყრუს უფრო გამაგრებული ქალაქების დამხობა აინტერესებდა, ვიდრე სოფლებისა.

* * *

ასეთი რთული, ხშირად შეფერხებული და კვლავ წინმსვლელი პროცესის სახით მიმდინარეობს ქართული ქვეყნების სამეურნეო-კულტურული მომწიფება, მათი თანდათან დაახლოება და ურთიერთგამდიდრება ადრეფეოდალური ხანის ხუთ საუკუნეში. ვიმეორებთ, რომ ამ პროცესს ართულებს მრავალი ფრიად არახელსაყრელი საგარეო ფაქტორი — ომიანობა, ხანგრძლივი დაპყრობა და ა. შ. მაგრამ მთავარი ისაა, რომ ძველი, სალი ტრადიციებით მოსაზრდოვე, თავისთავადი და თან გარდუვალ უცხოურ გავლენათა შემოქმედებრივ ამთვისებელი ქართული კულტურა ასეთ ხლართშიც იგნებს გზას და ამ პერიოდის მიწურულში სავსებით მზად არის იმისათვის, რომ ქართული ქვეყნების პოლიტიკურ გაერთიანებას ხელი შეუწყოს, რათა შემდგომ ახალი ძალით გაიფურჩქნოს.

## მეოთხე თავი

# საქართველოს კულტურა და ყოფა XI–XIII საუკუნეებში

### I. წყარო-ძეგლების მიმოხილვა

საქართველოს ფეოდალური სახელმწიფოს უდიდესი დაწინაურების ეს ხანა, „რუსთაველის ეპოქა“ ჩვენს განათხარებში საკმაოდ თვალნათლივ და მრავალფეროვანად არის წარმოდგენილი. შეიძლება ითქვას, რომ ქართულ არქეოლოგიაში იგი ერთი ყველაზე უკეთესად გაშუქებული პერიოდთაგანია.

იმდროინდელი არქეოლოგიური ძეგლების გათხრა-გამოვლინება იწყება ივ. ჯავახიშვილის თაოსნობით, 1936—1939 წლებში („ვეფხისტყაოსნის“ 750 წლის იუბილესთან დაკავშირებით) [267] და ახლდება 1948 წლიდან, თანდათან მზარდი გაქანებით.

სადღეისოდ ჩვენს ხელთ იმყოფება დიდძალი ნივთიერი მასალა, მრავლად გათხრილი ძეგლები და ისევე მრავლად გამოქვეყნებული მეცნიერული ნაკვლევები თუ ანგარიშები. უკვე ხერხდება შეჯამება და განზოგადება. შეგვიძლია ჩვენი მიზნის შესაფერისი სურათის მოხატვაც ვცადოთ. ოღონდ უნდა აღინიშნოს, რომ დასავლეთ საქართველო ამ სურათში დღესდღეობით ჯერაც ძალიან მკრთალად ჩანს

ა) ნ ა ქ ა ლ ა ქ ა რ ე ბ ი კარგადა გვაქვს შესწავლილი აღმოსავლეთსა და სამხრეთ საქართველოში. მათგან პირველი იყო ქვემო ქართლის, სამხრეთი საქართველოს განაპირას მდებარე, აწ გაუდაბურებული დ მ ა ნ ი ს ი (ტაბ. XXI). იგი მდგარა მაშავერთან (ფინეზაურის შერთვის ადგილას), გრძელ მაღალ ზეგანზე; წარმოადგენდა საკმაოდ მძლავრსა და მიუდგომელ ციხე-ქალაქს. შიგ ქართველებს გარდა სომხები და მუსლიმებიც ცხოვრობდნენ. სომხეთში (ანისში) და იქიდან ირანს მომავალ, ერთ-ერთ უძველეს და უმნიშვნელოვანეს სავაჭრო გზაზე მდებარეობა ხელს უწყობდა და დმანისი, გარდა ადმინისტრაციულ-სტრატეგიული მნიშვნელობისა, ცხოველი სახელოსნო და სავაჭრო ცენტრიც ყოფილა. ეს ქრისტიანულ-მუსლიმური ქალაქი ტიპიურია საქართველო-ამიერკავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთისათვის. ქალაქად იგი VI საუკუნიდან გვიან შუასაუკუნეებამდე ჩანს, მაგრამ მისი აყვავება მოდის სწორედ საქართველოს ისტორიის კლასიკურ, შუაფეოდალურ ხანაზე (XI—XIII სს.)— მონეტების სიმრავლის მიხედვითაც. ნაქალაქარი ითხრებოდა 1936—37 წლებში (შ. რუსთაველისა და მისი ეპოქის მუზეუმის მიერ, ივ. ჯავახიშვილის საერთო და ლ. მუსხელიშვილის უშუალო ხელმძღვანელობით) [240; 241; 268; 269; 270; 243; 242] და კვლავ ითხრება 1960 წელს აქეთ (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახ. მუზეუმის მიერ ვ. ჯაფარიძის ხელმძღვანელობით). გათხრილია დედაციხეში და მის გარეთ მდგარი საცხოვრებელი, სამეურნეო, სავაჭრო, ჰიგიე-

ნურ-სანიტარულ და სხვა ნაგებობათა ნანგრევები; აღმოჩენილია ქართული საყდრის, მეჩეთის, კერამიკული საწარმოს და სხვ. ნაშთები: გათხრილია ქართული, ინვენტარიანი სამაროვანი; შესწავლილია მუსლიმური სასაფლაოს წარწერიანი ქვები (XIII—XIV სს.) და ა. შ. პირველად იმ ნაქალაქარში გამოვლინდა უხვად და გასაოცრადაც კი შუაფეოდალური ხანის მხატვრული მოჭიქული კერამიკა (ტაბ. XXII), თავდაპირველად ამის გამო „დმანურადაც" კი წოდებული) და მინის საგნები; აღმოჩნდა დმანისის მანამდე უცნობ ზარაფხანაში მონღოლების დროს დავით ნარინის სახელით მოჭრილი მონეტები და სხვ.

კ უ ხ ე თ ი ს რ უ ს თ ა ვ შ ი 1944 წლიდან დაიწყო მუშაობა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის... ინსტიტუტმა. არქეოლოგიურ თხრას ხარვეზებით 1965 წლამდე ეწეოდნენ და კვლავაც განაგრძობენ. პირველი კამპანიები უფრო ახალი ქალაქის მშენებლობის მეთვალყურეობისა და მცირე დაზვერვით სამუშაოს წარმოადგენდა და ლიტერატურაშიც უშუალოდ თითქმის არ ასახულა [271; 272]. 1949 წლიდან თხრა თანდათან გაფართოვდა და სადღეისოდ შუა საუკუნეთა ნაქალაქარიცა და მოზრდილი, საინტერესო ნაციხვარიც საკმაოდ არის შესწავლილი (გ. ლომთათიძის ხელთმძღვანელობით) [273; 151; 274; 181; 275: 276; 277]. ირკვევა, რომ ლ. მროველის განცხადების წინააღმდეგ, ანტიკურ (კერძოდ, ელინისტურ ხანაში) იქ ციხე-ქალაქი არ არის საგულისხმებელი და ჯერჯერობით არანაირი სამოსახლო არ ჩანს ძვ. წ. VII—VI ს-ზე უფრო ახალი, IV—V ს-მდე, როდესაც ციხეც შენდება და მის შიგნითა და გარეთ საცხოვრებელი და საკულტო ნაგებობანიც. XI—XIII საუკუნეები, არაბობა-სელჯუკობის შემდეგ, აქაც ქალაქის უდიდესი აყვავების ხანაა. მაგრამ 1265 წელს მონღოლები მას ანადგურებენ (ეს ფრიად თვალნათლივ ჩანს განათხარში) და შემდეგ იგი სოფლად იქცევა. XVII საუკუნის მიწურულში მცირე ხნით მაჰმადიანი მეფის ნაზარალი-ხანის რეზიდენცია ეწყობა ნაციხვარზე. გათხრილია ათეულობით სახლისა და თანმხლები დამხმარე ნაგებობის დამწვარი ნაშთები, რომელთა შორის მოპოვებულია დიდძალი ნაირ-ნაირი ყოფითი ინვენტარი (უმთავრესად კერამიკა, მინა), მონეტები და სხვ. (ტაბ. XXIII—XXV). ყოველივე ამის მიხედვით ხერხდება XI და XII—XIII სს. ფენათა გამოყოფა, რაც ახალი მომენტია ნაქალაქართა არქეოლოგიაში. გაითხარა საკმაოდ მრავალრიცხოვანი ინვენტარის შემცველი ქართული სამაროვანი, XII—XIII სს. (ეს იშვიათია) და აღმოჩნდა რამდენიმე ქართული უძველესი ეპიტაფია. კუხეთის რუსთავის უმდიდრესი განათხარი იქცა ერთ-ერთ მთავარ საყრდენად შუაფეოდალური საქართველოს ქალაქთა არქეოლოგიისა, დმანისის შემდგომ. მეტადრე მკაფიოდ გამოსჭვივის გათხრების მიხედვით მოქალაქეთა ყოფა-ცხოვრება, საქმიანობა და ზოგჯერ ტრაგიკული აღსასრული. ისევე როგორც დმანისში, აქაც გამოვლინდა არქეოლოგიურად საკმაოდ მძლავრი ხელოსნური წარმოება (თიხის ჩვეულებრივი და მოჭიქული ჯამ-ჭურჭლისა და ფაიანსისაც კი, მინის ჭურჭლისა და სამაჯურებისა და სხვ.), საკუთარი მხატვრულ-ტექნიკური სკოლები და სხვ.

ძ ვ ე ლ თ ბ ი ლ ი ს შ ი ც უკვე საკმაოდ შინაარსიანი რამდენიმე განათხარი გვაქვს, შემთხვევით მონაპოვრებზე [278; 270] რომ აღარა ითქვას რა. 1948/49 წლებში 300 არაგაველის ბაღის გაფართოებისას (იმ ადგილს უმართე-

ზულოდ უწოდეს „განჯისკარი") გამოვლენილი ნაშთები გათხარა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის... ინსტიტუტის ექსპედიციამ (საცდელი თხრა ჩაატარა ო. ჯაფარიძემ [279], უფრო საფუძვლიანი — გ. ლომთათიძემ [280; 281; 282; 232; 283; 10; 184]). და იქ ძალიან თვალნათლივ იქნა წარმოჩენილი მძლავრი საწარმოო კომპლექსი (სათუნე და მინის სახელოსნოები), რომლის შესახებ დაწვრილებით ქვემოთ გვექნება საუბარი. აქ მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ ეს მნიშვნელოვანი ძეგლი XII—XIII და უფრო კი XIII საუკუნეს მიეკუთვნება, რომ იგი მტრის ხელით, ერთი დაკვრით არის განადგურებული (მასალა თბილისის ისტორიისათვის) და რომ მის განათხარს უკვე რამდენიმე სხვა ნაშრომიც მიეძღვნა, გარდა აქ დამოწმებულისა [284; 285]. ვიტყვით იმასაც, რომ ის სახელოსნოები ქალაქის ზღუდეზე იყო მიშენებული და ამრიგად ეს უკანასკნელიც, შუაფეოდალური ხანისაა. ჩათრეულია ძეგლთა ამ კომპლექსში და მისი ეს ხნოვანება დამაჯერებლად ირკვევა. ქალაქის ტოპოგრაფიისათვისაც აქვს ამას მნიშვნელობა.

ერეკლე მეორის მოედანზე (სიონსა და ანჩისხატს შორის) 1956—1957 წლებში ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის... ინსტიტუტმა და თბილისის მუზეუმმა (ი. გძელიშვილი ,ო. ტყეშელაშვილი) ნაყოფიერად გათხარეს და გადახსნეს შუა საუკუნეთა თითქმის მთელი პერიოდის შესაბამისი ღრმა ჭრილი, რომელშიც ჯეროვანი ადგილი ეკავა შუაფეოდალური ხანის ფენასაც. იგი წარმოდგენილი იყო იმ დროისათვის დამახასიათებელი მოჭიქული თიხის ჯამ-ჭურჭლით (რომლის სანიმუშო, მრავალფეროვანი ასორტიმენტი უკვე კარგად იყო ცნობილი ზემოაღწერილი განათხარის მიხედვით) და აგრეთვე სათუნე წარმოების მცირეოდენი ნაშთებით [182].

1966—67 წლებში ჩატარდა ორი არქეოლოგიური კამპანია თბილისის დედაციხეზე (ტაბ. XXVI) და ამით დაიწყო ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის... ინსტიტუტისა და თბილისის მუზეუმის გაერთიანებული ექსპედიციის მუშაობა შუა საუკუნეთა დედაქალაქის ამ უმნიშვნელოვანესი ძეგლის გათხრა-შესწავლაზე [185; 186; 286; 287; 276]. ჯერჯერობით გამოვლენილი ნაშთების დიდი უმეტესობა გვიანფეოდალურ ხანას ეკუთვნის, მაგრამ, ჯერ ერთი, მონაპოვარში უკვე დანამდვილებით გამოიყო შუაფეოდალური ხანისათვის მისაკუთვნებელი მოჭიქული თუ მოუჭიქავი თიხის ჭურჭელი (შედარებით მცირერიცხოვანი), ხოლო ზოგი ნაგებობის ნაშთებს შორის გამოიცნობა თავდაპირველი, აღნიშნული დროის ჩონჩხისა თუ ფენისა. მთავარი კი მაინც ის იყო, რომ 1966 წელსავე გამოვლინდა დიდი, ქვათლილებით შემოსილი და უხვად მოჩუქურთმებული, ოდესღაც ფრესკიანი ტაძრის ნაშთი, რომელიც XII—XIII და უფრო კი XIV საუკუნეს მიეკუთვნა და ძალიან მსგავსი გამოდგა მტკვარგაღმა მდებარე მეტეხის ტაძრისა (XIV ს. მეორე ნახევარი). შუაფეოდალური ხანის სხვა ძეგლებისა და ნაშთების უფრო მრავლად აღმოჩენა მომავალი მუშაობის საქმეა.

თელავში 1962 წლიდან წარმოებს ცოტ-ცოტა თხრა (ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის... ინსტიტუტის ექსპედიციის მიერ გ. ლომთათიძის საერთო ხელმძღვანელობით) და სადღეისოდ არქეოლოგიურად ყველაზე ყურადსაღები თავჩენილი ძეგლები სწორედ შუაფეოდალური ხანისაა [235; 288, გვ. 141—150; 236] ეს არის, უპირველეს ყოვლისა, თელავის უძველესი (X—XI სს. კვირიკე დიდის აგებული) ციხე, ახლა „ძველგალავნად" წოდებული. მის შიგ-

ნით, მერმინდელ ნაშენობა-დანაფენების ქვეშ აღმოჩნდა (1968 წელს), დიდი, მკვიდრი სწორკუთხოვანი, გარედან ბურჯებიანი შენობის ძირა ნაწილი (თითქმის საძირკველიდა), რომელიც კერამიკული მონაპოვრის მიხედვით შუაფეოდალურ ხანას ეკუთვნის და საკმაოდ დამაჯერებლად შეიძლება ჯერ კიდევ დამოუკიდებელი კახეთის მეფე კვირიკეს მიერვე აშენებულ და შემდეგ უკვე გაერთიანებულ საქართველოში შესული ქვეყნის მესვეურთა მიერ გამოყენებულ სასახლედ ჩაითვალოს, მხოლოდ მოსინჯული ეს შენობა ბოლომდე გათხრა-გამოვლენის ღირსია.

ჯერჯერობით არქეოლოგიურად უფრო შინაარსიანი გამოდგა განათხარი „ძველგალავნის" შორიახლოს, სადაც, ჩანს, ხელოსანთა უბანი ყოფილა თავის დროზე. იყო უფრო ძველ ფენათა ნაშთებიც, მაგრამ ძირითადი მასალა აქაც, შუაფეოდალურ ხანას მიეკუთვნებოდა და წარმოდგენილი იყო ძალიან ტიპიური ასორტიმენტით: მოუჭიქავი და მოჭიქული ჯამ-ჭურჭლით, მინის სამაჯურებით და ა. შ. მათში გამოირჩეოდა საყოველთაო-ქართულ-ქალაქური ნაწარმი, ორიოდე აღმოსავლური იერის ჯამი და აგრეთვე თავისებური, ჩანს, თელავური ტიპის ნაწარმი. ეს მით უფრო ყურადსაღებია, რომ აღმოჩნდა სათუნე ქურის ნაშთები და მისი ნაწარმიც. ამიტომ პირობით „მეჭურჭლეთა უბანი" ეწოდა განათხარ ადგილს.

უ ჯ ა რ მ ა შ ი სამ წელიწადს (1950—1952 თითო თვეობით) აწარმოა თხრა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის... ინსტიტუტისა და თბილისის სახ. უნივერსიტეტის გაერთიანებულმა ექსპედიციამ (ხელმძღვან. აკად. ნ. ბერძენიშვილი, თხრის გამგებელი გ. ლომთათიძე) [81; 251; 276; 187]. საკუთრივ ნაქალაქარში თხრის გაშლა ვერ მოესწრო, მუშაობა მიმდინარეობდა ვახტანგ გორგასლისეულ ივრისპირა ციხე-დარბაზს შიგნით. თხრამ დაადასტურა ამ ძველი, ფრიად თავისებური ნაგებობის, X საუკუნეში არაბთაგან დანგრეულის, ძლიერ შესამჩნევი აღდგენა-გადაკეთება (ზედაციხეში), რაც სავსებით შეესატყვისება ისტორიულ ცნობას, რომლის მიხედვითაც იქ გიორგი მესამეს (XII ს.) მოჭარბებული სახელმწიფო ქონების საცავი მოუწყვია. სწორედ იმდროინდელი ფენაა ყველაზე მძლავრად წარმოდგენილი განათხარში (მოუჭიქავი და მოჭიქული კერამიკა, მინის ჭურჭელი, სამაჯურები და სხვ.) და საფიქრებელია, რომ სათანადო ნივთიერი მასალა შემოგვრჩენია საგანძურის მცველი მეციხოვნეებისა და მათი ოჯახების წევრთაგან. იმის ნიშნებიც კია, რომ უჯარმაშიც უკეთებიათ თიხის ჭურჭელი.

ივრის სიონში (უჯარმის ზემოთ), რომელიც ისტორიულ ყალეთს უნდა შეესატყვისებოდეს ნაწილობრივ მაინც, 1962 წელს ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის... ინსტიტუტის ექსპედიცია (რ. რამიშვილი) თხრიდა ვრცელსა და მრავალფეროვან სამაროვანს, თვალნათლივ ქალაქურ სამოსახლოსას — ინვენტარის მიხედვით. კერძოდ, მეტყველი ინვენტარით (კერამიკით, მინით) არის იქ წარმოდგენილი შუაფეოდალური ხანის სამარხები, რაც იმას მოასწავებს, რომ იმ ეპოქაშიც მნიშვნელოვანი ქალაქური სამოსახლო ყოფილა, ყალეთის ერთ უბანში მაინც [152].

ჯ ა ვ ა ხ ე თ ი ს ა ხ ა ლ ქ ა ლ ა ქ შ ი (ჯავახეთის მტკვრისა და ახალქალაქის წყლის შესართავთან) ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის... ინსტიტუტის ექსპედიციამ (გ. ლომთათიძის საერთო ხელმძღვანელობით) ორგზის, 1960 და

1968 წლებში გათხარა მიტოვებული ნაციხენაქალაქარი, ახლანდელი ქალაქის გვერდით [245; 289; 276; 290]. ისტორიული ცნობის მიხედვით, ციხე-ქალაქი (მდებარეობა — გეგმარებით დმანისისა და სამშვილდის მსგავსი) შემოზღუდული და, ჩანს, დაარსებულიც არის XI საუკუნეში, როდესაც იგი ჯავახეთის ცენტრად იქცევა და წუნდას ენაცვლება. თხრამ გამოავლინა უფრო ადრინდელ სამოსახლოთა ნაშთებიც და მერმინდელი, თურქულ-რუსული ოკუპაციის დროთა (XVI—XIX სს.) ნაგებობანიც გამოასხვავა, მაგრამ მთავარი და ყველაზე უფრო ყურადსაღები მაინც შუაფეოდალური ხანის ქალაქის ნაშთები გამოდგა: აქაც, როგორც ყველგან, იგი სამოსახლოს უდიდესი განვრცობა-აყვავების დროისა ჩანს, იმდროინდელია გალავნისა და გოდოლ-ბურჯების თავდაპირველი საუკეთესო ნაშენობა (ზოგი კარიბჭითურთ), შიდაციხის ასეთივე ნაშენობა და არქეოლოგიური მონაპოვრის უდიდესი და თან უმნიშვნელოვანესი ნაწილი. ეს უკანასკნელი წარმოდგენილია მოუჭიქავი და მოჭიქული თიხის ჯამჭურჭლით, მინის ნივთებით, მონეტებითა და ა. შ. თიხის ჭურჭლიდან გამოირჩევა თავისებურ-ახალქალაქური თუ საზოგადოდ მესხურ-ჯავახური სახეობა (პრიალაწარწერიანი) და საერთოდ ადგილობრივი წარმოებაა სავულისხმებელი. შეგვიძლია ვისაუბროთ სელისაგან ზეთის სახდელი წარმოების შესახებაც.

ნასოფლარები ის ჯგუფია ძეგლებისა, რომლებიც შედარებით გვიან შემოვიდა ჩვენი მეცნიერების ყურადღების არეში, თუმცა ამ მხრივ საქართველოს არქეოლოგიამ ყველა სხვა საბჭოთა რესპუბლიკასთან შედარებით ადრე გამოიჩინა თაოსნობა [291]. მათ შესწავლას საფუძველი ჩაუყარა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის... ინსტიტუტის ქვემო ქართლის ისტორიულ-არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (1948/49 წლებში), რომელსაც ნ. ბერძენიშვილი მეთაურობდა. 1949 წელს გაითხარა რამდენიმე გლეხური სახლის ნაშთები თეთრი წყაროს რაიონში, შუა საუკუნეთა ქალაქ სამშვილდის მახლობელ მიდამოებში: ნაჭივჭავებსა და ნადარბაზევში (ნასასახლევის გვერდით) [292]. იმავე დროს აღნიშნულ რაიონში აღირიცხა ასიოდე მსგავსი ნასოფლარი (მონღოლთა გამაუდაბურებელი თარეშის მჭევრმეტყველი შედეგი), რომლებიც შეიცავდა შუაფეოდალური ხანის მძლავრ კულტურულ ფენებს, ხოლო მათ შესასწავლად 1953/56 წლებში საგანგებო ექსპედიცია აწარმოებდა თხრას და ზვერვას (აწ განსვ.) იოსებ გძელიშვილის მეთაურობით [293]. შემდეგ იმავე მკვლევარმა გადაინაცვლა ქვემო ქართლის მეორე, უფრო მეტად ნაოხარ კუთხეში, ბოლნისის რაიონში და 1957/66 წლებში იქაც მისდია. სხვა ძეგლებთან ერთად, გზადაგზა ნასოფლართა თხრას, რომელთა შორის 4 გამოდგა მთლიანად ან ნაწილობრივ რუსთაველის ხანისა. ეს იყო: ჩადნეულის გორასთან, სარკინეთის ერთ უბანზე („თაქ-ქილისა"), თალაში და ისპიანში (კაზრეთთან) [294]. სადღეისოდ უკეთესად არის დამუშავებული და გამოქვეყნებული განათხარები თეთრიწყაროს რაიონში და სწორედ ისინი ედებიან საფუძვლად და ნიმუშად შუაფეოდალური ხანის ქართული ნასოფლარების შესწავლას.

სამშვილდეზე ჩამდინარე მდ. ჭივჭავის ხეობაში და ბედენის ზეგანზე გათხრილი თუ მხოლოდ მოსინჯული ნასოფლარები ყველა XI—XIII საუკუნეებს მიეკუთვნება, ხოლო თვით სოფელთა უდიდესი განვითარება — XII—

XIII საუკუნეებს. ამასთანავე არის უფრო ძველი (მაგ. VII—IX ს.) ნამოსახლარების ნიშნებიც. სოფლების დაღუპვა შეიძლება თემურ-ლენგის მტარვალობის შედეგი იყოს.

თითოეული სახლ-კარი შედგება (ტიპიური სისრულის შემთხვევაში) 5—6 შენობისა, ეზოსა, კალოსი და პირუტყვის სადგომისაგან. შენობებია: დარბაზი, გომური, სამზარეულო-საკუჭნაო, სათონე, მარანი და საბძელი. ამ მხრივ ჩანს ქონებრივი უთანასწორობა. გლეხები მისდევდნენ ხორბლისა და ქერის მოყვანასაც და მესაქონლეობასაც. აღმოჩენილი წისქვილის ნაშთის მიხედვით, იქ დაფქვილი ეყოფოდა სოფლის 34 კომლს, 400 სულს. თითო კომლს წელიწადში 5 ტონა ხორბალი უნდა მოეყვანა. თითო დარბაზში ათ სულზე მეტი ვერ იცხოვრებდა. გამოვლენილ მარნებში ჩასასხმელი ღვინო, ეტყობა, მოჰყავდათ მდინარეთა პირებზე, დაბლობში.

გლეხთა მიერ ნახმარი, რიგიანი თიხის ჭურჭელი (მათ შორის საკმაოდ მრავლად არის მოჭიქული) ქ. სამშვილდეში უნდა იყოს წარმოებული, ტლანქი კი — ეგებ თვით სოფლებშიც. ქალები უხვად ხმარობდნენ მინის სამაჯურებს, ხოლო ერთი საფლავის ქვის ნახატის მიხედვით მუხლამდე კაბას და ქუსლმაღალ ტყავის ფეხსაცმელს იცვამდნენ. ნაჭივჭავების (უფრო სწორად, სოფ. ჭივჭავას) გლეხები შეიძლება მეფის კუთვნილი ყოფილიყვნენ და — მათი ნასახლარების მიხედვით — საკომლო მიწა ანუ ფუძე (ათი დღისა) უნდა ჰქონოდა ყოველ მათგანს. შენობები აგებულია იმ ქვეყნისათვის ჩვეული მაგმური შავი ქანის დიდრონი ლოდებითა და, ასე ვთქვათ, „ფსევდოციკლოპური" წყობით.

ერთი თავისებური ნასოფლარი, ჯავახეთის კლდეებში შემორჩენილი და რამდენადმე უფრო ადრინდელი ხანისათვის, X—XI საუკუნეებისათვის მიკუთვნებული, გამოქვეყნებული აქვს არქიტ. გ. გაფრინდაშვილს [295]. ამ სოფელში თმოგვის ციხე-ქალაქის პატრონებს ჰქონიათ მიწა და იმ უბანში ხომ საერთოდ მრავლად არის კლდეში ნაკვეთი ქვაბ-საცხოვრისები, რომელთა დანიშნულება, მაინცდამაინც, მტრის შემოსევისას მიუწვდომლობის გაძლიერება უნდა იყოს. ნასოფლარში შემსწავლელი გამოჰყოფს სამ ქვაბოვან სახლს, სოფლის საერთო სახიზარს, მიუვალ ქვაბებს, ზეთსახდელიან ქვაბოვანს, საწნახელს, საყდარსა და ჩვეულებრივ ნასახლარებს, წყალსაცავს (წყარო შორსაა) და ა. შ. ქვაბთა სარკმლები ზოგი სათვალთვალოა, ზოგი საბრძოლველი. საერთოდ, უთუოდ შესასწავლია სხვა ქვაბოვან სოფელთა ნაშთებიც.

მცხეთის ექსპედიციამ (ა. კალანდაძის ხელმძღვანელობით) 1957 წელს მცხეთის თავზე, ზეგანზე მდებარე კოდმანის ნასოფლარის აღმოსავლეთ განაპირას, ფიქრის გორაზე აღმოაჩინა და შუაფეოდალური ხანით დაათარიღა გლეხის დარბაზული სახლისა და კარის ნაშთები, კერითა და მის ირგვლივ შემორჩენილი თიხის ჭურჭლითურთ.

1963/64 წლებში მთა-ქართლის ექსპედიციის არმაზისხევის რაზმმა (ექსპ. ხელმძღვანელი ნ. ბერძენიშვილი, მოადგ. გ. ლომთათიძე) გათხრა არმაზის მონასტრის ეზოში და ირგვლივ გამოავლინა ნაშთები ნატეხი ქვითა და თიხით ნაშენი სახლებისა, რომელთა შორის ქვედა ფენაში გამოიყო შუაფეოდალური ხანის კომპლექსები, მოჭიქული და მოუჭიქავი ჯამ-ჭურჭლით, მინის სამაჯურებითა და იმ დროისათვისვე ჩვეული ზომა-მოყვანილობის შემოღობილი კრა-

მიტით, აგრეთვე ლაშა გიორგის სპილენძისა და სელჯუკური ვერცხლის ფულით დათარიღებული (XIII ს.). კრამიტი, ჩანს, იქვე იწვებოდა და ბევრ მათგანზე არის რელიეფური ასოები, რომლებშიც ქარაგმის (პირობით) გახსნით „ქართლის კათალიკოსი" ამოიკითხვის. არის სხვა, ასევე ქარაგმიანი წარწერებიც. შესაძლოა, კრამიტის ეს სახელოსნო მონასტერთან არსებობდა და მართლაც კათალიკოსს ექვემდებარებოდა (ასეთივე წარწერიანი კრამიტი აღმოჩენილია სვეტიცხოველთან თხრის დროსაც). ეს, ზემოდან მეორე და ჯერჯერობით უძველესი ფენა თანამედროვეა მონასტრის საყდრისა, რომლის პერანგიც ტიპიურია შუაფეოდალური ხანის საქართველოსათვის (აგურებით შემოჩარჩოებული კუთხა ქვები) და რომლის საძირკველთან ჩათხრისას აღმოჩნდა ნამდვილად შუაფეოდალური ხანის კუთვნილი მოჭიქული ჯამი. ნამოსახლარის ხნოვანება, ჩანს, XIV საუკუნეშიც შემოდის — განსხვავებით ბევრი სხვა განათხარისაგან [172; 296].

ნ ა ს ა ხ ლ ა რ ე ბ ი საზოგადოების სულ სხვა, ზედა ფენის მიერ დატოვებულ ძეგლებს წარმოადგენენ და მნიშვნელობას იძენენ, რადგან მეტ სისრულეს ანიჭებენ საერთო ისტორიულ სურათს. ამასთანავე, მათში გაცილებით უფრო მკაფიოდ აისახება იმდროინდელი ხუროთმოძღვრების, დეკორაციული ხელოვნებისა და სამშენებლო საქმის მინაღწევარი და დონე, ვიდრე სოფლურ, გლეხურ სამოსახლოთა ნაშთებში, რომელნიც, როგორც ვნახეთ, სხვაგვარად გამოდგნენ ყურადსაღები.

1936 წელს დმანისში რომ თხრა დაიწყო, ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ იქ საცხოვრებელი სახლებისა და სამეურნეო ნაგებობათა მხრივ უკვე ზოგი რამ გამოვლინდა. მაგრამ „სასახლეებისა და მეტადრე სამეფო დარბაზების აღმოჩენა არ იყო მოსალოდნელი". ერთადერთი ასეთი ძეგლი ეგულებოდათ ქუთაისის მახლობლად, გეგუთში, სადაც, წყაროთა ცნობით, გიორგი მესამეს აუგია დიდი სასახლე 1150-იან წლებში, ადრინდელის გაძლიერებით (ტაბ. XXVII, 1). წერილობითი ცნობები მის შესახებ შემთხვევითი და ნაწყვეტ-ნაწყვეტია (ესა თუ ის მეფე იქაურ ტყეში ნადირობისას შიგ ისვენებდა ხოლმე: ზამთარს შიგ ატარებდა; აჯანყებული გიორგი რუსი იქ დაუსვამთ ტახტზე მის მომხრეებს..." ვახუშტი მას უწოდებს „სადგურს ზამთარს მეფეთა", „მეჩიტის მსგავს შენებულს, მრავალპალატოვანს" (დიდი და პატარა), „თლილი ქვისას, ციხე-დარბაზს". წინასწარმა შესწავლამ გამოარკვია რომ თითქმის კვადრატული შენობის საერთო ფართობი 1700 კვ. მ. უდრის; რომ შუაში 200 კვ. მ., ძალზე დიდგუმბათიანი, ზედასინათლიანი დარბაზი ყოფილა. ცალკე ჩანს ბუხრიანი ოთახი, სააბაზანე (საქვაბე, მილსადენი). საშენ მასალად გამოყენებულია აგური, ქვა, მოჭიქული და მოუჭიქავი კრამიტი (ეს უკანასკნელი იქაც კი მომჭირნეობით, მხოლოდ გამოსაჩენ ადგილებშია ნახმარი), რომელიც წარმოადგენს ერთადერთ სამკაულს: ფასადზე ჩუქურთმა არ უნდა ყოფილიყო [297].

1954 წელს გეგუთის სასახლის ნანგრევი გაიწმინდა და ნაწილობრივ აღდგენილ იქნა კიდევაც, მაგრამ ნამდვილი ანგარიში [298] არ გამოქვეყნებულა.

გაცილებით უფრო მცირე, მარტივი და სხვაგვარად ნაგები გამოდგა სამშვილდის ნაქალაქარის მახლობლად, მდ.. ჭივჭავის ალმა, ტყეში ვახუშტის მიერ

ნ ა დ ა რ ბ ა ზ ე ვ ა დ, თამარ მეფის ნასასახლევად წოდებულ ადგილას მიკვლეული და გათხრილი ნანგრევი სასახლისა (ტაბ. XXVII, 2). მისი და მის ახლოს არსებული მცირე სოფლის პირვანდელი სახელწოდება უცნობია. ძეგლის არქიტექტურული ფორმები და სტილისტური ნიშნები თითქოს X—XI საუკუნეებს შეესატყვისება [299]. მაგრამ არქეოლოგიურმა თხრამ (1949 წელს, ქვემო ქართლის ისტ.-არქ. ექსპედიციის მიერ, ხელმძღვ. ნ. ბერძენიშვილი, მოადგ. გ .ლომთათიძე) დაადგინა, რომ მაინცდამაინც, უფრო XII—XIII საუკუნეებია სასახლის უდიდესი „ბინადრობის" დრო (მრავალრიცხოვანი მოჭიქული ჯამ-ჭურჭელი, ნაირფერადი მინის სამაჯურები, ლაშა გიორგის სპილენძის ფული), ისიც უნდა ითქვას, რომ საკუთრივ სასახლის პატრონი დიდკაცობის ნაქონის, ნამდვილად ძვირფასი (ფაიანსის, კეთილშობილი ლითონის) ჭურჭელი არსადა ჩანს და, ეტყობა, სასახლე უცბად არ განადგურებულა: საერთოდ ძეგლი რიგიანად არის შემონახული [292]. იგი, გეგუთთან შედარებით, ნაკლებდიდებულია და ამის მიზეზი თუნდაც ის უნდა იყოს, რომ აქ ერთი რამდენიმეთაგანი, მთიან ადგილას აგებული საზაფხულო სასახლეა და ეგებ ადგილობრივი დიდი ფეოდალისაც კი, თუმცა სამეფოც შეიძლებოდა ყოფილიყო,მით უმეტეს, რომ ის მხარე უშუალოდ სამეფო სახლის კუთვნილ ქვეყანას წარმოადგენდა.

სასახლე შედგებოდა ორი — დიდი და მცირე, დამხმარე ნაგებობისაგან, რომელთაც ირგვლივ ერტყათ მაღალი გალავანი, სამჭიშკრიანი. ამრიგად შემოზღუდვილი იყო 16 000 კვ. მ. ყოველივე ეს ნაშენია შავი, მაგარი ქანის, ანდეზიტ-ბაზალტის ქვითა და კირით და შემოსილია იმავე ქანის დიდრონი არცთუ ფაქიზად გათლილი და ნებისმიერი მოყვანილობის ფილებით. არსად არავითარი ჩუქურთმა არა ჩანს და ეს შეიძლება მასალის უხეშობითაც აიხსნებოდეს. მთავარი ნაგებობის სახურავი, იატაკზე აღმოჩენილი ქვის ბალიშების მიხედვით, შეიძლება ოთხ სვეტზე იყო დაყრდნობილი. მას ექვსი ვიწრო, შიგნითკენ გაფართოებული („ეკლესიური") სარკმელი აქვს. ორივე შენობა დახურული ყოფილა კარგად გამომწვარი „შემოღობილი" კრამიტით და, მაშასადამე სახურავი კალთებიანი ჰქონიათ. ბევრ კრამიტს ამშვენებს სამფურცლოვანი ყვავილის რელიეფური გამოსახულება და ასეთი კრამიტი დამახასიათებელია სწორედ XII—XIII საუკუნეთა მშენებლობისათვის და კერამიკული წარმოებისათვის (თბილისის სახელოსნო, XIII ს.). იგი გავრცელებული ჩანს ქვემო ქართლის ძეგლებზე და კრამიტის წარმოების სამეფო მონოპოლიის ნიშნადაც კია მიჩნეული პირობით [300]. იმის თქმა კი შეიძლება, რომ ასეთი კრამიტი დიდკაცური და საკულტო შენობების დასაბურავად გამოუყენებიათ ხოლმე და თან აქაც დაზოგვით სახურავის კალთების გამოსაჩენ ნაწილებზე მხოლოდ.

ნ ა მ ო ნ ა ს ტ რ ე ვ ე ბ ი, ა კ ა დ ე მ ი ე ბ ი ცნობილია, თუ რა მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ შუა საუკუნეებში (კერძოდ, ფეოდალურ საქართველოშიც) დიდრონი მონასტრები, როგორც მძლავრი მიწათმფლობელი და საერთოდ სამეურნეო და თან პოლიტიკური და იდეოლოგიური ორგანიზაციები, სწავლა-განათლების და მწიგნობრობის კერები, რომლებიც სამეფო ხელისუფლების დიდი და შეუნელებელი ზრუნვის საგანს წარმოადგენდნენ.

ჩვენის აზრით კი მთავარი ის არის, რომ მონასტრებმა თითქმის ყველა

შემთხვევაში დაგვიტოვეს მნიშვნელოვანი ძეგლები ხუროთმოძღვრებისა, სამშენებლო-დეკორატიული ხელოვნებისა და გასათხრელად ნაყოფიერი კულტურული ფენები.

არქეოლოგიურად ჯერჯერობით შესწავლილია და ისიც ნაწილობრივ, გუდარეხის, გელათისა და იყალთოს ნამონასტრევები და აგრეთვე ამ ორი უკანასკნელის ანსამბლში შემავალი, აკადემიებად მიჩნეულ ნაგებობათა ნაშთები. გაუთხრელად კი ხელშესახებად აქვს აღწერილი ნიკო მარს ჭოროხის სათავეებში შემორჩენილი რამდენიმე სამონასტრო ანსამბლი [301], ოღონდ ჩვენ ახლა მათზე ვერ შევჩერდებით, ნარკვევის საფუძვლად დადებული პრინციპის გამო.

გ უ დ ა რ ე ხ შ ი თხრა ჩატარდა 1938—39 წლებში, რუსთავის მუზეუმის ექსპედიციის მიერ, ლ. მუსხელიშვილის ხელმძღვანელობით [303].

გუდარეხი მდებარეობს ქვემო ქართლში (ალგეთის აუზში და ნადარბაზევი კი ქციის აუზშია), სადაც, ქართველ მეფეებს მრავლად მოეპოვებოდათ უშუალო საკუთრება და ამიტომაც გაცხოველებით აწარმოებდნენ (მეფე თამარი და მისი მემკვიდრენი) სატაძრო-სამონასტრო მშენებლობას. გუდარეხის მონასტერი, მისი წარწერების მიხედვით, აგებული XIII საუკუნეში, რუსუდან მეფის თაოსნობით.

ძირითადი ანსამბლი — მონასტრის ბაზილიკური ტაძარი და მასთან დაკავშირებული ნაგებობანი — მოქცეულია ზღუდის შიგნით, ხოლო მის გარეთ არის მცირე ნასოფლარი (პატარა, ქვითკირით ნაშენი სახლები და მცირე, მოხდენილი, ჩუქურთმიანი სამლოცველი). გამთხრელები ყველაზე უფრო შესანიშნავ ნაგებობად მიიჩნევენ მონასტრის ოთხასმეტრიან, გარედან ბურჯებით შემაგრებულ გალავანს, რომელსაც „დიდნი“ და „ცოტანი“ კარნი ჰქონია. დიდ კარიბჭეზე სამრეკლოა დადგმული და ეს საზეიმო სახეს ანიჭებდა იმ ჭიშკარს. ტაძარში, სამრეკლო-ჭიშკარიცა და ზღუდეც დიდრონი, ლამაზი ქვათლილებითაა შემოსილი (ეს ქვები არა მარტო ბაზალტისაა, არამედ ფერადი ტუფისაც).

გათხრით გამოვლინდა სხვა შენობათა ნაშთებიც: ქვისპაგებიანი საჯინიბოსი, „პილასტრებიანი შენობისა“, მარნისა (14 ქვევრი), ჩუქურთმიანი სარკმელებით ტაძრისაკენ მიქცეული სასახლისა (თავისი მარნითურთ, რომელშიც მთლიანი საწნახელი და 16 ქვევრი იყო): ჩუქურთმიანი ნაგებობა, „ჯერიანინაგებობა“, ქვაში ამოჭრილი აბაზანა, საპირფარეშო და სხვ. ჩანს სამონასტრო სამოსახლოში მრავლად უცხოვრიათ ისეთ პირებს, რომელნიც წმინდა სასულიერო მოღვაწეობასთან ერთად, არც საერისკაცო ფუფუნებას იკლებდნენ და დროდადრო, ჩანს, ქტიტორ მეფესაც მასპინძლობდნენ ხოლმე.

საკმაოდ მრავალრიცხოვანი მონეტების მიხედვით მკაფიოდ გამოიყოფა ორი კულტურული ფენა, რომელთაგან უძველესი, უშუალოდ კლდეზე მდებარე, XII—XIII საუკუნეებით თარიღდება (გიორგი მესამიდან — რუსუდანამდე, 1227 წ.). კერამიკა სხვა განათხარ მასალასთან შედარებით ცოტაა, მაგრამ შინაარსიანია: მოუჭიქავი და მოჭიქული ჯამ-ჭურჭელი, ირანული ფაიანსი (1), აგური, კრამიტი (სამ სხვადასხვა ფერად მოჭიქულიც), ფილები და თონის სასულე მილები, არა ჩანს წყალსადენი (წყარო ახლოსაა) და ყვავილიანი კრამიტი. განსაკუთრებით ყურადსაღებია უტყუარი ნიშნები შიგ

სამონასტრო სამოსახლოში თიხის ჭურჭლის წარმოებისა: ანგობზე მოხატული და მოუჭიქავი ჯამები, ჭიქურიანი კვარცის ნატეხები და მეტადრე — სათუნე ქურის ტიპიური სოლი. შესაძლო ხდება დასკვნა, რომ მონასტერში უმუშავნია სათუნე სახელოსნოს და, ეტყობა, ბერები მისდევდნენ ამ საქმიანობას, მონასტრის შემოსავლის გასაძლიერებლად. ეს ჯერჯერობით ერთადერთი ამგვარი არქეოლოგიური დაკვირვებაა.

გ ე ლ ა თ შ ი (ტაბ. XXVIII, 2) დავით აღმაშენებლის მიერ დაარსებული და შემდგომ არაერთგზის განაშენიანებული სახელოვანი მონასტერი მრავალმხრივ არის შესწავლილი, მაგრამ არქეოლოგიური მუშაობა (ისიც მხოლოდ გაწმენდა ბიზანტინოლოგიის სპეციალისტის მიერ), [304] — შეეხო მხოლოდ ერთ შენობას იმ ანსამბლისა, რომელთაგან სხვანი დღესაც მთელი დგანან. ჯერ კიდევ ე. თაყაიშვილმა დაასკვნა, რომ გელათში უნდა ყოფილიყო უმაღლესი სასწავლებელი, აკადემია და მის ხელმძღვანელს უნდა რქმეოდა „მოძღვართმოძღვარი“ [305]. 1945 წელს ს. ყაუხჩიშვილის მიერ ჩატარებულმა ზემოაღნიშნულმა მუშაობამ განამტკიცა ეს აზრი და, აკადემიად მიგვაჩნევინა გრძელი, სასარკმლე კამერების მქონე დარბაზი. მისი აზრით, ამ აკადემიას საფუძველი უნდა ჩაჰყროდა 1106 წლის მახლობელ ხანაში. მასში ისწავლებოდა საგნები ცნობილი ბიზანტიურ-აღმოსავლური სისტემის, trivium quadrivium-ის შესაბამისად, იქ უღვაწნია იოანე პეტრიწონელს. გასახსენებელია ისტორიკოსის თქმა, რომ აღმაშენებელმა გელათი „სხუად ათინად“ აქცია.

დარბაზი მონასტრის ნაგებობათა განაპირას დგას. შესასვლელში მოხდენილი, ოთხსვეტიანი სტოაა, რომელიც მხატვრული ოსტატობით არის დამშვენებული ჩუქურთმიანი ჯვრითა და ლომის გამოსახულებით, მთავარი, დიდი ერთადერთი შემორჩენილი სენაკის (25 მ) კედლებს გასწვრივ ჩამოყალიბებულია ქვის მთლიანი განიერი მერხები, ხოლო შუაში-მარმარილოს საჯდომი (მოძღვართა კათედრა?); კედლებში დატანებულია თახჩები (საწერი ნივთების, ნაწერების, ხელსაწყოს შესანახავი). კედლების მოყვანილობის მიხედვით, სახურავი ორფერდა ყოფილა, იატაკზე დუღაბია მოსხმული. შენობას ჰქონია სხვა სენაკებიც, რომლებიც მთელ სისტემას ქმნიდნენ. გამოჩნდა რაღაც დიდი შენობის ფასადი და მაღალთაღიანი შესასვლელიც. ერთ-ერთი შენობა საავადმყოფოდ (ქსენონად) არის მიჩნეული (დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი რომ აღნიშნავს) და გამოთქმულია აზრი, რომ აკადემიაში მედიცინასაც ასწავლიდნენ.

აკადემიის ნანგრევის გაწმენდას არავითარი არქეოლოგიური მონაპოვარი არ მოუცია (შენობა გვიან საუკუნეებშიც ყოფილა გამოყენებული, მაგ., იმერეთის მეფეთა სასადილოდ).

ი ყ ა ლ თ ო ს (ტაბ. XXVIII, 1) (თელავის მახლობლად, ტყიანი ხევის სიღრმეში) სამონასტრო ანსამბლში ნავარაუდევი აკადემიის შენობა გაცილებით უფრო დანგრეული და გაუსახურებულია. მის ასეთ განსაზღვრას არ იზიარებდა, მაგ., ე. თაყაიშვილი [306], რომელიც ფიქრობდა, რომ ეს ვარაუდი დამყარებული იყო გელათის აკადემიაში მომუშავე არსენ იყალთოელის არსებობის ფაქტზე მხოლოდ. კახეთის ძეგლთა შემსწავლელი გ. ჩუბინაშვილიც ყოყმანობს და საპირობითოდ სთვლის იმ შენობის აკადემიად მიჩნევას. ეს არის გალავანზე მიდგმული, მოგრძო, მრავალსენაკიანი და ორსართულიანი შენობა,

რომელსაც გვერდით მარანი ახლავს და რომელიც ორგზის იქცა გაწმენდისა და თან არქეოლოგიური მეთვალყურეობის ობიექტად: 1938 [307] და 1966 [308] წლებში. ორივეჯერ მრავლად აღმოჩნდა მოუჭიქავი და მოჭიქული ჯამ-ჭურჭელი, სადა და წარწერიანი „შემოღობილი“ კრამიტი და სხვა, ტიპიური შუაფეოდალური ხანისა და უფრო კი XII—XIII საუკუნეებისათვის.

ს ა ხ ი ზ ა რ ი   დ ა   ს ხ ვ ა   ქ ვ ა ბ ე ბ ი. სახიზარ ქვაბთაგან უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია ხვამლის, ბეთლემისა და თრეხვის.

ხ ვ ა მ ლ ი ს  ქვაბები ნაკვეთია იმერეთ-ლეჩხუმის საზღვარზე აღმართული კირქვის ვეება კლდეში, ბუნებრივ მღვიმეში. მის ირგვლივ წერილობითი წყაროები და ხალხური თქმულებანი მათ სახელმწიფო ქონების სამალავად მიიჩნევენ. ჟამთააღმწერელი მოგვითხრობს, რომ მონღოლობის დროს დავით ნარინსა და ულუს „ხვამლის ქვაბსა მდებარე სამეფო საჭურჭლიდან „მცირე გამოუღიათ და უფროსი ქვაბსავე დაუტოვებიათ“ [309, გვ. 243]. ვახუშტი გვეუბნება, რომ „ხვამლის კლდეში არს ქვაბი გამოკვეთილი, მტრისაგან შეუვალი, მეფეთა საგანძურთ სადენი“ [198, 157]. ალპინისტურ-არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვ. ალექსანდრე ჯაფარიძე, არქეოლოგი გ. ლომთათიძე) [310], გამოარკვია, რომ მთავარი, კარსტული წარმოშობისა და გაფართოებული ქვაბი (რომელშიც წყარო გამოდის) წინიდან აზღუდული ყოფილა ქვითკირის მკვიდრი კედლით, რომელშიც დატანებულია, სხვადასხვა დონეზე, სარკმლები და საჭვრეტები. შიგ ორი-სამი სართული ყოფილა გამართული. ამ ქვაბს ზემოთ, კლდეში გამოჭრილია მცირე, უაღრესად ძნელშესასვლელი ქვაბი, რომელშიც ინახებოდა, ჩანს, საჭურჭლე. ქვემოთ კლდეში გამოჭრილია გრძელი და განიერი ბაქანი, თავის დროზე წინიდან აზღუდული და განივად დატიხრული. ეს მრავალსენაკიანი, ქვითკირ-აგურით ამოყვანილი ნაგებობა მცველი რაზმის სადგომად არის მიჩნეული. იმ ბაქანზე თხრისას თავი იჩინა კერათა ნაშთებმა და ჩვეულებრივმა კერამიკამ (სამზარეულო ჭურჭელმა და მათ შორის ქვევრთა ნატეხებმაც) და სულ არ გამორეულა მოჭიქული. ყურადღება მიიპყრო კლდოვან კედელზე წითელი საღებავით გაუწაფავი ხელით დახატულმა სურათმა — მშვილდოსანი ცხენოსნების ნადირობამ. იგი მოგვაგონებს სვანურ საწესო, „სულის ნახატებს“, „ლიფანალისას“ და ბუნებრივიც იქნებოდა, თუ ხვამლის ციხე-ქვაბის მცველებად სწორედ სვან მეომრებს ვიგულისხმებდით (სულ 20—30 კაცს. მეტი არც დასჭირდებოდა). ამავე დროს, უეჭველია, რომ ნახატები თოფის შემოღებამდეა გაკეთებული და, მაშასადამე, მართლაც XII—XIII საუკუნეებს შეიძლება მიეკუთვნოს. ესოდენ მიუვალი (უჯარმის საჭურჭლისსაცავისაგან განსხვავებით) საგანძურის მოწყობა მართლაც უფრო XIII საუკუნეში უნდა ვიგულისხმოთ, როდესაც საქართველოში განუწყვეტელმა შიშიანობამ დაისადგურა — ჯერ ჯალალედინისა და შემდეგ მონღოლთა შემოსევა-თარეშის გამო.

კიდევ უფრო მიუწვდომელი იყო მყინვარწვერის სიპ კლდეში, 4199 მ სიმაღლეზე გამოკვეთილი ბეთლემის ქვაბი, რომლის რკინით შეჭედილი კარი მხოლოდ მისგან გადმოკიდებული ჯაჭვით იღებოდა. ეს ქვაბი „სვეტიცხოვლის სამკაულის სახიზარი“ ყოფილა დიდი შიშიანობის დროს (მანამდე გერგეტის სამებაში ინახავდნენ). მთამსვლელთა ექსპედიციამ (ალექსანდრა ჯაფარიძის მეთაურობით) 1948 წელს „აიღო“ ეს ქვაბი. ანდეზიტ-ბაზალტის კლდოვან

კედლებთან ჩამოსაჯდომებია გამოკვეთილი, ერთ კედელთან დგას ტრაპეზის ქვა, რომელზედაც ჯვარია ამოჭრილი. აღმოჩნდა რამდენიმე საგანი: ვერცხლით მოჭედილი დროშისთავი, რომელზედაც წმინდანებია გამოხატული (XI—XIII სს.), შანდლის ძირი (VII—VIII სს.) და სხვ. მაინცდამაინც, XIII საუკუნეშიც იქნებოდა გამოყენებული ეს სწორუპოვარი სახიზარი სვეტიცხოვლის ქონებისათვის.

ქარელის რაიონის სოფ. თრეხვში, მტკვრის მარჯვენა შენაკადის ხვედურულას ნაპირზე საკმაოდ მაღლა აღმართულ კლდეში არის ქვაბები, რომლებში შეღწევისაც ალპინისტური ტექნიკა დასჭირდათ მთამსვლელებსა და სპელეოლოგებს (გ. გაფრინდაშვილი). ერთ, წინიდან ამოშენებულ ქვაბში აღმოჩნდა სტელა, რომელზედაც მოხდენილი ქართული ასომთავრული წარწერაა ამოკვეთილი. წარწერა ეკუთვნის XI საუკუნის ეპისკოპოსს რუისის ტაძრისა, ლეონტი მროველს (ჩანს, ცნობილ ისტორიკოსს), რომელსაც სახიზარი მოუწყვია აღნიშნულ საუკუნეში „დიდი თურქობის“ დროს, რუისის ტაძრის „შვილთა“ და ალბათ აგრეთვე ქონების მტერთაგან დასაცავად [311]. ეს ყოველმხრივ დიდად ყურადსაღები აღმონაჩენია, არქეოლოგიური მონაპოვარი კი უმნიშვნელო გამოდგა. წარწერა 1066 წლით თარიღდება და შემდეგს ღაღადებს: „მე, ლეონტი მროველმან დიდითა მოჭირვებითა აღვაშენე ესე ქუაბი ხატისათვის ღმრთეებისა და ღღესა ჭირისასა ნავთსაყუდელად რუისისა საყდრისა შვილთათჳს ჟამთა შინა ალფ-არსლან სულტანისაგან ოხრობისათა“.

დასასრულ ორი სიტყვით უნდა გავიხსენოთ ისეთი შესანიშნავი ქვაბოვანი ძეგლები, როგორიც არიან: უფლისციხის ქალაქი (იქ შედარებით უფერულია იმ დროის ფენა), ვარძიის ქვაბოვანი მონასტერი (არსებითად იმ დროს გამოკვეთილი ბერთა მიერ) და დავით გარეჯელის ქვაბოვანი მონასტრები. ვარძიისა და დავით გარეჯელის ქვაბოვანთა არქეოლოგიური შესწავლა ეს-ესაა, იწყება, მაგრამ უკვე ჩანს, რომ ყურადსაღები არქეოლოგიური მასალებით „დაყურსულ“ ფენებთან და თვით ქვაბთა დიფერენციულად დამათარიღებელ მონაპოვრებთან გვექნება საქმე და ამით თვით ქვაბოვანი ძეგლების ისტორიას ახალი სინათლე მოეფინება (ტაბ. XXIX).

„ჰ ი დ რ ო ტ ე ქ ნ ი კ უ რ ი“ ძ ე გ ლ ე ბ ი ორნაირია: წყალსადენები და არხები. არქეოლოგიური კვლევა-ძიება მეტ-ნაკლებად ორთავეს შეეხო. ორიოდე სიტყვა უნდა ითქვას ამ უკანასკნელის შედეგებზედაც.

წყალსადენთაგან პირველი შესწავლილ იქნა ის, რომელიც ს. სხალტბიდან აწვდიდა წყაროს წყალს ში ო მ ღ ვ ი მ ი ს მონასტერს, მანამდე დიდი „იწროებაში“ მყოფს და რომელიც — შემორჩენილი სიგელის მიხედვით — გაყვანილ იქნა 1199—1202 წლებში თამარის მწიგნობართუხუცესის ანტონ ჭყონდიდელის თაოსნობითა და სახსრით, ორ კილომეტრზე, მთაში გავლა-გახვრეტით. თხრამ გამოარკვია, რომ ეს სამუშაო იმ დროის კვალობაზე ძალიან მაღალ ტექნიკურ დონეზეა ჩატარებული. მილები კარგად გამომწვარი და ერთიმეორეზე უდღლაბოდ წამოცმული, ოღონდ თიხით ამოლესილია, მოსახვევებში „მკლავები“ აქვთ დატანებული, ხოლო სათვალთვალოდ, ალაგ-ალაგ — თანგირები. წყალსადენის გვირაბში აღმოჩნდა რკინის ნიჩაბი, აგური, კრამიტი, XII—XIII საუკუნისთვის დამახასიათებელი მოუჭიქავი და მოჭიქული კერამიკა (მათ შორის ერთი ტიპიური ჭრაქი).

საბოლოოდ, სხალტბა-შიომღვიმის წყალსადენი ერთ-ერთი მჭევრმეტყველი ძეგლია იმდროინდელი ქართული საინჟინრო ხელოვნებისა. საქმის ორგანიზაციის დახასიათებისათვის ისიც აღსანიშნავია, რომ წყალსადენის გამართვის შემდეგ ორი კომლი გლეხისათვის დაუკისრებიათ (ეტყობა, სხვა მოვალეობისაგან განთავისუფლებით თუ მისი შენელებით) „სამსახური მის წყაროიანისი", ისე რომ თითო სახლიდან თითო შვილი „ქუკანკად" უნდა გაზრდილიყო და მათ უნდა „ეკაზმათ" ხოლმე წყალსადენი. წყალსადენს ორი ტრასა ჰქონია (ერთი თვით სოფლისათვის, მასში წყალს დინებით უმოძრავია: უწნევოდ, დღე-ღამეში 243 000 ლიტრის ოდენობით (მონასტრისაკენ) და 86 400 ლიტრის ოდენობით (სოფლისაკენ).

ასე გონივრულად და მარჯვედ არის გადაწყვეტილი ორი ამოცანა: საქართველოს ერთი უდიდესი და უმნიშვნელოვანესი, ხალხმრავალი მონასტრისათვის საკმაო წყლის მიწოდება და თან სათავესთან მდებარე სოფლის დაკმაყოფილება იმავე წყლით [312].

ამ ძეგლის გამთხრელი შ. ხიდაშელი იშველიებს ანალოგიურად მისთვის ცნობილ ნაშთებს მეტ-ნაკლებ მსგავს წყალსადენებისა: ნიჩბისში, ოქროყანაში, ვეძისში, ველისციხეში, დმანისისა და გეგუთის ციხე-დარბაზთა აბანოებში და ა. შ.

სხვაგვარი გამოდგა იმავდროული სასახლის წყალსადენი ნ ა დ ა რ ბ ა ზ ე ვ შ ი, საჩხერის მიდამოებში [313; 292]. იგი შემოდიოდა ზემორე აღწერილი სასახლის გალავანს ქვეშ, შორიახლოს გაუვლიდა წინ სასახლეს და შედიოდა ქართული აგურით ამოყვანილ აუზში. სათავე მიკვლეულ იქნა ნადარბაზევიდან რამდენიმე კილომეტრზე მთაში. ტრასა ჩამოივლიდა მცირედ ჭაობნარ დაბლობზე და შემდეგ ადიოდა სასახლის მაღლობზე, რომელიც 70 მეტრით უფრო დაბლაა, ვიდრე სათავე. ამიტომ წყალი დაწნევით მოედინებოდა. შესაბამისად თავისებურია მილსადენიც, რომელსაც მუდამ უნდა გაეძლო ამ ჭარბი წნევისათვის: მისი კვეთი მთელ სიგრძეზე თანდათან მცირდება, მილები ერთიმეორის მილძაბრებში შედიან. მილსადენი მიმოკლაკნილია (მკლავების მეშვეობით), რადგან ეგუება კლდოვან ნიადაგს. მილები მშვენივრადაა გამომწვარი, სქელია და ხვრელი ძალიან ვიწრო აქვს, რათა წყლის წნევა გაძლიერებულიყო (სქელ მილს ეს არ ავნებდა) ამადინების გასაადვილებლად. თანგირები არ ყოფილა. მილსადენი მოთავსებულია ვიწრო, ფილაქვებით შემოზღუდულ-გადახურულ კალაპოტში. რბილ ნიადაგში მილსადენი ღარისებრი კრამიტით გადახურული და დუღაბით გარშემოლესილია.

ეს თავისებური და შესანიშნავი „ინჟინრების" მიერ სპეციფიკური პირობების გათვალისწინებით აგებული წყალსადენი კიდევ ერთი მოწმობაა ჰიდროტექნიკური მშენებლობის ძალიან მაღალი დონისა რუსთველის ხანის საქართველოში. თან იგი გვანიშნებს, რომ სასახლე, რომელსაც იგი ეკუთვნოდა მართლაც სამეფო უნდა ყოფილიყო.

ამ ძეგლთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნოთ იმავე ექსპედიციის მიერ იმავე რაიონის სოფ. დ ა ღ ე თ თ ა ნ აღმოჩენილი მცირე საყდრის ნანგრევი და მისი თანმხლები სამშენებლო ასომთავრული წარწერა კირაკინზე. იგი XI—XII საუკუნეებს მიეკუთვნება და გვამცნობს, რომ წამწერს, „ქობულ ხევისუფალს" ეკლესიაც „უქმნია" და „კარკნალის წყაროც" [292]. ესეც ყურად-

სალები წერილობითი საბუთია „წყაროთა ქმნის" ტრადიციისა. კარგად ნაგები წყალსადენის ნაწილი გამოვლინდა 1963/64 წლებში არმაზისხევის მონასტრის მახლობლად თხრისას, მაგრამ ჯერ ბოლომდე არაა შესწავლილი [296].

კიდევ ერთი შესანიშნავი ნიმუშია იმდროინდელ წყალსადენმშენებლობისა ვარძიის ქვაბოვანის წყარო, რომლის სათავეც ვიწრო ხევშია, მტკვარამდე, ექვს კილომეტრზე. მილსადენი თითქმის მთელ სიგრძეზე მიუყვება კლდეში გაჭრილ გვირაბს, ე. ი. მტრისათვის უჩინარი იქნებოდა. ტრასის მომსახურეთათვის საგანგებოდ ყოფილა გამოყოფილი ქვაბთა ერთი ჯგუფი („დასაყუდებლად"). წყალი სულ თვითდინებით მოდიოდა [314].

ჯერაც შესასწავლია წყალსადენები დავით გარეჯელის ქვაბოვან მონასტრებში: იმ ხმელ უდაბნოში ხომ ეს ნამდვილად ურთულესი პრობლემა იქნებოდა.

იმდროინდელი სარწყავი არხებიდან მეტ-ნაკლები არქეოლოგიური დაკვირვებისა (და არა გათხრის) და საინჟინრო-ჰიდროტექნიკური შესწავლის საგნად ჯერჯერობით იქცა მხოლოდ სამი: ალაზნის, სამგორისა (ორთავეს გაყვანას თამარ მეფეს მიაწერენ წერილ. წყაროები) და გრემის.

ალაზნის რუს სათავე მიკვლეულია ალავერდის ტაძრის ახლოს. იგი შეიმჩნევა ველისციხე-ბაკურციხე-არხილოსკალომდე, სადაც ისევ ალაზანს ერთვის (119 კმ, მორწყავდა 53 000 ჰექტ.). ასეთი რუს გაყვანა დღესაც რთულია და მეტადრე იმ დროს. ვარდნა მცირე ჰქონდა, მდორედ მოედინებოდა, არაფერს წალეკავდა. წყალგამტარობით უდრიდა ალაზნის თანამედროვე არხს [312].

სამგორში „თამარისეული" რუს უშუალო კვალი არსად შემორჩენილა, მაგრამ ფიქრობენ, რომ ერეკლე მეორეს მიერ დაწყებული, უსახსრობის გამო შეწყვეტილი და ვორონცოვის დროს ინჟ. ბაგრატიონის მიერ დამთავრებული, სართიჭალის 20 კმ სიგრძის არხი ძველის კვალს უნდა იყოს გაყოლებული, რადგან ის ამ ტრასის საუკეთესო ვარიანტია [312].

გრემის არხი გაყვანილი ყოფილა ლოპოტის ხევიდან. ხევს რომ არ წაელეკა, ნაფარეულზე გავლით სათავესთან ჯებირი ჰქონია. გზად რუსხმულებით ან საგუბრებით გადალახავდა ხევებს. მორწყავდა 4000 ჰექტარს, ამდენი სარწყავი არ ჰქონდა და დანარჩენი ჩადიოდა გრემში (რომელიც ქალაქად XII საუკუნიდან იხსენიება), სახარჯოდ. გვალვაში ერთი ხევის წყალს დაუმატებდნენ. სათავის მეთვალყურეთათვის ციხიანი სამოსახლოს ნაშთები არის გონჯახევში, არხი ერთი ხეობიდან მეორეში გადადიოდა და ეს კი დიდი სირთულეა. არხს მიაკუთვნებენ XII—XIII საუკუნეებს და იმოწმებენ ხალხურ გადმოცემას თამარისეულიაო [315, გვ. 167—193].

წარმოების ნაშთები ის ჯგუფია არქეოლოგიური ძეგლებისა, რომელიც — ნასოფლარებისა არ იყოს — სულ ამ 20 წლის წინ მოექცა პირველად ქართული არქეოლოგიის საგანგებო ყურადღების არეში. ეს მოხდა ძველ თბილისში, სადაც როგორც გაკვრით უკვე ითქვა ზემოთ, თხრით გადაიხსნა ძალზე მეტყველი ნაშთები სათუნე და ნაწილობრივ აგრეთვე მინის წარმოებისა. ჩვენი აზრით, სწორედ ის განათხარი შეიძლება ჩაითვალოს ფუძედ ჩვენი გათხრითი კვლევა-ძიების იმ დარგისა, რომელსაც შეიძლება

წარმოების არქეოლოგია ვუწოდოთ და რომელმაც მას შემდეგ უკვე რამდენიმე სხვადასხვაგვარი, შინაარსიანი ძეგლი შეიძინა და მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია.

300 არაგველის ბაღში გამოვლენილ იქნა ქალაქის გალავანზე (თაბორის მთიდან მტკვრამდე ჩამომავალ კედელზე) შიგნიდან მიშენებულ სახელოსნოთა ნაშთები (ტაბ. XXX): შვიდი სათუნე ქურა, მათში ჩარჩენილი საკუთარი დეტალები (სოლები და კაკვები) და მზა მოჭიქული ჯამები თუ სხვა ნაწარმი, ცალკე დაწყობილი ნახევარფაბრიკატები (მათ შორის სულ ნედლი თიხის ჯამებიც), ზოგიერთი ხელსაწყო (მაგ., საჭიქურე მასალის საფქვავი ხელწისქვილი), ნედლეულის („ფრიტას“ და სხვ.) ნაშთები და დიდძალი, მრავალფეროვანი გადანაყარი, რომელშიც უამრავი წუნია. ყოველივე ამას მრავლად ახლავს თან ლითონის ფული, თითქმის მხოლოდ ქართული, რომლის დიდი უმეტესობა რუსუდან მეფის მიერ არის მოჭრილი და ამის გამოც მთელი ის განათხარი მისი ხანით თარიღდება. წარმოების გადანაყარში მრავლად გამოერევა მინის ნალეწი და წუნიც. ეს გვაძლევს უფლებას, სათუნესახელოსნოს გვერდით, სულ ახლოს ვიგულისხმოთ მინის სახელოსნოც, სადაც ჭურჭლეული და სამაჯურები უწარმოებიათ.

ეს საწარმოო კომპლექსი, როგორც ზემოთაც ითქვა, განადგურებული და გადამწვარიც კი არის ერთი დაკვრით (ჩანს, მონღოლთა რომელიღაც შემოსევისას, რუსუდანის შემდგომ, ხოლო ნიკ. ბერძენიშვილის აზრით, ეგებ, სულაც XIV საუკუნეში) და მოულოდნელადაც კი, ისე რომ მუშაობა ნამდვილად შუა გზაზეა შეწყვეტილი, ხოლო ერთი კაცი — ალბათ ხელოსანი — ჩაკლულიც კია და დანახშირებულ ნანგრევებში აღმოჩნდა მისი ჩონჩხი 122 მონეტის (რუსუდანის ფულის) თანხლებით. ამ გარემოებას არქეოლოგიურად ის დადებითი შედეგი მოჰყვა, რომ ჩვენ ჩავიხედეთ გახურებული მუშაობის პროცესში და მის ყველა ეტაპში, დავინახეთ, რიგიანი ტექნიკური აღჭურვილობა და ა. შ.

საბოლოოდ, ხერხდება საკმაოდ ხელშესახებად დადგენა მოჭიქული თიხის ჭურჭლისა, კერძოდ ფაიანსისა და სამშენებლო კერამიკის (კრამიტის შორენკეცების) კეთების ტექნიკისა და ტექნოლოგიისა და თან უეჭველად მაღალი მხატვრულ-ესთეტიკური დონისა. ეს უკანასკნელი კი ასახავს ასეთსავე მოთხოვნილებას, რომელსაც უყენებს მომხმარებელი (არქეოლოგიური დაკვირვების მიხედვით, არა მარტო თბილელ) მეთუნე ოსტატებს და როგორ ჯეროვნად აკმაყოფილებენ ისინი მას. განათხარში ჩანს, რომ ჩვენს წინაშეა ჩამოყალიბებული, მოწიფული ტექნიკურ-მხატვრული სკოლა ხელოსნებისა, რომელნიც „ამქრულად“ შეამხანაგებულნი შრომობენ, საზრდოობენ და ეგებ ერთად ცხოვრობენ კიდევაც. მათ ნაწარმში (მეტადრე ჯამ-ჭურჭელში) გამოირჩევა რამდენიმე განსხვავებული „ხელი“. კარგ ნაწარმად უნდა ჩაითვალოს მოჭიქული კრამიტი (მათ შორის ყვავილიანი!) და ფაიანსური კეცის მქონე შორენკეცები (ზოგჯერ ფიგურულიც კი).

ეს განათხარი, გარდა იმისა, რომ შუა საუკუნეთა საქართველოს არქეოლოგიის პირმშოა, საიმედოდ დამთარიღებელ ძეგლად იქცა რუსთაველის ხანის ნივთიერი კულტურის ისტორიაში.

ამ ბოლო დროს თხრისას დმანისის ნაქალაქარშიც იჩინა თავი სათუნე

სახელოსნოს ნაშთებმა და, კერძოდ, გაირკვა, რომ იქ ძალიან კარგ ფაიანსსაც აკეთებდნენ [243; 316, გვ. 72].

შემდეგი ასეთივე მეტყველი ძეგლი გამოდგა მინის საწარმოს ნაშთები ნ ა ტ ბ ე უ რ შ ი (მცხეთის რ., სოფ. ნიჩბისის მიდამოები), რომელიც გათხარა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის... ინსტიტუტის ექსპედიციამ ნ. უგრელიძის ხელმძღვანელობით, 1957, 1959 და 1960 წლებში. განათხარმა გამოავლინა მინის სადღობი ღუმელი ანუ თაკარა (საკმაოდ რიგიანად შემორჩენილი), მინის ნაირნაირი ჭურჭლისა და სამაჯურების მრავალრიცხოვანი ნატეხები, ზოგიერთი ხელსაწყო (მაგ., მინისსაბერი რკინის მილის ნაშთი) და დიდძალი წუნი და გადანაყარი [317]. ეს იყო მეორე შემთხვევა შუა საუკუნეთა მინისსაბერი სახელოსნოს ნაშთების აღმოჩენისა: მცხეთის გარეუბან კარსანში 1918 წელს გ. ლემლეინს მიუკვლევია ისეთი ნაშთებისათვის, რომელთა ჯეროვანი შესწავლა ვერ მოხერხდა, რადგან ის ნაშთები ხევისწყალს ჩაერეცხა [318]. ამიტომ არსებითად პირველი ძეგლი გამოდგა ნატბეურის ნაშთები, სადაც ნამდვილი მეცნიერული თხრის ჩატარება მოხერხდა. გადანაყარში გამორეული მონეტის მიხედვით სახელოსნოს ხნოვანება შეიძლება XIV საუკუნეში შემოდიოდეს. ეს არის ერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი და თვისობრივ ახალი დაკვირვება: ნამდვილად შუაფეოდალური ხანის შესაფერისი წარმოება მონღოლობის მძიმე ეპოქაშიც განაგრძობს არსებობას და თან ისეთ დონეზე, რომ არაფერში ეტყობა დაქვეითება: ტექნოლოგიურადაც და მხატვრულადაც სახელოსნო რიგიანად გამოიყურება. პირადად ჩვენი აზრით, შეიძლება აქ დამპყრობელთაგან თვალს მოფარებული და უდაბურ ადგილას გამართული (ეგებ სულაც რომელიმე ქალაქური ცენტრიდან გადატანილი) სახელოსნო ყოფილიყო, თუმცა თავის დროზე ეს ვარაუდი არ გაიზიარა ნიკ. ბერძენიშვილმა.

თუ აქვე გავიხსენებთ ზემოთ, ნასოფლართა შესახებ მსჯელობისას აღნიშნულ ვითარებას, რომ არმაზისხევის მონასტრის ირგვლივ თხრისასაც შემჩნეულ იქნა შესაძლებლობა შუაფეოდალური ხანის ნასახლართა ხნოვანების XIV საუკუნეში შემოყვანისა და აგრეთვე ნ. ბერძენიშვილის აზრს თბილისის სახელოსნოს XIV საუკუნეში განადგურების შესახებ, უნდა წარმოვიდგინოთ, რომ გადასასინჯი გვაქვს ის ქრონოლოგიური სქემა, რომლის მიხედვითაც შუაფეოდალური ხანის კულტურულ-წარმოებითი აღმავლობის დიაპაზონს XI—XIII საუკუნეებით შემოვფარგლავთ და ზოგჯერ XIII საუკუნის შუახანებსაც კი ვდებთ მის ზედა ზღვრად. ნამდვილი, არქეოლოგიურად დამოწმებული ვითარება გვანიშნებს, რომ ერთი დაკვრით არ მოწყვეტილა ის მაღალი დონე მონღოლობის დროს და ეგებ მართლაც თემურ-ლენგის მტარვალობამდე ინარჩუნებდა თავს. ამის ანალოგიები გვაქვს ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიაშიც (მაგ., თბილისის მეტეხის ტაძარი დიმიტრი თავდადებულის აგებულია).

დიდად დაწინაურდა სამთამადნო და მეტალურგიული წარმოების არქეოლოგია მისი წამომწყების (აწ განსვ.) ი. გძელიშვილის ხელში. მან დიდი მუშაობა ჩაატარა ქვემო ქართლსა და აჭარაში და რამდენიმე ნაკვლევიც გამოაქვეყნა. ძისი ყურადღების არეში მოექცა, რა თქმა უნდა, რუსთაველის ხანის ძეგლები [102; 319]. ქვემო ქართლში ამ მხრივ განსაკუთრებით ნაყოფიერი

გამოღგა კვლევა-ძიება ბოლნისის ქვეყანაში, რომელიც სათანადო მადნეულით (კერძოდ, ჰემატიტით) სიმდიდრის წყალობით, ადრეული რკინის ხანიდან XX საუკუნემდე და მეტადრე ფეოდალურ ხანაში წარმოადგენდა ქართული სახელმწიფოს ძირითად „სარკინეთსა“ და საჭურვლის წარმოების საიმედო საყრდენს, იქ გეოლოგიურმა ძიებამ გამოავლინა ბევრგან ძველი სამთო გამონამუშევრები. ერთი მათგანი იყო რკინისწყალზე, სადაც 1948 წელს ჩატარებულმა თხრამ გამოარკვია, რომ იქ ინტენსიურად ხდებოდა მადნის მოპოვება სწორედ XI—XII საუკუნეებში. მეტალურგიული (რკინის მადნის დასაწვავ-გამოსადნობი) დიდი ქურის ნაშთი აღმოჩნდა ნასოფლარ გონბათში. იგი ქვით არის ამოყვანილი და აღნაგობა რთული აქვს. ოთხ სხვა ადგილასაც აღმოჩნდა ასეთი ქურები და ეს მოწმობს რკინის გაცხოველებით დნობას იმ ქვეყანაში. მაგრამ ასეთი ქურები ვერ ეყოფოდა იმ დიდძალ მადანს, რომელიც მაღაროებიდან ჩანს გამოტანილი (ყოველ მათგანში თითო ჰორიზონტზე 20 000 კუბ. მ). ბოლო დროს აღმოჩნდა კიდევაც, სოფ. კაზრეთთან, მადანმოპოვების ასეთი მასშტაბის შესატყვისი დიდი ქურა, რომელიც მსოფლიო წარმოებითს არქეოლოგიაშიც კი უნიკალურად შეიძლება ჩაითვალოს იმ დროისათვის.

მოპოვებული დეტალების მიხედვით, ქურებს საბერველებით უმუშავნიათ. მადანი ადგილობრივვე უნახავთ, „დამწიფებული“ ლუგვები წინა კლდის დაშლით ამოუღიათ ხოლმე და ა. შ. დიდძალი წიდის მიხედვით, იმ სახელოსნოში 1000-ოდე ტონა რკინა უნდა იყოს გამოდნობილი.

იქვე არის პატარა ცილინდრული ქურებიც, XIV საუკუნისა. გამთხრელი ფიქრობს, რომ XI—XII სს-თა შემდეგ მეტალურგია ქვეითდება და მცირე ქურებზე გადადიან.

ამით ამოიწურება ის არქეოლოგიური ძეგლები, რომელთა შესწავლის შედეგების მიხედვითაც ვცდილობთ ყოფისა და კულტურის რაგვარობის წარმოსახვას.

## II. ყოფა-კულტურის ზოგადი მონახაზი

როგორც დავინახეთ, არქეოლოგიური ძეგლები — როგორც ამ შემთხვევაში ჩვენი შემეცნების წყაროები — საკმაოდ მრავლადაც არის გათხრილ-შესწავლილი, ნაირ-ნაირიცაა და მეტყველიც.

რა უმნიშვნელოვანეს დასკვნებს გამოგვატანინებს ამ წყაროთაგან მიღებული ცოდნა?

შუაფეოდალურ ხანაში, მიუხედავად საქართველოს საერთო უდიდესი ძლევამოსილებისა და ნივთიერი სიღონივრისა, როგორც ცნობილია, სოციალური ჭიდილი საკმაოდ მწვავედ მიმდინარეობს და არქეოლოგიაც კი გვამცნობს, რომ საზოგადოების სხვადასხვა ფენების შეძლებულობაში საკმაოდ მძაფრი კონტრასტებია. თან ისიც უნდა დავძინოთ, რომ წერილობითი წყაროების მიხედვით ცნობილი გ ლ ა ხ ა კ თ ა ფ ე ნ ა არქეოლოგიურ მასალებში არანაირად არ აისახება. მიუხედავად ყოველივე ამისა, უეჭველია, ფეოდალური ქართველი ერის საერთო ნივთიერი კეთილდღეობა, რამდენადაც განათხარი გვაძლევს ამის დანახვის საშუალებას. ჩანს, ეს თითქოს პარადოქსული დაკვირვება იმით უნდა აიხსნას, რომ ქვეყანა მართლაც უჩვეულო ყო-

ველმხრივ აყვავებას განიცდის და დოვლათის უშუალო მწარმოებელთა ჩაგრულ კლასებსაც ხვდებათ, ეტყობა, თუნდ მცირე წილი იმ სიმდიდრისა, რომელიც ეკონომიკის, მეურნეობის აღმავლობის, ნადავლიანი ომიანობისა და სახელმწიფო შემოსავლის უჩვეულო ზრდისაგან გამომდინარეობს და ეს „მცირე წილი“ მათ ქონებრივად წელს უმაგრებს.

ამ მხრივ განსაკუთრებით დამაფიქრებელია მიწათმოქმედ-მესაქონლეთა, მოქალაქეთა, ხელოსანთა თუ მეციხოვნე ჯარისკაცთა ნადგომ შენობათა ნაშთების თხრისას თავმოყრილი დაკვირვება: ის ადამიანები მკვიდრ (თუმცა კი არქიტექტურულ სამკაულსა და მეტწილ აგრეთვე კრამიტის სახურავს მოკლებულ, ბანიან) სახლებში ბინადრობდნენ; საკმაო სახნავ-სათესსა თუ სახილვენახე მიწებს ფლობდნენ და ამუშავებდნენ (მოქალაქენიც კი, რაც თვალნათლივ ჩანს, მაგ., კუხეთის რუსთავის განათხარში); რიგიანად იკვებებოდნენ (არცნაირ-ნაირ ხორცეულს იკლებდნენ, არც პურეულსა და არც ღვინოს). ჩაცმა-დახურვაზე, არქეოლოგიური მონაპოვრების მიხედვით, თითქმის ვერას ვიტყვით და ეს არც არის აუცილებელი, იმდენი გვაქვს ამ დროიდან შემორჩენილი ნახატები (ფრესკული თუ მინიატურული, რომლებიც ამ მხრივ შესანიშნავად იყვნენ გამოყენებული ჯერ კიდევ იმ არქეოლოგიურ გამოფენაზე, ივ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით რომ გაიმართა საქართველოს სახ. მუზეუმში 1937 წელს). სამაგიეროდ განათხარებმა და მეტადრე რუსთავისა და დმანისის სამაროვნებისამ, საკმაოდ ნათელი წარმოდგენა შეგვიქმნა იმაზე, თუ როდარანაირ სამკაულს ატარებდნენ მანდილოსნები, ისევ და ისევ საშუალო თუ ნაკლები შეძლების მქონენი: ნაირფერადი მინის სამაჯურებს (სოფლებშიც კი ყველგან, იმდროინდელი რუსეთისაგან განსხვავებით, სადაც მხოლოდ ქალაქელი ქალებისათვის არიან ისინი მისაწვდომი), რომლებიც შედარებით იაფია, ბრინჯაოს სამაჯურებს (ზოგჯერ მათთან ერთად), მძივთაგან შედგენილ ყელსაბამებს (ზოგჯერ შიგ სპილენძის გახვრეტილ მონეტებსაც ატანდნენ), ბრინჯაოს მარტივსა და ფარაკიან ბეჭდებს (ზოგჯერ ფარაკზე ამოკაწრულია სქემატური გამოსახულება), ბრინჯაოს, ხოლო ზოგჯერ აგრეთვე ოქროს საყურეებსა და გულსაკიდებს (ამ ორი უკანასკნელის შესანიშნავი ნიმუშები გვაქვს რუსთავის ორი აოხრებული სახლის ნაშთებს შორის).

განსაკუთრებით ყურადსაღებია თიხის ჭურჭლეულის მოხმარების სურათი: გარდა ჩვეულებრივი მოუჭიქავი სამეურნეო-სამზარეულო ჭურჭლისა, ყველგან (ნასოფლარებშიც!), ეტყობა, იყენებდნენ მოჭიქულს, მხატვრულსაც — ჯამებს მაინც. ხოლო ისეთი უძვირფასესი კერამიკა, როგორც ფაიანსია, ნაქალაქარებს გარდა, ზოგჯერ გვხვდება ნასოფლარებშიც, ოღონდ გამორჩეულ, დარბაზულ ნაგებობათა ნაშთებს შორის.

ასეთი ფართო მოხმარების შესაბამისი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ემსახურებოდა ფართოდ განშტოებული ქსელი ნაირ-ნაირი თიხის ჯამ-ჭურჭლის (მათ შორის ფაიანსისაც), მინის ჭურჭლეულისა და სამკაულის (სამაჯურების, ბეჭდების, მძივების) მკეთებელი სახელოსნოებისა, რომლებიც უმთავრესად ქალაქ ადგილებში მოქმედებდნენ (გადაჭრით შეგვიძლია ვიმსჯელოთ თბილისის, კუხეთის რუსთავის, სამშვილდის, დმანისის, თელავის, უჯარმის, ჯავახეთის ახალქალაქის, მცხეთის და სხვა ასეთ კერებზე), ხოლო ზოგჯერ სოფლებში და მათგანაც კი დაშორებულ ადგილებში. ხანდახან უშუალოდ არცა

გვაქვს მიგნებული წარმოების ნაშთები, მაგრამ ამა თუ იმ ნაქალაქარში ან ნასოფლართა ჯგუფში შემონახული, თავისებური ნაწარმის მიხედვით ვმსჯელობთ ასე. ის კი არა და, ცალ-ცალკე სკოლებისა და ოსტატების „ხელის" გამოცნობაც კი ხერხდება. თანდათან გამოინაკვთა, შემოტანილს გარდა, ქართული ფაიანსის თავისებური სერია და მისი აქ კეთების სავარაუდო კერებიც.

რაც შეეხება ლითონის საგნების — კერძოდ, ოქრო-ვერცხლის სამკაულის კეთებას, სათანადო საწარმოო კერების, ტორევტიკული და საოქრომჭედლო სახელოსნოების შესახებ ჯერჯერობით ძალიან ბუნდოვანი წარმოდგენა გვაქვს, მაგრამ შეგვიძლია ვიგულისხმოთ ისინი, თბილისს გარდა, დმანისშიც (XIII საუკუნის საუცხოო განძია აღმოჩენილი ოქრო-ვერცხლის სამკაულისა) და კუხეთის რუსთავშიც (ოქროს საყურე და გულსაკიდი, ვერცხლის სამკერდული ჯვარი, ბრინჯაოს ასეთივე ჯვარი და საეკლესიო ნივთებია აღმოჩენილი).

ახლა, თუ ისევ კერამიკასა და მინას მივუბრუნდებით, უნდა ხაზგასმით აღინიშნოს ერთი გარემოება: რაც არ უნდა მრავალი საწარმოო კერა გამოვიცნოთ მათი მიხედვით, ცალკეულ ქალაქთა სკოლები და ა. შ., ზოგადად ისინი თითქმის ყველა არსებითად ერთგვაროვანია და მკაფიოდ გამოხატულ საწარმოო-კულტურულ ერთიანობას გვანიშნებს. სხვანაირად რომ ითქვას, დაკვირვებული არქეოლოგი მყისვე გამოასხვავებს ქართულ კერამიკულსა თუ მინის მასობრივ ნაწარმს — მიუხედავად იმისა, რუსთავიდან მომდინარეობს იგი თუ ჯავახეთის ახალქალაქიდან — სომხეთში, აზერბაიჯანში და, მით უმეტეს, სპარსეთში აღმოჩენილი ნაწარმისაგან: ტექნიკით, ფერადოვნებით, მხატვრული ჩანაფიქრით, სამკაულით (მცენარეული თუ გეომეტ. ორნამენტი, ფრინველების, ცხოველებისა და ადამიანთა გამოხატულება). ამ, შედარებით მცირე ძეგლების გავრცელება და რაგვარობაც მიგვანიშნებს, თავის მხრივ, რომ ქართულ ფეოდალურ სამთავროთა გაერთიანებას და მჭიდროდ შერწყმას უქმად არ ჩაუვლია და საწარმოო-მხატვრული კულტურის მხრივაც ძლიერ დაუახლოებია ერთიმეორესთან სხვადასხვა მხარეები და ქალაქები. ჯერჯერობით ამას ვერ ვიტყვით გადაჭრით დასავლეთ საქართველოს შესახებ, სადაც, მაგ., კერამიკა თავისებურებით გამოირჩევა აღმოსავლურისაგან.

ამასთან დაკავშირებით ისიც უნდა ითქვას, რომ მონაპოვარი კერამიკისა და მინის მცირე, ხოლო ფაიანსის დიდი ნაწილი უცხოური წარმოშობისაა ან უცხო ტიპისაა და ადგილობრივ არის ნაწარმოები. ეს გარემოება მიგვანიშნებს ეკონომიურ-კულტურულ სიახლოვესა და ურთიერთობას მეზობელ თუ უფრო შორეულ ქვეყნებთან, უპირველეს ყოვლისა, — სომხეთთან და აზერბაიჯანთან და, რაც მთავარია, სპარსეთთან. აქ უნდა დავასახელოთ ირანული ფაიანსი (თბილისში, რუსთავში, დმანისში და სხვ. ნაპოვნი), რომლის წარმომავლობა ზოგჯერ ქალაქისა და საწარმოო კერის სიზუსტითაც კი ირკვევა, მინის თითო-ოროლა ჭურჭელი, ღიაფრად გამომწვარი თიხის ხელადა (თბილისის განათხარიდან), რომელზედაც ომარ ხაიამის ლექსია დაწერილი, მუსლიმური ყაიდის ორნამენტის მქონე ორიოდე მოჭიქული წითელკეციანი ჯამი თელავისა და თბილისის განათხარებიდან და სხვ. აქ ისიც არ უნდა გვავიწყდებოდეს, რომ ზოგ ძველ ქალაქში (მაგ., თბილისში, დმანისში და ეგებ თელავშიც) სრულიად გარკვეული ისტორიული ვითარების შედეგად მკვიდრად იყვნენ დაბუდებული სხვადასხვა ეროვნების მუსლიმი მოქალაქეები, რომლე-

ბიც არ აყრილან აქედან (გავიხსენოთ დავით აღმაშენებლის სულგრძელი მოპყრობა მათ მიმართ თბილისის განთავისუფლების შემდეგ) და რომელნიც დარჩნენ, როგორც საქართველოს ქალაქთა მოსახლეობის ორგანული და საკმაოდ აქტიურად მშრომელი ნაწილი — მაგ., თბილისში თითქმის დღემდე.

